ს. ს. ს. რ. 323.2(05)
ჩ-38
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიის სკ პარტიის ისტორიის ინსტიტუტი

690

რევოლიუციის მატიანე

კარტისის ისტორიული ჟურნალი

52

№ 2(12)

1925

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომ[illegible]
ტფილისი

სარჩევი

1. ამხ. ნარიმან ნარიმანოვი 1
2. ამხ. ა. თ. მიასნიკოვი 5
3. ამხ. ს. გ. მოგილევსკი 6
4. ამხ. გ. ა. ათარბეკოვი 11
5. **ს. ჭავთარაძე**—ბიოგრაფიული ცნობები ამხ. არუს. პეტროსოვის შესახებ 14
6. **ს. თალაკვაძე**—ამხ. არუსიაკ პეტროსოვა-ცინცაძე 19

7. ვ. ი. ლენინის მოხსენება 9 იანვრის შესახებ 22
8. **ს. თალაკვაძე**—საქ. კომპარტიის ისტორიისათვის. 41

ს. კ. პ. ტფილისის ორგანიზაციის 30 წ. არსებობა

9. I. ძველ პარტიულ მუშაკთა კრების სტენოგრაფიული ანგარიში 58
II. პირადი მოგონებანი—ივანო ყიასაშვილის, ი. ლეჟავეიჩის, გრიგოლ სოგორაშვილის და სერგეი ალილუევისა 94
10. მასალები მესამე დასის ისტორიისათვის 94
I. წერილები ეგ. ნინოშვილის გარდაცვალების გამო—მიხა ცხაკაიასი, ნ. ჟორდანიასი და სილიბისტრო ჯიბლაძის სიტყვა.
11. II. მწარე ფიქრები—**ფ. მახარაძისა** 106

12. რუსეთის კომპარტიის ისტორიის შესწავლისათვის . . 121 (განმარტებითი ბარათი და პროგრამა I საფეხურის საბპარტსკოლებისათვის). . . . . .

ბოლშევიკური ორგანიზაც. მუშაობა წარსულში.

13. **ნ. ალაჯალოვა, ნ. ზავარიანი**—შორეულ წარსულიდან . . 134
14. როგორ აღმოაჩინა ჟანდარმერიამ ავლაბრის სტამბა . . . 143

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტობიოგრაფია.

15. **მისა ჩოდრიშვილი**—ჩემი თავგადასავალი 148

პარტიული არქივი.

16. რეზოლიუციები, მიღებული დასავლ. ამიერ-კავკ. კონფერენციაზე რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშ.) ქ. ქუთაისში 1918 წ. . . . 153

მასალები და დოკუმენტები.

17. ქანდარმერიის არქივიდან ამოღებული ცნობები და ფოტოგრაფიული სურათები ამხ. ფ. მახარაძის, სტალინის, სერგო ორჯონიკიძის, ზაქ. ჩოდრიშვილის, სერ. ალილუევის, ლ. დუმბაძის, ვანო ბოლქვაძის, შ. ელიავას, დ. გუნდელიანის, შესახებ . 816

ტრიბუნა.

18. „კავკაზსკი ბოლშევიკ“-ის შენიშვნა—„ბოლშევიზმის ისტორიისათვის ამიერ-კავკასიასა და საქართველოში“ 190

19. **ხ. თალაკვაძის** წერილები—1) რამდენიმე სიტყვა „კავკ. ბოლშევიკის“ შენიშვნის გამო და 2) „ეს მართლაც შესაფერი საქმეა „მისთვის“ (ამხ. თ. კალანდაძის წერილის გამო) 191

20. ს. ს. ს. რ. პარტისთა წარმომადგენლების ყრილობის ანგარიში. 202

სურათები: ამხ. ნარიმანოვის, მიასნიკოვის, მოგილევსკის, ათარბეკოვის, არუსიაკ პეტროსოვა-ცინცაძის, ქანდარმთა სამმ. მიერ შედგენილი ავლაბრის სტამბის გეგმა, სურათები ქანდარმთა არქივიდან: ფ. მახარაძესი, სტალანის, ს. ორჯონიკიძის, ლ. დუმბაძის, ს. ალილუევის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ნარიმან ნარიმანოვი

(გარდაიცვალა გულის სიმდაბლით მოსკოვში 1925 წლის მარტში)

ამხ. ნარიმანოვი დაიბადა 1870 წელს ტფილისში. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო სამასწავლებლო სემინარიაში. 10 წლის განმავლობაში ის სახალხო მასწავლებლად იყო, შემდეგ ჩაბარა გამოცდა სიმწიფის მოწმობაზე და შევიდა ნოვოროსიის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზე.

ამ დროიდან იწყება მისი საზოგადოებრივ-რევოლიუციონური მოღვაწეობა.

1905 წ. მან პირველად ჩაუყარა საძირკველი ბაქოში სპარსეთის სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციას.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნარიმანოვის რევოლიუციონური მოღვაწეობა ძლიერდება, მაგრამ დროებით წყდება ტფილისში დაპატიმრების გამო.

ციხეში 7 თვის ყოფნის შემდეგ ნარიმანოვს ასახლებენ კავკასიის საზღვრებიდან 5 წლით.

1917 წლამდე ნარიმანოვი ცხოვრობს ბაქოში და მუშაობს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაცია „გუმეტში", რომელიც 1917 წელს შეუერთდა რუსეთის კომუნისტურ პარტიას. ნარიმანოვი რჩება მის ხელმძღვანელად.

1917 წელს, სამოქალაქო ომის დროს, ნარიმანოვი არის ბაქოს მაზრის სახ. კომისართა საბჭოს წევრი, ქალაქის მეურნეობის კომისარი.

ნარიმანოვის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა ფართოვდება 1919 წლიდან. ის გაწვეულ იქნა მოსკოვში, სადაც საბჭოთა აზერბაიჯანის მომავალის შესახებ მოხსენების გაკეთების შემდეგ, დატოვებული იქნა მოსკოვში საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის აღმოსავლეთის საქმეთა განყოფილების გამგედ. რამდენიმე ხანს ნარიმანოვი ასრულებს ეროვნებათა სახ. კომისარის მოადგილის მოვალეობას.

1920 წელს ის გაემგზავრა ჩრდილო კავკასიაში რევკომის წევრის თანამდებობაზე, მაგრამ გზაში მიიღო ბრძანება გამგზავრებულიყო ბაქოში. 1920 წლის აპრილში ნარიმანოვი არჩეულ იქნა აზერბაიჯანის რევკომის თავჯდომარედ და შემდეგ სახ. კომისართა საბ-

ჭოს თავჯდომარეთ. როგორც სახკომისართა საბჭოს თავჯდომარემ, ნარიმანოვმა მონაწილეობა მიიღო გენუას კონფერენციაზე, რის შემდეგაც არჩეულ იქნა ამიერ-კავკასიის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარეთ, რომელ თანამდებობაზეც დარჩა რამდენიმე ხანი და შემდეგ არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასკომის ერთ-ერთ თავმჯდომარეთ.

ნარიმანოვი, გარდა პოლიტიკურ მოღვაწეობისა, 25 წლის განმავლობაში ეწეოდა ლიტერატურულ მუშაობას. მის კალამს ეკუთვნის აღმოსავლეთში ცნობილი რომანები, მოთხრობები და დრამები, რომელთა შინაარსს საზოგადოებრივი მოტივები შეადგენენ.

ის იყო დიდი რევოლიუციონური ფიგურა იმ მუსულმან მშრომელებს შორის, რომლებიც მოსახლეობენ ახლო აღმოსავლეთის კარებთან.

ნ. ნარიმანოვი ტომით კავკასიელი თურქია. კაცი კულტუროსანი და განათლებული, ის მჭიდროთ და განუყრელად უკავშირდება თავის ხალხის ამიერ-კავკასიის მშრომელებს. პირდაპირი, ლმობიერი და კეთილი თავისი ხასიათით, ის იყო თავისი ხალხის ფართო ბუნების, სიკეთის და მშვიდ აღმოსავლურ იერის მატარებელი; ეს თვისებები ყველაზე უფრო შეშვენის მასების ხელმძღვანელს და; ბელადს. მაგრამ ამბ. ნარიმანოვის მთავარი თვისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ ის იყო ხალხოსანი ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. ის უაღერესად მჭიდროთ იყო დაკავშირებული თავის მშრომელ ხალხთან, სწუხდა მისი გაჭირვებით, უყვარდა ის, გამოდიოდა მისი გაჭივრებისა და მოთხოვნილებისაგან, არაფერს იშურებდა მისთვის.

მისი ხალხოსნობა გამოიხატებოდა თურქი მშრომლის როლის მნიშვნელობის, ამოცანებისა და მისწრაფებათა სავსებით გაგებაში. ის არ იყო მარტო რევოლიუციონერი და ხელისუფლების წარმომადგენელი, არამედ პოპულიარული კაცი, საზოგადოებრივი და საუკეთესო კულტურული ადამიანი თავისი ქვეყნისა.

ის იყო მშრომელ ხალხთან არა მარტო აზერბეიჯანში, არამედ მთელს ამიერ-კავკასიაში. ამბ. ნარიმანოვი ჩვენში იყო ერთი საუკეთესო, გულწრფელი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიის ხალხთა გაერთიანებისა და სოლიდარობის იდეისა.

სახალხო მასწავლებელი, სტუდენტი—რევოლიუციონერი, საზოგადოებრივი მკურნალი, თურქების გამოჩენილი მწერალი, სოციალ-დემოკრატი,—ბოლშევიკი და ლენინელი, საბჭოთა მუშაკი, აზერბაიჯანის საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარე, ამიერ-კავკასიის ფედერა-



ამბ. ნარიმანოვი, ნ. ნ.

ციის საბჭოთა თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის ცკის თავმჯდომარე— ასეთია ამხ. ნარიმანოვის ცხოვრების და მოღვაწეობის განვითარების საფეხურები. ამათ შორის ყველაზე უფრო მკაფიოა ისინი, რომლებსაც აწერია: „ნარიმანოვი ხალხოსანი და მწერალი, ნარიმანოვი რევოლიუციონერი და აზერბაიჯანის და აღმოსავლეთის მშრომელთა ბელადი“.

ამხ. ა. თ. მიასნიკოვი.

ალექსანდრე თედორეს-ძე მიასნიკოვი დაიბადა დონის ნახიჩევანში 1886 წელს. საშუალო განათლება მიიღო ნახიჩევანის სომხურ სასულიერო სემინარიაში, რომლის გათავების შემდეგ ის ემზადება და შედის მოსკოვის ღაზარევის აღმოსავლეთის ენათა ინსტიტუტის მე-7 კლასში 1906 წელს. ღაზარევის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ის შედის მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. პირველ ხანებში ის სომხის ნაციონალურ-„სოციალისტური“ პარტიების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. 1905 წლიდან ის უკვე ჩვენი პარტიის რიგებში დგება. მუშაობს ბაქოში, ხოლო შემდეგ სტუდენტების წრეებში, ხელმძღვანელობს წრეებს მოსკოვში.

ამავე დროიდან ის თანამშრომლობს ჩვენს პარტიულ ორგანოებში. იმპერიალისტური ომის დაწყებისას ის გაწვეულ იქნა ჯარში და რევოლიუციამდე იმყოფებოდა დასავლეთის ფრონტზე. ამხ. კრილენკოს შემდეგ ის არჩეული იყო ჯარების მთავარ სარდლად. 1918 წელს ის მუშაობდა სმოლენსკში და ჩეხო-სლოვაკების აჯანყების დროს გაემგზავრა ვოლგის მხარეში როგორც ჩვენი ძალების სარდალი, მაგრამ მალე დაბრუნდა მოსკოვში წერილობითი მოხსენებით მაშინდელი ჩვენი ჯარ კიდევ წითელი გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ და რამდენიმე ხნის შემდეგ ის კვლავ დაბრუნდა სმოლენსკში. აქ მან გადაიტანა მემარცხენე ესერების აჯანყება. იყო რა პარტიული სამხედრო და საბჭოთა მუშაკი, ის ამავე დროს ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა კულტურისა და განათლებისადმი. მის სახელთან არის დაკავშირებული სმოლენსკის უნივერსიტეტის დაარსება, გაზეთი „ზვეზდა“, დიდი წიგნთსაცავი, შეკრებილი მემამულეთა სასახლეებიდან და სხვ. მალე ის გაწვეულ იქნა მოსკოვში, დაიწყო მუშაობა მოსკოვის კომიტეტში ჯერ როგორც სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელმა, ხოლო შემდეგ არჩეულ იქნა მოსკოვის კომიტეტის მდივნად. აქ ის მუშაობდა სომხეთის გასაბჭოებამდე. სომხეთის გასაბჭოების შემდეგ პასუხისმგებელ ამხანაგების წრეში მას უკვე ასახელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეთ. 1921 წლის. ზაფხულის დასაწყისში ის ჩამოვიდა ერევანში და 1922 წლის 12 მარტამდე, საკავშირო საბჭოს დაარსებამდე, ის ხელმძღვანელობდა მუშაობას სომხეთში და ამავე დროს, იყო რა სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი, ის საძირკველს უყრის სომხეთის წითელ არმიას და განსაკუთრებით კავალერიას. საკავშირო საბჭოს დროს ის, როგორც მისი ერთი-ერთი თავმჯდომარე და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე, მუშაობდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცებისათვის. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დაარსების შემდეგ ის ერთსა და იმავე დროს მუშაობდა არმიაში, როგორც საბჭოთა კავშირის და ა/კ. წითელდროშოვანი არმიის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წევრი, სახალხო კომისართა საბჭოში—როგორც სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და პარტიული ხაზით—ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივნის თანამდებობაზე. როგორც ყოველთვის, ის პილიტიკურ, პარტიულ, საბჭოთა და სამხედრო მუშაობასთან ერთად ხელიდან არ უშვებდა წიგნს და კალამს. ის ასწრებდა ლექციების კითხვას კომუნისტურ უნივერსიტეტში, რედაქტორობდა „ზარია ვოსტოკა“-ს, თანამშრომლობდა ყველა პარტიულ გაზეთებში და ჟურნალებში; ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციაში და ა/კ. ფედერაციაში ის წამოაყენა საბჭოთა სომხეთმა. თავის მხრივ ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ წამოაყენა ის რ. კ. პ. ცეკაში. ის იყო რუსეთის კომპარტიის (ბ) მე-12-ე და მე-13-ე მოწვევის ცეკას წევრობის კანდიდატი, იყო საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდუმის და საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს წევრი.

ამხ. ს. გ. მოგილევსკი

(ავტობიოგრაფიიდან)

ამხ. მოგილევსკი დაიბადა 1885 წელს ებრაელ ვაჭარის ოჯახში. სწავლობდა სახლში, შემდეგ პავლოგრადში (ეკატერინოსლავის გუბერნია). იქვე 1902 წლიდან მონაწილეობას იღებდა რევოლიუციონურ მოძრაობაში გიმნაზიელთა და მუშათა წრეებში. 1903 წლიდან აქტიურად მუშაობდა, ხელმძღვანელობდა გიმნაზიელთა და მუშათა წრეებს, აწყობდა მასიურ კრებებს. შედიოდა რ. ს. დ. მ. პ. ეკატერინოსლავის კომიტეტში.

1904 წლის ზაფხულზე ამხ. მოგილევსკი დაიპატიმრეს. ორი თვით დაპატიმრების შემდეგ გაანთავისუფლეს თავდების ქვეშ. ტახტის მემკვიდრის დაბადების გამო გამოცემულ მანიფესტის ძალით მისი საქმე მოსპობილ იქნა და იგი გაემგზავრა საზღვარ-გარეთ, სადაც გაატარა 1904 წლის მეორე ნახევარი და მთელი 1905 წელი. ჟენევაში ამხ. ლენინის სახელზე ჰქონდა მას წერილი ბოლშევიკების ჯგუფში მიღების შესახებ.

რუსეთში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა პროპაგანდისტათ ბრიანსკის რაიონში. პროპაგანდისტათ იყო რკინის გზის რაიონშიც, სადაც ხელმძღვანელობდა სამმართველოს თანამშრომლების წრეს, შემდეგ მუშაობდა ეკატერინოსლავის ხაზზე გრიშინოში და სხვა ადგილებში.

ამხანაგების ერთი ჯგუფის მიერ, რომელშიაც შედიოდა ამხ. მოგილევსკი, მომზადებული იყო ეკატერინოსლავის ხაზის რკინის-გზელთა ორგანიზაციების ყრილობა, რომელმაც მიიღო ბოლშევიკური რეზოლიუციები და აირჩია კომიტეტი, რომელშიაც მოხვდენ უმთავრესად ბოლშევიკები, მიუხედავათ ეკატერინოსლავის მენშევიკების წინააღმდეგობისა.

1906 წელს ამხ. მოვილევსკი გადასახლდა პეტერბურგში (ლენინგრადში), სადაც მუშაობდა ორგანიზატორად და პროპაგანდისტად. ლენინგრადის მხარის რაიონში მოწყობილი ჰქონდა მას რამოდენიმე წრე და ასრულებდა ტეხნიკურ-ორგანიზაციულ დავალებებს, ტეხნიკურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ბოლშევიკურ კრებულებისა და სხვა ბეჭდვითი ლიტერატურის გამოცემაში.

1908 წლიდან დაწყებული რამოდენიმე წელი მოწყვეტილი იყო მუშაობას. 1912—13 წლიდან მოსკოვში მონაწილეობას იღებდა შრომის ხელის შეწყობის მუზეუმის მუშაობაში, როგორც იურისტი. 1916 წელს გაწვეულ იქნა მეფის არმიაში. მსახურებდა არასამწყობრო ნაწილში, მინსკის ახლოს. რევოლიუციის შემდეგ არჩეულ იქნა ქ. მინსკის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის პირველ კომიტეტში, იყო აგრეთვე მინსკის საბჭოს აღმასკომის და ფრონტის კომიტეტის წევრათ. არჩეული იყო დელეგატათ ჩვენი პარტიის მე-6 აპრილის კონფერენციაზე 1917 წელს.

კონფერენციის შემდეგ ამხანაგების ერთ ჯგუფთან ერთად მან ჩამოაყალიბა ბოლშევიკური დამოუკიდებელი ორგანიზაცია მინსკში. 1917 წელს აგვისტო—სექტემბერში განთავისუფლდა არმიიდან და მინსკის კომიტეტის დავალებით გაემგზავრა ბოლშევიკების დასაცავად ჩრდილოეთის ფრონტზე.

ოქტომბრის გადატრიალების დროს ამხ. მოგილევსკი გაემგზავრა მინსკში მოსკოვის რევოლიუციონური კომიტეტის წარმომადგენლათ: დაბრუნების შემდეგ მუშაობდა მოსკოვის რევოლიუციონურ კომიტეტში. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ დაბრუნდა ივანოვო-ვოზნესენსკში, მუშაობდა ფეიქართა კავშირში, იყო ივანოვო-ვოზნესენსკის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრათ, მრეწველობის კომისრათ, იუსტიციის კომისრათ და ტრიბუნალის თავმჯდომარეთ.

1918 წლის გაზაფხულზე მოსკოვში მუშაობდა იუსტიციის სახალხო კომისარიატში და ბრალდებულთა კოლეგიის წევრათ უზენაეს ტრიბუნალში, ჩეხო-სლოვაკების შეტევის დროს სრულიად რუსეთის ცაკის კომისიის წარმომადგენლათ გაემგზავრა სარატოვში, სადაც მუშაობდა აღმასკომში, სარატოვის საგანგებო კომისიაში და მონაწილეობას იღებდა შეთქმულების ლიკვიდაციაში მე-8 არმიაში. 1918 წლის სექტემბერ—ოქტომბერში დაბრუნდა მოსკოვში.

1919 წლის დასაწყისში პარტიული მობილიზაციის ძალით გაგზავნილი იყო უკრაინაში, მუშაობდა კიევში იუსტიციის სახალხო კომისარიატში, იყო უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულათ ჩერნიგოვისა და ეკატერინოსლავში მობილიზაციის ჩასატარებლათ. იყო მე 12 არმიის რევოლიუციონური ტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილეთ. არმიის პოლიტიკური მმართველობის ბრძანებით, თანახმად რ. კ. პ. ცეკას საორგანიზაციო ბიუროს დადგენილებისა, 1919 წლის ნოემბერ-დეკემბერში გაგზავნილ იქნა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის განკარგულებაში, სადაც მუშაობდა მოსკოვის საგანგებო კომისიის განსაკუთრებული განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის გამგეთ, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის განსაკუთრებული განყოფილების საგანგებო რწმუნებულათ და სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის უცხოეთის განყოფილების გამგეთ 1922 წლის მაისამდე; ამ დროიდან მუშაობდა კავკასიაში ცენტრალური პოლიტიკური მმართველობის სრულუფლებიან წარმომადგენლად.

ამიერ-კავკასიის საბჭოების ყრილობაზე არჩეული იყო ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ და ა/კ. ცაკის წევრათ, ამიერ-კავკასიის უკანასკნელ პარტიულ ყრილობაზე არჩეული იყო ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრობის კანდიდატათ.

იუნკერსის ავარიის დროს ტფილისში ტრაღიკულად დაღუპული ავხანაგები


(1925 წლის მარტის 22-ს.)



ამხ. მიასნიკოვი, ა. თ.



ამხ. მოგილევსკი, ს. გ.



ამხ. ათარბეკოვი, გ. ა.

ამხ. ვ. ა. ათარბეკოვი

ამხ. ათარბეკოვი დაიბადა ეჩმიაძინში 1891 წლის იანვარში. ჯერ კიდევ ბავშობაში ის გაჭირვებას განიცდიდა და ვინაიდან საშუალება არ ჰქონდა განათლება მიეღო ეჩმიაძინში, იძულებული იყო გამგზავრებულიყო ბაქოში.

სამი წელიწადი სწავლობდა ამხ. ათარბეკოვი ბაქოს პროგიმნაზიაში, საიდანაც შემდეგ გადავიდა ერევნის გიმნაზიაში; აქ 14 წლის ათარბეკოვს მოუსწრო 1905 წლის რევოლიუციამ.

ამ პერიოდის ამბების და გიმნაზიის უფროსი კლასების რევოლიუციონურათ განწყობილ მოწაფეებთან საუბარის ზეგავლენით, 14 წლის ათარბეკოვი დაინტერესდება პოლიტიკური საკითხებით და გაფაციცებით კითხულობს მარქსისტულ ლიტერატურას, კრიტიკულ წერილებს და სხვა.

ერევანში მაშინ მუშაობდა ბოლშევიკების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კოლექტივი, მაგრამ ათარბეკოვის ამხანაგებიდან, მისი ჰასაკის გიმნაზიელებიდან, კოლექტივში არავინ არ ყოფილა.

1905 წლის რევოლიუციის შემდეგ, დაწყებული რეაქციის პირველ პერიოდში, ამხ. ათარბეკოვი ჯერ კიდევ განაგრძობდა სწავლას, მაგრამ უკვე 1908 წელს მან ამხ. ამოსთან ერთად მოაწყო ბოლშევიკური წრე, რომელიც შევიდა რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკების) მაშინდელ კოლექტივში.

ამხ. გევორქი 19 წლისა იყო, როდესაც მან პარადათ განიცადა მეფის „ოხრანკის“ და მაშინდელი რეაქციონური წყობილების დამცველების მათრახი. ეს იყო 1909 წელს. ერევნის ჟანდარმთა სამართველოს უფროსის განკარგულებით ამხ. ათარბეკოვი ორჯერ გაჩხრიკეს, მაგრამ „ოხრანკამ“ ვერ აღმოაჩინა მისთვის საჭირო მასალები და მამხილებელი საბუთები.

1901 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ამხ. გევორქი მიდის მოსკოვში თავის ბიძაშვილთან, სტუდენტ-მედიკოსთან. აქ ის იმავე წელს ახერხებს მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლას.

იმავე წელს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ამხ. ათარბეკოვი იძულებულია მიატოვოს მოსკოვი, მაგრამ უკვე 1911 წელს ის ისევ დაბრუნდა მოსკოვში, მიღებულ იქნა უნივერსიტეტში და დაიწყო მუ-

შაობა რ. ს. დ. მ. პ. (ბ) სტუდენტთა კოლექტივში, რომელშიაც შედიოდენ ამ. ამხ. აიკუნი, მიკაელიანი, სულტან-ზადე, ჯილოვი, ოსეპიანი, შემდეგ ეშბა და სხვები. ამ კოლექტივში ხელმძღვანელ როლს თამაშობდა ამხ. ა. თ. მიასნიკოვი.

1914 წლის იმპერიალისტური ომის პირველსავე პერიოდში ამხ. ათარბეკოვი დაპატიმრებულ იქნა ტფილისში, მაგრამ მოახერხა გაქცევა. ის მიდის ეჩმიაძინის მაზრაში და რამოდენიმე ხნის განმავლობაში იმალება მთებში.

ამის შემდეგ ის ახერხებს ქალაქთა კავშირის ეჩმიაძინის განყოფილებაში შესვლას სამსახურში, აქ ის განაგრძობს მუშაობას ამხ. მიკრიანთან ერთად. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციამ ამხ. გეორგს მოუსწრო ეჩმიაძინში.

ძველი რევოლიუციონერის დევნა-წამება გრძელდება თებერვლის რევოლიუციის შემდეგაც; ის განაგრძნობს მუშაობას ბოლშევიკურ პარტიაში, ამისათვის მას ითხოვენ ქალაქთა კავშირიდან. ის მიდის ალექსანდროპოლში (ლენინაკანი), სადაც მუშაობას აწარმოებს პარტიის დავალებით გარნიზონის ჯარის-კაცთა შორის.

მაგრამ ავადმყოფობა (ჭლექი) აიძულებს მას ორი თვის შემდეგ მიატოვოს ლენინაკანი და გაემგზავროს სოხუმში.

სოხუმში ამხ. გეორგი აქტიურ მონაწილეობას იღებს ბოლშევიკური ორგანიზაციის არალეგალურ მუშაობაში და ითვლება პარტიის არალეგალურ კომიტეტის წევრათ. გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს ძალა-უფლების დასაპყრობათ, რაც განხორციელებულ იქნა კიდეც 1918 წლის თებერვალში.

რამოდენიმე თვის შემდეგ, მენშევიკური რაზმების შეტევის გამო, სამი თვის განუწყვეტლივი ბრძოლების შემდეგ ამხ. ათარბეკოვი უკან იხევს ჩრდილოეთ კავკასიისაკენ, სადაც შეუერთდა ჩრდილო კავკასიელ ამხანაგებს.

სამოქალაქო ომის მთელი პერიოდი—1918, 1919, 1920 და 1921 წლის ნახევარი ამხ. გეორგმა გაატარა თეორგვარდიელთა აჯანყების წინააღმდეგ ბრძოლაში, შემდეგი პერიოდი კი—სომხეთში დაშნაკური ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მას უდიდესი დამსახურება მიუძღვის რევოლიუციის წინაშე.

ის იყო რევოლიუციის ჯარისკაცი, ის ყოველთვის იქ მიდიოდა, სადაც მეტი საშიშროება იყო, სადაც მტრები იმუქრებოდენ რევოლიუციონური ფრონტის გარღვევით, სადაც საჭირო იყო ორგანიზატორის მტკიცე ნებისყოფა და პირველი მუშურ-გლეხური რესპუბლიკის მტრების დამსჯელი მტკიცე ხელი.

ის პოლიტიკური კომისარი იყო კალედინის, დენიკინის და სხვა თეთრი გენერლების წინააღმდეგ მოქმედ წითელ რაზმებში.

ის ჩრდილოეთ კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე იყო.

ჩრდილოეთ კავკასიიდან წითლების დროებითი უკან დახევის შემდეგ ის გადადის ასტრახანში და აქ 1918 წლის ბოლოს ინიშნება კასპიის და კავკასიის ფრონტის განსაკუთრებული განყოფილების უფროსად და აქტიურ მონაწილეობას იღებს თეთრ-გვარდიელების მიერ ასტრახანში მოწყობილ აჯანყების ჩაქრობაში.

1919 წლის აგვისტოში მიდის მოსკოვში და იქიდან იგზავნება სამხრეთში, მამონტოვის ფრონტზე, განსაკუთრებული განყოფილების უფროსად და ტრიბუნალის თავმჯდომარეთ.

„მამონტოვშინის" ლიკვიდაციის შემდეგ ამხ. გეეორქი გაწვეულ იქნა მოსკოვში და დაინიშნა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის განსაკუთრებული განყოფილების საიდუმლო-საოპერაციო ნაწილის უფროსად.

დენიკინის განადგურებისა და როსტოვის აღების შემდეგ ამხ. ათარბეკოვი ინიშნება როსტოვის რევკომის თავმჯდომარეთ, მაგრამ უკვე 1920 წლის დასაწყისში, ყუბანში დაწყებულ თეთრების ახალი აჯანყების გამო, მიემგზავრება იქ აჯანყების ჩასაქრობათ კავკასიის ფრონტის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს განსაკუთრებული განყოფილების უფროსად.

ბაქოში მოხდარი აჯანყების და აზერბეიჯანის გასაბჭოების შემდეგ, 1920 წლის აპრილში, ამხ. გეეორქი მიემგზავრება ბაქოში, როგორც სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის რწმუნებული.

ბაქოდან ამხ. გეეორქი მიდის სომხეთში, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებს ვრაციანის დაშნაკურ-ინტელეგენტურ აჯანყების ჩაქრობაში.

საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო განმტკიცების შემდეგ სომხეთში და მთელს ამიერ-კავკასიაში, ამხ. გეეორქი გამოწვეულ იქნა ტფილისში, სადაც მუშაობდა 22 მარტის საიედისწინო დღემდე.

ტფილისში უკანასკნელი წლების განმავლობაში მას ეჭირა მთელი რიგი საპასუხისმგებლო თანამდებობანი: ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი, ამიერ კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის მოადგილე და სხვა. ის იყო აგრეთვე რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის წევრი და საბჭოთა კავშირის ცაკის კანდიდატი.

სიმტკიცე, დაუღალავი ენერგია, უნარი იმისა, რომ გამოეყენებია ყველა შრომის უნარიანობის მიხედვით, ეს თვისებები თავს იჩენდენ მისი მუშაობის ყოველ ნაბიჯზე.

ეს სიმტკიცე, ეს დაუღალავი ენერგია სჩანდა არა მარტო სამოქალაქო ომის წლებში, არამედ—შემდეგაც, როდესაც ცხოვრება აყენებდა ამა თუ იმ სასწრაფო ამოცანებს, საუკეთესო პრაქტიკული ხელმძღვანელი ისევ ამხ. გეორქი იყო; ის უამრავ კომისიებში მუშაობდა.

უბედურმა შემთხვევამ მოგვტაცა იგი ჩვენი რიგებიდან, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ძალღონით, ენერგიით და მუშაობის სურვილით აღსავსე. მას მხოლოდ 34 წელი შეუსრულდა. მაგრამ რა მდიდარი ცხოვრება ჰქონდა გავლილი და რამდენის გაკეთება შეეძლო კიდევ მომავალში!..

ბიოგრაფიული ცნობები ამხ. არუსიაკა პეტროსოვის შესახებ

დაიბადა გორში 1893 წელს გალარიბებულ ვაჭრის ოჯახში. მხიარულება, ფუფუნება და ნებიერობა არ სდევდა თან მის ბავშობის ხანს. ცხოვრების სიმწვავე და სიმწარე ადრევე განიცადა. მისი ნორჩი და თოთო სულიერი აგებულება ადრევე შეეჩეხა ცხოვრების სიდუხჭირეს. გაჭირვებამ და ტანჯვამ დაურწია მას პირველათ აკვანი და ჩაუნერგა გაურკვეველი, ბუნდოვანი ლტოლვა ნათელი და ბედნიერი მომავლისაკენ. მამის უხეში ხასიათი, მისი ოჯახში ტლანქი მოქცევა, შემდეგ მისი განშორება და მხოლოდ დედის მზრუნველობის ქვეშ დარჩენა, ბოლოს საყვარელი დედის დაკარგვა და სხ. აი როგორი ეკლით იყო მოფენილი გზა, რომელზედაც ის პირველ ნაბიჯებს სდგამდა. მაგრამ მას და მის ძმას და დებს გაუჩნდა მოსიყვარულე და სათნოიანი მფარველი, რომელმაც ისინი თავის ფრთის ქვეშ შემოიკრიბა და დედის მაგიერობა გაუწია. დეიდამ მოჰკიდა ხელი მათი აღზრდის და სწავლა-განათლების საქმეს და აი, არუსიაკაც ტფილისის საქალებო გიმნაზიის მოწაფეთ ვხედავთ. ტფილისში ის მალე გაეცნო ციხეს და თავისუფლებისათვის დევნილთა ტანჯვას: მისი ძმა კამო ამ დროს უკვე მომწიფებული, აქტიურათ მომქმედი და მებრძოლი რევოლიუციონერი იყო და მას მალე სწვდენ ჟანდარმერიის კლანჭები. ჯერ სრულიად ბავშვი არუსიაკა უკვე ციხის კედელთანაა ატუზული ძმის შესახედათ, მის სანახავათ. ის ხედავს გაყვითლებულ და განაწამებ სახეებს სიკეთის და სიყვარულის გამომეტყვე-

ლებით თვალებში და მის თავში ინაკვთება შეგნება თვითმპყრობელური მთავრობის მტარვალობის და ხალხის ტანჯვა-დაბეჩავების შესახებ. მის სულში ინთება პირველი ნაპერწკალი ბრძოლისა. კამოს მოუსვენარი და დაუდეგარი კონსპირატიული საქმიანობა იტაცებს და აჯადოებს მის არსებას... და აი, 1906 წელში ის უკვე მისი პატარა თანაშემწეა. მისი ჩანთა ეთხოვება სამოსწავლო წიგნებს და რვეულებს და საშიშ რევოლიუციონურ საგნების სატრანსპორტო საშუალებათ იქცევა. არუსიაკას გადააქვს და გადმოაქვს არალეგალური ლიტერატურა, იარაღი, პატრონები და სხ. და თანაც შეგნებულათ გათვალისწინებული აქვს მოსალოდნელი ხიფათი. მან კარგათ იცის როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში. ამის გაკვეთილი მას ღრმათ ჩაუნერგა გულში კამომ და მას არ გადაუხვევს თუ გინდ სიცოცხლის ფასად.

ასე გრძელდება 1908 წლამდე. ეხლა მას წარსული მუშაობა აღარ აკმაყოფილებს. მას სურს მეტი აქტივობა გამოიჩინოს. მას სწყუარია რაიმე ორგანიზაციის წევრობა და კიდეც აღწევს მიზანს. მისი დის ჯავარის და მახა ჩოდრიშვილის შემწეობით ის იწყებს მუშაობას რევოლიუციონურ წითელ ჯვარში. 1910 წელში არუსიაკა უკვე პარტიის წევრია, მაგრამ პარტიაში მუშაობა მას დიდხანს არ დასცალდა. 1911 წლის 30 დეკემბერს მას ატუსაღებენ მის დასთან ჯავარასთან და კოტე ცინცაძესთან ერთად კამოს ციხიდან განთავისუფლების საქმეში მონაწილეობის გამო და ის ორწელიწად ნახევარს თვითმპყრობელობის ტყვეობაში ატარებს, მაგრამ ეს ბოროკილი და სასტიკი განცდა ოდნავათაც ვერ არყევს მის სულიერ სიმაგრეს. დაბეჭული საკნის გულმშვიდარი მარტოობა, უმოძრაობა, სიბნელე და სინესტე ოდნავადაც ვერ აკრთობენ მისი რევოლიუციონური აზრის და იდეალის სანთელს. პირიქით, ის კიდევ მეტათ გამოწრთობილი და გამხნევებული გამოდის ციხიდან ვიდრე შესრულების შემდეგ 1913 წლის მარიამობისთვეში. მას შეურყეველათ გადაწყვეტილი აქვს განაგრძოს მუშაობა კიდევ მეტის ენერგიით და თავგანწირულებით. ის იწყებს მუშაობას „იაჩეიკებში“, ტფილისის კომიტეტის გარშემო და შემდეგ ალიონა ჯაფარიძის და სხვების დატუსაღების და ცომბირში გაგზავნის შემდეგ, ხდება კომიტეტის წევრი, მისი მდივანი და მოლარე. ამ დროს ჩვენს ორგანიზაციაში მოკალათებული იყო ძველი პროვოკატორი, რომელსაც თურმე უკვე მრავალი დაგეგმილა და ეხლა ჯავრი ჩვენზე მოეტანა. 1916 წლის მარიამობისთვეში მთელი ტფილისის ორგანიზაცია—მცირედი გამოკლებით—გაება ჭანდარმერიის ბადეში და, რასაკვირველია, ეს არ ასცილდა არუსიაკასაც. ჩვენ ჯერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ჩვენი ჩავარდნის მიზეზების კვლევა-ძიებაში ვიყავით, თანაც ვითალისწინებდით მძიმე მომავალს და ვემზადებოდით მისთვის, რომ უცებ, მოულოდნელად ციხის წყვდიადში შემოიჭრა ელვარე სხივი თებერვლის რევოლუციისა და მსწრაფლ გაფანტა დარდის და დაღვრემილების მძიმე ღრუბელი. აღტაცების და სიხარულის ყიჟინით, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, ჩვენ გამოვედით რევოლუციის სანავარდოზე და მიეცით თავი მის ჭარბეხილს...

გატაცებით და თავდავიწყებით ჩაება არუსიაკა მუშაობაში. მისთვის არ არსებობდა მოსვენება, დაღლილობა და პირადი ინტერესი. ყველაფერზე მაღლა იდგა მისთვის საყვარელი საქმე და ყველაფერზე წმინდა და სათაყვანებელი იყო მისთვის საკუთარი პარტია. პირველად იგი მუშაობდა ტფილისის კომიტეტში, შემდეგ ბაქოს კომიტეტში და 1917 წ. ბოლოს და 1918 წ. დაიარწყისში „Кавказский Рабочий“-ის რედაქციაში, სანამ ამ უკანასკნელს მენშევიკებმა არ ამოსწვადეს სული სამუდამოთ. აქედან იწყება სხვებთან ერთად მისი ცხოვრების წვალებით, ტანჯვით და ხიფათით სავსე ხანა: არალეგალური მდგომარეობა და მუშაობა, დევნა და ძალა, ბრძოლა და თანაც თოთო, ძუძუმწოვარ ბავშვზე ზრუნვა... ჩვენ დ მარცხების და დენიკინის გამარჯვების შემდეგ ჩრდილო კავკასიაში, ის რამოდენიმე თვე დაძრწოდა დევნილი ინკუშეთის გაუვალ მთებში და ხევებში, ყოველდ უსაღამო, წვიმ მდე თოვლში და ბავშვით მკერდზე. ყველაფერი ეს შესძლო და გადაიტანა მან, მისმა შეუდრეკელმა ნებისყოფამ და სულიერმა ენერგიამ. 1920 წ. გაზაფხულის დადგომ მან გადმოლახა ქვეითად კავკასიონის ქედი და ჩამოვიდა ტფილისში. ჩამოვიდა არა დასასვენებლათ და განსაცალკევებლათ, არამედ სამუშაოთ და სამოქმედოთ ეხლა მისთვის პირველი საზრუნავი იყო ციხე, სადაც ჩვენი პარტიის თითქმის ყველა აქტიური ელემენტებისათვის აქ მოეყარა თავი მენშევიკურ მთავრობას. აუცილებელი იყო რამოდენიმე ამხანაგის განთავისუფლება ციხიდან, თორემ წინაღმდეგ შემთხვევაში მუშაობა ძალზე ფერხდებოდა და იქსაქსებოდა. ამიტომ პარტიამ მოაწყო განთავისუფლება რამოდენიმე ამხანაგის (ფილიპე და სანდრო მახარაძეების, ლადო დუმბაძის და კოტე ცინცაძის) და ამ საქმის ორგანიზაციაში არუსიაკა დიდსა და მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ამის შემდეგ მისი ტფილისში დარჩენა თუმცა ძალიან სახიფათო იყო, მაგრამ მისთვის შიში და საქმის მორიდება არ არსებობდა, ეხლა მას სხვა განზრახვა ჰქონდა. პარტია შეუდგა ციხიდან ამხანაგების განთავისუფლების ახალად ორგანიზაციას და აი, ამ საქმის სულის ჩამდგმელი და დაუღალავი მონაწილე იყო არუსიაკა. მაგრამ საქმე—



ამბ. არუსიაკ პეტროსოვა—ციხვაძე

უკვე საცებით დაბოლოებული—არ განხორციელდა მოულოდნელი გარემოების გამო. მენშევიკურმა მთავრობამ—შეშინებულმა მომავალი მაისობით—29 აპრილს უეცრათ გადაგვიყვანა ქუთაისის ციხეში და ამიტომ მთელმა ჩვენმა სამზადისმა სრულიათ ფუჭეთ ჩაიარა. საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულების შემდეგ არუსიაკი ისევ ჩრდილო კავკასიაში წავიდა, სადაც მას მუშაობა აღარ უწერიმოებია ავათმყოფობის გამო, მაგრამ საქართველოს გასაბჭოებისთანავე ის მყისვე გამოექანა ტფილისში და ამ დროიდან მოკიდებული მას მოსვენება და საღავათი არ უგემებია. პირველათ ის მუშაობდა ტფილისის კომიტეტში, სადაც მას ებარა ქვეგანყოფილება აღნუსხვისა. შემდეგ მას ჩაბარდა საიდუმლო არქივი საქართველოს რევკომის და კომისართა საბჭოსი. ამავე დროს მის ორგანიზმს გამალებულათ ღრღნიდა საშინელი სენი, რასაც ხელს უწყობდა მისი სრული უზრუნველობა და უდარდელობა საკუთარი ჯანსაღობისადმი. რამდენჯერ მინახავს ის მუშაობის დროს სიცხისაგან თვალებ აბრიალებული და სახე ანთებული... რამდენჯერ მითქვამს და მირჩევია მისთვის, რომ გაფრთხილებოდა თავს და ექიმების რჩევა-დარიგებისათვის მეტი ყურადღება მიექცია... მაგრამ ის ყოველთვის უდარდელი ღიმილით ჩაიქნევდა ხელს და იტყოდა: „ეჰ, არაფერია.. რა მიჭირს"-ო. როდესაც-კი მან გაჭირვება იგრძნო, მაშინ საუბედუროთ უკვე დაგვიანებული იყო. მეცნიერება უკვე უძლური იყო შეეჩერებია გამანადგურებელი მოქმედება სენისა—და ის მწუხარე ამხანაგთა შორის—დნებოდა როგორც თაფლის სანთელი.

ასე გაჰქრა და დაიწვა ეს მშვენიერი სიცოცხლე. ასე მოგვაკლდა ჩვენ მისი სითბო და სინათლე.

ს. ქავთარაძე.

ამხანაგი არუსიაკ პეტროსოვა—ციცკაძე.

ორ მაისს, საღამოს 8 საათზე, სამუდამოთ გამოეთხოვა ამხ. არუსიაკა საყვარელ მეგობარ-ამხანაგებს და წავიდა იქ, საიდანაც უკან აღარ ბრუნდებიან...

მოსწყდა სიცოცხლეს ჯერ კიდევ ნორჩი, 30 წლის ახალგაზრდა ქალი, რევოლიუციის ჩაუქრობელი ცეცხლით ანთებული არუსიაკი.

... რევოლიუციონურ ოჯახს **კამოს** შემდეგ გამოაკლდა კიდევ ერთი მოუსვენარი, დაუღალავი წევრი.

პარტიის დიდ კოლექტივს ტრაღიკულად დაღუპული, ძველი ამხანაგების—მიასნიკოვის, მოგილევსკის, ათარბეკოვის შემდეგ მოაკლდა კიდევ ერთი გაბედული, უშიშარი, პარტიულ და საბჭოთა მშენებლობისათვის გამოცდილი, მეტად საჭირო წევრი...

ამხანაგი არუსიაკი „აღარ არის"—წვეტიანი ისრებივით ხვდება ეს გულს...

ვერ ურიგდება ამ სინამდვილეს გონება.

... ჩვენ, მისმა ახლობელმა ამხანაგ-მეგობრებმა ვიცოდით უკვე კარგა ხნიდან, რომ არუსიაკა აღარ შემობრუნდებოდა,—უკურნებელ სენს—ჭლექს,—ისე დაესადგურებია მის ტანში, ისე გაეშალა სიცოცხლის მომსწრაფველი თავისი ფრთები მის ორგანიზმში, რომ მედიცინა, მეცნიერება, ყოველგვარი მიდგომა-აქიმობა ამაო შექმნილიყო სიკვდილის კლანჭებიდან მის გამოსახსნელად, მაგრამ მაინც არ გვჯეროდა, მაინც არ გვინდოდა დაგვეჯერებია ამხანაგებს, რომ არუსიაკი მოგვწყდებოდა,—სიცოცხლე მოწყურებული, სიცოცხლით ანთებული მისი ნორჩი ორგანიზმი ჩაქრებოდა.

... და როგორ, როგორ უნდოდა მას ეს სიცოცხლე, როგორ არა სჯეროდა თავისი სიკვდილი!..—

სანთელივით მკრთალი, დამდნარი, დასუსტებული, ფართე გაცრეცილი თვალებით იგი ჩვეულებრივ გაღიმებული პირისსახით შემოგვხედავდა, შემოგვაცქერდებოდა ჩვენ, მნახველ ამხანაგებს და მოწყდარი, მაგრამ იმედიანი ხმით ხშირად გვეტყოდა: „... მაისის ბოლო რიცხვებში ამასთუმანში წავალ და ჩქარა მოვიკეთებ... ამასთუმანი გამომამორთელებს"-ო...

აღარ აუსრულდა ეს ძვირფასს ამხანაგს არუსიაკას.

ის ვერ მოერია უკურნებელ ავადმყოფობას; ულმობელმა სიკვდილმა სამუდამოთ დაადუმა მისი ბაგენი, სამუდამოთ დაახუჭვია მას თვალები...

აღარ, აღარ გვყავს ძვირფასი არუსიაკი.

ვინ იყო არუსიაკი?

რა გააკეთა მან ჩვენი პარტიისათვის?

1908—09 წლიდან მოსწავლე ბავშვი მან, სკოლის სკამიდანვე იწყო რევოლიუციონური საქმიანობა, პარტიულ-რევოლიუციონურ მუშაობაში ჩაერევა.

კამოსა და **კოტე ცინცაძის** ხელში მოზარდი, რევოლიუციონურ **მწიფეში** მყოფი არუსიაკი თავიდანვე მიეკედლა მაშინდელი ჩვენი პარტიის ბოლშევიკურ ფრთას, გახდა შეურიგებელი ბოლშევიკი, კლასობრივ მტრებთან დაუნდობელი მებრძოლი...

არუსიაკი კოტესთან ერთად, ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორთაგანი იყო **კამოს** და სხვა ამხანაგების ციხიდან გაქცევის მოწყობაში, რომლის გამო მან იგემა ჟანდარმერიის სუსხი,—ციხე-საპყრობილე—ორწლინახევრის სიგრძეზე.

ციხიდან განთავისუფლებიდან, 1913—14 წლიდან არუსიაკი ერთი აქტიური წევრთაგანი იყო ტფილისის ბოლშევიკური კომიტეტისა, რომელიც 1916 წლის მეორე ნახევარში ჩვენთან, ტფილისის ბოლშევიკურ ჯგუფთან ერთად, დატყვევებული იქნა ჟანდარმერიის მიერ და იხდიდა სასჯელს.

1917 წლის თებერვლის რევოლიუციით დაიღწია მხოლოდ თავი საპყრობილეს, ცივ ქვეყანაში გადასახლებას...

1918, 19 და 20 წლებში, უკვე ამხ. კოტე ცინცაძესთან შეუღლებული, მის თანამცხოვრებათ გამხდარი არუსიაკი კოტესთან ერთად იწვნევს მენშევიკური ბატონობის, მენშევიკური რეჟიმის სიმძიმეს,—დევნას, რეპრესიებს; მას უხდება—ჯერ ფეხმძიმეს, შემდეგ ჩჩვილი ბაშვით (ვიკა) ხელში საქართველოდან თერგის ოლქში გარდახვეწა, გამძვინვარებულ კონტრ-რევოლიუციონურ კაზაკების რკალში ყოფნა, აუტანელ, საშიშარ პირობებში ბავშვის ტარება, თეთრგვარდიელების მიერ გამოსკვნილ სიკვდილის მაყურებთან ბრძოლა...

1921 წლიდან, საქართველოს გასაბჭოების დღიდან, ამხ. არუსიაკას ჩვენ ვხედავთ სახალხო კომისართა საბჭოს პასუხისმხებელ თანამშრომელთა... ოჯახი, ბავშვი მას ვერ ჰბორკავს, ვერ ჰგლეჯს რევოლიუციონურ და პარტიულ საქმიანობას; იგი ჩვეულებრივ განაგრძობს თავის საყვარელ კოლექტიურ, საზოგადოებრივ მუშაობას მშრომელი კლასის საკეთილდღეოთ...

აი მოკლეთ—ვინ იყო არუსიაკი.

მაგრამ ამ რევოლიუციონური საქმიანობის პროცესში მის ორგანიზმს იპყრობს უკურნებელი სენი,—სწრაფი ქლექი, და აი, იგი გათავდა, აღარ არის დღეს...

... გეთხოვებით, სამუდამოთ გეთხოვებით ძვირფასო, მრავალტანჯულო მეგობარო და ამხანაგო არუსიაკ!

პარტია, შენი მეგობარი ამხანაგები—ჩვენ—არ დაგივიწყებთ; გამუდმებით ვატარებთ შენს ხსოვნას ჩვენს გულებში...

ჩვენი ყოველდღიური პარტიული საქმიანობისა და რევოლიუციონური ბრძოლის დროს შენს უანგარო დაუღალავ მუშაობას მისაბაძად ლ ითად გავიხდით.

ს. თალაკვაძე.

ვ. ი. ლენინის მოხსენება 9 იანვრის შესახებ

(ვ. ი. ლენინის გამოუქვეყნებელი მოხსენება, წაკითხული ციურიხის სახალხო სახლში 1917 წლის იანვრის 22-ს) *).

ახალგაზრდა მეგობრებო და ამხანაგებო!

დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ სისხლიანი კვირის 12 წლის თავს, რომელიც სრულიად სამართლიანად ითვლება რუსეთის რევოლიუციის დასაწყისად.

რამდენიმე ათასი მუშა—და მასთან არა სოციალ-დემოკრატი მუშები, არამედ მორწმუნენი და ერთგული ქვეშევრდომნი, სატახტო ქალაქის ყველა უბნებიდან მღვდელ გაპონის მეთაურობით თავს იყრის საზამთრო სასახლის წინ მოედანზე, რათა მეფეს გადასცეს თავისი პეტიცია.

მუშები მიდიან ხატებით და მაშინდელი მათი ბელადი გაპონი წერილობით არწმუნებს მეფეს და გარანტიას აძლევს, რომ მას პირადი საფრთხე არ მოელის და სთხოვს გამოვიდეს ხალხის წინაშე.

იწვევენ ჯარებს. ულანები და ყაზახები დაერევიან ხალხს ხმლებით და ესვრიან იმ უიარაღო მუშებს, რომლებიც დაჩოქილნი ევედრებიან ყაზახებს გაატარონ ისინი მეფესთან.

---

*) 1917 წლის იანვრის 22-ს, 9 იანვრის 12 წლის თავის დღეს, ილიჩმა წაიკითხა მოხსენება სისხლიანი კვირის შესახებ ციურიხის სახალხო სახლში მუშათა ახალგაზრდობის მიერ მოწვეულ კრებაზე. მოხსენება უნდა წაკითხულიყო გერმანულ ენაზე, ამიტომ ილიჩმა ეს მოხსენება წინასწარ დასწერა გერმანულად. 9 იანვრის შესახებ ილიჩის მიერ დაწერილი მოხსენება გამოვიდა ლრმა-შინაარსიანი სხარტული და პოპულიარული ნარკვევი 1905 წლის რევოლიუციის გაკეთილების და ისტორიისა, რაც გათვალისწინებული იყო რუსეთის რევოლიუციასთან ნაკლებათ გაცნობილ აუდიტორიისათვის.

ილიჩის გერმანული ხელნაწერი დაცულია და ამ ჟამად ინახება ლენინის სახელობის ინსტიტუტში. დღემდე ამ ხელნაწერის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

ეჭვს გარეშეა, რომ ილიჩის ახლად აღმოჩენილი ნაშრომი ყველაზე ძვირფასი მასალა იქნება პარტიის წევრებისა, ლენინელებისა, ახკომკავშირელთა, მუშებისა და გლეხებისათვის პირველი რევოლიუციის ისტორიასთან გასაცნობათ. ეს ნაშრომი დაეყრდნობელია ფართოდ უნდა იქნას გავრცელებული. ილიჩის ბროშიურასთან ერთად, რუსეთში მომზადარი გაფიცვების სტატისტიკის შესახებ, ეს მოხსენება საუკეთესოა იმაში, რაც პარტიას მოეპოვება მუშურ-გლეხურ ფართო მასებისათვის 1905 წლის დიდი რევოლიუციის კლასიური შინაარსის გასაცნობათ.

ლევ კამენევი.

პოლიციის მოხსენებით მაშინ მოკლული იყო ათასზე მეტი და დაჭრილი ორი ათასზე მეტი. აუწერელი იყო მუშების აღშფოთება.

ეი საერთო სურათი 1905 წლის 22 იანვრის „სისხლიანი კვირისა“.

რათა თვალნათლივ დასანახი გახდეს ამ ამბის სურათი და გასაგები მისი მნიშვნელობა, მე თქვენ წაგიკითხავ ზოგიერთ ადგილებს მუშათა პეტიციიდან. პეტიცია ასე იწყება:

„ჩვენ, პეტერბურგის მუშები, მოვედით შენთან, ჩვენ—უბედურნი, გაბახებული მონები, გათელილნი ვართ დესპოტიზმით და თვითნებობით. როცა გაიცვა მოთმინების ფიალა, ჩვენ აღვკვეთეთ მუშაობა და ვსთხოვეთ ჩვენს პატრონებს მოეცათ მხოლოდ ის, ურომლისოდ ცხოვრება ტანჯვა-წვალებაა. მაგრამ ყველაფერი ეს უარეყოფილ იქნა, ყველაფერი ეს მექარხნეებს უკანონოდ მოეჩვენა. ჩვენ, აქ მყოფნი, მრავალი ათასი კაცი, ისე, როგორც მთელი რუსის ხალხი, არავითარი ადამიანური უფლებებით არ ვსარგებლობთ. თქვენი „ჩინოვნიკების“ წყალობით ჩვენ მონებათ გადაგვაქციეს“.

პეტიციაში ჩაპრთვილია შემდეგი მოთხოვნილებანი: ამნისტია, მოქალაქობრივი თავისუფლებანი, შრომის ნორმალური ქირა, თანდათანობით გადაცემა მიწებისა ხალხისათვის, დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო და თანასწორ საარჩევნო საფუძველზე. პეტიცია შემდეგი სიტყვებით თავდება:

„ხელმწიფევ! უარს ნუ ეტყვი შენს ხალხს დახმარებაზე. დაანგრიე ის კედელი, რომელიც აღმართულია შენსა და შენს ხალხს შორის. უბრძანე და შეჰფიცე, რომ აღსრულდეს ჩვენი თხოვნა. შენ შეგწევს ძალა გააბედნიერო რუსეთი. უკეთუ ეს არ მოხდება—ჩვენ მზად ვართ აქვე დავიხოცოთ. ჩვენ მხოლოდ ორი გზა დაგვრჩენია: თავისუფლება და ბედნიერება, ან საფლავი“.

ახირებულ შთაბეჭდილებას ღებულობ, როდესაც ახლა კითხულობ ამ გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარ მუშების პეტიციას, რომელიც მეფესთან მიაქვთ პატრიარქალური მღვდლის ხელმძღვანელობით. უნებლიეთ იბადება პარადოქსი ამ გულუბრყვილო პეტიციასა და თანამედროვე მშვიდობიან რევოლიუციებს შორის სოციალ-პაციფისტებისა, ე. ი. იმ ხალხისა, რომელთაც სურთ იყვნენ სოციალისტები, მაგრამ ნამდვილად არიან მხოლოდ ბურჟუაზიული ფრაზიორები.

ვიდრე რუსეთში რევოლიუცია დაიწყებოდა, შეუგნებელნი მუშებმა არ იცოდენ, რომ მეფე არის გაბატონებული კლასის ბელადი, სწორედ მსხვილ მიწათმფლობელთა მეთაური, რომელნიც ათასგვარი ძაფებით არიან დაკავშირებული მსხვილ ბურჟუაზიასთან და მზად

არიან ყოველი ძალადობით დაიცვან თავიანთი მონოპოლია, თავიანთი პრივილეგიები და თავიანთი მოგება.

თანამედროვე სოციალ-პაციფისტებმა, რომელთაც მართლა მოაქვთ თავი დიდათ განათლებულ ადამიანებათ, არ იციან, რომ ისეთივე სისულელეა მოელოდე დემოკრატიულ ზავს იმ ბურჟუაზიულ მთავრობებისაგან, რომლებიც აწარმოებენ იმპერიალისტურ ქიშიურ ომს, როგორც არის სისულელე ის აზრი, თითქოს სისხლიანი მეფე შესაძლებელი იყოს დაითანხმო მშვიდობიანი პეტიციებით რეფორმებზე.

მაგრამ ამასთან ერთად დიდი განსხვავება მათ შორის იმაშია, რომ თანამედროვე სოციალ-პაციფისტები მეტ წილად პირმოთნეები არიან, რომელნიც მშვიდი შთავონებებით ხალხს აცდენენ რევოლიუციონური ბრძოლის გზას; ამავე დროს კი რევოლიუციის წინა დროის რუსეთის გაუნათლებელმა რუსის მუშებმა საქმით დაამტკიცეს, რომ ისინი პირდაპირი ხალხია, რომელთაც პირველად განეხილათ პოლიტიკური შეგნების თვალი.

და აი, სწორედ ხალხის მასების ამ პოლიტიკურ შეგნებაში, რევოლიუციონურ ბრძოლაში მდგომარეობს 1905 წლის 22 იანვრის ისტორიული მნიშვნელობა.

„რუსეთში არ არის რევოლიუციონური ხალხი“-ო—ასე სწერდა „სისხლიანი კვირის“ ორი დღით ადრე ბატონი სტრუვე, რუსი ლიბერალების იმდროინდელი ბელადი, რომელიც იმ ხანებში საზღვარ გარეთ სცემდა არალეგალურ თავისუფალ ორგანოს. ბურჟუაზიული რეფორმისტების ამ მაღალ-განათლებულ, ქედმაღალ და არჩი-სულელ ბელადს, სისულელეთ მიაჩნდა ის იდეა, რომ გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარი გლეხური ქვეყანა წარმოშობდა რევოლიუციონურ ხალხს. ასე ღრმად იყვენ დარწმუნებული მაშინდელი (და ახლანდელიც) რეფორმისტები ნამდვილი რევოლიუციის შეუძლებლობაში.

1905 წლის 22 იანვრამდე (ძველი სტილით 9 იანვრამდე) რუსეთის რევოლიუციონური პარტია პატარა ჯგუფისაგან შესდგებოდა. მაშინდელი რეფორმისტები (სწორედ ისე, როგორც ახლანდელნი) და გვცინოდნენ, ჩვენ სახელად „სექტას“ გვიწოდებდენ. რამდენიმე ასეული რევოლიუციონერები, ორგანიზატორები, ადგილობრივი ორგანიზაციების რადენიმე ათასი წევრი, რამდენიმე ცალი რევოლიუციონური ფურცლებისა, რომლებიც იბეჭდებოდა თვეში არა უმეტეს თითო ცალისა, გამოდიოდა უმთავრესად საზღვარ გარეთ და კონტრაბანდათ, წარმოუდგენელ ძნელ პირობებში, დიდი მსხვერპლის გაღებით იგზავნებოდა რუსეთში—ასეთი იყო რევოლიუციონური პარტი-

ები რუსეთში 1905 წლის 22 იანვრამდე, ასეთი იყო ამ პარტიებში, პირველ რიგში რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია. ასეთი მდგომარეობა ფორმალურ უფლებებს აძლევდა უვიც, ამაყ რეფორმისტებს ემტკიცებინათ, რომ რუსეთში ჯერ კიდევ არ არის რევოლიუციონური ხალხი.

მაგრამ რამდენიმე თვის განმავლობაში სურათი სრულიად შეიცვალა. ასეული სოციალ-დემოკრატების რიცხვი მოულოდნელათ ათასებათ იქცა. 2-3 მილიონ პროლეტარიატს გაუჩნდა ბელადები ათასობით. პროლეტარულმა ბრძოლამ უდიდესი აღელვება და ნაწილობრივ რევოლიუციონური მოძრაობა გამოიწვია 50—100 მილიონიან გლეხთა მასებში. გლეხთა მოძრაობამ გამოძახილი ჰპოვა ჯარში, რასაც მოჰყვა ჯარისკაცთა აჯანყებანი და შეიარაღებული შეტაკებები ჯარის ერთი ნაწილისა მეორესთან. ამ სახით უზარმაზარი ქვეყანა თავისი 130 მილიონი მცხოვრებით ჩაება რევოლიუციაში. ამრიგად მძინარე რუსეთი გადაიქცა რევოლიუციონური პროლეტარიატის და რევოლიუციონური ხალხის რუსეთად.

საჭიროა ამ ცვალებადობის შესწავლა, რომ გავიგოთ მისი, ასე ვსთქვათ, მეთოდები და გზები.

მთავარი საშვალება ასეთი ცვალებადობის, გადასვლისა იყო მასიური გაფიცვა. რუსეთის რევოლიუციის თავისებურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თავისი სოციალური შინაარსით ის იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ბრძოლის საშუალებებით კი—ის იყო პროლეტარული.

ის იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ვინაიდან ის მიზანი რომლისაკენაც ის უშუალოდ მიისწრაფოდა და რომლის მიღწევა მას უშუალოდ შეეძლო თავისი საკუთარი ძალებით,—ეს იყო დემოკრატიული რესპუბლიკა, 8 საათის სამუშაო დრო, მემამულეთა დიდძალი მიწების კონფისკაცია, ყველა ეს ისეთი ზომები იყო, რომლებიც საესებით განახორციელა საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლიუციამ 1792—1793 წლებში.

ამასთან ერთად რუსეთის რევოლიუცია იყო პროლეტარული არა იმ აზრით, რომ პროლეტარიატი იყო ხელმძღვანელი ძალა, მოძრაობის ავანგარდი, არამედ—იმ აზრით, რომ ბრძოლის სპეციალურ-პროლეტარული საშვალება, სახელდობრ, გაფიცვა, წარმოადგენდა მასის ასამოძრავებელ მთავარ იარაღს და ეს იყო ყველაზე უფრო დამახასიათებელი მოვლენა ტალღისებურად მოზღვავებული გადამწყვეტ ამბებისა.

რუსეთის რევოლიუცია მსოფლიო ისტორიაში არის პირველი, მაგრამ ის, ეჭვს გარეშეა, იქნება არა უკანასკნელი დიდი რევოლიუცია, რომელშიაც მასიურმა პოლიტიკურმა გაფიცვამ ითამაშა არაჩვეულებრივი დიდი როლი. იმის დამტკიცებაც კი შეიძლება, რომ შეუძლებელია რუსეთის რევოლიუციის გაგება და მისი პოლიტიკური ფორმების შეცვლა, უკეთუ არ შევისწავლით გაფიცვების სტატისტიკას, როგორც ამ მოვლენათა საფუძვლებს და ამ ცვალებადობის ფორმებს.

მე კარგათ ვიცი, რამდენათ გამოუსადეგარია ზეპირი მოხსენების დროს მწრალი სტატისტიკური ციფრების მოყვანა და როგორ შეუძლიან ასეთ ციფრებს მსმენელთა დაშინება, მაგრამ მაინც არ შემიძლია არ მოვიყვანო რამდენიმე ასეთი ციფრი, რათა ასე შესაძლებლობა მოგვცეთ შეაფასოთ მთელი მოძრაობის ნამდვილი ობიექტიური საფუძველი.

გაფიცულთა საშუალო რიცხვი რევოლიუციამდე რუსეთში წლიურად უდრიდა 43 ათასს. მაშასადამე, გაფიცულთა საერთო რიცხვი მთელი ათი წლის განმავლობაში რევოლიუციამდე იყო 430 ათასი. 1905 წლის იანვარში, რევოლიუციის პირველ თვეში, გაფიცულთა რაოდენობა შეადგენდა 440 ათასს. ასე რომ, ერთ თვეში მეტი იყო, ვიდრე მთელი წინანდელი ათი წლის განმავლობაში.

მსოფლიოს არც ერთს კაპიტალისტურ ქვეყანაში, ისეთ დაწინაურებულ ქვეყნებშიაც კი, როგორიცაა ინგლისი, შეერთებული შტატები ან გერმანია, არავის არ ახსოვს ისეთი გრანდიოზული საგაფიცვო მოძრაობა, როგორიც იყო რუსეთში 1905 წელს. გაფიცულთა საერთო რიცხვი უდრიდა 2.800 ათასს, ე. ი. ორჯერ აღემატებოდა საქარხნო მუშათა საერთო რაოდენობას. ეს, რა თქმა უნდა, არ ამტკიცებს, რომ რუსეთის ქალაქის ქარხნის მუშები უფრო განათლებულნი და ძლიერნი იყვნენ, ვიდრე მათი დასავლეთ ევროპის ძმები არიან. სიმართლეა სწორედ სრულიად წინააღმდეგი, მაგრამ ეს იმის მაჩვენებელია, თუ რამდენათ დაადი შეიძლება იყოს ოდნავ მიყუჩებული პროლეტარიატის ენერგია. ეს იმას გვეუბნება, რომ რევოლიუციონურ ეპოქაში—ამას მე ვამტკიცებს სრულიად გაუზვიადებლათ რუსეთის ისტორიის ღრმა ცნობებით—პროლეტარიატს ძალუძს განავითაროს ბრძოლის ენერგია ასჯერ მეტი იმაზე, რასაც ის შესძლებდა ჩვეულებრივ, მშვიდობიან დროს. ეს გვეუბნება, რომ კაპიტალისტური ორგანიზაციის 1905 წლამდე ჯერ კიდევ არ იცოდა როგორი გრანდიოზული შეიძლება იყოს და იქნება პროლეტარიატის ძალების დაჭიმ-

ვა, თუ საქმე ეხება ჭეშმარიტად დიად იდეებისათვის ბრძოლას, ნამდვილ რევოლიუციონურ ბრძოლას.

რუსეთის რევოლიუციის ისტორია გვაჩვენებს, რომ სწორედ დაჩრავებულ მუშათა საუკეთესო ელემენტები, მისი ავანგარდი აწარმოებდა ბრძოლას უდიდესი მედგრობითა და თავგანწირვით. რამდენათ დიდი იყო ქარხანა, იმდენათ მედგრათ მიმდინარეობდა გაფიცვა, იმდენათ ხშირად მეორდებოდა ის ერთსა და იმავე წელში. რამდენათ დიდი იყო ქალაქი, იმდენათ თვალსაჩინო იყო ბრძოლაში პროლეტარიატის როლი. სამი დიდი ქალაქი, სადაც ყველაზე უფრო შეგნებული მუშებია და მრავალრიცხოვანი—პეტერბურგი, რიგა და ვარშავა, შედარებით მუშათა საერთო რიცხვთან დამოკიდებულებით გაფიცულთა მეტ რიცხვს იძლევიან, ვიდრე ყველა სხვა ქალაქები, სოფლებზე რომ არ ვილაპარაკოთ.

მელითონე მუშები რუსეთში, ისე როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში,—წარმოადგენენ პროლეტარიატის მოწინავე ნაწილს. და აქ ჩვენ, გამოწვევთ შემდეგს საგულისხმიერო ფაქტს: ყოველ ას ქარხნის მუშაზე საერთოდ რუსეთში 1905 წელს მოდის 160 გაფიცული მუშა; თითეულ ას მელითონეზე იმავე წელს კი მოდიოდა 330 გაფიცული. გამოანგარიშებით თითეული რუსი ქარხნის მუშა გაფიცვის გამო ჰკარგავდა 10 მანეთს (საშუალოდ იმამდე არსებული კურსით 26 ფრანკს); ეს მას მსხვერპლად მიჰქონდა ბრძოლისათვის. თუ მელითონეებს ავიღებთ, ეს ციფრი სამჯერ გაიზარდება. ბრძოლაში პირველ რიგში იდგა მუშათა კლასის საუკეთესო ელემენტები, ისინი ითრევდენ ბრძოლაში მერყევ ელემენტებს, აღვიძებდენ მძინარეთ და ამხნევებდენ სუსტებს. განსაკუთრებით თავისებური იყო რევოლიუციის დროინდელი ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვების გადაჯაჭვა.

ეჭვს გარეშეა, რომ გაფიცვის ამ ორი ფორმის მჭიდრო კავშირმა უზრუნველყო მოძრაობის დიდი სიძლიერე. გაყვლეფილ მასებს ისე ვერაფერით ვერ ჩაითრევდით რევოლიუციონურ ბრძოლაში, ამ მასებს რომ არ დაენახათ იმის მაგალითი, თუ მრეწველობის სხვადასხვა დარგის დაჩრავებული მუშები როგორ აიძულებდენ კაპიტალისტებს უშუალოდ და დაუყოვნებლივ გაეუმჯობესებინათ მათი მდგომარეობა. ასეთი ბრძოლის წყალობით მთელი რუსის ხალხი ახალმა სულიერმა განწყობილებამ მოიცვა. მხოლოდ ახლა გასცილდა ბატონ-ყმური, ველური, პატრიარქალური, მონა-რუსეთი ძველს ადამს. მხოლოდ ახლა მიიღო რუსის ხალხმა ჭეშმარიტად დემოკრატიული, ჭეშმარიტად რევოლიუციონური აღზრდა.

ბურჟუაზიული ბატონები და მათი ამყოლნი სოციალისტი—რეფორმისტები ასე უიხტიბაროთ ლაპარაკობენ მასების აღზრდაზე: მათ მასის აღზრდათ მიაჩნიათ რაღაც სკოლური, პედანტიური, მასებში დემორალიზაციის შემტანი აღზრდა, რომლითაც უნერგავენ ბურჟუაზიულ ცრუმორწმუნეობას.

მასის ჭეშმარიტი აღზრდა არასოდეს არ შეიძლება გამოყოფილ იქნეს დამოუკიდებელ პოლიტიკურ და განსაკუთრებით თვით მასის რევოლიუციონურ ბრძოლისგან. მხოლოდ ბრძოლა წრთვნის გაყვლეფილ მასებს, მხოლოდ ბრძოლით შეუძლია მას თვისი ძალების გაზომვა, ბრძოლა უფართოებს შეხედულებას. ამაღლებს მის ნიჭს, უნათლებს ჭკუა-გონებას, სჭედავს მის ნებისყოფას. ამიტომ რეაქციონერებსაც კი უნდა ელიარებინათ, რომ 1905 წელმა, ამ გიჟური ბრძოლის წელიწადმა, საბოლოოდ დაასამარა პატრიარქალური რუსეთი.

გავშინჯოთ დაახლოებით მელითონეთა და ფეიქართა დამოკიდებულება რუსეთში 1905 წლის საგაფიცო ბრძოლის დროს. მელითონეები მეტ ხელფასს ღებულობდენ, მეტი შეგნებულნი, მეტი კულტურულნი იყვნენ. ფეიქარი მუშები, რომელთა რაოდენობა რუსეთში 1905 წელს $2^1/_2$-ჯერ აღემატებოდა მელითონეებს, წარმოადგენდენ ყოვლად ჩამორჩენილ მასას, ღებულობდენ ყველაზე ნაკლებ ხელფასს, ამათ ნაწილობრივათ ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ გაეწყვიტა კავშირი თავის გლეხურ სამშობლო სოფელთან. და აქ ჩვენს წინაშე წამოიჭრება მეტად საყურადღებო შემდეგი გარემოება:

მთელი 1905 წლის განმავლობაში მელითონეთა პოლიტიკური გაფიცვა სჭარბობს ეკონომიურ გაფიცვას, თუმცა ეს წლის დასაწყისში არც იმდენათ დიდია, როგორც წლის ბოლოს. პირიქით, ფეიქრებს შორის 1905 წლის დასაწყისში ჩვენ ვამჩნევთ ეკონომიური გაფიცვების სიჭარბეს, რომელიც წლის ბოლოს იცვლება პოლიტიკური გაფიცვების სიჭარბით. აქედან აშკარად გამომდინარეობს, რომ მხოლოდ ეკონომიურ ბრძოლას, ბრძოლას თვისი მდგომარეობის დაუყოვნებლივი და უშუალო გაუმჯობესებისათვის შეუძლია შეაძრიოს გაყვლეფილი მასის ჩამორჩენილი ფენები, აძლევს მას ჭეშმარიტ აღზრდას, ჰქმნის მათ რევოლიუციონურ ეპოქაში—რამდენიმე თვის განმავლობაში—პოლიტიკურ მებრძოლთა არმიად.

ამისათვის, რა თქმა უნდა, საჭიროა, რომ მუშათა მოწინავე რაზმს კლასობრივი ბრძოლა ისე არ გაეგებოდეს, როგორც ხიდა ფენების მცირე რაცხვთა ინტერესებისათვის ბრძოლა, რასაც ხშირად სწორედ ასე შთააგონებდენ ხოლმე მუშებს რეფორმისტები, არამედ

პროლეტარები უნდა გამოდიოდენ გაყვლეფილ უმრავლესობის ავანგარდად და ითრევდენ ბრძოლაში ამ უმრავლესობას, როგორც ეს ხდებოდა რუსეთში 1905 წელს და როგორც უნდა მოხდეს ეს, და მოხდება კიდეც, ყოველ ეჭვს გარეშე, მომავალი პროლეტარული რევოლუციის დროს ევროპაში.

1905 წლის დასაწყისს თან მოჰყვა მთელს სახელმწიფოში საგაფიცო მოძრაობის დიდი ტალღა. უკვე ამა წლის გაზაფხულზე ჩვენ პირველად ვხედავთ რუსეთში არა თუ ეკონომიურ, არამედ—გლეხთა პოლიტიკურ მოძრაობის თვალსაჩინო გაღვიძება—გაფურჩქვნას. რამდენათ საყურადღებო მნიშვნელობისაა ეს ისტორიისათვის შემოსახვევი ფაქტი, შეუძლია გაიგოს მხოლოდ იმან, ვინც მოიგონებს, რომ რუსეთში გლეხობა მხოლოდ 1861 წელს განთავისუფლდა ბატონყმური დამოკიდებულებისაგან, რომ გლეხობის უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია, აუწერელ გაჭირვებაში ცხოვრობს, მემამულეთა მიერ შეიწროებულნი, მღვდლების მიერ გამოსულელებულნი, დაშორებულნი ერთმანეთისაგან დიდის მანძილით გზების უქონლობის გამო.

1825 წელს რუსეთში პირველად დაიწყო რევოლიუციონური მოძრაობა ცარიზმის წინააღმდეგ და ამ მოძრაობას მეთაურობდენ მხოლოდ თავადები და აზნაურები. იმ დროიდან და 1881 წლამდე, როცა ტერორისტების მიერ მოკლულ იქნა ალექსანდრე II, მოძრაობას სათავეში ედგენ საშუალო წოდების ინტელიგენტები. მათ უდიდესი თავგანწირვა გამოიჩინეს და თავიანთი გმირული ბრძოლის ტერორისტული მეთოდით გამოიწვიეს მთელი ქვეყნიერების გაკვირვება. უეჭველია, ეს მსხვერპლი არ ყოფილა გაღებული ამაოდ. უეჭველია, ის ხელს უწყობდა,—პირდაპირ ან არაპირდაპირ, რუსი ხალხის შემდეგში რევოლიუციონურად აღზრდას, მაგრამ თავისი უშუალო მიზანს—ხალხური რევოლიუციის გაღვიძებას—ამოდენა მსხვერპლმა ვერ მიაღწია და არც შეეძლო მიღწევა.

ეს მოხერხდა მხოლოდ პროლეტარიატის რევოლიუციონურ ბრძოლაში. მასიურმა საგაფიცო ტალღებმა, რომელიც მოედო მთელს სახელმწიფოს რუსეთ—იაპონიის იმპერიალისტურ ომის გაკვეთილებთან დაკავშირებით, საღათას ძილისაგან გამოაღვიძა პროლეტარიატის ფართო მასები. სიტყვა „забастовщик" გლეხობისათვის გახდა სრულიად ახალი მნიშვნელობისა. ეს სიტყვა ნიშნავდა რაღაც ახალს „ბუნტოვშჩიკის", რევოლიუციონერის მსგავსს, რაც წინად გამოხატავდა სიტყვა „სტუდენტს". მაგრამ რამდენათ სტუდენტი საშუალო წოდებას, სწავლულ ბატონების წრეს ეკუთვნოდა, —ის ხალხისათვის უცხო

იყო; პირიქით, გაფიცული (забастовщик) თვით გამოვიდა ხალხიდან, თვით გაყვლეფილთა წრეს ეკუთვნოდა. ის, პეტერბურგიდან გადასახლებული, ხშირად ბრუნდებოდა სოფლად, უამბობდა თავის სოფლელ ამხანაგებს იმ არეულობაზე, რომელიც მოსდებოდა ქალაქებს და რომელსაც უნდა გაენადგურებია როგორც კაპიტალისტები, ისე თავად-აზნაურობა, რუსეთის სოფელში გაჩნდა ახალი—შეგნებული გლეხი. მას ურთიერთობა ჰქონდა გაფიცულებთან,—კითხულობდა გაზეთებს, უამბობდა გლეხებს ქალაქში მომხდარი ამბების შესახებ, ხუსნიდა სოფელ ამხანაგებს პოლიტიკურ მოთხოვნათა მნიშვნელობას, მოუწოდებდა მათ მსხვილი მიწათმფლობელობის—თავად-აზნაურობის, მღვდლებისა და მოხელეების წინააღმდეგ.

გლეხები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდენ, არკვევდენ თავიანთ მდგომარეობას და ცოტ-ცოტათი ებმებოდენ ბრძოლაში: ბრძოებათ გამოდიოდენ ისინი მსხვილ მიწათ-მფლობელთა წინააღმდეგ, ცეცხლს ანთებდენ იმათ სასახლეებს, ანდა იტაცებდენ ყველაფერს—ხორბალს და სხვა სურსათს, ხოცავდენ პოლიციელებს, მოითხოვდენ მიწების, თავად-აზნაურთა უზარმაზარი მამულების ხალხისათვის გადაცემას.

1905 წლის გაზაფხულზე გლეხთა მოძრაობის მხოლოდ ჩანასახი იყო. ეს მოძრაობა მოედო მხოლოდ მაზრათა უმცირესობას, დაახლოებით, მის მეშვიდედ ნაწილს. მაგრამ მოხერხდა ქალაქის პროლეტარული მასიური გაფიცვის სოფლის გლეხთა მოძრაობასთან გაერთიანება, რომ შერყეულიყო ცარიზმის მეტად მტკიცე, უკანასკნელი დასაყრდენი. მე მხედველობაში მყავს ჯარი (არმია).

იწყება სამხედრო აჯანყებები ფლოტსა და ჯარში. ყოველი საგაფიცვო ტალღა და გლეხთა გამოსვლები რევოლიუციის დროს იწვევეს ჯარისკაცთა აჯანყებას რუსეთის ყოველ კუთხეში. ყველაზე უფრო თვალსაჩინო ამ აჯანყებებში არის ის აჯანყება, რომელიც მოხდა შავი ზღვის ჯავშნოსან გემ „პოტიომკინზე". ეს გემი აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ადესაში. რევოლიუციის დამარცხების შემდეგ და რადგანაც აჯანყებულებმა ვერ შესძლეს სხვა ნავთსადგურების (ფეოდოსიისა ყირიმში) ხელში ჩაგდება, ეს გემი ჩაბარდა რუმინიის მთავრობას კონსტანცაში.

ნება მომეცით დაწვრილებით მოგითხროთ შავი ზღვის ფლოტის ამ აჯანყების ერთი პატარა ეპიზოდი, რათა თქვენ მიიღოთ კონკრეტული სურათი აჯანყებისა მის უმაღლესი საფეხურზე.

რევოლიუციონურ მუშებისა და მეზღვაურების კრებები იმართებოდა. კრებები ხშირად იმართებოდა. ვინაიდან სამხედრო პირებს ნებას არ აძლევდენ მუშათა მიტინგზე დასწრებისას, მუშებმა მასი-

ურად იწყეს სამხედრო პირთა მიტინგზე დასწრება. ათასობით იკრიბებოდნენ. ერთად გამოსვლის იდეამ (კოცხალი გამოძახილი ჰპოვა. უფრო შეგნებულ როტებში ირჩევდნენ დეპუტატებს.

მაშინ სამხედრო მთავრობამ გადასწყვიტა ზომების მიღება. ზოგიერთ ოფიცრების ცდა, რომ მიტინგებზე წარმოეთქვათ პატრიოტული სიტყვები, სამწუხარო შედეგებს იძლეოდა: დისკუსიაში გაწვრთნილი ჯარისკაცები სასტიკად ამარცხებდენ თავიანთ უფროსებს.

ამის გამო გადაწყდა მიტინგების აკრძალვა საერთოდ. 1905 წლის თებერვლის 25-ს ფლოტის ყაზარმების პიშკართან ჩამწკრივებულ იქნა საომრად სრულის შეიარაღებით როტა. კონტრ-ადმირალ პისარევსკიმ ყველას გასაგონათ ასეთი ბრძანება გასცა: „არ გამოუშვათ ყაზარმებიდან არავინ. ვინც არ დაგემოჩილოთ, დახვრიტეთ!“

იმ როტიდან, რომელსაც ასეთი ბრძანება მიეცა შესასრულებლათ, გამოვიდა მატროსი პეტროვი, მან ყველას დასანახად თავის თოფში ჩაწყო ვაზნები და ერთის გასროლით მოჰკლა ბრესტ-ლიტოვსკის პოლკის პოდპოლკოვნიკი შტეინი; მეორე გასროლით დასჭრა კონტრ-ადმირალი პისარევსკი. ოფიცერმა გასცა ბრძანება: „დაიჭირეთ ის.“ არავინ ადგილიდან არ დაიძრა.

პეტროვმა თავისი თოფი ხელიდან მიწაზე გაიგდო და ჯარისკაცებს ამ სიტყვებით მიმართა: „რად დგეხართ, წამიყვანეთ!“ ის შეიპყრეს. ყოველი მხრიდან მოკვიდნენ მატროსები და დაჟინებით მოითხოვდენ მის განთავისუფლებას, ამბობდენ, რომ ისინი მას ითავმდებდებდენ. აღელვებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

შექმნილ მდგომარეობიდან რომ გამოსავალი გამოენახა, ოფიცერი პეტროვს შეეკითხა—განა მართალია, რომ თოფის გასროლა შემთხვევით მოხდა?

— რატომ შემთხვევით? მე წინ გამოვედი, ვაზნები ჩავაწყე და მიზანში ამოვიღე. განა ეს შემთხვევითია?—მიუგო პეტროვმა.

— ისინი მოითხოვენ შენს განთავისუფლებას!

პეტროვიც გაანთავისუფლეს. მაგრამ მატროსები ამით არ დაკმაყოფილდენ. ყველა მორიგი ოფიცერები დაპატიმებულ იქნა, ისინი განაიარაღეს და წაიყვანეს კანცელარიაში... მატროსთა დელეგატები, დაახლოებით 40 კაცამდე, მთელი ღამე თათბირობდენ. გადასწყვიტეს ოფიცრების განთავისუფლება, მაგრამ ყაზარმებში ისინი აღარ უნდა შეეშვათ.

ეს პატარა სცენა აშკარა მაჩვენებელია იმისი, თუ როგორ ხდებოდა სამხედრო აჯანყებანი მეტ წილად. ხალხში დაწყებულ რევო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიუციონურ მოძრაობას არ შეეძლო არ ჩაეთრია ჯარიც. დამახასიათებელია, რომ მოძრაობის ბელადებს იძლეოდენ ის ელემენტები, რომელნიც გაწვეულნი იყვნენ სამრეწველო მუშათა რაიონებიდან და რომელთათვის საჭირო იყო უდიდესი ტეხნიკური მომზადება. მაგალითად სპეიორები. მაგრამ ფართო მასები მეტად გულუბრყვილონი იყვნენ, მეტად მშვიდობიანად. ქრისტიანულად განწყობილნი. აფეთქება მათში ადვილად ხდებოდა. რომელიმე უსამართლობის შემთხვევას, ოფიცერთა მხრით უზრდელ მოპყრობას, ცუდათ კვებას და სხვა ამგვარებს შეეძლო აღშფოთების გამოწვევა. მაგრამ აჯანყებულთ არ ყოფნიდათ გამძლეობა, არ ჰქონდათ ნათელი შეგნება ამოცანისა; აკლდათ საკმაო შეგნება, რომ მხოლოდ ენერგიული განგრძობა შეიარაღებული ბრძოლისა, მხოლოდ სრული გამარჯვება სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებაზე, მხოლოდ ჩამოგდება მთავრობისა და ძალა-უფლების ხელში ჩაგდება მთელს სახელმწიფოში იქნებოდა ერთად-ერთი გარანტია რევოლიუციის წარმატებისა.

მატროსთა და ჯარის-კაცთა ფართო მასები ადვილად იწყებდენ ბუნტს. მაგრამ ასევე ადვილად სჩადიოდენ სისულელეს — ანთავისუფლებდენ დაპატიმრებულ ოფიცრებს და თავს იმშვიდებდენ მთავრობის დაპირებებით. ამ სახით, მთავრობა სარგებლობდა ძვირფასი დროს მოგებით, ღებულობდა დამხმარე ძალებს და ასე ამარცხებდა აჯანყებულთ, რის შემდეგ იწყებოდა სასტიკი დარბევა და ბელადთა დახვრეტა-ჩამოხრჩობა.

საინტერესოა შევადაროთ რუსეთში 1905 წელს მომხდარი სამხედრო აჯანყებანი 1825 წელს მომხდარ დეკაბრისტების აჯანყებას. მაშინ პოლიტიკურ მოძრაობას ხელმძღვანელობდა მხოლოდ ოფიცრობა და, განსაკუთრებით, ოფიცრობა—თავად-აზნაურები. ისინი გაცნობილნი იყვნენ ნაპოლეონის ომების დროინდელ ევროპის დემოკრატიულ იდეებთან. ჯარისკაცთა მასას, რომელიც მაშინ ყმა-გლეხებისაგან შესდგებოდა, თავი პასიურად ეჭირა. 1905 წლის ისტორია პირუკმო სურათს იძლევა. მცირედი გამოკლებით ოფიცრობა განწყობილი იყო ბურჟუაზიულ-ლიბერალურ-რეფორმისტულად ან პირდაპირ კონტრ-რევოლიუციონურად. სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი მუშები და გლეხები შეადგენდენ აჯანყების სულსა და გულს, მოძრაობა შეიქმნა სახალხო. რუსეთის ისტორიაში პირველად ამ მოძრაობამ ჩაითრია გაყვლეფილთა უმრავლესობა. ნაკლი ამ მოძრაობისა ერთის მხრით იყო ის, რომ მასებს არ ჰყოფნიდათ გამძლეობა და გაბედულობა, ესენი მეტად იყვნენ დაავადმყოფებული ნდობით, მეორეს მხრით, სუსტი იყო სამხედრო მუნდირებში გამოწყობილი მე-

შების რევოლიუციონურ-სოციალდემოკრატიული ორგანიზაცია: მათ არ ჰქონდათ მოხერხება, რომ თავიანთ ხელში აეღოთ ხელმძღვანელობა, სათავეში მოქცეოდენ რევოლიუციონურ არმიას და შეტევაზე გადასულიყვნენ მთავრობის წინააღმდეგ.

უნდა აქვე ითქვას—შესაძლოა, ნელის ნაბიჯით, ვიდრე ეს ჩვენ გვსურს, მაგრამ უეჭველად, ეს ორი ნაკლი მოსპობილი იქნება არა მარტო კაპიტალიზმის საერთო განვითარებით, არამედ—ახლანდელი ომითაც. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის რევოლიუციის ისტორია და აგრეთვე 1871 წლის პარიზის კომუნის ისტორია უსათუოდ გაკვეთილს იძლევა იმისას, რომ მილიტარიზმი არასოდეს და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დამარცხებულ და განადგურებულ იქნას არავითარი სხვა რომელიმე საშუალებით, თუ არ ძლევა-მოსილი ბრძოლით სახალხო არმიის ერთი ნაწილისა მისი მეორე ნაწილის წინააღმდეგ. საკმარისი არაა მხოლოდ უარყოფდე და სწყევლიდე „მილიტარიზმს", აკრიტიკებდე მის მავნებლობას,—სისულელეა სამხედრო სამსახურის მშვიდობიანთ უარყოფა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარიატის რევოლიუციონური შეგნება შენახულ იქნას დაჭიმულად, ამასთან ერთად არა საზოგადოთ, არამედ—კონკრეტულად ამზადოთ მისი საუკეთესო ელემენტები იმისათვის, რომ უაღრესი მოძრაობის დაწყებისას ხალხში ისინი სათავეში მოექცენ რევოლიუციონურ არმიას.

ამას გვასწავლის ჩვენ კაპიტალისტური სახელმწიფოს ყოველდღიური გამოცდილება. ყოველი უმნიშვნელო „კრიზისი", რომელსაც ასეთი სახელმწიფო განიცდის მინიატიურულად ჩვენს წინაშე შლის იმ ბრძოლათა ელემენტებს და შთანასახებს, რომლებიც დიდი კრიზისის პერიოდში უნდა განმეორდენ აუცილებლათ დიდის მასშტაბით. და სხვა რაა ეს, თუ არ გაფიცვა, თუ არ პატარა კრიზისი კაპიტალისტური საზოგადოებისა? განა მართალი არ იყო პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი ბატონი ფონ—პუტკამერი, როცა სთქვა—„ყოველ გაფიცვაში ვოსჩანს რევოლიუციის გველეშაპი"-ო. ჯარისკაცების გამოწვევა გაფიცვების დროს, ყველა, თითქმის უკაცრავად სიტყვაა, სრულიად მშვიდობიან, სრულიად „დემოკრატიულ" კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც კი, განა იმის აშკარა მაჩვენებელი არაა, თუ როგორ იქნება საქმე მართლა დიდი კრიზისების დროს?

მაგრამ ვუბრუნდები ისევ რუსეთის რევოლიუციის ისტორიას.

მე შევეცადე დამესურათებია თქვენთვის, თუ გაფიცვებით მუშებმა როგორ შეანძრიეს ქვეყანა და მოძრაობაში მოიყვანეს სრული-

ად ჩამორჩენილი გაყვლეფილთა ფართო ფენები, როგორ დაიწყო გლეხთა მოძრაობა და როგორ მოყვა მათ სამხედრო აჯანყებები.

1905 წლის შემოდგომაზე მთელმა მოძრაობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. 19 აგვისტოს (6 აგვისტოს) გამოიცა მეფის მანიფესტი სახალხო წარმომადგენლობის შემოღების შესახებ. უნდა შემდგარიყო ეგრეთ წოდებული „ბულიგინის“ სათათბირო—ისეთი საარჩევნო კანონით, რომელიც აწესებდა ამორჩეველთა მეტად მცირე რიცხვს და არ ანიჭებდა ამ თავისებურ „პარლამენტს“ არავითარ საკანონმდებლო უფლებებს, მას ექნებოდა მხოლოდ სათათბირო უფლებანი.

ბურჟუაზია, ლიბერალები და ოპორტუნისტები მზად იყვნენ ორივე ხელებით ჩასჭიდებოდენ შეწინებული მეფის მიერ ნაბოძებ ამ წყალობას. მსგავსად ყველა რეფორმისტებისა, 1905 წელში ჩვენი რეფორმისტები ვერ მიხვდნენ, რომ არის ისეთი ისტორიული სიტუაცია, როდესაც რეფორმებს, განსაკუთრებით რეფორმების დაპირებას, მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: შეაჩეროს ხალხის მოძრაობა, აიძულოს რევოლიუციონური კლასი შესწყვიტოს ან, ყოველ შემთხვევაში, შეასუსტოს ბრძოლა.

რუსეთის რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიამ კარგათ შეიგნო, 1905 წ. აგვისტოში ნაბოძები მოჩვენებითი კონსტიტუციის ნამდვილი ხასიათი. ამიტომ ერთი წამიც არ დაუყოვნებია, რომ გადმოისროლა ლოზუნგი: „ძირს მრჩეველი სათათბირო. ბოიკოტი სათათბიროს. ძირს მეფის მთავრობა. გაგრძელება რევოლიუციონური ბრძოლისა იმ მიზნით, რომ ჩამოვგდებულ იქნას ეს მთავრობა. არა მეფემ, არამედ დროებით რევოლიუციონურმა მთავრობამ უნდა მოიწვიოს რუსეთში პირველი ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობა“.

რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის სიმართლე ისტორიამ იმით დაამტკიცა, რომ „ბულიგინის“ სათათბირო არასოდეს არ ყოფილა მოწვეული. ის გაჰქრა, გაანადგურა რევოლიუციონურმა გრიგალმა ვიდრე მას მოიწვევდენ. ამ გრიგალმა აიძულა მეფე გამოეცა ახალი საარჩევნო კანონი, რითაც შესამჩნევად გაიზარდა ამომრჩეველთა რიცხვი და აღიარებულ იქნა სათათბირო, როგორც საკანონმდებლო ორგანო.

1905 წლის ოქტომბერ-დეკემბერში რუსეთის რევოლიუციამ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია.

ხალხის რევოლიუციონური ყველა ძალები უფრო ფართოდ გაიშალა, ვიდრე წინად. გაფიცულთა რიცხვი, რომელიც 1905 წლის იანვარში, როგორც უკვე მოგახსენეთ, შეადგენდა 440 ათასს, 1905

წლის ოქტომბერში გადააჭარბა ნახევარ მილიონს (ყურადღება მიაქციეთ, მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში), მაგრამ ამ რიცხვს, რომელიც შესდგება მხოლოდ საქარხნო მუშებისაგან, უნდა მივუმატოთ კიდევ რამდენიმე ასი ათასი რკინის გზის მუშები, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი და სხ.

რუსეთის რკინის გზის საყოველთაო გაფიცვამ შეაჩერა რკინის გზაზე მოძრაობა და სრულიად დაქსაქსა მთავრობის ძალა. უნივერსიტეტის კარები გაიღო. ის აუდიტორიები, რომლებიც მშვიდობიან დროს ემსახურებოდენ მხოლოდ იმას, რომ გამოესულელებიათ ახალგაზრდობა პროფესორთა კათედრალური სიბრძნით და გადაეცვიათ ისინი ბურჟუაზიის და ცარიზმის მორჩილ მოსამსახურეებათ, ახლა წარმოადგენდენ ათასობით მუშებისათვის, ხელოსნებისათვის და მოსამსახურეებისათვის კრების ადგილთ, სადაც აშკარად და თავისუფლად მსჯელობდენ პოლიტიკურ საკითხებზე.

მოპოვებულ იქნა პრესის თავისუფლება, ცენზურა სრულიად უბრალოდ იქნა გაუქმებული. ვერც ერთი გამომცემელი ვერ ბედავდა წარედგინა მთავრობისათვის სავალდებულო ეკზემპლიარი, მთავრობაც ვერ ბედავდა ამის საწინააღმდეგოთ რაიმე ზომების მიღებას. პირველად რუსეთის ისტორიაში თავისუფლად გაჩნდა პეტერბურგში და სხვა ქალაქებში რევოლიუციონური გაზეთები. მხოლოდ პეტერბურგში გამოდიოდა სამი ყოველდღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი 50—100 ათასამდე ეკზემპლიარის ტირაჟით.

მოძრაობის სათავეში იყო პროლეტარიატი. მან მიზნად დაისახა რვა საათის სამუშაო დღის მოპოვება რევოლიუციონური გზით. მაშინ პეტერბურგის პროლეტარიატის ბრძოლის ლოზუნგი იყო: „რვა საათის სამუშაო დღე და იარაღი“. მოძრაობაში ჩაბმულ მუშათა მასისათვის, რომლის რიცხვი სისწრაფით იზრდებოდა, აშკარა იყო, რომ რევოლიუციის ბედის გადაწყვეტა შეეძლო მხოლოდ შეიარაღებულ აჯანყებას.

ბრძოლის ცეცხლში შეიქმნა თავისებური მასიური ორგანიზაცია: სახელოვანი მუშათა დეპუტატების საბჭოები და ყველა ქარხნების დელეგატთა კრებები. რუსეთის რამოდენიმე ქალაქებში მუშათა დეპუტატთა ეს საბჭოები უფრო და უფრო ასრულებდენ დროებითი რევოლიუციონური მთავრობის როლს, აჯანყების ხელმძღვანელ-ორგანოების როლს. იყო ცდა შექმნათ ჯარისკაცთა და მატროსების დეპუტატთა საბჭოები და ისინი შეეერთებიათ მუშათა დეპუტატების საბჭოებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ხანებში რუსეთის ზოგიერთი ქალაქები წარმოადგენდენ პატარა რესპუბლიკებს, სადაც მთავრობის ხელისუფლება გადაყენებული იყო და მუშათა დეპუტატების საბჭო მართლა მოქმედობდა, როგორც ახალი ხელისუფლება. სამწუხაროდ ასეთი პერიოდები მეტად ხანმოკლე იყო, გამარჯვება მეტად სუსტი და მეტად განცალკევებული, გათიშული ერმანეთისაგან.

1905 წლის შემოდგომაზე გლეხთა მოძრაობა დიდათ გაიზარდა. მთელი სახელმწიფოს მაზრების მესამედი ნაწილი მაშინ მოკლით იყო „გლეხთა უწესოებით" და ნამდვილ გლეხთა აჯანყებით. გლეხებმა გადასწვეს მემამულეთა 2000 სახლკარი და ურთიერთშორის გაინაწილეს ხალხისაგან გატაცებულ თავად-აზნაურთა ნაძარცვი ქონება. სამწუხაროდ, ამ მუშაობას მეტის მეტად სუსტი საფუძველი ჰქონდა. გლეხობამ შესძლო განადგურება მემამულეთა სახლკარის საერთო რიცხვის მხოლოდ მე-15 ნაწილისა, რომ სპობოთად აღეგვათ რუსეთის მიწა-წყლის პირიდან მსხვილი მიწათმფლობელობის ფეოდალური სისაძაგლე. სამწუხაროდ გლეხები მოქმედებდენ მეტის მეტად დაქსაქსულად, უორგანიზაციოდ, ვერ უტევდენ საკმაოდ გაბედულათ და ამაში მდგომარეობს რევოლიუციის დამარცხების ერთი ძირითადი მიზეზი.

რუსეთის დამონებულ ერთა შორის იფეთქა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. რუსეთში მცხოვრებთა ნახევარზე მეტი, თითქმის სამი მეხუთედი (სწორედ 57%) ეროვნულ შეგნებას განიცდის ერები საკუთარი მშობლიური ენის თავისუფლებითაც ვერ სარგებლობენ, მათ ძალათ არუსებენ. მაგალითად, მუსულმანობამ, რომელიც ათეულ მილიონ მცხოვრებთ შეადგენს რუსეთში, საოცარის სისწრაფით მოაწყო მაშინ ორგანიზაციები—მუსულმანთა კავშირი. საერთოდ ეს იყო სხვადასხვა ორგანიზაციების ზრდის კოლოსალური ეპოქა.

რომ დავინახოთ კრებას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, იმის მაგალითი, თუ როგორ განვითარდა მაშინდელ რუსეთში ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებით, მოვიყვანთ ერთ პატარა სურათს.

1905 წლის დეკემბერში პოლონეთის მრავალ ასეულ სკოლებში სკოლის ჰასაკის ბავშვებმა დასწვეს ყველა რუსული წიგნები, სურათები და მეფის პორტრეტები, სცემეს და გარეკეს სკოლებიდან რუსი მასწავლებლები და თავიანთი ამხანაგები. ყვირილით: „აქედან დაიკარგენით, წაეთრიეთ თქვენს რუსეთში". პოლონეთის საშუალო სკოლათა მოწაფეების მოთხოვნა, სხვათა შორის, ასეთი იყო: 1) ყველა საშუალო სკოლები უნდა ექვემდებარებოდენ მუშათა დეპუტატების

საბჭოებს, 2) გაერთიანებული მოწაფეთა და მუშათა კრებების მოწვევა სკოლის შენობებში, 3) ნებართვა გიმნაზიაში წითელი ხალათის ტარებისა ნიშნად იმისა, რომ ასეთი ხალათიანი ეკუთვნის მომავალ პროლეტარულ რესპუბლიკას და სხ.

რამდენათ მაღლა იწევდა მოძრაობის ტალღები, იმდენათ მეტის ენერგიით და გაბედულობით იარაღდებოდა რეაქცია რევოლიუციის წინააღმდეგ. რუსეთის რევოლიუციაში გამართლდა ის, რასაც სწერდა კაუცკი 1902 წელს თავის წიგნში—„სოციალური რევოლიუცია". (უნდა ითქვას, რომ ის მაშინ იყო რევოლიუციონური მარქსისტი და არა დამცველი სოციალ-პატრიოტებისა და ოპორტიუნისტებისა, როგორც ამ ჟამად არის). ის შემდეგს სწერდა: „...მომავალი რევოლიუცია ნაკლებათ იქნება უეცარი აჯანყების მსგავსი რამ მთავრობის წინააღმდეგ. ის უფრო ხანგრძლივი სამოქალაქო ომი იქნება".

ასეც მოხდა. უეჭველია, ეს ასეც იქნება ევროპის მომავალ რევოლიუციაში.

ცარიზმის სიძულვილი განსაკუთრებით მიიმართა ებრაელების წინააღმდეგ. ერთის მხრით, ებრაელ საერთო მოსახლეობასთან შედარებით, რევოლიუციის ბელადებში ებრაელები შეადგენდენ დიდს პროცენტს. და ახლა, უნდა ითქვას, ებრაელებს ის დამსახურება აქვთ, რომ ისინი სხვა ერებთან შედარებით დიდ პროცენტს შეადგენენ ინტერნაციონალურ მოძრაობაში. მეორეს მხრით, ცარიზმს საუცხოოდ შეეძლო მოსახლეთა უვიცი ფენების საზიზღარი ცრუმორწმუნეებით სარგებლობა, და მოეწყო ებრაელთა დარბევა—თუმცა უშუალოდ არ ხელმძღვანელობდა ამ დარბევას. ამ საზიზღარმა დარბევამ მშვიდობიან ებრაელთა, მათი ცოლებისა და ბავშვებისა საკადრისი ზიზღი გამოიწვია მთელს განათლებულს ქვეყნიერებაზე. მე მხედველობაში მაქვს, რა თქმა უნდა, განათლებული ქვეყნიერების დემოკრატიული ელემენტების ზიზღი, ასეთი ელემენტები კი არიან მხოლოდ სოციალისტი მუშები—პროლეტარები.

დასავლეთ ევროპის უკიდურესათ თავისუფალი, რესპუბლიკანური სახელმწიფოს ბურჟუაზიასაც კი საუცხოოდ შეუძლია თავისი პირფერობითი ფრაზები „რუსული მხეცობის" შესახებ შეუთანხმოს ფულის ანგარიშების საქმეს, როცა ეს ეხება რუსეთის მეფის ფინანსიურად გამაგრებას, რუსეთის იმპერიალისტურად ყველეფას საექსპორტო კაპიტალის საშუალებით და სხ.

თავის სიმაღლეს 1905 წელს რევოლიუციამ მიაღწია მოსკოვის დეკემბრის აჯანყებით. აჯანყებულთა პატარა ჯგუფმა, სახელდობრ, ორგანიზაციულად შეკავშირებულმა შეიარაღებულმა მუშებმა, დაახ-

ლოვებით 8 ათასმა კაცმა, 9 დღის განმავლობაში სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მეფის მთავრობას; მთავრობას არ შეეძლო მოსკოვის გარნიზონზე დაყრდნობა, პირიქით, ეს გარნიზონი ჩაკეტილი ჰყავდა და მხოლოდ მას შემდეგ მოახერხა მთავრობამ აჯანყების ჩაქრობა, როცა პეტერბურგიდან მოვიდა სემიონოვის პოლკი.

ბურჟუაზია მოსკოვის აჯანყებას უწოდებს ხელოვნურს, ის დასცინის ამ აჯანყებას, მაგალითად, გერმანულ ეგრეთ წოდებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბატონმა პროფესორმა მაკს ვებერმა თავის წიგნაკში, რომელიც შეეხება რუსეთის პოლიტიკურ განვითარებას, მოსკოვის აჯანყებას უწოდა „პუტჩი“ (ქარაფშუტული). „ლენინის პარტია—ამბობს ეს მაღალგანათლებული“ ბატონი პროფესორი—და ესერების ნაწილი დიდი ხანი ამხადებდენ ამ უაზრო აჯანყებას“.

რათა შესაფერისად იქნას დაფასებული მხდალი ბურჟუაზიის ეს პროფესორული სიბრძნე, საკმარისია აღვადგნოთ ჩვენს მეხსიერებაში საგაფიცვო სტატისტიკის მშრალი ციფრები. 1905 წლის იანვარში რუსეთში იყო მხოლოდ 13 ათასი პოლიტიკური გაფიცული, ოქტომბერში—330,000, დეკემბერში—370,000 წმინდა პოლიტიკური გაფიცული მხოლოდ ერთს თვეში.

მოვიგონოთ რევოლიუციის წინსვლა, გლეხთა და ჯარისკაცთა აჯანყებები და იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ბურჟუაზიული „მეცნიერების“ მსჯელობა დეკემბრის აჯანყების შესახებ არა თუ სისულელეა, ის სიტყვიერი ფანდია ბურჟუაზიული მხდალი ინტელიგენციისა, რომელიც პროლეტარიატში ჰხედავს თავის უსაშინელეს კლასიურ მტერს.

სინამდვილეში რუსეთის რევოლიუციის მთელი განვითარება აუცილებლად ამზადებდა შეიარაღებულ გადამწყვეტ ბრძოლას მეფის მთავრობასა და კლასიურად შეგნებულ პროლეტარიატის ავანგარდს შორის.

ზემოდ მოყვანილ მოსაზრებებში მე აღვნიშნე, თუ რაში მდგომარეობდა რუსეთის რევოლიუციის სისუსტე, რომელმაც ის მიიყვანა დროებით დამარცხებამდე.

დეკემბრის დამარცხებიდან რევოლიუციის ტალღებმა იწყო ძირს დაშვება. ამ პერიოდში მოიპოვება მეტად საინტერესო მომენტები. საჭიროა მხოლოდ მოვიგონოთ მუშათა კლასის მებრძოლი ელემენტების ორჯერ ცდა იმისი, რომ შეეჩერებინათ რევოლიუციის უკან დახევა და გადასულიყვენენ ახალ შეტევაზე.

მაგრამ ჩემი მოხსენების დრო უკვე გათავდა და არ მსურს ბოროტად ვისარგებლო მსმენელთა მოთმინებით. რევოლიუციაში მთა-

ვარია მისი კლასიური ხასიათი, მისი მამოძრავებელი ძალები—და რამდენათაც მე შემეძლო, ეს უკვე ავსახე მოკლე მოხსენებაში.

მსურს კიდევ რამდენიმე მცირე შენიშვნის მოყვანა რუსეთის რევოლუციის მსოფლიო მნიშვნელობის შესახებ.

რუსეთი გეოგრაფიულად, ეკონომიურად და ისტორიულად მოთავსებულია არა მარტო ევროპაში, არამედ—აზიაშიც. ამიტომაც ჩვენ ვხედავთ შემდეგს: რუსეთის რევოლუციამ მიაღწია იმას, რომ საბოლოოდ გამოაღვიძა ევროპის ყველაზე დიდი, ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა და შექმნა რევოლიუციონური ხალხი, რომელსაც ხელმძღვანელობს რევოლიუციონური პროლეტარიატი. რუსეთის რევოლიუციას მხოლოდ ამისათვის არ მიეღწევია. მან მოძრაობა გამოიწვია მთელს აზიაში. ოსმალეთში, სპარსეთში და ჩინეთში მომხდარი რევოლიუციები ამტკიცებენ, რომ 1905 წლის ძლიერმა აჯანყებამ ღრმა კვალი დასტოვა და მისი გავლენა, რომელიც ემჩნევა შეტევითი მოძრაობაში ასი მილიონობით მონაწილე ხალხს, განუზომელია.

არაპირდაპირი გზით რუსეთის რევოლიუციამ თავისი გავლენა მოახდინა დასავლეთის ქვეყნებზედაც. არ უნდა დავივიწყოთ, რომ 1905 წლის ოქტომბრის 30-ს, როგორც კი ვენაში მიღებულ იქნა დეპეშა მეფის კონსტიტუციური მანიფესტის შესახებ, ამ ცნობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ავსტრიაში საყოველთაო საარჩევნო უფლების გამარჯვების საქმეში.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობის სხდომაზე, როდესაც ამხანაგი ელლებოგენი—მაშინ ის არ ყოფილა სოციალ-პატრიოტი, მაშინ ის ჯერ კიდევ ამხანაგი იყო,—მოხსენებას აკეთებდა პოლიტიკური გაფიცვის შესახებ, მას მიუტანეს ეს დეპეშა, კამათი შესწყდა. „ჩვენი ადგილი ქუჩაშია"—აი რა გაისმა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის დელეგატთა სხდომის დარბაზში. და მაბლობელ დღეებში ჩვენ დავინახეთ ვენის ქუჩებში გრანდიოზული დემონსტრაციები და ბარიკადები—პრაგაში. და ასე საყოველთაო საარჩევნო კანონის გამარჯვების საქმეც ავსტრიაში გადაწყდა.

ხშირად შეხვდებით დასავლეთ ევროპელთ, რომელნიც რუსეთის რევოლიუციის შესახებ ისე მსჯელობენ, თითქოს მომხდარ ამბებს, ურთიერთობას და ბრძოლის საშუალებებს ამ ჩამორჩენილ ქვეყანაში ცოტა მსგავსება აქვს დასავლეთ ევროპაში არსებულ ურთიერთობასთან და ამიტომ ნაკლებათ შეიძლება ექნეს რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა. ასეთი შეხედულება მეტის მეტად შემცდარია.

უეჭველია, დასავლეთ ევროპის მომავალ რევოლიუციაში მომავალი ბრძოლის ფორმა და ზიზეზები ბევრად განსხვავებული იქნება რუსეთის რევოლიუციის შესაფერისს დამოკიდებულებათაგან.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, რუსეთის რევოლიუცია სწორედ თავისი პროლეტარული ხასიათის წყალობით, ამ სიტყვის იმ განსაკუთრებული მნიშვნელობით, რომელზედაც მე უკვე ვილაპარაკე, დარჩება მომავალი ევროპის რევოლიუციის პროლოგათ. უეჭველია, რომ მომავალი რევოლიუცია შეიძლება დარჩეს პროლეტარულ რევოლიუციად და ამასთან ამ სიტყვის უფრო ღრმა მნიშვნელობით: პროლეტარული და სოციალური თავისი შინაარსით. ეს მომავალი რევოლიუცია კიდევ უფრო აშკარად დაგვანახებს ერთის მხრით, რომ მხოლოდ მკაცრ ბრძოლებს, სწორედ სამოქალაქო ომებს შეუძლია კაპიტალის ბატონობის განთავისუფლება კაპიტალის უღლისაგან, და მეორეს მხრით— კლასიურად შეგნებული პროლეტარები გამოელენ და შეუძლიათ გამოვიდენ გაყვლეფილთა დიდი უმრავლესობის ბელადებათ.

ევროპაში ამ ჟამად არსებულმა სამარისებურმა სიჩუმემ ჩვენ ვერ უნდა შეგვაშინოს. ევროპა რევოლიუციით ფეხმძიმეა. იმპერიალისტური ომის უდიდესი საშინელებანი და საზღაპრო სიძვირე ყველგან ჰქმნიან რევოლიუციონურ განწყობილებას და ბურჟუაზიის გაბატონებული კლასები და მათი ნოქრები—მთავრობები—სულ უფრო და უფრო ჩიხში ექცევიან, საიდანაც უდიდესი შერყევის მოუხდენლად ისინი საერთოდ გამოსავალს ვერ ჰპოვებენ.

როგორც რუსეთში 1905 წელს პროლეტარიატის ხელმძღვანელობით დაიწყო სახალხო აჯანყება მეფის მთავრობის წინააღმდეგ დემოკრატიული რესპუბლიკის მოსაპოვებლათ, ისე ახლო წლებში, სწორედ მტაცებლური ომი ევროპას მიიყვანს პროლეტარიატის ხელმძღვანელობით ფინანსიური კაპიტალის ხელისუფლების, მსხვილი კაპიტალის და ბანკირების წინააღმდეგ და ეს შერყევა ისე არ დამთავრდება, თუ არ ბურჟუაზიის ექსპროპრიაციით და სოციალიზმის გამარჯვებით.

ჩვენ, მოხუცებულები, შეიძლება ვეღარ მოვესწროთ ამ მომავალ რევოლიუციის გადამწყვეტ ბრძოლებს. მაგრამ, ვფიქრობ, შემიძლია ღრმა რწმენით გამოვსთქვა იმედი, რომ ახალგაზრდობას, რომელიც ასე კარგათ მუშაობს შვეიცარიის და მთელი ქვეყნის სოციალისტურ მოძრაობაში, მას ბედნიერება ეწევა არა თუ იბრძოლოს, არამედ—გაიმარჯვოს მომავალ პროლეტარულ რევოლიუციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის *)

(იხ. რევ. მატ. № 1 (II) 1925 წ.)

პარტიის ბეჭდვითი ორგანოები

გაზეთი „ისკრა“ და „რაბოჩეე დელო“ რუსეთში, „კვალი“ და „ბრძოლა“—საქართველოში.

1899—900 წლებში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია საკმაოთ გაიზარდა, განვითარდა, განმტკიცდა.

აქა-იქ, დიდ სამრეწველო ქალაქებში, პარტიის ორგანიზაციებს მოეპოვებოდა ამ ხანებში ყოველდღიური თუ კვირეული ბეჭდვითი ორგანოები, მაგრამ არც ერთი ამ ორგანოთაგანი არ იდგა თავის მოწოდების შესაფერ სიმაღლეზე; სუსტნი იყვნენ ესენი, დაშორებული იყვენ პრაქტიკულად მომქმედ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს; ე. ი. ეს ბეჭდვითი სოციალდემოკრატიული ორგანოები არ აძლევდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციებს იმ პრაქტიკულ და თეორიულ **) საკითხებს, რაც მათ ესაჭიროებოდათ, რაც მათ გამოადგებოდათ სახელმძღვანელოთ უკვე გაჩაღებულ რევოლიუციონურ მოძრაობისათვის. მარქსისტულ-რევოლიუციონურ მოძღვრებაზე დამყარებულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს ესაჭიროებოდათ რევოლიუციონური მოძრაობის ხელმძღვანელი, ერთი მთლიანი, რკინის დისციპლინაში ჩამოსხმული, ძლიერი პროლეტარული პარტია, სწორი ტაქტიკისა და მტკიცე პოლიტიკის მატარებელი, რომელიც

*) ამხ. ს. თალაკვაძის ნაშრომიდან—„საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის“, სხვა თავები არ დაიბეჭდება, რადგანაც ეს შრომა ახლო ხანში გამოვა ცალკე წიგნად. რ ე დ.

**) „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის გამოცემები საზღვარგარეთიდან აღწევდა რუსეთის ქალაქებში და თეორიულ სიმშილს სოციალ-დემოკრატიულ პარტიისას რამოდენიმეთ ანელებდა, მაგრამ ორგანიზაციის შეკვნისათვის, პარტიის გაზრდა-განმტკიცებისა და მისი საქმიანობისათვის პრაქტიკული მითითების მხრივ მას თითქმის არაფერი გაუკეთებია; ამ გამოცემებში მოთავსებული მეცნიერულ-საპოლემიკო ხასიათის თეორიული წერილები მიმართული იყო მარტოდ და მხოლოდ ნაროდნიკების წერილ-ბურჟუაზიული მოძღვრების წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ამოძრავებულ, რევოლიუციისათვის მოწოდებულ ფართო მშრომელ მასსებს მებრძოლთა რიგებში ჩაყენებდა და წინ, უკეთესი მომავლისაკენ წასასვლელ რევოლიუციონურ გზას უჩვენებდა.

ეს ყველაფერი შესრულებული იქნა 1900 წლის მიწურულში. ლენინის ინიციატივით ამ წლის ბოლოს საზღვარგარეთ დაარსდა „ისკრის“ ჯგუფი, რომელმაც 1900 წლის დეკემბრიდანვე იწყო გამოცემა თავისი ბეჭდვითი ორგანოსი გაზეთ „ისკრა“-ს სახელწოდებით.

„ისკრა“-ს სარედაქციო კოლეგიაში შედიოდენ: ნ. ლენინი, მარტოვი, პლეხანოვი, ვ. ზასულიჩი, პოტრესოვი და აქსელროდი,— შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის *) თითქმის მთელი შემადგენლობა.

გაზეთ „ისკრა“-ს პირდაპირი დანიშნულება და მიზანი იყო, ზრდა-განვითარების პროცესში მყოფ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისთვის პოლიტიკური და იდეური ხელმძღვანელობის გაწევა, ორგანიზაციებში დაბადებულ გაურკვეველ თეორიულ და პრაქტიკულ კითხვების გადაჭრა, სოციალ-დემოკრატიის რევოლიუციონური ორგანიზაციების შენება და განმტკიცება და, ბოლოს, ბრძოლა, შეურიგებელი ბრძოლის წარმოება „ეკონომისტებთან“ და მომზადება მომავალი პარტიის მეორე ყრილობისა.

როგორც „ისკრა“-ს დაარსების ინიციატორი, ისე მისი იდეური ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი,—რაც შემდეგ აშკარა გახდა ყველასათვის და აღნიშნეს კიდეც ეს მისმა ყოფილმა ამხანაგებმაც, იყო ნ. ლენინი.

„ისკრა“-ში მთლიანად იყო გადმოშლილი **ლენინის** მოუსვენარი, მტრებთან შეურიგებელი, მებრძოლი, აღსავსე რევოლიუციონური სული. და აქ აღსანიშნავია განსაკუთრებით ის, რომ „ისკრა“-ს სარედაქციო კოლეგიაში სხვა არა ნაკლები **ტიტანი** სოციალ-დემოკრატებიც შედიოდენ ლენინთან ერთად, მაგრამ მიუხედავათ ამისა ლენინის ძლიერი ნება და ხასიათი ისე იყო გამეფებული რედაქციაში, რომ „ისკრა“-ს მოწინააღმდეგეები „ისკრა“-ს ლენინის გაზეთს, ლენინის საკუთარ ორგანოს ეძახდენ.

*) უნდა ითქვას, რომ ესენი, ე. წ. **„მოხუცებულები“** მაინცადამაინც ხალისით არ გეიდებოდენ „ისკრა“-ს დაარსებას, დიდ იმედებს არ ამყარებდენ პირველ ხანებში გაზეთ „ისკრა“-ზე, თუმცა პრინციპიალურად წინააღმდეგნი არ იყვნენ და სარედაქციო კოლეგიაში შესვლაზე მათ უარი არ უთქვამთ.

გაზეთ „ისკრა“-ს მთლიანათ **ლენინის ძლიერი ხელი** დასტყობოდა.

ამ ხანებში დაარსდა აგრეთვე „ეკონომისტების“ საკუთარი ბეჭდვითი ორგანო—„რაბოჩეე დელო“-ს სახელწოდებით, რომელიც უპირისპირდებოდა „ისკრა“-ს და მთელ თავის ენერგიას ანდომებდა იმას, რომ პარტიაში და პარტიის გარეთ მუშათა მოძრაობიდან გაედევნა „პოლიტიციზმი“, რევოლიუციონური სული.

ეს ბრძოლა „ისკრის“ და „რაბოჩეე დელოს“ მომხრეებს შორის ანუ „პოლიტიკისტებსა“ და „ეკონომისტებს“ შორის ყველაზე მეტად გაძლიერდა და გამწვავდა ამ ხანებში ე. ი. 1899—1900 წლებიდან.

„რაბოჩეე დელო“-ს იდეური და უმთავრესი ხელმძღვანელი იყო **მარტინოვი**. ყველა სერიოზული და პრინციპიალური ხასიათის წერილები „ისკრის“ პოლიტიკურ მიმართულების წინააღმდეგ დაბეჭდილი „რაბოჩეე დელოში“, ეკუთვნოდა მარტინოვს, ისე, როგორც „რაბოჩეე დელოს“ ეკონომისტურ-ევოლიუციონური მიმართულების წინააღმდეგ დაწერილი სტატიები „ისკრა“-ში ეკუთვნოდა **ნ. ლენინის** კალამს.

„ეკონომიზმის“ თეორეტიკოსი, ამ ჯგუფის სულის ჩამდგმელი და ხორცის შემსხმელი სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციებში იყო მარტინოვი *), ხოლო მისი მოპირდაპირე „პოლიტიცისტი“, „ეკონომიზმის“ შეურიგებელი მტერი, პარტიაში და პარტიის გარეთ **რევოლიუციონური პოლიტიკის** გამტარებელი, მისი თეორეტიკოსი და

*) მარტინოვმა ეხლა, როცა მრავალი რევოლიუციონური წლების შემდეგ,—როცა ოქტომბრის დიდმა პროლეტარულმა რევოლიუციამ მსში გამოიწვია ძველი პარტიული ხაზის გადაფასება, უარი სთქვა ამ პარტიაზე და კომუნისტი გახდა. ამას უარყოფს თავის ცნობილებულ მოგონებებში („კრასნაია ნოვა“). იქ მარტინოვი ამბობს, რომ იგი შეცდომით იქნა მოწონაღმდეგეების მიერ ჩათვლილი „ეკონომისტების“ რიცხვში და კიდევ მეტი,—მის ლიდერადაც მონათლული. მაგრამ მიუხედავად ამისა,—ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ეს არსებითად არ სცვლის მარტინოვის მიერ შესრულებულ როლს წარსულში, „ეკონომიზმის“ წარმოშობა-განვითარებაში მარტინოვი თავის ისტორიულ მოგონებებში დასძენს „ეკონომისტების“ რიგებში მოქცეული მე, ნამდვილი „პოლიტიცისტი“ ვიყავიო... რევოლიუციის ისტორიამ უკვე დაგვანახა, რომ „ეკონომიზმის“ შემდეგი განვითარებით წარმოშობილი მენშევიზმი ბურჟუაზიასთან, პროლეტარიატის კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში იყო ლმობიერი, არა „პოლიტიკი“, არა რევოლიუციონერი, თორემ მუშათა კლასთან, პროლეტარულ პარტიასთან და მის ამოცანებთან ბრძოლაში ხომ ნამდვილი „პოლიტიცისტი“ და თავგანწირული მებრძოლიც გამოდგენ! ამჟ. მარტინოვის შტიცეებას, რომ იგი „ეკონომისტების“ რიგებში ნამდვილი „პოლიტიცისტი“ იყო,—მხოლოდ ეს აზრი და მნიშვნელობა აქვს და არა სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაქტიკოსი, „ეკონომიზმის“ მრღვეველ ბაცილებთან საბრძოლველად მოწოდებული,—რკინის ენერგიით, ფოლადის ნებით და სიმტკიცით შეიარაღებული მებრძოლი იყო **ნ. ლენინი**.—მეოცე საუკუნის ეს მსოფლიო გენიოსი.

ამრიგად, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში წარმოიშვა და 1900—1901 წლებში უკვე მომწიფდა, ჩამოყალიბდა, ორი ერთი მეორის მოპირდაპირე გარკვეული ჯგუფი, ეგრეთ წოდებული „ისკრელებისა“ და „რაბოჩეე დელოელებისა“, ესენი სოციალდემოკრატიული პარტიის საქმიანობის პირველ პერიოდში ცდილობდენ შემოეკრიბათ ცალ-ცალკე თავიანთ ირგვლივ რაც შეიძლება მეტი ნაწილი მუშათა კლასისა და მის თანამგრძნობ ყველა რევოლიუციონურ ელემენტებისა. ხოლო მოქმედების დროს, პარტიის ორგანიზაციულ საქმიანობის პროცესში ეს უთანხმოება, ჯგუფთა შეხლა-შემოხლა, კიდევ უფრო ძლიერდებოდა და ღრმავდებოდა *).

ასეთი იყო „ისკრასა“ და „რაბოჩეე დელოს“ მიერ შესრულებული როლი ჩვენი პარტიის ისტორიაში.

დაახლოებით ასეთი როლი ითამაშა საქართველოში გაზეთმა „კვალმა“ და „ბრძოლამ“ **).

გაზეთ „კვალის“ სულის ჩამდგმელი და მთავარი ხელმძღვანელი იყო ნ. ჯორდანია.

გაზეთი „კვალი“ 1898—99 წლიდან იყო ერთად-ერთი ლეგალური მარქსისტული ქართული ბეჭდვითი ორგანო.

„კვალის“ პროგრამა იხატებოდა იმაში, რომ აშკარად ადგა მარქსისტულ **მიმართულებას**, **ეფარებოდა** მარქსიზმის დროშას; მაგრამ გადაჭრილ რევოლიუციონურ ნაბიჯებზე არ ლაპარაკობდა, ორგანიზაციის რევოლიუციონურ პოლიტიკურს საკითხებს არ აყენებდა, პროლეტარიატის კლასობრივ-შეურიგებელ ბრძოლას არ სვამდა ლოზუნგათ,—კმაყოფილდებოდა მარტოთ და მხოლოდ, მარქსისტული ხასიათის თეორიულ და პუბლიცისტურ წერილების ბეჭდვით; საქართვე-

---

*) 1901 წელს, ციხევის პარტიულ თათბირზე მიღწეულ შეთანხმებას „ისკრელებსა“ და „რაბოჩეე დელოელებს“-ს არსებითად არაფერი არ შეუცვლია; ბრძოლა ორ მიმართულებათა შორის წინანდებურათ გრძელდებოდა.

**) გაზეთი „ბრძოლა“ იყო „ისკრა“-ს ტიპის, მთლიანად მისი პროგრამის გამხიარებელი, ხოლო „კვალი“ იყო ლეგალური მარქსისტული ორგანო გაზ. „ნოვოე სლოვოს“ ტიპისა, მაგრამ რამდენად „კვალს“ ხელმძღვანელობდა უმთავრესად ოპორტიუნისტი ჯორდანია, იმდენად ის ინიარებდა არალეგარულ გაზეთ „რაბოჩეე დელოს“ ეკონომიზმის პრინციპებს. ამიტომ „კვალი“ სულიერად ოპორტიუნისტული გაზეთ „რაბოჩეე დელოს“ მონათესავე იყო.

ლოსა და რუსეთის ეკონომიურ საკითხებს მარქსისტულ—აკადემიური თვალსაზრისით აშუქებდა. უმეტესად ადგილი ჰქონდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე წერას, მის კულტურულ აღორძინებაზე ლაპარაკს მარქსისტული გაშუქებით, მარქსისტულ —მატერიალისტური მიდგომით.

რედაქტორ ნოე ჟორდანიას ხელმოწერილი წერილები მიმართული იყო ილია ჭავჭავაძის შოვინისტურ-ნაციონალისტურ გაზეთის „ივერიის" წინააღმდეგ მხოლოდ; ნოე ჟორდანია თავის „კვალში" მარქსისტული მოძღვრებით გალესილ იარაღს სცვეთდა, ბლაგვავდა მარტოთ და მხოლოდ ქართველ ნაციონალ-შოვინისტებთან ბრძოლის და პრინციპიალური დავაში; ამის გარეშე მას და მის „კვალს" თითქო არ აინტერესებდა არაფერი; გაზეთი „კვალი" და მისი პასუხისმგებელი რედაქტორი ნ. ჟორდანია რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიის სხვა კიდეც უფრო მნიშვნელოვან მოვალეობას თითქო ვერ ხედავდა, არ უნდოდა დაენახა*).

იშვიათი იყო წერილი მუშათა საკითხის შესახებ, პროლეტარიატის დღიურ ჭირ-ვარამზე გაზეთ „კვალში"; „კვალი" მომქმედ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის რევოლიუციონურ ორგანიზაციას ბრძოლის პოლიტიკურ და ტაქტიკურ კითხვებში არ ჰმატებდა, არ აძლევდა არაფერს. აუცილებლათ საჭირო ხდებოდა ისევ არალეგალური ფურცლები, არალეგალური გაზეთი თუ ლიტერატურული გამოცემები,—სადაც მუშების ეკონომიური და პოლიტიკური ყოფა-ცხოვრება იქნებოდა გაშუქებული, კაპიტალის მიერ დაჩაგრული, მქონებელ კლასისაგან გაყვლეფილ მუშების ჭირ-ვარამი იქნებოდა მოთხრობილი მიუკიბ-მოუკიბველად, აშკარად; სადაც რევოლიუციონურ მუშაობის გაღრმავებაზე და რევოლიუციონურ ნაბიჯების გადადგმაზე იქნებოდა ლაპარაკი, რჩევა, მითითება.

გაზეთ „კვალისა" და მის იდეურ ხელმძღვანელის პროგრამაში არც ერთი ეს ზემოთ ჩამოთვლილი, ეკონომიურ-კლასობრივი პოლიტიკური ხასიათის კითხვების გაზეთის ფურცლებზე გადმოღება და თვით მუშებისავე ჩარევით გადაჭრა არ შედიოდა...

---

*) გაზეთ „კვალთან" იყო მცირე ჯგუფი „კვალის" თანამშრომელ ინტელიგენტებისა ფ. მახარაძე, რ. კალაძე, ლადო კეცხოველი და სხვები, (მისა ცხაკაია ამ ხანებში არ იმყოფებოდა საქართველოში), რომელიც არ იზიარებდა „კვალის" აღებულ ლიბერალურ ბაზს და არარევოლიუციონურ ტონს; ამ ჯგუფის შემწეობით, კიდევ, როგორც იყო, ხანგამოშვებით ადგილი ეთმობოდა „კვალში" მუშათა წერილებს, ირჩეოდა მუშათა რევოლიუციონური საკითხები.

„კვალის“ ხელმძღვანელმა **ნ. ჟორდანიამ** 1900 წელს თავის გრძელ წერილებში პრესის შესახებ დაახლოვებით ასე შეაფასა „რევოლიუციონური“ ძალები საქართველოში: ქართველი ერი უკანასკნელ 10-15 წლის განმავლობაში დადგა განვითარების ახალ გზაზე; ეს გზა ითრევს ქართველებს თანამედროვე მოქალაქეობაში; მოქალაქეობაზე არის დამყარებული დღევანდელი ცხოვრება. გაქალაქებული, გაკულტუროსნებული საქართველო თავდებია ჩვენი მერმისის. თანამედროვე ცხოვრებამ ქართველობა ორ ნაწილად დაჰყო; ერთია მოქალაქეობის გაკულტუროსნების გზაზე შემდგარი,—ე. ი. სწავლა-განათლება მიღებული ინტელიგენტები, აღებ-მიცემის მცოდნე ვაჭრები, მსხვილი და წვრილი ხელოსნები და შავი მუშები*), რომლებიც თავიანთი შრომით და ჰკუა-გონებით ირჩენენ თავს; მეორეა ჩამორჩენილნი, ფეოდალური ცხოვრების გავლენისაგან ჯერ კიდევ გაუნთავისუფლებელნი, აზარმაცული, პატრიარქალური ბნელი ცხოვრების მომდევრენი. პირველნი,—ეს ახალი საზოგადოებაა, ახალი ხალხია. პრესა, ლიტერატურა და მწერლობაც მათი მიდრეკილების გამომხატველი უნდა იყოსო,—დაასკვნიდა ნ. ჟორდანია... და ეს გახადა მან პროგრამათ თავის მთავარ რედაქტორობით გამოცემულ გაზეთ „კვალი“-სთვისაც.

აქედან ცხადია ეხლა, თუ სად, საზოგადოების რომელ ელემენტებში ხედავდა ნ. ჟორდანია „რევოლიუციის“ მამოძრავებელ, ანუ მისი ფრთხილი გამოთქმით, არა რევოლიუციონურ ენაზე რომ ვთქვათ,—ქვეყნის განმაახლებელ, პროგრესისაკენ მავალ ძალებს, და რაში უნდა გამოხატულიყო მისი აზრით აქ, საქართველოში, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოვალეობა-საქმიანობა. აქ უკვე სჩანს აშკარათ, თუ რამდენათ დაშორებული იყო გაზეთი „კვალი“ მუშათა კლასთან, მის შემომქმედ პროლეტარულ-რევოლიუციონურ ორგანიზაციასთან და ახლო იდგა ოპორტიუნისტ-ეკონომისტებთან“. ნ. ჟორდანიასთვის არ არსებობდა იმ ჟამათ**) მუშათა კლასი, რომელზედაც შესაძლებელი ყოფილიყო დამყარება და „ქვეყნის განახლებისათვის“ რევოლიუციონური ნაბიჯების გადადგმა; და იგი ამ „განახლებისათვის“ არც კი სცნობდა **რევოლიუციონერობას**: „ქვეყნის განახლებისათვის“ სულაც

*) მუშათა კლასზე, პროლეტარიატზე, ფაბრიკა-ქარხნებში ჩაბმულ მრავალრიცხოვან სამრეწველო მუშებზე არაფერს არ ამბობდა, მათ არც სცნობდა ნოე ჟორდანია.

**) როგორც ეს დავუვანახ პარტიისა და რევოლიუციის ისტორიამ, არც შემდეგ უმტრესია თავი ნ. ჟორდანიას მაინცადამაინც მუშათა კლასის არსებობაებდისათვის.

უარეყო ბრძოლის კლასობრივ-რევოლიუციონური მეთოდები და მიეღო არარევოლიუციონური, არა კლასობრივი,—**ევოლიუციონური ბრძოლის მეთოდები**. ეს კი იყო რევოლიუციონური პროლეტარიატის ენაზე ოპორტიუნიზმი,—მუშათა კლასის რევოლიუციონერობის, მშრომელი კლასის წარსამატებლად და გასამარჯვებლად მიმართული რევოლიუციონური ნაბიჯების უარმყოფელი, მისი ზედმეტათ მთელელი და სხვა.

ეს ყალბი მარქსისტულ-რევოლიუციონური პოზიცია ნ. ჯორდანიასი, რევოლიუციონურ მოძრაობისათვის არაფრის არ შემშატი, პირიქით, ენების მიმყენებელი ნაკლი გაზეთ „კვალისა“ არ შეიძლებოდა არ შეემჩნია, არ დაენახა რევოლიუციონურ ორგანიზაციებში ჩაბმულ ტფილისის პროლეტარიატს; და აი, ამ პროლეტარიატმა გამოხატა თავისი უკმაყოფილება გაზეთ „კვალისადმი“: ტფილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის სახით წარმოდგენილმა პროლეტარიატმა გაზეთი „კვალი“ არ ჩასთვალა **მუშათა ორგანოდ**.

უმეტესად მუშებისაგან შემდგარ ტფილისის ორგანიზაციაში და მის ირგვლივ შემოკრებილ ფაბრიკა-ქარხნებში ჩაბმულ სამრეწველო მუშებში ოპორტიუნიზმი, „ეკონომიზმის“ მსგავსი რამ ფეხს ვერ იკიდებდა; ტფილისის ახალგაზრდა მუშათა კლასი უაღრესად **პოლიტიკური**—რევოლიუციონური იყო და სოციალ-დემოკრატიულ ფირმის ქვეშ გამოცემული ლებერალურ-მარქსისტულ გაზეთ „კვალის“ შესახებ ასე აყენებდა კითვას *): „1) არის თუ არა საერთოდ გაზეთი „კვალი“ მუშათა მოძრაობის ბეჭდვითი ორგანო, 2) შეუძლია თუ არა მას ლეგალურათ მუშათა საკითხი გაარკვიოს და 3) შეუძლია მას იყოს პირდაპირი რევოლიუციონური ბრძოლის ორგანო თუ არა“?

ტფილისის ორგანიზაცია ამაზე ასე უპასუხებდა: „1) საერთოდ გაზეთი „კვალი“ შეიძლება მუშათა მოძრაობის თეორეტიულ ორგანოდ ჩაითვალოს, მაგრამ 2) ის ვერ შესძლებს, რაკი ლეგალური ორგანოა, მუშათა საკითხი ჯეროვნად გაარკვიოს და 3) მით უფრო **ვერ შესძლებს მუშათა რევოლიუციონურ** ორგანოთ გახდეს“.

რეზოლიუცია, ორგანიზაციის მიერ გამოტანილი ამის შესახებ, ერთობ კომპრომისული იყო და ნაკლებად გამოხატავდა ორგანიზაციის წევრების ნამდვილ შეხედულებას, მათ სულიერ განწყობილებას გაზეთ „კვალისადმი“.

*) იხილეთ ამზ. რაჟდენ კალაძის ისტორიული წერილები ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე“-ში,—„მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის ისტორია“.

არ მოეპოვებოდათ რა ჯერ-ჯერობით სხვა ბეჭდვითი ორგანო მათ, ისინი იშვერდენ თავს,—არ უნდოდათ ერთად-ერთი ქართულ-მარქსისტულ გაზეთის წინააღმდეგ მკაცრ ფორმებში გამოეხატათ თავიანთი აზრი.

ტფილისის ორგანიზაციის წევრი, ხელმძღვანელი ინტელიგენტი სილიბისტრო ჯიბლაძე ამ (კომპრომისული) რეზოლიუციის წინააღმდეგიც იყო, იგი ამ საწინააღმდეგო აზრებს და შეხედულებებს მეტად გავრცელებულ ლეგალურ-მარქსისტულ ორგანოზე,—„კვალზე“ ვერ ურიგდებოდა. მას „უკვალოთ“ და **უჟორდანიოთ** სოციალისტური მოძრაობა ჩვენში ვერ წარმოედგინა,—დაასკვნის თავის ისტორიულ წერილებში ტფილისის იმ დროინდელი ორგანიზაციის წევრი, ამხ. რ. კალაძე.

ამ საკითხში მეორე უკიდურესობის წარმომადგენელი იყო ორგანიზაციაში **ლადო კეცხოველი**.

ლადო კეცხოველი, ამავე ამხ. რ. კალაძის გადმოცემით სულ ხელმძღვანელთა თვლიდა გაზეთ „კვალსა“ და თვით ნ. ჟორდანიას მწერლობასაც მუშათა მოძრაობისათვის.

იგი გადაჭრილი მომხრე იყო არალეგალურ მუშათა რევოლიუციონური პრესის, მწერლობის.

„კვალის“ გარშემო შემოკრებილ ლეგალისტ-მარქსისტ—ინტელიგენტებისა და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში ჩაბმულ რევოლიუციონურ მუშებს შორის დაბადებული ეს უთანხმოება-დავა, ჩუმი, შეუმჩნეველი ტაქტიკური და პრინციპიალური დაპირდაპირება არ ეპარებოდა „კვალის“ ხელმძღვანელ ნ. ჟორდანიას და ორგანიზაციაში გაეღენიან მომუშავეს, ჟორდანიას მათაყვანებელს სილიბისტრო ჯიბლაძეს. ისინი ხედავდენ ყოველსავე ამას; მას ვერ ხვდებოდენ და ვერ ითვალისწინებდენ მის საბედისწერო შედეგს ორგანიზაციაში ჩაბმული, პარტიულ-რევოლიუციონური საქმეებით დატვირთული და მისით გატაცებული გულუბრყვილო მუშები; მუშებთან ერთად ეს დაფარული იყო თვით „კვალისტ“-ი ინტელიგენტების შემდეგი სულიერი მონათესავის *), ორგანიზაციის წევრ-ინტელიგენტ გ. ყარაჯანიანისათვისაც (არკომედი), რომელიც თავის ისტორიულ წიგნაკში, ეხება რა ამ მომენტს „საყვედურებით“ ავსებს იმათ.

*) გ. ყარაჯანიანი (არკომედი) შემდეგში იმათთან ერთად გახდა მენშევიკი, გაიზიარა ოპორტიონისტულ-ლიბერალური შეხედულება და ხახი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

ნ. ჯორდანიამ იცოდა რა წინდაწინ ამ უთნხმოების, ამ თავის პირმშოს,—გაზეთ „კვალის“ წინააღმდეგ დაწყებულ გამოსვლების მნიშვნელობის შედეგი, დიდხანს არ დაუყოვნებია.

1900—901 წლებში ნ. ჯორდანიას გავლენის ქვეშ მოქცეულ, ტფილისის ორგანიზაციის თვალსაჩინო წევრების—სილიბისტრო ჯიბლაძის, სევერიანე ჯუღელის და ალ. შატილოვის (უველა ინტელიგენტი იყო) მეოხებით ორგანიზაციის შემადგენლობა გაიცსო *) ჯორდანიას მოშხრე, „კვალისტ“-ი--ინტელიგენტებით.

ორგანიზაციაში ეხლა სჭარბობდენ „კვალისტი“ ინტელიგენტები.

მუშები ეხლა ჩვეულებრივ გავლენას ვეღარ ახდენდენ ინტელიგენტებზე რევოლიუციონური მოძრაობის სასარგებლო პოლიტიკურ და ტაქტიკურ კითხვების გადაჭრის დროს.

ორგანიზაციის ნაბიჯებს, მის მუშაობას შემომქმედი რევოლიუციონური ხასიათი ერთმეოდა.

ორგანიზაციის წევრ მუშებს და მათ გარშემო შემოკრებილ სოციალ-დემოკრატიული წრეების წევრ მუშებს აღელვებდათ კიდევ ის გარემოება, რომ წინათ ორგანიზაციაში შემოდიოდენ მუშათა წრეების მიერ წამოყენებული მოწინავე მუშები, ხოლო ეხლა ეს ტრადიცია და პრინციპი „კვალის“ გარშემო შემოკრებილ მარქსისტ-ინტელიგენტების მიერ ფეხქვეშ იქნა გათელილი; ისინი ორგანიზაციის წევრებს მუშათა კლასის დაუკითხავად, საკუთარი გაპირებისა და შეხედულებით ნიშნავდენ თავიანთივე წრიდან. შემდეგ თუ საჭიროთ დაინახავდენ, მუშათა წრეებიდანაც თითონ წამოაყენებდენ ხოლმე თავიანთ გავლენის ქვეშ მყოფ მუშებს ორგანიზაციის წევრებად.

არკომედს (გ. ყარაჯანიანს) უკვირს **), გაუგებრათ მიაჩნია ის გარემოება, რომ მარქსისტი ინტელიგენტები ერეკებოდენ მუშებს ორ-

---

*) ფართო არჩევნები ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო პრაკტიკაში შემოღებული კონსპირაციის, ორგანიზაციის საიდუმლოთ შემონახვის მიზნით.

**) არკომედს თავის ისტორიულ წიგნაკში ერთი დიდი სიყალბე აქვს დაშვებული; იგი აღნიშნავს ტფილისის ორგანიზაციის მუშაობაში განვლილ სხვადასხვა საფეხურს. შემდეგ ეხება რა „მესამე დასის“ წარმოშობას საქართველოში,—მესამე დასის სახით წარმოდგენილ ქართველ—მარქსისტულ ჯგუფს უწოდებს რადიკალ-ნაციონალისტურს, არა მარქსისტულს; ამ ჯგუფს აწერს „ჩხენკელობის რეაქციონურ—ნაციონალისტურ“ მიდრეკილებას. უნდა შევნიშნოთ: არავითარი ჩხენკელები მაშინ ამ ჯგუფში არ იმყოფებოდენ. ლიბერალი—„მარქსისტი“ ჩხენკელი დიდი ხნის შემდეგ, 10—12 წლის შემდეგ ჩნდება, იწყებს მუშაობას, რაც გამოიხატა

განიზაციიდან, რომ მათ არ შეჰყავდა მუშები (მისი გადმოცემით ქართველი მუშები განსაკუთრებით) ორგანიზაციაში; არკომედი „ვერ ხედავდა“ მაშინ, მას და მის თანამოაზრეს ყალბი იდეური და პოლიტიკური ხაზი ნებას არ აძლევდა დაინახონ დღეს მაინც, რომ მათ — „კვალისტ“—ინტელიგენტებს ორგანიზაციაში შეჰყავდათ მარტო ინტელეგენტები და მუშებს, ქართველ მუშებს, ერეკებოდენ იმიტომ, რომ მუშებს შორის „კვალის“ მომხრე, ოპორტიონისტულ იდეით გაჟღენთილ მუშებს ვერ ჰპოულობდენ, ხოლო „კვალის“ გარშემო შემოკრებილ მარქსისტ—ინტელეგენტების ჯგუფში ასეთი არარევოლიციონერათ განწყობილი ოპორტუნისტული ელემენტი ბლომათ მოიპოვებოდა; არკომედა და მისმა თანამოაზრეებმა „ვერ შესძლეს“ დანახვა შემდეგაც კი, რომ ამას ისინი სჩადიოდენ შეგნებულათ, სრუ-

---

მარტო მწერლობაში; მაგრამ მისი პირადი გავლენის ქვეშ არც ერთი ინტელიგენტი არ ყოფილა შემდგომ. „დასელთა“ ჯგუფი, საერთოდ ალებული, ნაციონალისტური მიუკერძოებლობის გზას არ ადგა; ეს ჯგუფი იყო მაშინდელ საქართველოს პირობებში წარმოშობილი მარქსისტულ—ინტერნაციონალისტური, რომელიც იკრებდა თავის გარშემო ყველა საღ პროგრესიულ ქართველ ელემენტს და უპირისპირდებოდა ერთი პროგრესისული, განმაახლებელი კლასობრივი ფრონტით ილია ჭავჭავაძისა და სხვების რეაქციონურ—ნაციონალისტურ და შოვინისტურ ფრონტს. ის, რასაც არკომედი აწერს მესამე დასს, ამტკიცებს არკომედის მიერ სრულებით არ ცოდნას „მესამე დასის“ მოღვაწეობისას. რომ ასეთი რამ ყოფილიყო, მაშინ მისივე გადმოცემით,—ორგანიზაციაში ქართველ მუშებს კი არ დაუწყებდენ დევნას ისინი, არამედ გარეკდენ, არ შეუშვებდენ შიგ სომხებს და რუსებს; მაგრამ როგორც თვით არკომედი მოგვითხრობს, თავის წიგნში, მოხდა სრულებით წინააღმდეგი,—სომხები და რუსი მუშები შემოეწვეს ორგანიზაციაში, ქართველი მუშები კი არა. სხვა მრავალი ფაქტიც მოიპოვება იმის დამამტკიცებელი, რომ ტფილისის ორგანიზაცია და მასთან იდეურათ დაკავშირებული ეს „დასი“ საერთოდ თავიდან ბატარებდენ ინტერაციონალური ხასიათის მუშაობას, იდგენ ინტერაციონალურ,—ტფილისში თავმოყრილ ეროვნებათა მშრომელ ნაწილთან მჭიდრო დამოკიდებულება-თანამშრომლობის საფუძველზე, საქმით ადასტურებდა მათთან სოლიდარობას. ეს ფაქტები თვით არკომედსაც აქვს აღნიშნული თავის წიგნაკში, მაგ. როცა ორგანიზაცია არალეგალური ფურცლის დაბეჭდვას, რომელიც რუსულ-ჯარ, თულად გამოიცა, შეეცადა სომხურადაც, ვერ მოახერხა, ვერ იშოვა მან სოციალ-დემოკრატიულ წრეში სომეხი ასოთ-ამწყობი. იყო შემთხვევა, როცა ამის გამო თვით ქართველი მუშები ცდილან სომხურ ასოთ-ამწყობის შესწავლას, მაგრამ აქედან არაფერი გამომდნარა. თუ დღეს მენშევიკები გადაიქცნენ ნაციონალისტებად, შოვინისტებად, ინტერნაციონალურ მუშათა კლასის დაუნდობელ მტრებად, ეს მენშევიზმის ბუნებაა; ამას, ცხადია, არც არკომედს ეწყინება და იგიც ახლო იქნება ალბათ ქართველ მენშევიკების მსგავს დამნაშავეებთან, მით უფრო მეტი გვაქვს საბუთი ვიფიქროთ ეს, რომ ვიცით არკომედს წარსულთან არ გაუწყვეტია კავშირი, არ შემოსულა ჩვენს კომუნისტურ პარტიაში, რომელიც გაბურებული შანთით სწვავს შოვინიზმს, სპობს ერთა შორის ანტაგონიზმის მიზეზს.

ლებით გარკვეულათ, პრინციპიალურისა და პოლიტიკურის მოსაზრებით. ჯორდანია—ჯიბლაძეს უნდოდათ მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზაცია გაეყვსოთ „კვალის“ მომხრე ოპორტიუნისტული ელემენტებით იმიტომ, რომ მარქსისტული მიმართულების ლეგალურ გაზეთ „კვალის“ გამოცემა არ შეფერხებულიყო, რომ იგი მიზნეული ყოფილიყო ორგანიზაციის პოლიტიკურ და იდეურ ორგანოდ

ეს „ინტელიგენტური“ ორგანიზაცია, მისი მუშაობა, არა რევოლიუციონური მეთოდი შემდეგ და შემდეგ უფრო მეტ გავლენას ახდენდა მუშებზე; „მუშათა ორგანიზაციად“ წოდებული, მაგრამ ნამდვილათ ინტელიგენტური ორგანიზაცია, იგი თანდათან იქცეოდა თავის გავლენის ქვეშ რევოლიუციონური წარსულით უფრო ახალგაზრდა მუშებს და ამით ორგანიზაციის შემადგენლობაშიც ჩნდებოდენ „კვალისტა“, ოპორტიუნისტი მუშები.

აჰ ხანებში იშვიათი იყო არალეგალური ფურცლები; თუ მოეგლინებოდა ასეთი ფურცელი მუშებს ხაჭრო ჩოდრიშვილისა, მიხო პოჭორიძისა და სხვების წყალობით, რომელნიც სეპარატიულათ, ორგანიზაციის სანქციის გარეშე ახერხებდენ მის გამოცემას; ორგანიზაციის მიერ არალეგალურ ბეჭდვითი ორგანოს გამოცემას ხომ სრულებით არ ჰქონდა ადგილი, ისეთ ორგანოს, რომელიც ლეგალურ „კვალზე“ უფრო ნათლად და გარკვევით გააშუქებდა მუშათა საკითხებს, რევოლიუციონური მარქსიზმის გზას.

ტფილისის ეს ორგანიზაცია კმაყოფილდებოდა მარტოდ და მხოლოდ თავის ლეგალური გაზეთით „კვალით“.

ხოლო იმას, თუ როგორი რევოლიუციონური იყო „კვალი“, თუ რამდენათ შეეძლო მას დაეკმაყოფილებინა თავისი კლასობრივი ინტერესებისთვის მებრძოლი მუშები, მიეცა მათთვის საკვები იდეური და პოლიტიკური ცხოვრების სფეროში, დავინახავთ ქვეით.

1901 წელს ნ. ჯორდანია ათავსებს რა „კვალში“, (№ 3) პირველ გვერდზე ინგლისის გარდაცვალებული დედოფლის **ვიქტორიას** სურათს, პირველ გვერდზევე, მის შესახებ დაწერილ თავის სტატიის ბოლოში ამბობს:

„ვიქტორიას მეფობაში ინგლისი გამძლავრდა ყოველმხრივ — ეკონომიურად, ფინანსიურად, პოლიტიკურად, სოციალურად და სხვა. ასეთ შინაგან გაძლიერებას თან მოჰყვა გარეგანი გაძლიერებაც. სიერცე ინგლისის სამფლობელოსი ერთი ორად და ერთი სამად გაუართოვდა; ამასთანავე ის გაბატონდა ზღვებზე და უძლიერესი საომარი ხომალდები შეიძინა, ერთი სიტყვით, უკანასკნელ 60 წელს ინგლისის შინაგანი და გარეგანი განვითარება უმაღლეს წერტილამდე მივიდა.

„და აი, ვისი მფარველობის ქვეშაც ეს ყოველივე მოხდა, იგი დღეს აღარ არის! დედოფლის გარდაცვალებას ღრმად იგლოვს მთელი ინგლისი და ეს იქნება ნამდვილი გლოვა ხალხისა".

აქ კომენტარები მეტია.

ასეთი იყო გაზეთი „კვალი", ამას სწერდა მისი ხელმძღვანელი ნ. ჯორდანია მაშინ, როცა საქართველოში ღრმავდებოდა, ფართოვდებოდა რევოლიუციონური მოძრაობა, როდესაც პარტიულ ორგანიზაციებს მარტო ეს სარევოლიუციო საქმეები უნდა ეკეთებინათ, მათზე უნდა ეწერათ და ელაპარაკათ.

„კვალის" ასეთი საქმიანობა არ ეპარებოდა რევოლიუციონურ შუშებს და ინტელიგენციას.

ორგანიზაციის გარეთ თუ ორგანიზაციის შიგნით უმცირესობაში დარჩენილი ძველი, შეგნებული რევოლიუციონური სულით აღსავსე, გამოცდილი ორგანიზატორები დროებით ურიგდებოდენ ამ გარემოებას და მუშაობას მაინც არ სწყვეტდენ, პირიქით, განაგრძობდენ შესაძლებლობის საზღვრებში ჩვეულ პარტიულ-რევოლიუციონურ საქმიანობას *).

მოუსვენარი რევოლიუციონერი ლადო კეცხოველი ამ ხანებში უკვე ბაქოში იყო და ეწეოდა მუშაობას ბაქოს სამრეწველო რაიონში,—ახალგაზრდა, მაგრამ მრავალრიცხოვან პროლეტარიატთან **).

ტფილისის ორგანიზაციის ამ შემადგენლობამ დიდ ხანს ვერ გასტანა...

სოც. დემოკრ. მუშათა წრეები ფაბრიკა-ქარხნებში და სხვა საწარმოო დაწესებულებებში გამრავლდენ; რევოლიუციონური ცეცხლით აღვსებულმა მუშათა მასამ იწყო ზრდა.

მათი რევოლიუციონურ-კლასობრივი მოთხოვნილებები განვითარდა...

ამ მუშათა მასაში მომუშაე, შეგნებულთ, პოლიტიკურათ მომწიფებულ ძველ მუშებს ეს უსაცოცხლო „ლეგალური" ჩარჩოები ინტელიგენტების ორგანიზაციონულ ჰუშაობისა ეხლა უფრო ნაკლებათ აკმაყოფილებდათ.

---

*) ბევრს მათგანს როგორც შემჩნეულ პირებს ჟანდარმერიაც სდევნიდა. ამიტომ იძულებული ხდებოდენ სრულებით მოშორებოდენ ტფილისს და სხვა ქალაქებისთვის,—ბაქოსა და ბათუმისთვის შეეფარებინათ თავი. ეს იყო ერთი მიზეზთაგანი ლადო კეცხოველის ბაქოში გადასახლებისა 1899 წლის ბოლო ხანებში.

**) ლადო კეცხოველის ბაქოში წასვლის მიზეზი რამდენიმეთ ისიც იყო, რომ ის ვერ შეურიგდა ორგანიზაციაში გაძლიერებულ ჯორდანია—ჯიბლაძის ოპორტიუნისტულ სულს.

... და აი, ამ მოწინავე ძველი მუშების—ზაქრო ჩოდრიშვილის, არაქელა ოქუაშვილის, მიხო ბოჟორიძის, გიორგი ჩხეიძისა *) და სხვების ინიციატივით, 1901 წლის მიწურულში, ოქტომბერ-ნოემბერში შესდგა ფაბრიკა-ქარხნებში ჩაბმულ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა წრეების ფართო წარმომადგენელთა არალეგალური კრება ანუ კონფერენცია.

კრება მოხდა ტფილისის მესამე რაიონში, ავლაბარში.

ამ კონფერენციის ინიციატორთა მიზანი იყო, აერჩიათ პირველათ შინა-პარტიული დემოკრატიული პრინციპით ტფილისის კომიტეტის წევრები **) იმ პირობით, რომ ინტელიგენტები, რაც შეიძლებოდა ნაკლები მომხდარიყვენ შიგ.

ასეც მოხდა. არჩეულ კომიტეტში შევიდენ: ზაქრო ჩოდრიშვილი, მიხო ბოჟორიძე, არაქელა ოქუაშვილი, გიორგი ჩხეიძე, ვასო ცაბაძე, კალისტრატე გოგუა, ქეშიშიანცი (ეხლა ვაჭარია), გეურჭა ყარაჯიანი (არკომედი), სევერიანე ჯუღელი და სტაროსენკო.

ამრიგათ, არჩეულ კომიტეტში ორი სამის გარდა ყველა ძველი მუშა მოხედა.

1902 წელს, თებერვალში, ნაძალადევში (ეხლა ლენინის რაიონი) ზაქრო ჩოდრიშვილის ბინაზე ეს კომიტეტი შეიპყრეს. ქეშიშიანცისა და სტაროსენკოს გარდა კომიტეტის ყველა წევრი მეტეხში ჩასვეს.

როგორც შემდეგ გამოირკვა, გამცემი აღმოჩნდა უკანასკნელი,—სტაროსენკო ***).

ამ მუშათა კომიტეტმა სულ რაღაც ორი-სამი თვე იარსება.

---

*) ვანო სტურუა, აწელ ენუქიძე და ზოგიერთი ძველი მუშა, ამ დროს ტფილისში აღარ იყო. ისინი ბაქოსა და სხვა ქალაქებში წასულიყვნენ და იქ მუშაობდენ.

**) ამ კონფერენციაზე იყვნენ ისეთებიც, რომლებიც კომიტეტის დემოკრატიული პრინციპით არჩევისათვის ჯერ კიდევ ვერ ხედავდენ პირობებს მომწიფებულად (ესენი იყვნენ: სოსო ჯუღაშვილი და ვასო ცაბაძე). მათი შეხედულებით ასეთ კომიტეტში შეუძლებელი იქნებოდა კონსპირაციის დაცვა, ორგანიზაციისა და მისი წევრების საიდუმლოთ შენახვა, მაგრამ ამ შეხედულების მომხრე კონფერენციაზე ცოტა იყო და, რა თქმა უნდა, მათი აზრი ვერ გაიდიდა.

***) ამით გამართლდა ეჭვი კონფერენციის იმ წევრ-ამხანაგებისა, რომლებიც კონსპირაციის დარღვევისა და ორგანიზაციის დაღუპვის შიშით წინააღდგენ კომიტეტის წევრების საჯარო არჩევნებს.

ტფილისის კომიტეტის აღდგენა ჩვეულებრივი კოოპტაციის საშუალებით მოუხდათ ხელუხლებლად დარჩენილ ისევ „კვალისტ“ ინტელიგენტებს *).

ამრიგად 1902 წლიდანაც „კვალისტი“ ინტელიგენტები გაბატონდენ ტფილისის ორგანიზაციაში და განაგრძობდენ თავისებურ ხელმძღვანელობას მუშათა ამოძრავებულ მასისას.

1902 წლიდან საზღვარ-გარეთ და რუსეთში მყოფ სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან უკვე მოგვარებულიყო რევოლიუციონური ლიტერატურის გადამტან-გადმომტანი ტრანსპორტი, მიმღები და გამავრცელებელი პუნქტები, რის შედეგად ბაქოში რეგულიარულად მიდიოდა პარტიის ბეჭდვითი ორგანო, გაზეთი,—„ისკრა“.

ბაქოში ამ დროს უკვე იყო მოწყობილი სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია, სადაც შედიოდენ ტფილისიდან წასული ლადო კეცხოველი, აბელ ენუქიძე, ვანო სტურუა, ვანო ბოლქვაძე, ბაქოელი ჩხუნიანცი და სხვები.

„ისკრის“ გავლენის ქვეშ მოქცეულმა, ბაქოში მყოფმა ქართველმა ამხანაგებმა, თავიანთ მიერ მოწყობილ არალეგალურ სტამბაში, ლადო კეცხოველის ინიციატივით და „ისკრის“ წარმომადგენელის—გალპერინ.ს თანახმობით ამ წელს იწყეს გამოცემა არალეგალურად ქართული ბეჭდვითი ორგანო—„ბრძოლისა“, რომელიც მთლიანად იზიარებდა „ისკრის“ ხაზს, იდგა მის პოლიტიკურ პლატფორმაზე.

„ბრძოლას“ უნდა გაეწია სამსახური ქართველ მუშებისათვის საქართველოში. ამიტომ ბაქოს ჯერ კიდევ მატერიალურად სუსტმა ორგანიზაციამ სახსარისათვის მიმართა პოლიტიკურად განწტიცებულს და ნივთიერად მასთან შედარებით უფრო მდიდარს ტფილისის კომიტეტს.

ტფილისის „კვალისტური“ კომიტეტი, ჟორდანია—ჯიბლაძის ზეგავლენით, წინააღუდგა, ლეგალური გაზეთის „კვალის“ გვერდით ასეთივე მიმართულების არალეგალურ ორგანოს გამოცემას.

ისინი ამბობდენ: უნაყოფოდ დაკარგება ორგანიზაციის კასიდან გაცემული ფული და ამასთან ერთად დაიღუპება მაზე მომუშავე პარტიული ამხანაგები, როგორც არალეგალური მუშაკები, ეს მით უფრო, რომ „კვალი“ საკმაოდ მდიდარი, კარგათ დაყენებული

*) იყო კი აგრეთვე მათი მოპირდაპირე, მათი მოწინააღმდეგე ინტელიგენტთა პატარა ჯგუფი მათ შორის,—საშა წულუკიძისა (ფ. მახარაძე არ იყო ტფილისში), კობა სტალინისა, ალიოშა ჯუღაშვილისა და სხვებისა, მაგრამ ესენი შედარებით სუსტნი იყვნენ და გეგემონიას მათ ვერ ართმევდენ.

სოც. დემოკრატიული ქართული გაზეთია და სხვა ორგანოს გამოცემას ქართულ ენაზე კიდევ საჭიროება არ მოითხოვსო,—ასკვნიდა ტფილისის ორგანიზაცია.

გამოცემის ინიციატორმა და გაზეთის მთავარმა ხელმძღვანელებმა ლადო კეცხოველმა ამით, რა თქმა უნდა, განზრახვაზე ხელი არ აიღო. იგი საკუთარი, ბაქოს ორგანიზაციის სახსარით შეუდგა „ბრძოლის“ გამოცემას.

ამის გამო ადგილი ჰქონდა სერიოზულ, პოლიტიკური ხასიათის მოლაპარაკებას ბაქოსა და ტფილისის ორგანიზაციებს შორის *).

ტფილისის კომიტეტმა სეფერიანე ჯუღელის მეთაურობით ბაქოში გაგზავნა რამდენიმე ძველი მუშა**) ლადო კეცხოველზე გავლენის მოსახდენად და „ბრძოლის“ გამოცემის ჩასაშლელად; მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. პირიქით, ტფილისიდან გაგზავნილი დელეგატი მუშები ღრმად დარწმუნდნენ იმაში, რომ საჭირო იყო არალეგალური, „ისკრის“ მსგავსი, პოლიტიკურ-რევოლიუციონური ქართული ბეჭდვითი ორგანო „ბრძოლა“, მათ იქ, ბაქოში, ლადო კეცხოველის პირით გაიგეს მთელი ნაკლულოვანება და სისუსტე მათი ლეგალური ორგანო „კვალი“-სა...

ტფილისელმა დელეგატებმა ბაქოელ ამხანაგებს აღუთქვეს კიდეც რომ ისინი თავიანთ ორგანიზაციას გააცნობდნენ ყოველსავე ამას, დაარწმუნებდნენ და დაიინტერესებდნენ მას ამ საქმეში, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ტფილისის მუშების ფართო დახმარება „ბრძოლის“ რედაქციისთვის.

ამრიგად ბაქოს ორგანიზაციამ ლადო კეცხოველის ინიციატივით და მთავარი რედაქტორობით გამოსცა „ისკრის“ ხასიათის, პარტიის არალეგალური პოლიტიკური ორგანო—„ბრძოლა“, რომელიც საქართველოში პარტიის ნამდვილ ხელმძღვანელ გაზეთად გადაიქცა, რევოლიუციონურ პარტიულ გამოცემათა შორის მან პირველი ადგილი დაიჭირა... გაზეთ „ბრძოლას“ გაფაცებებით ჰკითხულობდენ რევოლიუციონურ მოძრაობაში ჩათრეული ქართველი მუშები... არ მოი-

*) იხ. „რევოლიუციის მატიანე“-ს მეოთხე ნომერში—მოგონება ამხ. აბელ ენუქიძისა ბაქოს არალეგალური სტამბის შესახებ.

**) „პოლიტიკანობაში“ დახელოვნებულ „კვალისტ“ ინტელიგენტებს მუშები მხოლოდ ამ შემთხვევებისთვის უნდოდათ... მათ იცოდენ ვისთან ჰქონდათ საქმე: შეურიგებელ რევოლიუციონერთან—ლადო კეცხოველთან, რომელიც მთლიანად ემცარებოდა მუშებს, მათ რევოლიუციონურ ტემპერამენტს და რომელსაც არაფერი სწამდა ისეთ ოპორტიუნისტ-თეორეტიკოს ინტელიგენტების, როგორიც იყო ჯორდანია—ჯიბლაძე და მათი ამყოლები.

პოვება წარსული ბრძოლის მონაწილე არც ერთი მწერა, რომელსაც „ბრძოლა“ არ წაეკითხოს და მას არ აეწიოს მასში რევოლიუციონურ-კლასობრივი შეურიგებელი სული.

„ბრძოლამ“ *) გამოაცოცხლა ტფილისის ორგანიზაცია, მან აშკარა გაღვენა მოახდინა ტფილისის კომიტეტზე, რაც გამოიხატა იმაში, რომ იგი ავრცელებდა მას ტფილისისა და საქართველოს ყველა კუთხეში, უწევდა ყოველგვარ შემწეობა-დახმარებას „ბრძოლის“ რედაქციას.

გაზეთ „ბრძოლის“ საშუალებით გაეცნენ ტფილისის ორგანიზაცია და ქართველი მუშები გაზეთ „ისკრას“, მის პოლიტიკურ რევოლიუციონურ მუშათა პლატფორმას და უდავოთ დადგენ მისი ბრძოლის დროშის ქვეშ.

„ბრძოლას“ საქართველოში ის როლი მიეკუთვნა, რაც „ისკრას“ რუსეთში.

„ბრძოლა“ თანდათან ართმევდა ხელმძღვანელის როლს, გეგმონიას „კვალს“.

„ბრძოლის“ გვერდით „კვალი“ თანდათან სუსტდებოდა, ჰკარგაედა გავლენას მებრძოლ მუშებში...

1903 წლიდან „კვალის“ ხელმძღვანელი ნ. ჟორდანია უკვე აღარ იყო საქართველოში, მან ევროპას მიაშურა.

ყოველივე ზემოთ მოყვანილი საკმაოდ ფარდას ხდის ქართველ ინტელიგენტ-მარქსისტთა უმრავლესობის ოპორტიონისტულ მოღალატეობას შორეულ წარსულში, პარტიულ-რევოლიუციონური მუშაობის პირველ პერიოდში; ეხლა უკვე ნათლად სჩანს, თუ როგორ ღრმად იყო ზოგიერთ ქართველ ლიტერატორ-მარქსისტის სულში დასადგურებული „ეკონომიზმის“ ოპორტუნისტული მაცილა, რომელიც მათგან ქართველ მუშებსაც ედებოდა. უკვე აშკარად ვხედავთ რა ბრძოლა სწარმოებდა რევოლიუციონურათ განწყობილ, „პოლიტიკისტურ“ ხაზზე მდგომ მუშებსა და არარევოლიუციონური სულის პატრონ ოპორტუნისტ-მარქსისტ ინტელიგენტებს შორის.

ჩვენ ვხედავთ, რომ ორგანიზაციებში ჩაბმულ ქართველ მარქსისტ-ინტელიგენტთა უმეტესობა, წარმოდგენილი ჟორდანია—ჯიბლაძის სახით, მსგავსად რუსს „ეკონომისტებისა“, წინააღმდეგი იყო მუშების ყოველგვარ „პოლიტიკურ-რევოლიუციონური გამოსვლა-ნაბიჯებისა; ასეთი ნაბიჯები, მათის აზრით ვნების მომტანი იყო მშრომელი ხალ-

*) „ბრძოლას“ ახლო თანამშრომელნი იყვნენ ფ. მახარაძე, სანდრო წულუკიძე, კობა ჯუღაშვილი—სტალინი.

ხისათვის და ამ შემთხვევაში ისინი თავიანთი ხაზის გასატარებლათ არავითარ საშუალებას არ ერიდებოდენ, არ ერიდებოდენ თვით ობიექტს სოციალ-დემოკრატიულ პარტიისას—მუშათა კლასს. მეორეს მხრით, ჩვენ ვხედავთ სოციალური მდგომარეობით „პოლიტკოსს“, ბუნებით რევოლიუციონერ ქართველ მუშას, რომელიც მუდამ წინ უსწრებდა თავის „კვალისტ“ ლიდერ ინტელიგენტებს მიუხედავათ იმისა, რომ ეს ლიდერები *) ცდილობდენ გამოეცალათ რევოლიუციონური სული მუშებისთვის, მუშები, კოლექტიურათ აღებულნი მაინც ახდენდენ გავლენას ორგანიზაციაში მოკალათებულ ოპორტუნისტ ინტელიგენტებზე. სწორეთ ამით აიხსნება, სხვათა შორის, ისიც, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციების ნაბიჯები 1905-6 წლებში მენშევიზმის გაბატონების დღიდანაც, საქართველოში უფრო რევოლიუციონური იყო, ვიდრე რუსეთში ასეთივე პოზიციაზე მდგომი ორგანიზაციების ნაბიჯები.

ს. თალაკვაძე.

*) ფ. მახარაძე, მიწა ცხაკაია, ლადო კეცხოველი, საშა წულუკიძე და კობა—სტალინი,—ეს პატარა წრე ლიდერებისა—მუდამ მუშებთან იყვნენ და ასრულებდენ ყოველ მათ კლასობრივ-რევოლიუციონურ კარნახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. კ. პ. ტფილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა.

(მასალები)

1. ძველ პარტიულ მუშაკთა კრების სტენოგრაფიული ანგარიშიდან.

დაესწრენ: მ. ჩოდრიშვილი, არ. ოქუაშვილი, ვ. ბოლქვაძე, ვ. სტურუა, რ. კალაძე, ნ. ალაჯალოვა, ს. ფარნიევი.

კრებას ხსნის პარტისის გამგე ს. თალაკვაძე.

ამბ. **ს. თალაკვაძე:** აქ მოწვეული ხართ ძველი რევოლიუციონერები, ძველი პარტიულები, პარტიის ორგანიზაციის საფუძველის ჩამყარელი ამხანაგები სამოცდაათიანი წლის, 80, 90 და 900 წლების რევოლიუციონური მოძრაობის მონაწილენი და ხელმძღვანელნი.

ამ კრების მიზანია მოგონება და გაშუქება იმ შორეულ ისტორიული წარსულისა, საიდანაც პირველად მიეცა ადგილი რევოლიუციურ მოძრაობის დასაწყისს, რომლიდანაც იწყო ჩასახვა მარქსისტულმა ორგანიზაციებმა, მათი ხელმძღვანელობით კი იწყო პოლიტიკური, რევოლიუციონური საქმიანობა ფაბრიკა-ქარხნებში ჩაბმულმა მშრომელმა კლასმა, მუშათა მასამ. ამა 1924 წ. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ტფილისის ორგანიზაციას უსრულდება თავისი არსებობის 30 წელი. ამიტომ ტფილისის კომიტეტი და ცეკას პარტისი ემზადება მომდინარე წელს ეს დღე აღნიშნოს იუბილეს სახით.

ჩვენ ვიცით, რომ პროლეტარულ სახელმწიფოს მშენებლობის დროს თქვენ ჩაბმული ხართ მრავალ საპასუხისმგებლო პარტიულ და საბჭოთა საქმეებში, არ გაცლით იგი; თან, როგორც მუშები, თქვენი უმეტესობისათვის ლიტერატურული მიდგომით წერაც ძნელი საქმეა. რომ გაგიადვილოთ პარტისის მიერ ეს მეტად საჭირო საქმის ასრულება—მოგიწვიეთ აქ და თქვენს ნათქვამს ჩაესწერთ სტენოგრაფიულად.

აქ თქვენ, ერთად, ერთი მეორის მოწმობით, პირისპირ შეყრით მოკლედ, კონსპექტიურად, მხოლოდ ფაქტიური მხარეების აღნიშვნით მოიგონებთ პარტიული მუშაობის განვლილ საფეხურებს, აღადგენთ თქვენ მიერ განვლილ, ერთობ შორეულ რევოლიუციონურ-

პარტიული მუშაობის დავიწყებულ წარსულს, ახდით ფარდას სადაო, ბურუსით მოცულ ორგანიზაციულ მუშაობის ვითარებას, აღნიშნავთ მის მონაწილე და ხელმძღვანელ ამხანაგებს.

მაგრამ, სანამ თქვენ მოგეცემოდეთ სიტყვა, მე ნებას მივცემ ჩემს თავს აქ ცოტა ხანს შევჩერდე და პარტიის განკარგულებაში მყოფ მასალების მიხედვით წარმოგიდგინოთ მთლიანი ჩონგრი მარქსისტულ-რევოლიუციონურ ორგანიზაციის ჩასახვისა და განვითარების 90 წლებში საქართველოში. ამით, ასე ვსთქვათ, მოგაგონოთ განელილი საფეხურები ჩვენი რევოლიუციონური წარსულისა. ეს ჩაგაყენებთ თქვენი მოგონების დროს ერთგვარ ფარგლებში, მოგცემთ ხელის ჩასაკიდებელ მასალებს, დაგაყენებთ გზაზე. ამას გარდა, ეს საჭიროა კიდევ იმიტომ, რომ როგორც რუსეთში, ისე აქ ბეტად ფრთხილ და სამიშ რევოლიუციონურ მოძრაობის დასაწყისში არსებობდა ერთმანეთთან დამოუკიდებელი, ძლიერი კედლით დაყოფილი მრავალი წრეები.

ერთი წრე, ერთი ჯგუფი რომ რამეს აკეთებდა, დგამდა რაიმე რევოლიუციონურ ნაბიჯს, ეს არ იცოდა მეორემ და მესამე წრემ; რაც იცოდა მეორემ და მესამემ, ის არ იცოდა პირველმა და ასე სხვა წრეებმა. ყოველ მათგანს ეგონა თავისი თავი პირველი. ერთი ნაწილი მომქმედ მუშების წრეებისა, სხვათა შორის, ფიქრობდა, რომ ინტელიგენციის დაუხმარებლად ეხიარა მარქსისტულ მსოფლმხედველობას და გააჩაღა ორგანიზაციული მუშაობა. ავრეთვე ინტელიგენციის ნაწილსაც ეგონა, რომ მუშების გარეშე ქმნიდენ ისინი მარქსისტულ ორგანიზაციას, აჩაღებდენ მარქსისტულ-რევოლიუციონურ მუშაობას; ეს სჩანდა ასე მხოლოდ მათი გარეგნული დამოკიდებულებიდან, მათ აჩვენებდათ ასე დაუნახველი პირობები, დაუსკვნელი შედეგები.. ნამდვილად კი საქმის ვითარება წინააღმდეგს ამტკიცებდა; ისტორიის ლოღიკით მათ მჭიდრო დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან. ორგანიზაციის გაზრდა-გაძლიერებაში, პარტიის განმტკიცებაში ისინი ერთი მეორეს დამატება და გაგრძელება იყვენთვით საქმიდან გამოდიოდა, რომ პირველს არ აკლდა უკანასკნელის ხელი, უკანასკნელს პირველის ხელი. ასევე ითქმის შექმნილ სხვა და სხვა დამოუკიდებელ წრეებზე, რომლებიც მხოლოდ კონსპირაციის შენახვის გამოეწვია.

პარტიას მოეპოვება მასალები ამ დამოუკიდებელ წრე ჯგუფების მუშაობის შესახებ სხვადასხვა დროს ან ერთ და იმავე დროს წარმოშობილს, მაგრამ სხვადასხვა ადგილზე მომქმედს. აი ამ წრე-ჯგუფების რევოლიუციონური მუშაობის საერთო ჯამი მოგვითხრობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობა იწყება სამოცდაათიანი წლებიდან, იგი არის პირდაპირი გამოძახილი რუსეთის ნაროდნიკული მოძრაობისა,—მეფის წინააღმდეგ შეთქმულებები, ტერორისტული აქტები, თავგანწირული მუშაობა რევოლიუციონერებისა, როგორიც იყვნენ: ალექსეევი, ნეჩაევი, ქელიაბოვი, ფიგნერი, ხალტურინი და სხვები,—აი რა აძლევდა იმპულსს მოძრაობას ჩვენში,—საქართველოში, რა ედებოდა საფუძვლად რევოლიუციონურ მუშაობას აქ.

2. როგორც ვიცით, საქართველო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ეკონომიურად, პოლიტიკურად და აქედან კულტურულად დაუკავშირდა რუსეთს. ჩვენი ქართველი ახალგაზრდობა (რასაკვირველია, უფრო შეძლებულ წრიდან) განათლების მისაღებად მიდიოდა რუსეთში, მის დედა ქალაქებში—პეტერბურგში (ეხლა ლენინგრადში), მოსკოვში და სხვა დიდ ქალაქებში. და აი, აქედან დაბრუნებულ ქართველ ინტელიგენტებს შემოაქვთ საქართველოში ეს მიმართულება (ნაროდნიკული), იმათი მეოხებით ვრცელდება საქართველოში რევოლიუციონური ლიტერატურა გერცენის, ჩერნიშევსკის, მიხაილოვსკის, პისარევის, დობროლიუბოვის და სხვებისა. ეს პირები იყვნენ ჩვენში: ეგნატე იოსელიანი, მიშა ყიფიანი, გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი), დეკანოზიშვილი, ჯაბადარი, ფურცელაძე, ფავლენიშვილი და მრავალი სხვები. ხსენებული პირები იწყებენ ამ რევოლიუციონურ იდეების გავრცელებას მოწინავე ინტელიგენციაში (მაშინ, რა თქმა უნდა, მუშებზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, ვინაიდან ისინი ჯერ კიდევ ჩასახვა-დაბადების პროცესში იყვნენ). ამ მუშაობის შედეგათ სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან მიეცა ადგილი პირველ მასიურ დაპატიმრებასაც, ამ დატყვევებულ ნაროდნიკების რიცხვში მოხვდენ სხვათა შორის ეგნატე იოსელიანი, ფავლენიშვილი, დეკანოზიშვილი, ჯაბადარი და სხვები. ამ დროიდან იწყება სხვათა შორის ჯაშუშების თარეშიც. (პირველი ჯაშუში აღმოჩნდა იაგორა იოსელიანი) ეძლევა ადგილი პირველად ქართველ რევოლიუციონერთათვის ცივ ქვეყნებში გადასახლებას. სწორედ აქედან იწყება ჟანდარმერიის ამუშავება, მისი პირველი შავი საქმიანობა რევოლიუციონურად განწყობილ მშრომელ ხალხის მიმართ.

3. ამ რევოლიუციონერების მიერ იქმნებოდა მდიდარი რევოლიციონური ბიბლიოთეკა,—წიგნთ-საცავი, სადაც რუსული რევოლიციონური ლიტერატურის გარდა გროვდებოდა ევროპის რევოლიუციონური სოციალისტური ლიტერატურაც. მაგალითად იქ იყო მარქსის „კაპიტალს“ პირველი ტომი, ნიკოლოზ ონის მიერ თარგმნილი რუ-

სულ ენაზე, აგრთთვე ლასალის ნაწერები და სხვა. უნდა ითქვას, რომ მარქსის „კაპიტალს“ მაშინ ბევრი ინტელიგენტი კითხულობდა, შეიძლება საკმაოდაც შესწავლილი ჰქონდათ ზოგიერთ მათგანს, მაგრამ ისინი მაინც ნაროდნიკულ მოძღვრებას ვერ გასცილებოდენ და მარქსისტები არ გაბედარიყვნენ.

4. ოთხმოციან წლების დასაწყისში, სასულიერო სემინარიაში თავს იყრის ყველაზე მეტად რევოლიციონურად განწყობილი მოსწავლე ახალგაზრდობა, როგორც მაგალითად: ჯოლა ჩიტაძე, მიხა ცხაკაია, სილ. ჯიბლაძე, ფილიპე მახარაძე, ნოე ჯორდანია, ლალიაშვილი და მრავალი სხვები; აი ეს ახალგაზრდობა იყო ნაროდნიკების—მიხაილოვსკის, გავლენის ქვეშ, ეწაფებოდნენ მას, ღებულობდენ მის მსოფლმხედველობას. პირველი ტერორისტული აქტი სწორედ ამ მოწაფეთა ჯგუფიდან იქნა შესრულებული, რაც გამოიხატა უკანასკნელის—ლალიაშვილის მიერ სემინარიის რექტორის—შავრაზმელი ჩუდნეცკის მოკვლაში, ეს მოწაფეები, თავიანთი ძლიერი, თვით განმავითარებელი პოლიტიკური წრეებით უახლოვდებოდენ მაშინდელ თითო ოროლა მოწინავე მუშებსაც, მაგალითად როგორც იყვნენ: მიხა ჩოდრიშვილი, არაქელა ოქუაშვილი, ვასო ცაბაძე, ზაქრო ჩოდრიშვილი, ძმები ავაიაშვილები და სხვები. 90 წლების დასაწყისამდე ნოროდნიკების—ჩერნიშევსკის და მიხაილოვსკის გავლენა ამ მოწაფეებზე და მათთან დაკავშირებულ ზემოხსენებულ მუშებზე დიდი იყო. ხოლო 90-იან წლების დასაწყისში ფილიპე მახარაძისა და ნოე ჯორდანიას მეოხებით, რომლებიც იყვნენ ახლად გამგზავრებული ვარშავაში, სწავლობდენ უნივერსიტეტში, სწავლასთან ერთად ხელი მოეკიდათ მარქსიზმის შესწავლისათვისაც, კავშირი დაეჭირათ ვარშავის რევოლიუციონურ პროლეტარიატთან,—შემოდის ჩვენში, საქართველოში, მარქსიზმი და მოწინავე ინტელიგენციაში იდგამს იგი ფესვებს. პირველი მარქსისტული წერილი დაიწერა ჯერ კიდევ 92 წელში ფილიპე მახარაძის მიერ; აქ ავტორი ეკამათებოდა ნოროდნიკულ მიმართულებას საქართველოში და უპირდაპირებდა მას მარქსისტულ მიმართულებას, კლასობრივ ბრძოლას, ისტორიის მატერიალისტურ-შემეცნებას.

5. 92 წლის მიწურულში, დეკემბრის ბოლო რიცხვებში, ეგნატე ნინოშვილის ინიციატივით ზესტაფონში იმართება პირველი მომარქსისტო ინტელიგენტების კრება შემდეგ პირებისაგან: ეგნატე ნინოშვილის, მიხა ცხაკაია, სილ. ჯიბლაძე ნ. ჯორდანია, კარლო ჩხეიძე, რაღდენ კალაძე და სხვები. ისინი იზიარებდენ მარქსისტულ მიმართულებას, აი აქედან ედება საფუძველი მარქსისტულ—რევოლიუციო-

ნურ მუშაობას. ამ დღიდან ეგნატე ნინოშვილი ასუსტებს მუშაობას მხატვრულ ლიტერატურის ასპარეზზე და იწყებს პოლემიკურ-პუბლიცისტურ წერილების წერას, ემძის საბრძოლველად ნაროდნიკულ-ნაციონალისტურ მიმართულებას.

93 წელს კიდევ ეძლევა ასეთივე კრება-კონფერენციის ადგილი ხსენებულ ინტელიგენციისას, მხოლოდ ეს ეხლა იმართება ტფილისში.

6. 94 წელში, მაისში, ეგნატე ნინოშვილის საფლავზე წარმოთქმული იყო პირველი პროგრამული მარქსისტული სიტყვა სილიბისტრო ჯიბლაძის მიერ, რომლის შემდეგ მოპირდაპირე ელემენტებმა მონათლეს ეგნატე ნინოშვილის მიმდევართა ჯგუფი „მესამე დასელებათ". აი იმავე წელს ნოემბერში ტფილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოში დგება მარქსისტული—რევოლიუციონური წრის კრება შემდეგი პირების მონაწილეობით: ვანო ჭავჭავაძე (მთავარ სახელოსნოს მუშა გორიდან წამოსული გლეხი), იოსებ გიორგობიანი, იოსებ არავიაშვილი, სერგო ჯაფარიძე (ინტელიგენტი, მაგრამ არა ის სერგო ჯაფარიძე, რომელსაც იცნობენ ვეკილად) და სხვები. ვიწრო მარქსისტული წრე ინტელიგენციისა და მუშებისა არსებობდა მანამდეც შემდეგი პირების შემადგენლობით: სტანისლავ რენიგერი („კლიჩკა" იუსტინე), მიხა კლიმიაშვილი, კოკი (ვვარ გამოუცნობელი ფსევდონიმი) და ფედია აფანასიევი (მუშა), სადაც შევიდა ვასო ცაბაძეც, მაგრამ ცენტრალური წრე გახდა ქრონოლოგიურად პირველი. წრის ხელმძღვანელობით დაარსებული ეს მეხუთე წრე რკინის გზის მთავარ სახელოსნოში, რომელსაც შემოემატენ 1895 წლიდან სხვა მოწინავე მუშებიც: მაგალითად, არჩილ არავიაშვილი, ზაქრო ჩოლბაშვილი, მიხო ბოჟორიძე და სხვები.

ამ ცენტრალურ წრესთან (თუ ჯგუფთან) დაკავშირებული იქნა 1896 წელს სხვა მრავალი ახლად წარმოშობილი მუშათა მარქსისტული წრეებიც, სადაც შევიდენ: ილიკო კოპალეიშვილი, ვანო სტურუა, გიორგი ჩხეიძე, აბელ ენუქიძე, ვანო ყიასაშვილი, კ. გოგუა, ს. ალილუიევი და მრავალი სხვები. ამ მარქსისტულ ორგანიზაციის ჩანასახების იდეური ხელმძღვანელები იყვნენ 95 წლიდან ვარშავის ციხიდან საქართველოში დაბრუნებული, პოლიციის მხედველობის ქვეშ მყოფი ფილიპე მახარაძე და საზღვარ გარეთ მყოფი ნოე ჟორდანია. 96 წელში რამდენიმე ხანს, ფილიპე მახარაძე მდივანი იყო გიორგი წერეთლის დემოკრატიულ-ნაციონალისტურ გაზეთ „ქვალი"-ს რედაქციისა, სადაც იგი ათავსებდა მარქსისტულ-მატერიალისტურ ხასიათის წერილებს.

7. 1897 წლიდან რკინის გზის მთავარ სახელოსნოში შექმნილ ცენტრალურ მუშათა მარქსისტულ წრის ხელმძღვანელთა რიგებში (თუ ორგანიზაციაში) კოოპტაციის საშვალებით შეუყვანილ იქნენ შემდეგი ინტელიგენტი მარქსისტები: რაჟდენ კალაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, სევერიანე ჯუღელი, შატილრევ და ბოლოს ლადო კეცხოველი.

ზ. 98 წელში ხსენებულ გახეთ „კვალს“ ეპატრონება ნოე ჟორდანია და ფილიპე მახარაძე; ამით კი ეძლევა მას წმინდა მარქსისტული მიმართულების ხასიათი. ხდება იგი ორგანიზაციის ლეგალურ მარქსისტულ ბეჭდვითი ორგანოთ... ამავე წელსვე რუსეთის პირველ პარტიულ ყრილობაზე მინსკში, ამ ორგანიზაციდანაც იყო არჩეული დელეგატი, მაგრამ ის გზაში დაიჭირა ჟანდარმერიამ და ყრილობაზე ველარ მოხდა.

ეი მოკლედ ტფილისის მარქსისტულ-რევოლიუციონური ორგანიზაციის წარმოშობისა და განვითარების ჩონჩხი.

უნდა აღინიშნოს აქვე, რომ მასალები, რომელიც პარტიას მოეპოვება, გვეუბნება: ორგანიზაციის ჩასახვის დღიდანვე იყო დაპირდაპირებული ორი შეხედულება ორგანიზაციულ მუშაობაში. მაშინ, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა ლაპარაკი არც ბოლშევიზმზე, არც მენშევიზმზე, არც მის წინამორბედ—„ეკონომიზმზე“ და „პოლიტიკიზმზე“. მაგრამ რომ მუშაობის პროცესში ირკვეოდა სხვადასხვა მიდგომა მუშაობისადმი—ეს კი ცხადი იყო ყველასათვის. მაგალითად, ინტელიგენტი მარქსისტების დიდი ნაწილი თავიანთ რევოლიუციონურ მუშაობის გასაღრმავებლათ ცდილობდენ, რაც ნიშნავდა ინტელიგენტები იყო გაეგზავნათ საზღვარგარეთ, ევროპაში, რომ იქიდან დაბრუნებულიყვნენ მომზადებულ მარქსისტებათ, ხოლო ყოველდღიურ მუშაობას კი ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ. მათი პრაქტიკული საქმიანობა რევოლიუციონურ ორგანუზაციებში ეს იყო. რა თქმა უნდა, თითო ოროლა ინტელიგენტები მათ არ ემხრობოდენ ამ საკითხში, როგორიც იყო ფილიპე მახარაძე და სხვები; ორგანიზაციულ მუშაობაში ჩაბმული მუშები მთლიანად ეწინააღმდეგებოდენ ამას; მაგალითად, ვასო ცაბაძე, ზაქრო ჩოდრიშვილი და სხვები ეურჩებოდენ ამ ახალგაზრდა ინტელიგენტურ ძალების საზღვარ გარეთ გაგზავნას მარქსისტულ სწავლის მისაღებათ. ისინი ამბობდენ: 1. ჩვენი პრაქტიკული საქმიანობა მოითხოვს ინტელიგენტები ჩვენთან მუშაობდენ რევოლიუციონურ ორგანიზაციაში, ჩაებან პრაქტიკულ მუშაობაში და დაუახლოვდენ მუშებს. 2. ვინ იცის, განა იქნება ვინმე იმისი თავმდები, რომ ისინი აუცილებლად მარქსისტებათ დაბრუნდებიან იქიდანო. და ეს მართლაც ასე მოხდა. იქიდან დაბრუნებული ყველა მარქსისტი არ

გამოდგა. იყო კიდევ სხვა საკითხებიც ორგანიზაციულ მუშაობაში; ეს იყო ლეგალური და არალეგალური ლიტერატურის შესახებ. მაგალითად, ინტელიგენცია სილიბისტროო ჯიბლაძისა და ნოე ჟორდანიას მეთაურობით კმაყოფილდებოდა ლეგალური—მარქსისტული ბეჭდვითი ორგანოთი, როგორიც იყო ლეგალურ მარქსისტული ჟურნალი „კვალი", მხოლოდ მუშები კი, ორგანიზაციის წევრი, აქტიური ელემენტები, ლეგალურ ბეჭდვითი ორგანოსთან ერთად ცდილობდენ ჰქონოდათ არალეგალური ორგანოც. ამ აზრს იცავდენ მაგალითად, მიხა ბოჭორიძე, ლადო კეცხოველი, ვასო ცაბაძე, აბელ ენუქიძე და სხვები, რომელნიც მოითხოვდენ არალეგალურ ორგანოს გამოცემას და ამას ასაბუთებდენ იმით, რომ მეფის რეჟიმის ქვეშ არ შეიძლება ყველაფერი იმისი თქმა, რაც საჭირო იყო მუშათა მასის, მშრომელი კლასის გასარევოლიუციონერებლად. ყოველივე ეს კი ააშკარავებს, რომ აქ დაპირდაპირებული იყო ორი აზრი; ეს ააშკარავებდა მათში უფრომო, ჩამოუყალიბებელ „ეკონომისტურ" და „პოლიტიცისტურ" სულს.

ეს იყო საქართველოში. ხოლო რუსეთში ამ დროს უკვე არსებობდა გარკვეული ორი მარქსისტული მიმართულება: ლეგალური მარქსიზმი და „ეკონომიზმი", სტრუვესა და მარტინოვის მეთაურობით და „პოლიტიცისტური"—ლენინ—პლეხანოვის მეთაურობით. პირველი გამოხატავდა მარქსისტ-რევოლიუციონერებში ლიბერალურ სულს, მეორე კი რევოლიუციონურ-შეურიგებელ კლასობრივ სულს. შემდეგ, 1903 წელში ჩვენ ვიცით უკვე, მე-II-რე პარტიულ ყრილობაზე მომწიფებული და ჩამოყალიბებული ეს მიმართულება ღებულობს გარკვეულ სახელწოდებას: მეუმრავლესე-მეუმცირესეს. ე. ი. დღეს ბოლშევიკ-მენშევიკებათ წოდებულს. „მეუმცირესე" გამოხატავდა პარტიაში ლიბერალურ მიმართულების პოზიციას; ხოლო „მეუმრავლესეები" ე. ი. ბოლშევიკები, რევოლიუციონურ შეურიგებელ კლასობრივ ბრძოლის პოზიციას.

აი ამით თქვენ, ამხანაგებო, უკვე გაქვთ წარმოდგენილი ჩონჩხი ჩვენი წარსულისა, იმ წარსულისა, რომლის მონაწილე იყავით თქვენ და შეგიტანიათ რევოლიუციონურ-პარტიული წვლილი მასში. თქვენ უკვე ეხლა იცით რაზე უნდა ილაპარაკოთ, როგორ უნდა მოიგონოთ და როგორ უნდა აღიშნოთ ეს წარსული.

მე პირველად სიტყვას მივცემ უფრო მოხუცს, უფრო ძველ რევოლიუციონურ მუშაკს მიხა ჩოორიშვილს, რომელიც გააშუქებს თავის მოგონებებში რევოლიუციონური მოძრაობის დასაწყისს—მესამოცდაათე—მეოთხმოცე წლებისას; შემდეგ ილაპარაკებს არაქელა

ოქტომბერი, იგი გააშუქებს მეოთხმოცე-მეოთხმოცდაათე წლების მეორე ნახევარსაც. შემდეგ კი ილაპარაკებს ვანო სტურუა, რაფიელ კალაძე, ფარნიევი და სხვები, რომლებიც მეოთხმოცდაათე წლის მეორე ნახევრიდან 1900 წლამდე შეეხებიან ჩვენს წარსულსა და ასე ქვეყით...

ამხ. მიხა ჩოდრიშვილი. წელან კერძო ლაპარაკში არაჭელამაც სთქვა და მოიხსენია დავითაშვილი. ის იყო აქ, ტფილისში. მაშინ (77—78 წ.) ტფილისში ერთი გერმანელი ზეიცერი იყო, რომელსაც ჰქონდა სადურგლო ქარხანა. იქ ემუშაობდით: დავითაშვილი, გიგაური, ვარდენ გოცირიძე, მე და სხვები. გიგაური და დავითაშვილი მეჩუქურთმენი იყვნენ. იმის აწერას დაწვრილებით, თუ რას მუშაობდენ ისინი, თავი დავანებოთ, უნდა აღვნიშნო მხოლოდ, რომ იმათ შეჰქმნეს პირველი პატარა ორგანიზაცია, რომელმაც კავშირი დაიჭირა ილია ჭავჭავაძესთან, თუმცა ჭავჭავაძე იქ არ შედიოდა. იქ იყო ჯერელაშვილი, შათირიშვილი, ჯაბადარი, ხდანოვიჩი, რცხილაძე, ამათ ემატებოდათ ის მუშებიც, წელან რომ დაეასახელეთ. იმათ მოიწვიეს თავის ნაციონალისტურ ორგანიზაციაში, მათ გამოსცეს პირველთა პროკლამაცია ფოსტის ქაღალდზე; როგორც მახსოვს, ორასი ცალი იყო ეს პროკლამაცია. ასეთი შინაარსის იყო: „ჩვენმა და რუსეთის მთავრობამ რომ ხელშეკრულება შეკრეს, იქ ნათქვამი იყო, რომ საქართველოს ისევ უნდა დაუბრუნდეს თავისუფლება, როდესაც მემკვიდრე გამოჩნდებაო“. აი ასეთი შინაარსიის იყო მაშინდელი პროკლამაცია. მეც იქ ვიყავი იმ დროს. გვაძლევდენ წიგნებს, აქ მუშური სრულებით არაფერი იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მუშებს არ მოსწონდა ის, მაგრამ ეს ცოტა ხანს იყო და შემდეგ დავანებეთ ამას თავი და შეუერთდით სემინარიელებს. ამ სემინარიელებში იყო გოლა ჩიტაძე, მოსეშვილი, ლაღიაშვილი, ჯიბლაძე, რამიშვილი,—რომელიც მღვდლათ უნდა ეკურთხებოათ, მაგრამ თავი დაანებეს ამ საქმეს და მოვიდა ჩვენთან, ამრიგად, მოეწყო ნაროდნიკული წრე, რომელშიაც აგრეთვე შედიოდა გიგაური, დავითაშვილი და სხვებიც. ასე განვაგრძეთ მეოთხმოცე წლამდე. ოთხმოცდა ერთ წელში ალექსანდრე მეორეს მოკვლის შემდეგ მოახდინეს საზოგადო კრება. კრებას დაესწრო სამოცი—სამოცდაათი კაცი. აქ იყვნენ სემინარიელები, ფოსტის მოსამსახურეები, მხერხავები, მეჩექმეები, დურგლები და სხვა. აქ წრე გაიყო ორ ნაწილათ. ისიდორე რამიშვილი ამტკიცებდა, რომ მეფე ალექსანდრე მეორე არ უნდა მოეკლათო ამის წინააღმდეგ გაილაშქრა გოლა ჩიტაძემ, რომელმაც ასე დასვა საკითხი: მართალია, ალექსანდრე მეორემ გაანთავისუფლა

გლეხობა სულით, მაგრამ ხორცით ის ისეთივე მდგომარეობაშია, როგორც იყოო, რადგან—მემამულე თავდებს ხელუხლებლათ დაუტოვა თავიანთი მამულიო. ამაზე დიდი კამათი ასტყდა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი ჯგუფი გაიყო ორად და თანდათან ბევრი ამხანაგი ჩამოგვცილდა. ერთხელ გოლა ჩიტაძემ დააყენა საკითხი, რომ ჩვენ გეკტოგრაფზე უნდა გამოვცეთ „ოთხი ძმა“, რომელიც თითონ გოლამ სთარგმნა. გარდა „ოთხი ძმისა“ უნდა დაგვებეჭდა „ორი ღონერალი“, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვეძინა სტამბა. მაგრამ ფული არ გვქონდა. პირველად გავაკეთეთ სტოლ., სადაც მოთავსებული იყო საბეჭდი ასოები, ეს ძალიან ადვილი იყო. გააგორებდი და უკვე იბეჭდებოდა, ამოიღებდი—ჭიღალდზე უკვე დაწერილი იყო. გადასატან-გადმოსატანათ ადვილი იყო. მერმე ეს გადავიტანეთ არქიელის ქუჩაზე. იქ მუშაობდა გოლა ჩიტაძე და ერთი ქუთათელი ბიჭი—იოსება ერქვა სახელად, ილია ჭავჭავაძის სტამბაში გაფიცვის მონაწილე იყო. იქ ჩვენ დავიჭირეთ ოთახი სამ მანეთ ნახევრად და მოვთავსეთ ეს სტამბა. ჩვენ გვინდოდა დაგვებეჭდა არალეგალური ლიტერატურა და გაგვევრცელებია ხალხში, მაგრამ ეს მოითხოვდა ფულს, ფული კი ჩვენ არ გვქონდა. გოლა ჩიტაძემ დააყენა საკითხი: ფული არ გვაქვს და რა ექნათო. გადავწყვიტეთ ლუდხანას გახსნა. იქნება გახსოვთ ამის ისტორია. შევაგროვეთ 150 მანეთი და ეხლა რომ რუსთაველის თეატრი არის, იმის გვერდით დამწვარი სახლი იყო კოტე ორბელიანისა. გოლოვინის მხრიდან სახლის ძირის სართულში კიბე ჩადიოდა. 8 მანეთად დავიქირავეთ ოთხი ოთახი და დავიწყეთ მუშაობა იმ მოსაზრებით, რომ ფული გვეშოვნა სტამბისთვის. ეს იყო 78-79 წელში. ზაფხული იყო. ჩვენთან მოდიოდნენ სემინარიელები და სხვა მუშები. ვმართავდით ხშირად კრებებს. ეს მივიდა პოლიციის ყურამდის. ჩვენი „ლუდხანა“ ისე იყო მოწყობილი, რომ დახლიდან საკრებულო ოთახში იყო გაყვანილი მავთული. უკანასკნელ ოთახიდან კი იყო გასაელი საპიორის ქუჩ., რომელიც არავინ იცოდა ჩვენს გარდა. და თუ ვინიცობაა მოვიდოდა ვინმე საეჭვო პირი, მავთულს ფეხს გამოჰკრავდა დახლიდარი ნიშნად იმისა, რომ კრება დაშლილიყო და ჩვენც გავიქცეოდით. ასე რომ, როდესაც პოლიციამ გაიგო და დაგვეხსა თავს, ყველამ მოასწრო გაქცევა და ვერავინ დაიჭირეს. მე დავრჩი იქ, ვინაიდან ჩემს სახელზე იყო გახსნილი ეს ლუდხანა და პოლიციამ დამიჭირა კიდეც, მეორე დღე უჩასტკაში მამყოფეს, შემდეგ გამიშვეს და ლუდხანაც დაგვიკეტეს.

-ბოქაული მეკითხებოდა—ეს ბინა ვისიაო. ჩემი მეთქი, ვუთხარი. აქ კრება იყო, რა იქნაო?—არავითარი კრება აქ არ ყოფილა, მარტო მე ვიყავი მეთქი. ერთი სილა კი გამიჭახუნა და წამიყვანეს უჩასტკაში, მაშინ კვარტალს ეძახდენ. მეორე დღეს დამკითხეს, ბევრი მაწვალეს. საქმე ასე გათავდა. შემდეგ ჩიტაძემ მითხრა, რომ ბაქოში სტუდენტები არიან ჩემი ნაცნობნი, რომლებიც ყაზანის უნივერსიტეტში მიდიან სწავლის მისაღებათო და იქიდან უფრო ნასწავლები ჩამოვლენო. მეც იქ წავალო. ეს იყო ოთხმოცდა ოთხ წელში, მაგვამ, სამწუხაროთ, ის იქიდან ჯკუიდან შემცდარი ჩამოვიდა. ამრიგად იქ რომ ბინა დავგვიკეტეს, ხალხიც დაიშალა.

85—86 წელს მე წავედი ვლადიკავკაზში. იქ იყო მეფაბრიკე ბარონ შტროხინ და გრაცი. ვმუშაობდი მის ფაბრიკაში. იქ დღეში ჩვენ 1 მან. 14 შაური გვქონდა. აქედან ზაქარია ჭიქინაძეს გამოვეზავნა ჩვენთვის მაშინდელი დროის წიგნები „კაკო ყაჩაღი", „ლუკმა პურის ამბავი". ასეთი წიგნები ერთი ყუთი იყო სავსე. ამ წიგნებს ეკითხულობდით, განსაკუთრებით გაგვიტაცა „კაკო ყაჩაღმა". აქ იყვენ ოსებიც კარგი ბიჭები გამოდგენ. ჩვენ ისინი დავითანხმეთ და გაფიცვა მოვახდინეთ ეკონომიურ ნიადაგზე. ამ გაფიცვას ის მიზანი ჰქონდა, რომ გაგვენთავისუფლებია თავი მდიდრებისაგან და მექარხნეებისაგან. აქედან მე გამგზავნეს ეკატერინოდარში, სადაც სადგურის შიგნით მოწყობილობას ვეკეთებდი, ეს მექარხნე ბარონი დიდი ბობოლა კაცი იყო და რადგან მე მჭონდა მონდობილი მეთაურობა მუშებისა, წავედი ფულის ასაღებათ მასთან, მაგრამ დამიჭირეს და იქ წითელ ქუჩაზე ტანდარმერიაში წამიყვანეს. ოთხმოცდა ექვს წელში ისევ აქ ჩამოვედი და დავიწყე მუშაობა არსენალში, აქედანაც გამაძევეს. წავედი ბაქოში. ეს იყო 1888 წელს. იქ მომიხდა მუშაობა ვინმე მდიდარ ხუბოვის სახელოსნოში. იქ გავიცანი ამხანაგები, იმ დროს იქ, ცოტა ხნის შემდეგ გაფიცვა მოხდა და მეც თან მიმაყოლეს. მერმედ 88 წელში რკინის გზის მთავარი სახელოსნოში ტფილისში დავიწყე მუშაობა. 89 წელში რკინის გზა გადავიდა სახელმწიფოს ხელში. წინად რომელიღაც კომპანიას ეკუთვნოდა. მაშინათვე მოქმატეს სამუშაო საათი, მუშებს მისცეს მე-4-ხე კლასის ბილეთი და სხვა. გამოაკრეს ამის შესახებ განკხადებები. ეს მოულოდნელი იყო, რაღაც ერთბაშათ დაიწყეს ბრახუნი. გავედით დიდუბეში და გამოცხადდა გაფიცვა. მაშინვე მოვიდა ვედენეევი, ვიღაც ინსპექტორი, ჟანდარმები. ვედენეევმა მოგვცა წინადადება ამოგვერჩია კომისია გაფიცულებისგან ხალხს, რომ შეეტყო რა გვინდოდა ჩვენ. ამოვირჩიეთ ზაიცევი, ძალიან განვითარებული და მომზადებული ამხანაგები

კანალოვი, შტოროვი, ვუნიცხი, კასრაძე და რამოდენიმე სხვები. ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ ვერაფერ დასკვნამდე ვერ მივიდენ. გამოჩნდენ შტრეიბრეხერები და დაიწყეს მუშაობა. სამ დღეს გასტანა ასეთმა მდგომარეობამ, შემდეგ მოშორდა ხალხი და დაიწყეს თითო-თითოთ მუშაობა. დაიწყო ჟანდარმერიის მუშაობაც და ვინც მეთაურად იყო შემჩნეული, ყველა დაიჭირეს. ამათში უმეტესობა იყვნენ რუსები. ქართველები ვიყავით მე და კასრაძე. ზოგი გადაასახლეს, ჩვენ კი, რვა კაცი, სამსახურიდან დაგვითხოვეს.

ამბ. არაქელ ოქუაშვილი. 1888 წელში აბრამ ცხიმინაურის (მეჩექმე) საშუალებით ვკითხულობდი ნაროდნიკულ წიგნებს. ვიყავი სოფრომ მგალობლიშვილის და ზდანოვიჩის ნაწერების გავლენის ქვეშ. მაშინ იყო ჟურნალი „იმედი". ძალიან კარგი წერილები იბეჭდებოდა იქ და იმათ გავლენის ქვეშ ვიყავი. ამ დროს გავიცანი მიხა ჩოდრიშვილი. ისიც გვეუბნებოდა, რომ გერმანიაში არის დიდი სოციალისტი ლასალი. მაშინ ასეთ ხალხს საერთოდ უძახოდენ „ახალი ახრის ხალხს". ჩვენ ვკითხულობდით მაშინ ჩერნიშევსკის, მიხაილოვსკის და სხვების წიგნებს, რომელსაც გვაძლევდა ზაქარია ჭიჭინაძე.

ამ დროს გავეცანი მოლექსე დავითაშვილს. ოთხმოცდა რვა წელს წაგვიყვანეს ჭიჭინაძესთან, იმის ბინაზე ცხოვრობდა ფილიპე მახარაძე და ნოე ჟორდანია. ესენი მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდები იყვნენ. მათზე უფროსი იყო ნინოშვილი და მან წაგვიკითხა „ოთხი ძმის" არაკი. აქ, როგორც, მახსოვს, ვიყავი მე, მიხა ბოჭორიძე, სოლომონ ახმეიმარაშვილი, გეურქ დიაროვი და სხვები. აქ სჯა-ბაასის შემდეგ სრულიად შევიცვალეთ აზრი. ამ ხანებშივე გამოჩნდა ვასო ცაბაძე, რომელმაც გვირჩია ჟურნალის გამოცემა. ეს ჟურნალი ხელთნაწერი იყო და გვიწერდა მუშა სირაძე. ჟურნალს ერქვა „მუშა". მონაწილეობას ვიღებდით: მე, მიხა ბოჭორიძე და სხვები.

ეს ჟურნალი წმინდა ნაროდნიკული იყო, ეხებოდა უმეტესად სამღვდელოებას და მემამულე-კნიაზებს, ბურჟუაზია მაშინ არ ვიცოდით; გამოვეცით მხოლოდ ექვსი ნომერი. შემდეგ შეეწყვიტეთ. შემდეგ ვასო ცაბაძემ გვირჩია კასის დაარსება. აგრეთვე ერთგვარი დუქანის მოწყობა: ეს დუქანი კოოპერატივს უფრო წაგავდა. სამ-სამ მანეთს ვაგროვებდით მის დასაარსებლათ. ამ ხანებში რუსეთში გაჩაღებული იყო სხვადასხვა ტერორისტული აქტები და გოლა ჩიტაძე ხშირად გვიამბობდა ამის შესახებ, მაგრამ, როგორც ვიცით, ეს მიმართულება (ნაროდნიკული) იყო უნიადაგო და ცხოვრებამ კიდეც გაანადგურა ის. ოთხმოცდა რვა წელს სრულიად დაშლილი იყო. ჩვენ ვხვდებოდით ერთმანეთს, ვეკითხებოდით ერთმანეთს, რუს—სოციალის-

ტების სურათები დაგვქონდა ჯიბით და მხოლოდ და მხოლოდ იმით ვსულდგმულობდით, რომ სადღაც რუსეთში ინტელიგენცია ამზადებს მუშებს და დაჭკავს ხარი და ბრძოლის ველზე გავალთო 1896 წ. აღარაფერი აღარ არის. აქ ისევ ცაბაძე გვიწვევს: მე, მიხა ბოჟორიძეს, ვანო სტურუას, რაჟდენ კალაძეს, სევერიან ჯუღელს, შატილოვს (თვალის ექიმს), სილიბისტრო ჯიბლაძეს. ეს წრე იყო სოციალდემოკრატიული. მან გვითხრა, რომ ახლა არის რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტია, უნდა ვიმეცადინოთ, შევისწავლოთ მუშათა საკითხი და გავხდეთ შეგნებული წევრები ამ პარტიისაო. ეს ისეთი სასტიკი, კონსპირატიული წრე იყო, რომ მარტო ჩვენ უნდა გვცოდნოდა. მაგალითად იყო ისეთი შემთხვევა, რომ ერთმა წრემ არ იცოდა მეორე წრის შემადგენლობა და ეს გამოაშკარავდა მხოლოდ პირველ მაისობას 98, 99 წელში. 96 წელში ჩამოვიდა ფილიპე მახარაძე, მე და ხაქარიამ (ჩოდრიშვილმა) გადავწყვიტეთ: ჩვენ ხომ ნამდვილი სოციალისტები ვართ, მოდი წავიდეთ ფილიპეს ჰკუა გავხომოთო. მივედით. ფილიპეს მაშინ ეტყობოდა, რომ მოძრავი იყო, ნოე ჟორდანიას კი ეს არ ეტყობოდა. ის ხშირად ეტყოდა ხუმრობით ხაქარია ჰიჰინძეს, შენ აზნაური ხარო. მერმე ეკითხეთ ფილიპეს, სად არის ის მშვენიერი აზრები, რომელთაც ჩვენ ვეთაყვანებოდით, ეგენი გაცრუებული დარჩა ის იმედები. ფილიპე გაოცდა და თქვა: მე მეგონა, რომ აქ ყველაფერი ჩამქრალი იყო, და თუ ეს ასე არ არის, ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი წრეები, როგორიც არის რუსეთში და დავიწყოთ ისეთივე მუშაობა. თქვენ უნდა მოაგროვოთ მუშათა წრე და დავიწყოთ მუშაობა". რა გვექნა, ჩავარდით განსაცდელში, ჩვენ წრე გვქონდა, მაგრამ არ შეგვეძლო გაგვემეღავნებია. ამ წრეში იყო კალისტრატე გოგუა, ვანო ყიასოვი, აბელ ენუქიძე, ცალთვალა ფაბრიკის მუშა, რომლის სახელი დამავიწყდა, წავიყვანეთ ფილიპე სახლში. იქ მოვიდა ხაქარია ჩოდრიშვილიც. ფილიპემ გვითხრა, თუ თქვენ გინდათ ნამდვილი მუშაობა, თუ გინდათ გაეცნოთ სოციალისტურ მოძრაობას, თქვენ თითონ იმეცადინოთ კარგათ, უნდა ისწავლოთ წერა-კითხვა, არითმეტიკა. გვაყიდინა „უჩებნიკები", გვასწავლიდა არითმეტიკას და გრამატიკას. ხაქრომ უთხრა —მე ეს ყველაფერი ვიცი, და ის მარტო ჩემთან მაცადინობდა. ამ დროს ფილიპეს მოუვიდა გადაწყვეტილება, რომ გადასახლებულიყო სამშობლოში. ჩვენ უთხარით, რომ შენი სამშობლო საქართველოა, მაგრამ ის მაინც გადაასახლეს თავის სოფელში. ეს იყო 96 წლის ენკენისთვეში. ფილიპემ მოიყვანა სილიბისტრო ჯიბლაძე და მე და ხაქარია ჩაგვაბარა —ამათთან იმეცადინეო, დაუბარა.

სილიბისტროს გავაცანი ყველაფერი. მეცადინეობა დაიწყო. ჩვენ ვუთხარით წრე გვაქვს, ჩვენთან მაცადინეობს ცაბაძე ჯა ეხლა როგორ ვუთხრათ მას, რომ თქვენთან ვიმაცადინებთ. მან გვითხრა—მე თითონ ვიტყვი წრე შევადგინე, ესენი არიან ჩვენ წრეში და ისიც მაშინ თავისას გაამბელსო. ამ ხანად ფილიპე ჯერ არ იყო წასული და გულმოდგინეთ მუშაობდა მუშებში. მას უთხრა სილიბისტრომ: თუ მუშები ინტელიგენციათ გაეხადეთ, ისინი მუშურ წრეებს თავს დაანებებენ ისე, როგორც მოხდა ეს რუსეთში. ფილიპე მას არ ეთანხმებოდა. სილიბისტრო კი ამბობდა,—კმარა ზეზეურათ მომზადება თუ გვინდა მაგათ ეს იდეები მუშებში გავავრცელონო, ჩვენ მოგვეწონა სილიბისტროს აზრი და დავეთანხმეთ მას, ვინაიდან ის უფრო ცოცხალი სამუშაო იყო, უფრო მუშებთან გვაკავშირებდა. ცაბაძე კი მარქსს გვაკითხავდა და იყო ასეთი შემთხვევაც, ვიკითხეთ მარქსი ერთი-ორი, სამი-ოთხი დღე და ერთხელ, როდესაც ერთ აზრს მივადექით ვერ გავიგეთ, თურმე წინა დღით გავლილი გვქონდა. ასე რომ, მარქსი ჩვენ გვიძნელდებოდა და ამ რიგად პრაქტიკულად გაიმარჯვა სილიბისტროს აზრმა.

ამხ. ვანო სტურუა. მე უღარიბესი გლეხის შვილი ვარ. სიყმაწვილეს გავატარე სოფ. კულაშში (სამტრედიის რაიონი) ჩვენს სოფელში ცხოვრობს თავად აზნაურობა. ერთი თავადთაგანი—ანტონ მიქელაძე განდგომილ ცხოვრებას ეწეოდა—ის არავითარ მონაწილეობას არ იღებდა სოფლის საქმეში. გლეხები ამბობდენ, რომ ის სტუდენტია, მან მონაწილეობა მიიღო მეფე ალექსანდრე II მოკვლაშიო. მე მაშინ თუმცა პატარა ვიყავი, მაგრამ მაინც მეტად დავინტერესდი ამ ამბით. ვფიქრობდი—მოიპოვებიან თურმე ისეთი ადამიანები, რომლებიც მეფეს ჰკლავენ და სხვა საგმირო საქმეებსაც აკეთებენ მეთქი. მაგრამ მაშინ გარკვეული არ მქონდა ვინ იყო „სტუდენტი“ და „რევოლიუციონერთა ჯგუფი“, რომელიც მეფეს ჰკლავდა. შემდეგ—1889 წელს, მამასთან ერთად გავემგზავრე ტფილისში. აქ დიდი წვალების შემდეგ, როგორც იყო, მუშად დავდექი ამ. კავკ. რკინის გზის მთავარ სახელოსნოს სახარატო ცეხში. ეს ის დრო იყო, როდესაც მე უკვე დაინტერესებული ვიყავი წიგნების კითხვით, ვეტანებოდი დასურათებულ ჟურნალებს, ყურს ვუგდებდი მუშებისა და ხელოსნების სჯა-ბაასს. მუშები კითხულობდენ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, მათ აინტერესებდა პოლიტიკა და სხ. ბევრი მუშა სასადილოთ სახლში არ დადიოდა, —იქვე სახელოსნოში ისადილებდენ თუ არა მუშები, ჯგუფ-ჯგუფად კითხულობდენ წიგნებს და გაზეთებს.

1890-დან 1895 წლამდე მე გავეცანი და დავუმეგობრდი სახელოსნოს ძველ ხელოსან-მუშების ჯგუფს. ეს ძველი ამხანაგები მე მომითხრობდენ არეულობების შესახებ, ტფილისში 1889 წელს იგლისის თვეში მომხდარ გაფიცვაზე, კითხულობდენ ისინი წიგნებს, გაზეთებს—განსაკუთრებით მათ უყვარდა ლექსების კითხვა. ბევრ მათგანს თვით ეხერხებოდა ლექსების შეთხზვა. მათი ლექსების თემა უმრავლესად იყო მუშათა ყოფა-ცხოვრება: დილის საყვირი, რომელიც დილ-ადრიან აღვიძებს ძუშას, რომ მუშა გათენებამდე მიდის სამუშაოდ ზამთრობით და სახლში ბრუნდება საღამოთი, როცა უკვე ბნელა. საერთოდ ლექსი გამოხატავდა მუშათა კლასის უნუგეშო, გაჭირვებულ ცხოვრებას. ასეთი ლექსები, ხელით გადაწერილი, ხელიდან ხელში გადადიოდა—ეგზავნებოდა ბათუმში, რკინის გზის დეპოსადგურების მუშებს, სოფელში მცხოვრებ ამხანაგებს და სხ.

ამ ძველ ამხანაგებს შორის იყვნენ: ილიკო კოპალეიშვილი, რაჟდენ ბრელიძე, ირაკლი დოლიძე, ქიტესაშვილი, დათიკო როსტომაშვილი (ფსევდონიმი ნინოწმინდელი).

1896 წლის დასაწყისში მთავარ სახელოსნოების სახარატო ცეხში მუშაობა დაიწყო ზვინკალმა არჩილ არავიაშვილმა. ის გულდასმით აკვირდებოდა იმ მუშებს, რომლებიც წიგნებსა და გაზეთებს კითხულობდენ და აჩვენებდა რა თავს მეტად გულუბრყვილო ადამიანად, უმეგობრდებოდა მათ.

1896 წლის მაისში დათიკო როსტომაშვილმა მაცნობა, რომ ძველ ხელოსანთა ამხანაგების ჯგუფი კრების (რა თქმა უნდა, არალეგალურის) გამართვას აპირებს რომელიღაც ქუჩაზე (ქუჩის სახელი არ მახსოვს) ავლაბარშიო. დანიშნულ დროზე შევიკრიბენით რამდენიმე კაცი დათიკო როსტომაშვილის ბინაზე (ავლაბარი). აქ იყვნენ: გიორგი ჩხეიძე, ილიკო კოპალეიშვილი, დათიკო დეკანი, ალექსანდრე კახიანი, მიხო ბოჭორიძე და მე (ჩემი ფსევდონიმი იყო—„პლუტი“). შემდეგ მოვიდა არჩილ არავიაშვილი.

არჩილ არავიაშვილმა ლაპარაკი შორიდან დაიწყო. ის შეეხო მუშათა კლასის აუტანელ მდგომარეობას, ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ ყველეფავენ მუშებს და მშრომელ გლეხებს მემამულეები და კაპიტალისტები. განმარტა, რომ განსხვავების მიზეზი კაპიტალისტ-მემამულეებსა და მუშა-გლეხებს შორის ეკონომიური მიზეზებით აიხსნებაო. კიდევ ბევრი საკითხები აღძრა მან ეკონომიური ხასიათისა, რაც აუარესებენ მუშათა კლასის• ყოფას, ამდიდრებენ კაპიტალისტებსა და მემამულეებს და სხ. დაბოლოს არჩილმა გვირჩია დაგვეარსებია წრე, რათა ამ წრეს შეესწავლა მარქსისა და ენგელსის „კაპი-

ტალი", მხოლოდ „კაპიტალი"-ს შესწავლის შემდეგ დაინახავს მუშა ყველაფერს, გაეცნობა თავის მდგომარეობასა და სხ. ამის შესწავლა ძნელი არ არის, საკმაო იქნება მხოლოდ ერთი წელიწადი, მხოლოდ კაპიტალის შესწავლის შემდეგ შეიძლება გახდეს მუშა შეგნებული მებრძოლია.

ამ კრებაზე ჩვენ გადავსწყვიტეთ სისტემატიურად შევკრებილიყავით ყოველ შაბათს. ჩქარა ჩვენ ნამდვილი ფანატიკოსები შევიქენით როგორც კონსპირაციიის დაცვის საქმეში, ისე კრებაზე დასწრებაში.

შემდეგ მორიგ კრებაზე გამოვიმუშავეთ მეცადინეობის გეგმა. მეტის-მეტი სიფრთხილით უნდა მოვპყროდით წრეში ახლად მისაღებ ამხანაგებს.

აოჩილ არავიაშვილმა ჩვენთან იმეცადინა 1896 წლის გასვლამდე, ბოლოს და ბოლოს ის თავისი ცოდნით ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებდა, ამიტომ გადავსწყვიტეთ უფრო მომზადებული ამხანაგი მოგვენახა. ასეთი ამხანაგი აღმოჩნდა ვასო ცაბაძე. მისი მეცადინეობა ჩვენთან გაგრძელდა 1897 წლის მაისამდე. ამ ხნის განმავლობაში ცაბაძემ ჩვენთან გაიარა სვიდერსკის ეკონომიური მეცნიერების ძირითადი დებულებები, დიკშტინის—„ვინ რით ცხოვრობს". ამის შემდეგ ჩვენი მოთხოვნილება ვერც ამბ. ცაბაძის ცოდნამ დააკმაყოფილა. ამიტ ენუქიძის და კალისტრატე გოგუას საშვალებით ჩვენ გავეცანით სილიბისტრო ჯიბლაძეს. მან შეამოწმა რა ჩვენი ცოდნა, სურვილი განაცხადა ჩვენთან მეცადინეობის შესახებ. ბინა გამოვიცვალეთ—ავლაბრიდან გადმოვედით ელისაბედის ქუჩაზე ვანო ყიასაშვილის და ნიკო ერიქოვის ბინაზე. (1920 წელში აღმოჩნდა, რომ ერიქოვი პროვოკატორი იყო. ის ჩეკამ დახვრიტა. ერიქოვმა 1908 წ. გასცა ნადიროვის სტამბა და იარაღის საწყობი, ამ საქმეზე არაქელას და ზაქრო ჩოდრიშვილს კატორღაში გაგზავნა მიუსაჯეს). ბინა იმიტომ გამოვიცვალეთ, რომ ცაბაძეს არ გაეგო ჩვენი სხვასთან მეცადინეობა.

სილიბისტრო ჯიბლაძემ ჩვენთან მეცადინეობა დაიწყო პოლიტიკურ ეკონომიაში. გავდიოდით ბოგდანოვის „ძოკლე კურსს" შემდეგ ჩვენ მოველაპარაკეთ ამბ. ცაბაძეს, ვსთხოვეთ რომ მოეწახა ჩვენთვის მომზადებული მასწავლებელი, მიუთითეთ სილიბისტრო ჯიბლაძეზე, რომელიც ოფიციალურად გამოგვეზავნეს წრეში სამეცადინოთ, თუმცა ფაქტიურად ის უკვე მეცადინეობდა ჩვენთან.

1897 წლის გასულს ჩვენი წრეები გაფართოვდა, გაიზარდა. წრეში ახალი წევრების შემოყვანა სისწრაფით სწარმოებდა, თითეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენგანი მეცადინეობდა როგორც მაღალ, ისე დაბალ წრეში. მუშათა წრეებში სამეცადინოთ მოიწვიეთ ამხ. ინტელიგენტები, როგორც მაგ. რაჟდენ კალაძე (ფსევდონიმი ტოტოლა), სევერიანე ჯუღელი და სხ.

1898 წლის განმავლობაში სწარმოებდა წრეებში ახალი წევრების მიღება და გრძელდებოდა მეცადინეობა. ამ წლის გასულს იმდენათ ძლიერი იყო ჩვენი წრეების გავლენა მთავარ სახელოსნოს მუშებზე, რომ დეკემბრის 22-ს ჩვენ გამოვაცხადეთ გაფიცვა. გაფიცვის მიზეზი იყო უფრო სამგზავრო ბილეთების შემცირება მუშებისთვის —6 ბილეთის ნაცვლად დაწესეს 3 ბილეთი. და ამასთან მესამე კლასის ნაცვლად დაწესეს მეოთხე კლასით მგზავრობა. აქ ჩვენ ვისარგებლეთ მუშების უკმაყოფილებით და მოვაწყვეთ გაფიცვა. მუშები გამოვიდნენ რკინის გზის ლიანდაგზე სადგურსა და სახელოსნოებს შორის. გამოწვეულ იქნა ჯარი, მაგრამ მუშები მედგრათ იდგნენ, ჯარისკაცებმაც სროლა ვერ გაბედეს. ჯარის კაცებიც მუშებს დაერივნენ თოფის კონდახებით. იყო ისეთი შემთხვევა, როცა არაქელამ თოფს ხელი სტაცა, როცა ამის გამო სროლა კინალამ ასტყდა, მაგრამ მიხო ბოჭორიძემ, ზაქრო ჩოდრიშვილმა, გიორგი ჩხეიძემ და სხ. მოწინავე მუშებმა ჯარისკაცებს ხელიდან გამოსტაცეს არაქელა და დიდუბელ მუშებს ურჩიეს დაეტოვებინათ რკინის გზის ლიანდაგი, წასულიყვნენ ნადიროვისეულ მამულში, დიდუბეში და მუშათა სხვა რაიონებში.

მეორე დღეს რკინის გზის უფროსმა ვედენევმა გმოაკრა განცხადება, რომლითაც ძალაში რჩებოდა მუშებისთვის სამგზავრო ბილეთები, შეიძლებოდა მესამე კლასითაც მგზავრობა, რომ წინად გამოცემული განკარგულება ეხებოდა ყარსის რკინის გზას და სხ. გაფიცვა მოიხსნა: გაფიცვის მოგებამ აღაფრთოვანა მუშები, ჩვენი წრეების ავტორიტეტი გაიზარდა, ეხლა წრეები უკვე ყველა ცეხებში იყო მოწყობილი, ბევრმა მუშამ განაცხადა სურვილი ჩვენს წრეში შემოსვლის შესახებ.

ამ ხანებში წრეებში მუშაობდენ ზეინკალი სერგეი ალიულევი, მაიოროვი, ვასილი ბაჟალოვი, ნიკოლაი ვიგორბინი და ივანე ლევაშვილი.

1899 წ. ჩვენმა წრეებმა გადასწყვიტეს 1-ლი მაისობის დღესასწაულობა. დღესასწაული უნდა მოგვეწყო, რა თქმა უნდა, არალეგალურად. დავნიშნეთ ალაგი, სადაც თითეული მონაწილეს უნდა მიეტანა თითო ბოთლი ღვინო და საუზმე. და აი, ავჭალის მიმართულებით, მაღლობზე შევიკრიბენით 70-მდე კაცი. ამ დღეს მე პირველად ვნახე ამხ. ლადო კეცხოველი. დღესასწაული გახსნა ამხ. არაქელა ოქუაშვილმა. პირველი სიტყვა წარმოსთქვა მიხო ბოჭორიძემ,

შემდეგ ილაპარაკეს ლადო კეცხოველმა, რაჟდენ კალაძემ, ზაჭრო ჩაოდრიშვილმა, სევერიანე ჯუღელმა, ლადო ჯიბლაძემ და სხ. დღესასწავლის ყველა მონაწილეს უნდა ეთქვა სადღეგრძელოსებური პატარა სიტყვა. როცა ჩემამდე მოვიდა რიგი, მე მომაგონდა ერთი ამბავი. ამბ. არაქელსთან საიდანღაც მისულიყო და შეთვისებოდა ერთი დიდი ძაღლი. ჩვენ არ ვიცოდით რა გვეწოდებია ამ ძაღლისათვის. მაშინ მომაგონდა შვეიცარიის ისტორიული რომანი „ემმა“, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ იბრძოდა 1848 წლის ბარიკადებზე ძველი ინვალიდი ჯარისკაცი ანდრესი, თუ როგორ ბორდებოდა მას მისი ერთგული ძაღლი და სხ. როცა ანდრესი მოჰკლეს, მოჰკლეს აგრეთვე მისი ძაღლიც. ამ ძაღლს ერქვა „სანხო“. და აი, აქ არაქელას ძაღლს ჩვენ დავარქვით „სანხო“. მაისობა მშიდობიანათ ჩატარდა. ამ წლის გასვლამდე ჩვენ გაძლიერებულ მუშაობას ვაწარმოებდით ახალი წევრების მოსაზიდათ; წრეები დიდის ავტორიტეტით სარგებლობდენ, ამიტომ ჩვენი მუშაობაც წარმატებით მიმდინარეობდა.

1900 წლის არალეგალური მაისობა დავნიშნეთ 22 აპრილისათვის ლოტკის გორას გადაღმა, მახათის მარცხნით, მღაშე ტბის ახლოს. აქ შეიკრიბა 600-მდე ამხანაგი. ყველას თან მოეტანა საუზმე. დღესასწავლში მონაწილეობდენ სტამბის მუშები, მეტყვეები, თაბაშქოს ქარხნის მუშები, საერთოდ ტფილისის ყველა წარმოების მუშები. სტამბებიდან იყვენ ამბ. ევანო ბოლქვაძე და ვლასა მგელაძე. მე ეხლა ამხანაგებთან ერთად დამნიშნეს „დარაჯათ“.

მაისობა გახსნა ამბ. მიხო ბოჭორიძემ, რომელმაც ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა მაისობის შესახებ, მუშათა შეკავშირებაზე და სხ. მეორედ ილაპარაკა საზღვარგარეთიდან ახლად ჩამოსულმა გ. ყარაჯიანმა (ფსევდონიმი არკომედი). ილაპარაკეს დათიკო ხართიშვილმა (მოხევე), ილიკო კოპალეიშვილმა, არაქელ ოქუაშვილმა, ზაჭარო ჩოდრიშვილმა, ვასო ცაბაძემ, სევერიანე ჯუღელმა და სხ.

დღესასწავლის დასრულების შემდეგ სიმღერით—„ნეტავ რას დარდობ დედილო, ცრემლი რად მოგდის თვალზედა“... დავიშალენით. მაშინ არ ვიცოდით არც მარსელიოზა, არც ინტერნაციონალი. როცა მუშათა უბნებში მუშებმა სიმღერით ჩამოიარეს, ყველა გაკვირვებული იყო, თუ რისთვის იყვნენ მუშები ასე მხიარულად.

1896-დან 1900 წლამდე მუშები კითხულობდენ ლეგალურ მარქსისტულ ჟურალ „კვალს“ და თვით წრეებიც ამ ჟურნალის გარშემო იყვნენ შეკავშირებულნი. 1896 წლიდან „კვალის“ რედაქციაში იყო ფილიპე მახარაძე, 1898 წლიდან კი—ნოე ჟორდანია.

არალეგალური ლიტერატურიდან მუშები კითხულობდენ: „რა უნდა იცოდეს და ახსოვდეს ყოველ მუშას“, „1 მაისი“, „8 საათის სამუშაო დღე“, დიკშტეინის—„ვინ რით ცხოვრობს“. პეროვსკაიას, ჭელაბოვის და სხ. ცხოვრების აღწერას, პეტრე ალექსეევის სიტყვას, ლაფარგის—კოლექტივიზმს და სხ. ასე მიმდინარეობდა ცხოვრება დაახლოებით 1900 წლამდე.

ვიდრე ჩვენი ჯგუფი ჩამოყალიბდებოდა 1896 წ. ჩვენ ვიცოდით მხოლოდ მიხა ცხაკაიას, ფილიპე მახარაძის სახელები, ვიცოდით, რომ ისინი იყვნენ მუშათა მოძრაობის იდეოლოგები და ხელმძღვანელები, მაგრამ ისინი ჩვენთვის მიუწვდომელნი იყვნენ, კონსპირაცია ნებას არ გვაძლევდა საქმე დაგვეჭირა ყველასთან და ამას ჩვენ ვურიგდებოდით; ამით სახელებს ჩვენ მორიდებითა და სიყვარულით ვიხსენიებდით, ვიცოდით, რომ ჩვენი ჯგუფი მოწყობილი იყო მათი ჩვენებით—ინტელიგენტური ჯგუფობრივი მუშაობიდან გადასულიყვენ მასიურ მუშაობაზე მუშათა შორის.

ინტელიგენტური ჯგუფი, რომელსაც შემდეგ „მესამე დასი“ ეწოდა, ჩემის აზრით, არსებობდა 1894-1895 წ.

(დასასრული იქნება).

2. პირადი მოგონებანი.

I.

1895 წ. მე 17 წლის ახალგაზრდა, ღარიბი ოჯახის შვილი ვსწავლობდი ტფილისის რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებელში. იმავე სასწავლებელში მყავდა ამხანაგები: კალისტრატე გოგუა, აბელ ენუქიძე, ყაისარ ჟორდანია, ვლ. ჩაჩავა და რამოდენიმე სხვა. აი ამ ამხანაგებთან ერთად ჩვენ შევადგინეთ პატარა წრე, რომელშიაც ვარჩევდით სხვადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებს და ჟურნალ „კვალს“. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი წრე მივიდა იმ დასკვნამდის, რომ საჭიროა ამა თუ იმ საშუალებით შევიტანოთ თვითცნობიერება მუშათა და ღარიბ გლეხთა მასებში, რათა ისინი მომზადებული შეხვედროდენ ახლად აბობოქრებულ ისტორიულ ტალღებს.

პირველი დამფუძნებელი კრება ახალი გაფართოვებული წრისა შესდგა 1894 წლის გაზაფხულზე ჩემს ოთახში—ეხლანდელ კალოუბნის ქუჩაზედ, სადაც მე ერთ ამხანაგთან ერთად ვცხოვრობდი.

აი ამ პირველ გაფართოვებულ წრის კრებაზე დაესწრენ ჩემს გარდა კ. გოგუა, ა. ენუქიძე, ყ. ჟორდანია, კ. ჭიჭინაძე, დ. ხართი-

შვილი (მოხევე), ლ. შადური, ვლ. ჩაჩავა და სხვანი. კრებამ წრე დაარსებულად აღიარა და დაადასტურა წარმოდგენილი გეგმა. მაშინვე შეუდგნენ საწერო ფულის შეგროვებას და წიგნების შეძენას ბიბლიოთეკისთვის. ბიბლიოთეკა ერთხანს გაბნეულად იმყოფებოდა, მხოლოდ შემდეგ კ. გოგუას ბინაზედ იმყოფებოდა. წიგნებით უმთავრესად სარგებლობდა დემოკრატიული მოსწავლეობის ნაწილი—ტეხნიკები, სახელოსნოელები და საბაღოსნოელები. მოკლე ხანში ჩვენი თანხა ისე გაიზარდა, რომ შეგვეძლო ერთი ბროშიურის გამოცემა. ამ დროსთვის ჩვენ უკვე კავშირი გვქონდა ახალგაზრდა ინტელიგენტებთან „მესამე დასიდან", რომლებსაც დავავალეთ რამოდენიმე დარგიდან რუსული ბროშიურების ქართულად გადათარგმნა. მალე გამოვეცით ბროშიურა № 1—რუბაკინის—„პუნების საოცარი და დიადი მოვლენები" თარგმანი სევერიანე ჯუღელისა. ბროშიურა გამოვეცით 1200 ცალი, რომელიც მალე გაიყიდა უმთავრესად მუშათა წრეებში, მოსწავლე ახალგაზრდობაში და დასავლეთ საქართველოს სოფლებში. ხსენებულმა ბროშიურამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ცოდნას მოწყურებულ მუშათა და მოწინავე გლეხთა წრეებში, როგორც მდიდარი მეცნიერული შინაარსით, ისე თავისი მოხერხებული მდაბიო კილოთი.

ჩვენს წრეს ჰქონდა კიდევ რამდენიმე თარგმანი მდაბიო სამეცნიერო ბროშიურებისა, მაგრამ ვინაიდან ერთის მხრით ფული გვეხარჯებოდა ახალი წიგნების საყიდლათ ჩვენი წიგნთ-საცავისთვის, მეორე მხრით შემოსავალი კი არ იზრდებოდა, წრე იძულებული იყო წიგნთ-გამომცემლობა შეეწერებინა და ეწარმოებინა მხოლოდ წიგნთ-საცავი.

1896 წ. მე, კ. გოგუა, ყ. ფორდანია და შემდეგ ა. ენუქიძე, ლ. შადური და დ. მოხევე შევედით ტფილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოში.

აქ ჩვენ გავიცანით რამდენიმე მოწინავე მუშა, რომელთაგანაც შევიტყეთ, რომ ჩვენს წრეს წინამორბედი ჰყოლია და ჯერ კიდევ 1889 წელში ყოფილა პატარა ჯგუფი ახალგაზრდა მუშებისა, რომელნიც, თუმც უგეგმოთ, მაგრამ რაღაც კულტურულ მუშაობას აწარმოებდენ. ესენი იყვნენ: ზქარო ჩოდრიშვილი, არაქელა ოქუაშვილი, არჩილ არავიშვილი (პტუცა) და რამოდენიმე სხვანი.

სწორეთ ამ დროს ე. ი. 1896 წ. ტფილისში მუშაობდა აგრეთვე პატარა ინტელიგენტთა რუსული წრე, რუსეთიდან გადმოსახლებულ ინჟენერ კოგანის მეთაურობით. ეს კოგანი იყო მარქსისტი და მისი წრეც მარქსისტული იყო. წრის მუშაობა გამოიხატებოდა „კაპიტა-

ლის" და საზოგადოთ მარქსისტული თეორიის შესწავლაში რამდენადაც მახსოვს, ამ წრეს დაუკავშირდენ: ვასო ცაბაძე, მემანქანე მარუგინი, მიწის მზომელი ზედგინიძე, და მგონი სახელოსნოს მუშა არჩილ არავიშვილი და ზ. ჩოდრიშვილი.

1896 წლის შემოდგომაზე შესდგა მუშათა ორი წრე*). ერთ მათგანში შედიოდენ: ზ. ჩოდრიშვილი, კ. გოგუა, არაქელა ოქუაშვილი, ვანო ყიასაშვილი, ყაისარ ჟორდანია, ნიკო ერიქოვი, ცალთვალა სანდრო (შეპაპიროსე) და მექუდე—სახელი დავიწყდა. დროგამოშვებით ესწრობოდა ჩვენს კრებებს არჩილ არავიშვილი.

მეორე წრიდან იყვენ, როგორც მახსოვს: ვანო სტურუა და გიორგი ჩხეიძე, მიხა ბოჭორიშვილი, დათიკო დვალი და ილიკო კოპალეიშვილი.

პირველ წრეს ხელმძღვანელობდა ვასო ცაბაძე. ჩვენ ვიკრიფებოდით კონსპირატიულად ჩემსა და გოგუას ბინაზე. პირველი კრება გახსნა ვასო ცაბაძემ. გეგმა წრის მუშაობისა იყო შემდეგი: მოემზადებინა წრეში მომუშავე მოწინავე მუშები იმდენათ, რომ მათ შესძლებოდათ მუშათა შორის შევნებული პროპაგანდა+აგიტაციის წარმოება.

1897 წლის ზაფხულში ჩვენი წრე საკმაოდ მომზადებული იყო, რომ თითეულ მის წევრს პირველდაწყებითი პროპაგანდისტული მუშაობა ეწარმოებინა, მაგრამ ჩვენ გვინდოდა მეტი დახელოვნება და ამიტომ ჩვენი წრის ხელმძღვანელათ მოვიწვიეთ ძველი რევოლიუციონერი სილიბისტრო ჯიბლაძე, რომელიც იმ დროს მსახურებდა ხაშურის რაიონში ფილოქსერის (ვაზის ჭია) წინააღმდეგ მომუშავე ჯგუფში.

ამ დროსთვის სახელოსნოში, დეპოში და სხვა ქარხნებშიაც სოკოსავით იზრდებოდა პატარ-პატარა პირველდაწყებითი წრეები, რომლებსაც ხელმძღვანელობდენ სილიბისტრო, ვასო და ჩვენი წრის დანარჩენი წევრები.

ასე მიეატანეთ 1898 წელს, როდესაც იანვრის დღეებში გამოცხადდა მთავარ სახელოსნოს და დეპოს მუშათა პირველი ორგანიზაციულათ მოწყობილი გაფიცვა. მოთხოვნილებები იყო წამოყენებული განსაკუთრებით ეკონომიური—სამუშაო დღის შემოკლება და

*) აქ მე არ მოვითხრობთ იმას, თუ როგორ მუშაობდა ორი-სამი წლის წინ ქუთაისში და ცოტა ხნით ტფილისში მიხა ცხაკაია ახალგაზრდათა შორის, არც რამეს ვამბობ ნ. ჟორდანიას და ფ. მახარაძის წინასწარ მუშაობაზე, მარქსისტული იდეის შემოტანა-გავრცელებისთვის.

ავტორი.

დღიური ხელფასის გადიდება, ღამის მუშაობის მოსპობა და სხვა. გაფიცვის გამოცხადებისთანავე გაჩნდა პოლიცია და ჯარი, რომელთაც თოფის კონდახებით მოინდომეს მუშების დაყენება სამუშაოზედ. გაამართა ხელჩართული ჩხუბი ჯარსა და მუშებს შორის. სალდათები ხმარობდენ თოფის კონდახებს, მხოლოდ მუშები რკინის ნაჭრებს, ჯოხებს, მუშტებს და თოლის გუნდებსაც. ამ დროს გამოვიდა სადგურიდან სახალხო მატარებელი, რომელიც მიდიოდა ბათუმისკენ. მიუხედავათ ჯარის წინააღმდეგობისა, მუშები გადაეღობენ მატარებელს და გააჩერეს იგი. მატარებელმა ერთი საათის განმავლობაში ვერ შესძლო წასვლა. აქ მოუმატეს ახალი ჯარი, პოლიცია და ქანდარმები. და მუშები იძულებული იყვნენ დაეხიათ სახელოსკენ და შემდეგ გაფანტულიყვნენ ნაძალადევისკენ. იმ დღეს დაატყვევეს არაქელა, ვიგორბინი და სხვები და წაიყვანეს ორთაჭალის ციხეში, საიდანაც მალე გაანთავისუფლეს.

1896 წლის ზაფხულში ჩვენმა პარტიამ მოაწყო გაფიცვა ენფიანჯიანცის პაპიროსის ქარხანაში. აქაც მოთხოვნილებები წმინდა ეკონომიური იყო. ამ ქარხანაში მეტი ნაწილი შეუნებელი მუშები იყვნენ, ყარაჩოღელი ბიჭები. გაფიცვა რომ ქარგათ ჩატარებულიყო და შტრეიკბრეხერები არ გამრავლებულიყვენ ჩვენ ვაწყობდით გაფიცულთა კრებებს ქალაქს გარეთ ღამით. მახსოვს პირველ კრებაზედ რამდენიმე ამხანაგების შემდეგ ილაპარაკა მიხა ბოჭორიშვილმა. მიხა უკვე კარგად მომზადებული პროპაგანდისტი იყო. ყარაჩოღელი ბიჭები გაკვირვებით უსმენდენ მიხას, რადგან ისინი რამდენიმე წლის წინათ იცნობდენ მას, როგორც უბრალო ძმა ბიჭს. როდესაც მიხამ რამდენჯერმე იხმარა: „ექსპლუატაცია“ „კონცენტრაცია“ „ექსპროპრიაცია“ და სხ. უცხო სიტყვები, ერთი განიერ შალერიანი მუშა ეუბნება მეორეს: „ბიჭო, ერთი უცქირე მაგ პირძაღლ მიხაკოს, როგორ ჩეჩქვივით აყრის ზაგრანიჩნი სიტყვებსაო“. ბოლოს ილაპარაკა არაქელამ. ის ლაპარაკობდა სწორედ განიერ შარვლიანების ენაზე და ისეთი აღტაცება გამოიწვია მსმენელებში, რომ ის სულ ბურთივით ისროლეს ხელში და თან იძახოდნენ: „შენი სულის ჭირიმე არაქელჯან, ეგ რა მართალსა ლაპარაკობ“.

კრება დიდი აღფრთოვანებული დაიშალა. ეს იყო კუკიის მთის ქალებში. ჯერ ჯგუფ-ჯგუფად დაიშალენ გაფიცული მუშები, შემდეგ რამდენიმე პატარა ჯგუფებათ წამოვედით ჩვენც.

თანდათან ჩვენი პარტიული ორგანიზაციები მრავლდებოდა მუშათა მასებში და ზოგიერთ მოსწავლეთა შორის, გამრავლებული მუშათა ორგანიზაციების სულიერი დაკმაყოფილების აუცილებლობა

მოითხოვდა განვითარებულ პროლეტარულ ინტელიგენტურ ძალას. ამნაირი ელემენტებიც უკვე გამოჩნდენ. ესენი იყვენ: კობა ჯუღაშვილი, ლადო კეცხოველი, სევერიანე ჯუღელი და სხვანი...

1900 წელს მე ვმუშაობდი მემანქანის თანაშემწეთ ტფილისის დეპოში. ამ წლის ივლისის ბოლოში გამოცხადდა ორგანიზაციულად მოწყობილი დიდი გაფიცვა ამიერ-კავკასიის რკინის გზებზედ. რასაკვირველია, ორგანიზაციის ცენტრს შეადგენდა ტფილისი მისი მთავარი სახლოსნოთი და დეპოთი, რომელთა მომუშავეთა რიცხვი აღემატებოდა 4000 კაცს. გაფიცვის გეგმით უნდა გაფიცულიყვენ მთელი ამიერ-კავკასიის სახელოსნოს და დეპოს მუშები, მემანქანეები და მათი თანაშემწენი, მაგრამ ტფილისის გარდა გაფიცვას სრული ხასიათი არ მიუღია. სამტრედიის, ხაშურის, განჯის და ბაქოს მუშები და მემანქანეთა თანაშემწეები ნაწილობრივ არ გამოცხადდენ სამუშაოზედ და გაფიცვა ჩაიშალა.

ტფილისში კი გაფიცვამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო.

გაფიცვა დამთავრდა სახელოსნოს ნუშების ნაწილობრივი გამარჯვებით, ჩვენ, მემანქანეების თანაშემწენი, 60 კაცი დაგვითხოვეს სამსახურიდან.

ვანო ყიასაშვილი.

II

1893 წელს მე და ჩემი ცოლი, მაშინ ჯერ კიდევ ქალიშვილი, შევედით იმ ხანებში ლენინგრადში არსებულ რევოლიუციონურ წრეში.

იმ დროს საშინელი რეაქცია მძვინვარებდა. პოლიციის მიერ ისე იყო ყველაფერი შეკრული, რომ ცოცხალ საზოგადოებრივ ძალას გასაქანი არ ჰქონდა. მუშების ექსპლოატაცია საზღაპროთ იყო განვითარებული. სამუშაო დღე 13—15 საათამდე აღწევდა. შრომის ხელფასს ღებულობდენ:—ქალები 6—9 მანეთამდე, მამაკაცები 9—18 მანეთამდე თვეურად. მუშის დაზღვევა არ ხდებოდა, ავადმყოფ მუშას პირდაპირ ქუჩაში ერეკებოდენ. საშუალო მუშას თავისი ხელფასით არ შეეძლო ოჯახის შენახვა, ამიტომ 10—12 წ. ბავშები იძულებული იყვენენ დედებთან ერთად ეშუშავათ, რომ ასე ლუკმა პური ეშოვნათ. მუშათა კანონმდებლობაც ერთავად მუშათა სრულ დამონავებას ემსახურებოდა. ფაქტიურად მუშათა კლასს კანონი არ იცავდა.

რევოლიუციონური მოძრაობა მაშინ მუშათა კლასში ის იყო ისახებოდა. სუფევდა სასტიკი კონსპირაცია, მუშაობას პროპაგანდუ-

ლი ხასიათი ჰქონდა,—მიმდინარეობდა ნელა, ფრთხილად, საჭირო იყო ამა თუ იმ მუშაზე ხანგრძლივი დაკვირვება, მისი შესწავლა, სანამ მას ასე თუ ისე ენდობოდით. ასეთი ამორჩეული მუშებისაგან ეწყობოდა წრეები, სადაც ინტელიგენცია მუშაობდა ზეპირი პროპაგანდის საშუალებით, თუ საკითხავი წიგნების შერჩევით ცდილობდა მუშების განვითარებას. ამ წრეებში პოლიტიკური ეკონომიის გარდა შეძლებისდაგვარად აცნობდენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებას.

არალეგალური ლიტერატურა თითქმის არ მოიპოვებოდა, მართალია იყო დიკშტეინის წიგნაკი—„ვინ რით ცხოვრობს“, მარქსის და ენგელსის „კომუნისტური მანიფესტი“ და კიდევ სხვა ასეთი წიგნაკები, მაგრამ ყველაფერი ეს მეტად მცირე რაოდენობა იყო—მთელს ლენინგრადში თითეული წიგნაკის რამდენიმე ცალი; ამიტომ მუშაობა სწარმოებდა ლეგალური ლიტერატურის საშუალებით.

რევოლიუციონური ინტელიგენცია მაშინ აშკარად იყო გაყოფილი ორ ბანაკად: ერთის მხრით იყვნენ ყოფილი ნაროდოვოლცები—შემდეგში ესერები, მეორე მხარეზე—ახლად წარმოშობილი სოც.-დემოკრატები. ამ ორ ჯგუფს შორის სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა გავლენის მოსაპოვებლათ მოწინავე მუშებზე. უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლეს შემთხვევაში მოწინავე მუშებზე გავლენას ახდენდენ სოც.-დემოკრატები.

საყურადღებო მოწინავე მუშებათ მაშინ ითვლებოდენ: ფიშერი, ი. იაკოვლევი, კალინინი, (ამ ჟამად სრულიად საკავშირო სტაროსტა, ბაბუშკინი, ვ. შელგუნოვი, ვ. იაკოვლევი, ანტონოვსკი, კეიზერი შაპოვალოვი და სხ.) უნდა აღინიშნოს, რომ მამაკაცებთან ერთად თავგამოდებით მონაწილეობდენ მოძრაობაში ქალებიც. მათ შორის საყურადღებო მომუშავეებათ ითვლებოდენ: კურსისტკა ვეტროვა, რომელმაც პეტრე-პავლეს ციხეში ნავთი გადაისხა და ცეცხლის წაკიდებით თავი დაიწვა, მუშა-ქალი ნატალია ეგოროვა, რომელმაც სამი წელიწად გაატარა ციხეში და შემდეგ გადასახლებულ იქნა ციმბირში, მასწავლებელი ქალი ვერა სტებელევა, ლიდა მილოვიდოვა, მუშა-ქალი მარიამ მაკლაკოვა, პაშა ჭელაბინა და სხ.

წრეების რიცხვი უმნიშვნელო იყო. ყველაზე უკეთეს წრედ ითვლებოდა ის წრე, რომელიც ნევის იქითა მხარეს არსებობდა, ამ წრეში შედიოდენ: ვ. შელგუნოვი, ვ. იაკოვლევი, ბაბუშკინი და სხ. ამ წრეში მეცადინეობდა ახალგაზრდა ინტელიგენტი ულიანოვი. მაშინ, რა თქმა უნდა, არავის არ შეეძლო იმის წარმოდგენაც კი, რომ ეს ახალგაზრდა ინტელიგენტი 25 წლის შემდეგ გახდებოდა მსოფ-

ლიო რევოლიუციის ბელადი. იმ ხანებში ჩვენ კონსტიტუციაზე ვოცნებობდით, როგორც შორეული მომავლის შესაძლებელ ბედნიერებაზე, რაც შეეხება პროლეტარიატის დიქტატურას, ამის შესახებ, შეიძლება, მხოლოდ ულიანოვის გენიალური თავი ფიქრობდა.

მუშაობდა არალეგალური სტამბა, რადგანაც გამოდიოდა ფურცლები—„მუშათა კლასის განთავისუფლების ბრძოლის ჯგუფი". ამ სტამბის გარდა საკუთარი სტამბა ჰქონდათ ნაროდოვოლცებს, რომელიც მოთავსებული იყო სადღაც ქუჩაზე. ეს მე დანამდვილებით ვიცი, ვინაიდან ამბ. შაპოვალოვმა, რომელიც იმ სტამბაში მუშაობდა, წინადადება მისცა ჩემს ცოლს ემუშავა იქ მოსამსახურის სახით. 1895 წელს ეს სტამბა აღმოჩენილი იქნა პოლიციის მიერ.

მიუხედავად მედგარი რევოლიუციონური მუშაობისა ლენინგრადის ძალები უმნიშვნელო იყო. როდესაც 1895 წელში ერთმა ინტელიგენტმა, კბილის ექიმმა ვრნმე მიხაილოვმა, რომელიც პროვაკატორი აღმოჩნდა, ჯანდარმებთან გასცა მთელი ორგანიზაცია, მთელს ლენინგრადში დაპატიმრებულ იქნა 100 კაცზე მეტი და როცა ამ ხანაგების დაპატიმრების შემდეგ თავისუფლად დარჩენილი ამხანაგები შეეკრიბენით პეტერბურგის მხარეზე შემდეგი მუშაობის გამოსარკვევად—კრებაზე აღმოჩნდა მხოლოდ 29 კაცი. ამ კრებაზე ჩვენ პირველად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ასე მუშაობა შეუძლებელი იყო, რომ არსებულ პირობებში არავითარი შესაძლებლობა არ იყო, რათა თითეული მუშა ცალკე ყოველმხრივ განგვევითარებია და მუშათა დანარჩენი მასა უყურადღებოთ დაგვეტოვებია. ჩვენ ვიცოდით, რომ მეფის საპყრობილე თავისუფლად დაიტევდა თითეულად ცალ-ცალკე განვითარებულ მუშას. ჩვენ შევიგნეთ, რომ პოლიტიკური აგიტაციით უნდა მოგვემზადებია „პოლიტიკურ დამნაშავეთა" ისეთი მასა, რომელიც თავისი სიმრავლით მეფის საპყრობილეში ვერ მოთავსდებოდა, პირიქით, დაანგრევდა მას. შემდეგი ჩვენი მუშაობა სწორედ ამ მიმართულებით განვითარდა და ყოველი შემთხვევა საგიტაციოდ იქნა გამოყენებული.

1896 წელს მძიმე ეკონომიური პირობებისა და აგრეთვე გაძლიერებული აგიტაციისა და პროპაგანდის წყალობით ნიკოლოზ II კურთხევის დროს გაიფიცა 44 ფაბრიკა ქარხანა. ლენინგრადში ეს პირველი მაგალითი იყო მასიური გაფიცვისა. მოძრაობა საქსოვი ქარხნებიდან დაიწყო, სადაც წამოაყენეს ეკონომიური მოთხოვნები, რაც შეეხება ლითონის ქარხნებს, ისინი გაფიცვას მიემხრენ სოლიდარობის სახით. იმ ხანებში მე ვმუშაობდი ალექსანდროვის ქარხანაში. იქ მიმიღეს დაპატიმრებულ ბაბუშკინის ალაგას. მახსოვს ჩვენი ქარხანა

ისე გაიფიცა, რომ არავითარი მოთხოვნა არ წამოუყენებია. ეს იყო პროლეტარული სოლიდარობის პირველი მაგალითი. ამ გაფიცვის გამო მოხდა მასიური დაპატიმრება, მაგრამ ყველა შეპყრობილნი მეფის ციხემ ვერ დაიტია. დაგვაპატიმრეს მე და ჩემი ცოლიც და რამდენიმე თვის შემდეგ, 1896 წელსვე, გადაგვასახლეს ტფილისში პოლიციის მხედველობის ქვეშ.

გზის ფულად პარტიამ მოგვცა 65 მანეთი და სარკომენდაციო წერილი სამხედრო ექიმ გორბუნოვთან, რომელიც მაშინ ტფილისში ცხოვრობდა. ამ დროს მე 22 წლისა ვიყავი, ჩემი ცოლი 17 წლის. ჩვენ სრულიად არ ვიცნობდით კავკასიას და ვფიქრობდით, რომ მიედიოდით სადღაც ნახევრად ველურ ქვეყანაში, მაგრამ სინამდვილეში ასე არ აღმოჩნდა, მან ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა. ტფილისში ჩამოსვლის მესამე დღეს, როცა ბინაზე დავბრუნდით, მეზობლებმა გადმოგვცეს უცნობი პირის მიერ მოტანილი მოკრული, რომელშიაც აღმოჩნდა ჩაი, შაქარი, საპონი, თუთუნი, წუმწუმა და ე მანეთი ფულად. ერთი საათის შემდეგ მოვიდნენ ის პირები, რომელთაც მოკრული დაეტოვებიათ, ესენი აღმოჩნდნენ: ამხ. არაქელ ოქუაშვილი, ზაქრო ჩოდრიშვილი და სანდრო ბაქრაძე. ამათ გაეგოთ რა, რომ ჩვენ პოლიტიკური გადმოსახლებულნი ვიყავით, არ დაეყოვნებიათ ამხანაგური ხელის გამოწვდენა.

გამოირკვა, რომ იმ ხანებში ტფილისში დაარსებული იყო საკმაოდ ძლიერი მარქსისტული ორგანიზაცია; მოწინავე ამხანაგებათ, რომელთა გარშემო შემოკრებილნი იყვნენ დანარჩენი მუშები, ითვლებოდნენ: არაქელ ოქრუაშვილი, მიხა ბოჭორიშვილი, გიორგი ჩხეიძე, ვანო სტურუა, გ. მარსაგოვი, ალილუევი, მარუგინი, სიაროვი, იაზიკოვსკი და სხვ. ინტელიგენტებიდან ჩვენ ვიცნობდით ინჟ. კოგანს და ლუზინს. ამ ამხანაგებმა ჩვენ ერთბაშად მიგვიღეს თავის წრეში, როგორც ნათესავნი და ახლობელნი. მე მიშოვეს სამსახური, მასწავლეს ხარატობა. ამ მხრით განსაკუთრებით დიდი დახმარება აღმოგვიჩინა ამხ. არაქელამ და ბოჭორიშვილმა. ამათ ნამდვილი მშობლური მზრუნველობა გაგვიწიეს, დანარჩენი ამხანაგებიც ისე გვეპყრობოდნენ, როგორც ღვიძლი ძმები.

ამ დროს მუშათა ეკონომიური მდგომარეობა ტფილისში გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ლენინგრადში; ტფილისში შრომის ხელფასით მუშას შეეძლო ოჯახის შენახვა, ქალები და მოზარდნი ჯერ კიდევ არ მუშაობდნენ, ბინის მხრითაც მდგომარეობა უკეთესი იყო;

მაგრამ უუფლებოპა, შევიწროება აქაც ისეთივე იყო, სამუშაო დღე ხედმეტი მუშაობის სახით ღამის 12 საათამდე გრძელდებოდა.

რევოლიუციონური მუშაობა კარგათ მოწესრიგებული დამხვდა. არალეგალური ლიტერატურაც საკმაოდ იყო, წარმატებით მიმდინარეობდა პროპაგანდა, არსდებოდა ჯგუფები და მუშათა გაერთიანებას მკვიდრი საძირკველი ეყრებოდა. არალეგალურ მუშაობასთან ერთად გამოყენებულ იქნა ლეგალური შესაძლებლობანი, დეპოში არსებობდა კარგი ბიბლიოთეკა, 1899 წელს კი რკინის გზის მთავარ სახელოსნოებთან დაარსდა მუშათა თეატრი. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს იმისი ჩანასახი იყო, რაც ახლა არის. პირველი ცდა პირველმაისობის დღესასწაულის გადასახდელად მოხდა 1898 წელს. ეს დღე მუშათა ზოგიერთმა ცალკე ჯგუფებმა გაატარეს ტფილისის გარე უბნებში. 1899 წელს კი ტფილისის მუშებმა პირველი მაისი იდღესასწაულეს წითელი დროშებით. ამ დღეს მლაშე ტბასთან შეიკრიბა 800-მდე მუშა, აქ მუშებმა პირველად მოისმინეს თავისუფალი სიტყვა და იხილეს წითელი დროშა (წითელი ხელსახოცი ჯოხზე მიკრული). მიტინგის შემდეგ მუშებმა ჩამოიარეს ნაძალადევის ქუჩებში და რადგანაც მარსელიოზა და ინტერნაციონალი არ ვიცოდით, მუშები ადგილობრივ სიმღერებს იმღერდენ.

1899 წლის შემოდგომაზე რკინის გზის სახელოსნოებში შევსძელით პირველი გაფიცვის ჩატარება. გაფიცვა მწყობრად ჩატარდა, თუმცა გამოერივნენ ზოგიერთი შტრეიკბრეხერები, მაგრამ როცა გადაცმულ ტანისამოსში არაქელამ და სხვა ამხანაგებმა რამდენიმე ასეთი პირები მიბეგვეს, ამან საქმეს უშველა. გაფიცვის შემდეგ ჟანდარმერიამ ბევრი ამხანაგი მოხსნა სამუშაოდან, მათ შორის დამითხოვეს მეც, ამიტომ მე გადავედი ბაქოში. იქ, ბალახანაში, ჩვენ ტფილისელებმა 9 კაცამდე მოვიყარეთ თავი. ჩვენ ყველანი ერთ ოთახში ეცხოვრობდით და ვმუშაობდით სხვადასხვა ქარხნებში. ჩვენ შორის იყვნენ ამხ. სტურუა, ენუქიძე, ბოხუა, კ. კანდელაკი და სხ. განსაკუთრებით საქმე გაუჭირეს ვ. სტურუას, მას თვალყურის დევნა დაუწყო ტფილისის ჟანდარმთა პოლკოვნიკ ლაგროვმა. ლაგროვი სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი ჩამოვიდა ბალახანაში, მონახა ის სადაურში, გაეცნო როგორც გამგელელი რევოლიუციონერი და შეიპირია საღამოთი შეხვედროდა. თუმცა ჩვენ ვიცოდით კარგათ არ იყო საქმე, მაგრამ რადგანაც სხვა გამოსავალი არ იყო, გადავწყვიტეთ რაც მოსახდენი იყო, მამხდარიყო და საბრალო ვანო წავიდა დანიშნულ ალაგას. როცა ის წავიდა, მისი საწოლიდან გადავხიზნეთ დიდძალი არალეგალური ლიტერატურა, ერთი საათის შემ-

დეგ ფეხის ხმა შემოგვესმა და ვანოც საპატიო ყარაულით მოადგა თავის ბინას! გულდასმითი ჩხრეკის შემდეგ ვანო დააპატიმრეს.

1900 წელს მე გადავედი ბათომში. ამ ხანებში აქ დიდი მუშაობა იყო გაჩაღებული. აკეთებდენ ნავთის გასაზიდ ყუთებს. მუშათა რიცხვი საერთოდ ბათუმში 7-8 ათას კაცს აღწევდა, შემდეგ ეს რიცხვი გაიზარდა 12 ათასამდე. ხელფასი მცირე იყო—60 კაპ. და მეტი დღიურად; სამუშაო დრო ზედმეტი მუშაობის სახით 14 საათსა და მეტს აღწევდა. ადმინისტრაციის მხრით მუშებისათვის მუშტი-კრივით გამასპინძლება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. აქ უკვე არსებობდა ს. დ. მუშათა პატარა ჯგუფი. ჯგუფში შედიოდენ—რიგიდან გადმოსახლებული ა. პოსატეცკი, სარატოვიდან—ლოზინი, მაზინი და სხ., მაგრამ ამ ჯგუფს მუშებზე არავითარი გავლენა არ ჰქონდა. ჩვენი ძალა ჩქარა გაიზარდა, როცა ტფილისიდან და სხვა ადგილებიდან მოგვემატენ ამხანაგები. 1901 წელს ჩვენ შევსძელით ბათუმში პირველი გაფიცების მოწყობა; ამ გაფიცებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა შემდეგში ბათუმის მუშათა მოძრაობისათვის. გაფიცება მოხდა მანთაშევის ქარხნის მექანიკურ სახელოსნოში, სრულიად უბრალო შემთხვევის გამო, გაგრძელდა ერთი დღე და გამარჯვებით დამთავრდა. ამ გაფიცებამ დიდი გავლენა იქონია მუშათა ჩამორჩენილ მასაზე, დიდათ შეგვიწყო ხელი პროპაგანდაში, ასე რომ, ოთხი თვის შემდეგ გაიფიცა მთელი ქარხანა—1500 მუშა და მოთხოვნათ წამოაყენა უველასაგან საძულველი გამგის ტერ—აკოფოვის სამსახურიდან დათხოვნა. ეს გაფიცებაც გამარჯვებით დამთავრდა და ამის შემდეგ რამდენიმე გაფიცება მოხდა ქარხნის დახურვამდე—1908 წლამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ გაფიცებათა 75% განსაკუთრებით ეკონომიური ხასიათისა იყო და რადგანაც მუშათა ფართო მასა გაცნობილი არ იყო პოლიტიკური ეკონომიის კანონებთან, ისეთი მოთხოვნები წამოაყენეს, რასაც წარმოება ვერ აიტანდა და ამიტომ ქარხნებიც დაიხურა.

ამ ხნის განმავლობაში ბათუმის რევოლიუციონური ძალები იზრდებოდა. მოსულ ამხანაგებს გარდა, გამოჩნდენ ადგილობრივი მომზადებული მუშები, შესდგა პარტიული კომიტეტი, დაარსდა პარტიული კასა, საწევრო გადასახადი რეგულიარულად იკრიბებოდა, წრეებში სწარმოებდა მუშაობა, გამოდიოდა პროკლამაციები და სხ. სა. კუთარი სტამბის მოწყობასაც კი შეუდექით: მუშაობა სწარმოებდა მექანიკურ სახელოსნოში, მანთაშევის ქარხანაში, მაგრამ გაგვცეს და ამიტომ საბეჭდავისათვის დამზადებული ნაწილების შეკრება და გამოტანა ვერ მოვახერხეთ.

1902 წელს ხოხდა მუშების მასიური გამოსვლა დაპატიმრებული ამხანაგების გასანთავისუფლებლათ. გამაერთხილებელი საყვირის შემდეგ ყველა ქარხნებში მუშაობას თავი გაანებეს და გაეშურენ გადასაგზავნ ყაზარმებისაკენ, რათა გაენთავისუფლებიათ დაპატიმრებულნი; ამ დროს ჯარმა და პოლიციამ მუშებს სროლა აუტეხა. მოგვიკლეს 9 მუშა, ბევრიც დაიჭრა.

1903 წელს ჩატარებულ იქნა პირველი დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ყველა ქარხნების მუშებმა—10,000-მდე კაცმა. პირველად ამხ. მაზინმა იღაპარაკა. მან მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა მოასწრო. მოკვივდენ ყაზახები და ამხანაგი მაზინი შეიპყრეს, რომელმაც ამ პირველ თავისუფალ სიტყისათვის სასჯელად მიიღო 20 წლის კატორღა.

1904 წელსაც მოხდა დემონსტრაცია, ამას გარდა მოეწყო პოლიტიკური გაფიცვა, ამ გაფიცვაში გაფიცულმა მუშებმა აიძულეს ვაჭრებიც კი მიეღოთ მონაწილეობა. აგრეთვე დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული, რათა არ მომხდარიყო სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა, რასაც მთავრობა აწყობდა პროვოკაციულად.

1905 წელს რევოლიუციონურმა ტალღებმა კიდევ უფრო მაღლა აიწია. მოწყობილ იქნა პირველი ტერორისტული აქტი—მოჰკლეს ჩვენი დაუძინებელი მტერი თ—დი გურიელი. ბათუმის ქუჩებს ახსოვს ბარიკადები, ყაზახებთან შეტაკება, საყოველთაო გაფიცვა და სხვ. სხვათა შორის მანთაშევის ქარხანაში ჟანდარმერიაში მოსამსახურე მანთაშევის ნოჭრის გორდევინის დასმენით ყაზახები თავს დაესხენ 250 მუშისაგან შემდგარ კრებას, აუტეხეს სროლა და 4 კაცი მოკლეს.

1906 წელში რევოლიუციონური ტალღები შენელდა, თუმცა გაფიცვები ეკონომიურ ნიადაგზე კიდევ გრძელდებოდა. ამ წელს ჩატარდა სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანია.

1907 წელს ავარჩიეთ ლონდონის პარტიულ ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატი. 1908—9 წელს დაიწყო ბათუმის ქარხნების დახურვა, მუშებმაც სოფლად იწყეს წასვლა და ქალაქში შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა.

შემდეგში მომხდარი ამბების აღწერისაგან თავს ვიჭერ. ვფიქრობ, რომ ეს ამბები ყველას მოეხსენება.

ი. ლევაშკევიჩი.

15 იანვარი, 1925 წ.

III

როცა 1895 წელს ტფილისიდან ბათუმში დავბრუნდი, იქ დამხვდა მარქსისტების პირველი ჯგუფი, რომელსაც კავშირი ჰქონდა ქარხნის მუშებთან.

ამ ჯგუფში იყვნენ ი. ი. ლუზინი*), იმ დროის მიხედვით კარგათ მომზადებული მარქსისტი, „სარატოვის ლისტოკის“ კორესპონდენტი. 1897 წ. ლუზინმა „რუსსკოე სლოვოში“ მოათავსა ვრცელი კორესპონდენცია „ფეოდალის მკვლელობა“, სადაც აღნიშნული იყო თავ. დიასამიძის მკვლელობის ძირითადი მიზეზები **).

გიორგი ფრანჩესკი, თეორეტიულად უფრო ნაკლებად მომზადებული, მაგრამ მთელი თავის არსებით გატაცებული რევოლიუციონერი—ეს ორი მარქსისტი კერძო გაკვეთილებით ირჩენდენ თავს. ბათუმში დროგამოშვებით ჩამოდიოდა ინჟინერი ი. კოგანი, ყარსის რკინის გზის ერთი მშენებელთაგანი. ის, როგორც თეორეტიული მომზადებით, აგრეთვე მარქსისტული მოძრაობის პრაქტიკულად ცოდნით ჩვენს წრეში ყველაზე მაღლა იდგა, კარგი მოლაპარაკე, ძლიერ მოხერხებული ადამიანი იყო და კომპრომისს ადვილად ურიგდებოდა.

დამხვდა აგრეთვე ბათუმში კარლო ჩხეიძე, ფილოქსერის კომიტეტის აგენტი, რა სამსახურიც მისთვის თითქმის სინეკურა იყო. მასთან ერთად ცხოვრობდა და მაშინ მარქსისტობდა ახლა პროფესორი ფილიპე გოგიჩაიშვილი.

ამ წრესთან შორი-ახლო კავშირს იჭერდენ ზოგიერთი ქართველი ახალგაზრდები: იასონ მეგრელიძე, აქსენტი გვათუა, ბაგრატ ვირსალაძე და სხვები.

ჯგუფთან ახლოს იდგენ ქარხნების შემდეგი მუშები: ივანე მგელაძე, სწავლა-განათლებას მოკლებული, მაგრამ მუშათა მოძრაობის დროს ერთგული მებრძოლი. 1906 წლის რეაქციის შემდეგ ი. მგელაძეს თუმცა რევოლიუციონერობა არ დავიწუნია, მაგრამ თავის კეთილდღეობაზე უფრო ფიქრობდა. მაქსიმე წულაძე—ხელობით ასოთ-

*) შეიძლება ბათუმელი მკითხველი შესცდეს და ეს ეგონოს მეორე პიროვნება—ნიკოლოზ ლუზინი. ბათუმის ქარხნის ახალგაზრდა მუშა, ზეინკალი, რომელიც 1905—1907 წლებში, როგორც ს. დ. ბოლშევიკი ძლიერ გატაცებით მუშაობდა რევოლიუციონურ ასპარეზზე. ლუზინს სამხედრო ორგანიზაციაში მუშაობისათვის კატორღა გადუწყვიტეს, სადაც ის დაიღუპა.

**) თ—დი დიასამიძე მოჰკლეს გლეხებმა ს. ბრილში (ქართლი) 1897 წ. ეს პირველი მკვლელობა იყო ჩვენში აგრარულ ნიადაგზე.

რ ე დ.

ამწყობი, მაგრამ შემდეგ ნავთის ქარხნის მუშა, ჩუმი, წუნარი ერთგული. დღეს, თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ, როდესაც ვფიქრობ წასულზე, ჩემს თვალის წინ სდგანან მაშინდელი მუშები. პიროვნებას კარგად ვხედავ, მახსოვს თითეულის კერძო თვისებები, მაგრამ სახელები არ მაგონდება.

1891 წ. მთავრობამ ბაქოდან ბათუმამდე ერთი ფუთ ნავთის გადასატანი ფასი 12 კაპიკიდან 19-დე ასწია. მრეწველებმა გადასწყვიტეს ეს ზარალი მუშებისაგან ამოეღოთ და იმავე წლის შემოდგომის დასაწყისს დაკლებული ხელფასი გამოაცხადეს. როტშილდის ქარხნის თუნუქის ჭურჭლების დამამზადებელ განყოფილების მუშები გაიფიცენ. მოვიდა პოლიცია, ჟანდარმერია, დაიჭირეს ოციოდე მუშა. მუშებსა და ადმინისტრაციას შორის შუამავლობა იკისრა გიორგი წერეთელმა და საქმე მორიგებით გათავდა. დაპერილები გამოუშვეს, მუშებმა 5—6 საათის გაფიცვის შემდეგ განაგრძეს მუშაობა.

1893 წელსაც მოხდა იმავე განყოფილებაში გაფიცვა. ქარხანაში კვირა-უქმე დღესაც სწარმოებდა მუშაობა. ნოქრების ბესარიონ და მიხაკო კალანდაძეების წაქეზებით მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს კვირა დღეს მუშაობის წინააღმდეგ. აქ მომრიგებელად გამოვიდა პოლიციის ბოქაული პ. მეფისაშვილი. ამ რამოდენიმე საათის გაფიცვასაც არავითარი შედეგი არ მოყოლია. ნოქრებში სხვებზე მაღლა იდგა განვითარებით ბეგლარ მელია. ის აღტაცებით ეცნობოდა მარქსის მოძღვრებას და მუშაობდა ჩვენს წრეში და მუშებში. ჩვენთან მუშაობდენ აგრეთვე ნოქრები ნიკო გაბუნია, მიხაკო კალანდაძე, სპირდონ დუნდუა, პლატონ ბერძენიშვილი და სხვები, თავისი მდგომარეობით ნამდვილი პროლეტარები და მუშათა ინტერესების დამცველნი.

ზემოდ დასახელებულ მუშებს და ნოქრებს დაჰყავდათ წრეში უფრო სანდო და ცოდნის მსურველი მუშები და მათ შორის ვეწეოდით პროპაგანდას. პირველ ხანებში მარქსიზმი ისე გაურცელდა ჩვენში, როგორც ჰომეროსის „ილიადა“ ძველ საბერძნეთში და „ვეფხის ტყაოსანი“ ჩვენში, ე. ი. ზეპირგადმოცემით.

ქართველმა მუშებმა დედა-ენის გარდა სხვა ენა არ იცოდენ, ქართულად კი მარქსისტული ლიტერატურა არ მოიპოვებოდა. ჟურნალ „მოამბის“ 1895 წ., ივნისის მაისის ნომერში, მოთავსებული იყო ნ. ჯორდანიას ცნობილი წერილი, რომელსაც ჩვენ მაშინ ორტოდოქსალურ მარქსისტად არ ვცნობდით. შემდეგ ჟურ. „კვალმაც“ მიიღო მარქსისტული მიმართულება, მაგრამ სასტიკი ცენზურის გამო მასში იბეჭდებოდა მეტად მკრთალი წერილები.

რუსული წიგნებიც ძნელი სამოვნელი იყო. მარქსის კაპიტალი შეტანილი იყო იმ 180 წიგნთა სიაში, რომელთაც ალექსანდრე III-ის განკარგულებით ბიბლიოთეკაში არ იძლეოდენ. კაპიტალის (I ტ.) ერთად-ერთი ეგზემპლიარი ეკუთვნოდა კ. ჩხეიძეს და მით ჩვენ ჯგუფის წევრები ვსარგებლობდით განსაზღვრული დღეებით და თითქმის საათებით. არალეგალურ ლიტერატურას დიდის გაჭირვებით ვშოულობდით. იმგვარი წიგნები, როგორიც იყო დიკენშტეინის „ვინ რით ცხოვრობს“, „ოთხი ძმა“ და სხვები იშვიათად გვევარდებოდა ხელში. იმავე ხანებში (1895 წ.) რუსეთში ლეგალურად გამოიცა პლეხანოვის „К вопросу о развитии монистического взгляда на историю“ და შემდეგ წელს იმავე ავტორის თხზულება, ვოლგინის ფსევდონიმით, („Обоснование народничества в трудах г—на Воронцова (В. В.). პლეხანოვის „მონიზმი“ ჩვენ ძლიერ გულმოდგინეთ შევისწავლეთ და ის იყო ჩვენთვის ერთგვარი სამოციქულო პროპაგანდის დამუშავებული პროგრამა, ანუ წინასწარ შედგენილი სისტემა არ არსებობდა. მცირერიცხოვან წრეებში საუბრის საგანი იყო ზედმეტი ღირებულების ანალიზი და პირველდაწყებითი ცნობები პოლიტიკურ ეკონომიიდან. მუშათა შორის იყვნენ პირები, რომელნიც ქართულ ლიტერატურას იცნობდენ, აკაკის და ილიას თხზულებები წაკითხული ჰქონდათ და მათში ჩანერგილი იყო მამულიშვილობა. რაღა დასამალავია, ეს ჩვენ მაშინ უდიდეს ცოდვათ მიგვაჩნდა. ამგვარ მუშებთან უფრო ძნელი იყო ბაასი და ბევრი მჭერმეტყველობა იხარჯებოდა მათთან ბაასის დროს.

1896 წელს მაისში ჩვენ მოვაწყვეთ პირველი კრება ქალაქ გარეთ—სოფლის გორაზე, რომელსაც დავესწარით 20 ამხ. კრებაზე გამოვიტანეთ რეზოლიუცია, სადაც შეტანილი იყო ს. დ. პარტიის უმთავრესი მუხლები.

როგორც ვსთქვით, დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ქართულად საჭირო ლიტერატურა არ არსებობდა.

ჩვენ განვიზრახეთ „კომუნისტური მანიფესტის“ ქართულად გადმოთარგმნა. ეს საქმე მე მომანდვეს, რაც შეძლებისდაგვარად შევასრულე.

ფრანჩესკიმ და მე დავამზადეთ ჰექტოგრაფის ფიცარი და მოვხარშეთ მასა, რომელიც რამოდენიმეჯერ გაგვიფუჭდა, მაგრამ ბევრი ცდის შემდეგ მოვახერხეთ კარგი ჰექტოგრაფის გაკეთება. დაბეჭდილ ფურცლებს ვაშრობდით იქვე ეზოში, სარეცხისთვის გაბმულ თოკზე იმ ბინაზე, სადაც გ. ფრანჩესკი ცხოვრობდა. ეს ბინა იყო მაშინდელ

მარიინსკი პროსპექტზე, ახლა III ინტერნაციონალის ქ. სახლი ეზოს სიღრმეში იდგა და ეზოსკენ ღობეც არ იყო.

ამ ბედნიერმა დრომ მალე განვლო.

დავბეჭდეთ ას ცალამდე. პირველი 60 ეგზემპლიარი ქარგი, დანარჩენი უფრო მკრთალი. ჩვენ მიზანს მივაღწიეთ: მარქსისტული უსაჭიროესი სახელმძღვანელო, ქართულად გარმოთარგმნილი, ხელთ გვქონდა.

იმ ხანებში ბათუმში ჩამოვიდა ცნობილი ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი, შვეიცარიის მოქალაქის კო—ს პირადობის მოწმობით. მან მთხოვა 1 ეგზემპლიარი ბრიტანეთის მუზეუმისათვის. მე გადავეცი. არ ვიცი, მოახერხა თუ არა გატანა.

მარქსისტულ პირველ ჯგუფში შედიოდენ მხოლოდ ქართველი მუშები. რუსი მუშა ბათუმში სულ რამოდენიმე ასი კაცი იქნებოდა, თითქმის ყველა ხელოსნები: ისინი კლასთა ბრძოლით და პარტიით მხოლოდ 1903 წლის შემდეგ დაინტერესდენ და ერთი ნაწილი ძლიერ აქტიური ელემენტი შეიქნა. ბათუმში იმ ხანებში ცხოვრობდენ კარგად მომზადებული რუსი პროპაგანდისტები, მაგრამ ისინი მუშათა შორის ასპარეზს ვერ პოულობდენ, მათი გავლენა თავდებოდა ახალგაზრდა ინტელეგენციით და ქარხნის ნოქრებით, რომელთაც რუსული ენა იცოდენ.

ქართველების შემდეგ რიცხვით მეორე ადგილი ეჭირათ სათათრეთიდან, დარბევის გამო გადმოხეიწყილ სომეხ მუშებს, ძლიერ დაჩაგრულ და კულტურულად ჩამორჩენილ მასას. მათთან კავშირის დაჭერა ს. დ. პარტიამ ძლივს-ძლივობით მოახერხა 1903 წელს. იმ ხანებში კი ერთი სომეხი მარქსისტი პროპაგანდისტი არ უნახავს ბათუმს. სომეხ მუშათა მცირე ნაწილზე, უფრო მანთაშეევის ქარხნის ნოქრებზე და დარაჯებზე, ზედგავლენა ჰქონდა სომხურ პარტიებს, ჰინჩაკისტებს და დაშნაკელებს. ჰინჩაკისტები მაშინ უფრო მძლავრი იყვნენ და ჩვენში გადმოიტანეს თათრული პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები, მაგრამ, მათი გავლენა ბათუმის მოძრაობაზე შედარებით მკრთალი იყო და შემდეგ წლებში ხშირად რევოლიუციის მსვლელობის შემაფერხებელი.

მუშათა მოძრაობის მხრივ აგრეთვე არაფერი ითქმის სხვა ეროვნების მუშებზედაც. ესენი შამოუერთდენ მოძრაობას საერთო აღფრთოვანების დროს.

1897 წლის მიწურულს ჩვენი, მარქსისტების პირველი ჯგუფი ბათუმში დაიშალა. ლუზინი ტფილისში წავიდა. გ. ფრანჩენსკი ბათუმში ცხოვრობდა ებრაელ ქალის, გვარად მეტერსკაიას ოჯახში; მას ჰყავდა ორი ქალიშვილი, უფროსი იმ ხანებში გიმნაზიას ათავებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმცროს მე ვამზადებდი გიმნაზიის მეოთხე კლასისათვის. ეს ქალიშვილები, რამდენად შეეძლოთ, გვეხმარებოდენ ჰექტოგრაფზე მუშაობის დროს და კონსპირაციასაც კარგად გვინახავდენ. იმავე ხანებში მეტერსკაია თავისი ქალიშვილებით ტფილისში გადასახლდა. იქ მათ გაეცნო... ჯაშუში, რომელიც მათ სახლში როგორც კარგი ნაცნობი დადიოდა და ყველაფერი გამოკითხა. ცოტა ხნის შემდეგ ქარდარმებმა გაჩხრიკეს მეტერსკაიას ბინა და იქ აღმოაჩინეს ფრანჩესკის წერილი. უფროსი ქალიშვილი შეკითხებოდა ფრანჩესკის წერილით,—შენ რომ სალარო გაქვს, მას რა დანიშნულება აქვსო? ამ წერილზე ფრანჩესკის პასუხი გაეცა და ერცლად განემარტა თუ რა დანიშნულება აქვს პარტიულ სალაროს. ეს წერილი დაიპირეს. ფრანჩესკი ბათუმში დაიპირეს და გადასახლება მიუსაჯეს. მალე დაავადმყოფდა და გარდაიცვალა. ი. ლუზნინი ტფილისში დაიპირეს და გადაასახლეს. ეს მოხდა 1898 წ. თებერვალში.

ფილიპე გოგიჩაიშვილი საზღვარ გარეთ გაემგზავრა სწავლის დასამთავრებლად

ლუზნინი ტფილისიდან გადაასახლეს. შემდეგ მოსკოვში წაიდა და, როგორც გადმომცეს, იქვე დაილუპა ალკოგოლის მიზეზით. მე კახეთში, საუფლისწულო მამულში, გავემგზავრე.

გაიფანტა მარქსისტ-ინტელიგენციის პირველი ჯგუფი, მაგრამ ბათუმში დარჩენ მარქსისტულად მომზადებული მუშები, რომელნიც შემდეგ დიდი მოძრაობის დედაძარღვად გადაიქცენ.

კახეთში წასვლის წინ მე დავესწარი ტფილისში მოწყობილ პირველ ს. დ. კონფერენციას, რომელიც შესდგა ძმათა დარჩიაშვილების სახლში ანდრეევის ქუჩაზე, რკინის გზის სადგურის მახლობლად, 6 დეკემბერს 1897 წელს. ამ კონფერენციას დაესწრო 25 კაცამდენ. ამხანაგები ჩამოსული იყვენ საქართველოს სხვა და სხვა ადგილებიდან და ბაქოდან. მოხსენება გააკეთა საზღვარგარეთიდან ახლად დაბრუნებულმა ნ. ჟორდანიამ. ტფილისის კონფერენციაზე ადრე ჟორდანია ეხვეია ამხანაგებს რამოდენიმე ადგილას—ბათუმში, ლანჩხუთში და სხვაგან. მისი profession de foi ამხანაგებს არ მოსწონდათ. ეს იყო ტფილისის კონფერენციის მოწვევის მიზეზი.

ნ. ჟორდანია იცავდა იმ დებულებას, რომ ჩვენ, ესდეკები, თუ არ დავეხმარებით, მაინც ხელი არ უნდა შეუშალოთ ნაციონალურ კაპიტალის და ჩვენი ბურჟუაზიის გაზრდა-განვითარებას. კონფერენციის მონაწილე თითქმის ყველა ეგრედწოდებული ორტოდოქსალური მარქსისტები იყვენ. კონფერენციაზე ყარსიდან უნდა ჩამოსუ-

ლიყო ი. კოგანი და ის უნდა ყოფილიყო მთავარი ოპონენტი, მაგრამ გზაში დაავადიანდა და დროზე ვერ ჩამოვიდა. ჟორდანიას პასუხი გასცეს ნ. ღუზინმა, კოზარენკომ, მ. ცხაკაიმ და სხვებმა, რომელნიც იმ თვალსაზრისისა იყვნენ, რომ კლასთა ბრძოლა ხდება მთელ კაპიტალისტურ ქვეყნებში მსოფლიო მასშტაბით და აქ კერძო ერებს, მეტადრე პატარა ერებს, თავის თავად თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ აქვსო.

გარეგნობით ძლიერ მკაცრი, მაგრამ შინაარსით შემარიგებელი სიტყვა წარმოსთქვა ს. ჯიბლაძემ და აგრეთვე კ. ჩხეიძემ. კონფერენციას არავითარი თეორეტიული დასკვნა არ გამოუტანია. ისედაც ცხადი იყო, თუ რა ნიადაგზე იდგნენ ჩვენი ესდეკები. კონფერენციამ ნ. ჟორდანია ამოირჩია „კვალის რედაქტორად, მხოლოდ, მის, ასე ვსთქვათ ცენზორათ, რომ მას ნაციონალისტური არაფერი დაებეჭდა, დანიშნა ი. ღუზინი, რომელსაც რუსულად ეთარგმნებოდა „კვალში“ დასაბეჭდი პრინციპიალური წერილების შინაარსი.

თვით ი. ღუზინიც ათავსებდა „კვალში“ წერილებს, რასაკვირველია, სწერდა რუსულად და სთარგმნიდენ ქართულად. მის წერილებს კვალში მოწერილი აქვს „ჯ“.

გრიგოლ სოგორაშვილი.

8/IV—1925 წ.

IV

ბნელით მოცულ რეაქციის ხანაში, მე-90 წლებში, ის იყო ისახებოდა მუშათა მოძრაობა, მე ვმუშაობდი ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის მთავარ სახელოსნოების სახარატო ცეხში ზეინკლად. ამ დროს ტფილისში ახლად ჩასახული პატარა უჯრედი არსებობდა, რომელიც ჯგუფების საშუალებით დაკავშირებული იყო ტფილისის სხვადასხვა წარმოებებთან—ქარხნებთან, სტამბებთან და სხ.

ერთი ასეთი ჯგუფი მოეწყო რკინის გზის მთავარ სახელოსნოს სახარატო ცეხის რუს მუშათა შორის 1893 წელს. ჯგუფის მომწყობი იყო ფედორ მაიოროვი (ზეინკალი). მასში შედიოდენ: ხარატები—გლადიშევი, როგაჩევი, ლენგი, ზეინკალი ალილუევი და ორი ძმა დენისოვები, რომლებიც საორთქმავალო ცეხში მუშაობდენ. ჯგუფის მიზანი იყო თავისი ცოდნის შეძენება მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის სფეროში. ამავე წელს ჯგუფმა გამოსცა პირველი პროკლამაცია. პროკლამაცია დაიბეჭდა გეკტოგრაფზე მაიოროვის ბინაზე (დიდუბე, რინკოვის სახ.) 20—30 ცალი. ფურცლები გაკრულ იქნა

სახელოსნოსკენ მიმავალ გზაზე მდებარე შენობების კედლებზე და დაფანტული სხვადასხვა ადგილებში. პროკლამაციის შინაარსი არ მახსოვს.

მეორე დღეს, დილა ადრიან ჟანდარმერიამ და პოლიციამ გულდასმით გაჩხრიკა მაიოროვისა და ჩემი ბინები, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ვერაფერი აღმოაჩინეს.

1896 წლამდე რკინის გზის სახელოსნოს მუშებს შორის ჯგუფები ნელის ნაბიჯით ეწყობოდა, მაგრამ ყოველ წლობით წარმატება ეტყობოდა—მონაწილეობდენ მასში საუკეთესო ძალები.

1898 წელს რკინის გზის სახელოსნოში მომხდარ გაფიცვის შემდეგ ჩამორჩენილ მასაში ორგანიზაციულად შეკავშირების საჭიროება გაიზარდა განმტკიცდა. ამავე დროს იზრდებოდა და მაგრდებოდა ჩვენი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც მჭიდროთ დაუკავშირდა როგორც რკინის გზის, ისე ტფილისის სხვა წარმოებებს, განსაკუთრებით დიდი ნდობა დაიმსახურა ორგანიზაციამ ადგილობრივ მცხოვრებთა მასებში.

ამ დროიდან იწყება მუშათა მოძრაობაში ახალი ხანა. კუსტარული ჯგუფური, შემოფარგლული პროპაგანდული მუშაობიდან ტფილისის ორგანიზაცია გადადის ფართო სააგიტაციო-საორგანიზაციო მუშაობაზე—აწყობს მასიურ კრებებს ქალაქ გარეთ და აგრეთვე—პირველ მაისობის მასიურ დღესასწაულს.

1900 წელს პირველ მაისობის დღესასწაულის შემდეგ მოწინავე მუშებმა აშკარა პროტესტი განაცხადეს ზედმეტი მუშაობისა და ზოგიერთ მეთვალყურეთა უხრდელი მოპყრობის გამო. ამის გამო ჩამოვარდა კონფლიქტი ადმინისტრაციასა და სახარატო ცეხის მუშებს შორის. ამ წვიალმან კონფლიქტში ჩაერია ადმინისტრაცია და ასე საქმე კიდევ უფრო გაამწვავა. იელისის შუა რიცხვებში „წვრილმანი“ კონფლიქტი გაიზარდა. ზოგიერთ ცეხებში ზედმეტი და ნარდათ მუშაობა თუმცა არც იმდენათ იყო განვითარებული, როგორც სახარატო ცეხში, მაგრამ აქ სხვა გარემოებამ შეუწყო ხელი უკმაყოფილებას. ხელფასის მომატება, რომელიც ხდებოდა წელიწადში ორხელ—იანვარში და ივნისში, მეტად მცირე იყო და ეს მომატებაც უმთავრესად გაანაწილეს ისეთ მუშებს შორის, რომლებიც თავიანთი ლაქიობით განირჩეოდენ. ამასთან ერთად გამორკვა, რომ წევის სამსახურის საბჭომ აცნობა სახელოსნოების უფროსს, რომ ზოგიერთი ხელოსნების თქმით, შრომის ხელფასი მეტად მცირეა, განსაკუთრებით შავი მუშებისათვის, რომ შეუძლებელია ამ ხელფასით არსებობა, თუ არ იქნა ზედმეტი და ნარდათ მუშაობაო. საბჭომ გამოარკვია მუშა-

თა წლიური ხელფასი რაც საშუალოდ თითეული მუშისთვის უდრის 33 მან., რაც სრულიად საკმაოა მუშის ოჯახის შესანახადო. ნამდვილათ კი ზედმეტი მუშაობის გარეშე თვიური ხელფასი იყო 18—20 მან., შავი მუშების კი—10—12 მან. ასეთი გარემოება სხვა „წვრილ მან“ კონფლიკტებთან დიდ საზრდოს აძლევდა საერთო უკმაყოფილებას, აფიზილებდა თვით ჩამორჩენილ მუშებსაც კი. ამით ისარგებლა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ და მუშებს მოუწოდა უარეყოთ ზედმეტი მუშაობა და შესდგომოდენ გაფიცებისათვის მზადებას.

მუშათა ასეთი მზადება არ გამოეპარა ტფ. ჟანდარმერიას. 20 ივლისს გაგზავნილი მოხსენების დამატებათ ის აცნობებდა პოლიციის დეპარტამენტს: სახარატო ცეხის მუშათა საგრძნობმა ნაწილმა აღკვეთა საღამოობით მუშაობა და სხვებსაც ხელს უწლის ასეთი მუშაობის წარმოებაზეო. მუშათა შორის მღელვარებაა, იკრიბებიან ჯგუფებათ როგორც სამსახურში, ისე სამსახურს გარეთ 5—7 კაცი, რაღაცაზე ლაპარაკობენ. მღელვარების საგანია ის გარემოება, რომ მუშებს არ მოუმატეს ჯამაგირი ისე, როგორც ეს ხდებოდა წინა წლებში. ამიტომ მუშები ემზადებიან გაფიცვისათვის, რომ ასე მოამატებიონ ხელფასი, შეამცირონ სამუშაო დღე; თითქოს შაბათისთვის მოწვეული იყვეს კრება, სადაც ვიღაც სტუდენტი, მუშებს აუხსნის, თუ როგორ მოიქცენ; მუშებს ურჩევენ გაფიცვის გასაგრძელებლათ დაავროვონ ფული და ერთი გაფიცვის წამქეზებელთაგანი სახარატო ცეხის მუშა ლავრ. სამხედრო პარიზში, სადაც ის გაეცნობა დასაელეთ ევროპის მუშათა მდგომარეობას და როცა დაბრუნდება, გააცნობს იქაურ ვითარებას თავის ამხანაგებსო.

ყველაფერი დაახლოებით ასე ხდებოდა თუ, რასაკვირველია, ამას გამოვაკლებთ პოლიცია-ჟანდარმერიის ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფს.

ივნისის უკანასკნელ რიცხვებში საქმის მდგომარეობა საბოლოოდ გამოირკვა. სახელოსნოს ყველა განყოფილებებში მუშათა სულიერი მდგომარეობა აწეული იყო. ამიტომ შესაძლებელი იყო, ყველა მებრძოლ ძალთა გამოანგარიშება. ძალთა აწონ-დაწონვის შემდეგ გადაწყდა გაფიცვის გამოცხადება 1 აგვისტოსთვის.

ღამით, 1 აგვისტოს, დაიპატიმრეს სახარატო ცეხის 5 მუშა, როგორც „მთავარი წამქეზებლები“. დილის 10 საათზე 1 აგვისტოს, კი, ყველა ცეხების მუშებმა აღკვეთეს მუშაობა, რის შესახებ დილითვე როტმისტრმა ლავროვმა დეპეშით აცნობა პოლიციის დეპარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტამენტს, რომ რკინის გზის სახელოსნოების ყველა ცეხებში შესწყვეტეს მუშაობა და მუშები მშვიდობიანათ დაიშალონო.

პოლიციის ცნობით გაფიცვაში მონაწილეობდა 3000 მუშა.

ამ გაფიცვამ საბოლოოთ გაუხილა თვალი მუშებს, დაანახვა მტერ-მოყვარე და რაც მთავარია, დაარწმუნა იმაში, რომ მხოლოდ შეკავშირებული ძალით შეიძლება მტრის წინააღმდეგ ნაყოფიერი ბრძოლა.

სერგეი ალილუევი.

მასალები მესამე დასის ისტორიისათვის*).

I

უდროვოდ დაკარგულის ეგნატე ნინოშვილის (ინგოროყვას) სახელს!

„ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება“.

ულმობელმა და უკურნებელმა სენმა ხელიდან გამოგვტაცა ჯერ ახლახან აკოკრებული, მხოლოდ ოდნავ ჩვენს წინ გადაშლილი ნიჭი, ნიჭი, რომელსაც გულწრფელ გრძნობებთან ერთად მიმადლებული ჰქონდა ბუნებისაგან მკვეთრი და ნათელი გონება! ბეჩავისა და ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებული, დედის ალერსსა და მოვლას უდროოდ მოშორებულ-მოკლებული (ექვსი თვისა დატოვა ის დედამ, როცა მიიცვალა); დაბალ სკოლაში, ღარიბ შეგირდის ბედიღბალში გამოვლილი; (სარჩო-საზრდოთ ხმელი მჭადი და ზოგჯერ, როცა ისიც არ ექნებოდა, მინდვრებსა და ტყეებში უნდა ერბინა ხილის მოსანახავად) პატიოსანისა და ადამიანურის გრძნობის გამოჩენისათვის, სკოლის მართებლობის მიერ გამოგდებული, ის, საბრალო ჩვენი ეგნატე, ათასგვარ წვალება-ტანჯვას შემდეგ ძლივს ახერხებს სოფლის მასწავლებლობას და ჯერ სულ ნორჩი ახალგაზრდა ძოხუცებული მამისა და ოჯახის მომვლელი! შემდეგ რამდენსამე წლისა ბუნებრივად განსაკუთრებულ, მიმადლებულ ნიჭს ახალგაზრდის

*) ქვემოთ დაბეჭდილი წერილები აქ მოგვყავს იმ წესით (ქრონოლოგიურად) როგორც ისინი დაბეჭდილი იყო 1894 წლის „კვალ“-ში.

რ ე დ.

გული ვერ დაუყუჩებია, მასწავლებლის (ნამეტურ სოფლის) მშვიდ, წყნარ და მყუდრო გარემოებას, მას აღეძვრის აულაგმავი და უსაზღვრო სურვილი, ნახოს უკეთესი ქვეყნები და მიიღოს, შეიძინოს უმაღლესი, ჭეშმარიტი სწავლა-ცოდნა, რომ გაარკვიოს და გამოიცნოს ცხოვრების გამოცანა და მის სრბოლასაც შესაფერი ანგარიში გაუწიოს. ამიტომ ის თავის შრომით მოპოებულ და დაზოგულ ფულით გარბის სამხრეთ ევროპისაკენ, შემოივლის პარიჟს, მონპელიეს და ხმელთა შუა ზღვის ნაპირის ქალაქებს და ექვს თვეს დაუდეგარ და მოუღალავ მოძრაობის შემდეგ საფანელ-საგზალ შემოლეული ბრუნდება სამშობლო ქვეყანაში, საცა რამდენსამე თვეს შიმშილ-წყურვილით ტანტალის შემდეგ, ძლივს შოულობს მუშის ალაგს ნავთის ქარხანაში. ერთი წლის განმავლობაში სუსტ-ძარღვიანი სხეული მწერლისა იტანდა შრომა-ჯაფას ქარხნის მუშისას თანაბრად ბრგე და ზორბა რაჭველებისა და აზრუმელ სომხებისა: ის ხან ფიცრებს ეზიდებოდა ქარხნის ერთ საწყობიდან მეორეში, ხან ნავთის ხის ყუთს სჭედდა, რომლის მუშაობის დროსაც მისი სუსტი და გამხმარი ხელები სკდებოდა და სისხლი სდიოდა, რის გამო მუდამ რამდენიმე თითი შეხვეული ჰქონდა; ბინადრობდა ბათუმის მუშების პაწია სადგომში,—თითქმის ერთნახევარ საჟენს არ გადაამატებს არც სიგანე-სიგძით და არც სიმაღლით ბათუმის ნავთის ქარხნების გარშემომდგარი მუშის სადგომები. ნუ გიკვირთ, ნათლად ნახული და ამ სახლების დამთვარიელებელი კაცის სიტყვებია ეს. ერთ პაწია ოთახში 7—8 და არასოდეს არა ნაკლებ 5—6 მუშებთან ერთად ეძინა მას. სადგომი ოთახი, აშკარაა, სველი, ნოტიო და მუდამ ცივი იყო, რადგან ზამთარში არ ათბობდენ, მაგრამ უფრო უარესი იყო აყროლებული ჰაერი ბევრ კაცს ერთ პაწია ოთახში მოთავსებისაგან, რის გამო პაწია ოთახის შესაფერი, ჯვრიტიმალების მსგავსი ფანჯრები, სულ მუდამ ღია უნდა ყოფილიყო ზამთარ-ზაფხულ, რომ სძაგელს სუნიან ბუღს არ დაეხრჩო ძილის დროს კაცები...

ბოლოს, ამ სამ-ოთხი წლის წინად, ჩვენმა ტანჯულმა ეგნატემ კალმის გამოსაცდელად დასწერა ორი-სამი ფელეტონი და ორი-სამი მოთხრობა, რომელნიც მკითხველ საზოგადოების მიერ ღირსეულად დაფასებულ და მოწონებულ იქმნა.. მხოლოდ მაშინ, სულ ამ ერთი-ორი წლის წინად, ეგნატე მიხედა და დარწმუნდა, რომ მას შეუძლია უკეთესად და უფრო ნაყოფიერად იშრომოს, იმოღვაწოს, ფუტკარისებრივ მადლიანად და თავი ანება ჭიანჭველისაებრ, მხოლოდ პირად სარგებლობისათვის და მასთან მის სუსტ სხეულისათვის აუტანელს შრომა-ჯაფას ქარხნებსა და სავაჭრო კანტორებში: გარკვეული პრო-

გრამით ხელი მიჰყო საზოგადო, საერთო სასარგებლო მოღვაწეობას წერითაც და ასე მოქმედებითაც. ე. წინოშვილი ჯერ ყოველსავე მისთვის მინდობილ და ჩაბარებულ საქმეში, მტკიცედ, ერთგულად, ბეჯითად და მუყაითად მოქმედებდა, რადგან იძულებული იყო თავის რჩენისთვის თავისივე 10—15 საათის შრომით ლუკმა პური მოეპოებინ:. მისს, ეგნატესი, ამგვარ ყოვლად პატიოსან ბუნებას და ერთგულ ერთსულობით ყოველისაეე საქმის ასრულებას გიმოწმებთ არამც თუ მასთან მომუშავე მოამხანაგენი, არამედ ფულის პატრონები, კაპიტალისტებიც, რომლებთანაც შეხვდა მას სამსახური, (ამაში ვიმოწმებ ბ-ნ ნიკ. ბეს. ღ—ძეს); ხოლო როცა ეგნატე ჩადგა ასეთს საქმეში, რომელშიაც მისი მანამდე დაფარული სულის სიმები ააწყოაახმიანა, მაშინ ის მთელის თავის არსებით, წარმოუდგენელის გატაცებით მიეცა მოქმედებას, მოღვაწეობას, წერას: ყოველ დღე და ღამე და ყოველ საათს, საცა უნდა ყოფილიყო, ამ უკანასკნელ ორ სამი წლის განმავლობაში, ეგნატე თვითონაც ვითარდებოდა გონებით, გარკვეული პროგრამით, წიგნების კითხვით და გარშემო მყოფთაც ავითარებდა; მადლიანი თავისი გრძნობებით და მკვეთრი ლოღიკით და მასთან მარტივ მჭერმეტყველობით ჯვარედინ გზაზე მდგართ უცებ აყენებდა მის მიერ ცნობილ ჭეშმარიტ გზაზე მიმართულებაზე.

წერაში, მწერლობაში, ეგნატეს ნიჭი განურჩეველად აზრთა და მიმართულებათა, ყველასაგან აღსარებულია ჩვენს საზოგადოებაში: ეს არის პოეტური, ბელეტრისტული ნიჭი, რომელმაც ამ თითქმის ოთხი წლის განმავლობაში ფრთების აწევა და გაშლა მოასწრო, რომ ეჩვენებინა მკითხველ საზოგადოებისთვის თავისი სულის და გულის ძალ-ღონე და უდროოდ დაკარგვით გული დაეწყვიტა მისთვის... მართლაც, საკვირველი და ჩვენის ცხოვრებისათვის ახალი მოვლენაა ის გარემოება, რომ ამ უცნობმა და ბეჭავ გლეხის საზოგადოებიდან გამოსულმა ყმაწვილმა კაცმა, ორი სამი წლის მწერლობით მთელი საზოგადოების სიმპათია და აღტაცებული ქებათა-ქება დაიმსახურა... ეჭვი არაა, ეს არის ჭეშმარიტისა და ძალუჭი ნიჭის ნიშანი, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ ასე უდროოდ, ასე ადრე დაგვეკარგა... მაგრამ მისი ნაწერები საკმაოდ კვალს აჩენენ ჩვენს მწერლობასა და ცხოვრებაში და ვისაც ჰსურს ჩვენს ცხოვრებას პირდაპირ გაუსწოროს თვალი და არა რომანტიულად, ის იპოვის ეგ. ნინოშვილის თხზულებებში საუკეთესო მასწავლებელს იმისას, თუ სადაა ჩვენის ცხოვრების ნამდვილი იარები... აბა დაუკვირდეთ „პალიასტრის ტბის“ უბედურ მხსვერპლთ, „ჩვენის ქვეყნის რაინდს“ მსხვერპლთა, „გოგია უიშვილს“, „სიმონას“ და თქვენ მოზარდო და მომავალო თა-

ობაც, იპოვით ნამდვილს წყლულს ჩვენის ცხოვრებისას: ეს არის ეკონომიურად დაცემა ქვეყნის მკვებავის მშრომელისა, ეს არის პიროვნების უარყოფა ჩვენში და მხეცური მოქმედება „მკლავაძეებისა“, ეს არის სოფლის ხალხის უსწავლელობასა და გაჭირვებაზე თავის ლხინისა და დიდების გამართვა „ფულიან“ დროიძეებისაგან და სხ..

მაგრამ ყოველივე დაწერილი უდროოდ დაკარგულის ეგნატესი არის მხოლოდ მისი მძლავრი ნიჭის ფრთხილად და შეშფოთებით გამოცდა კალმისა: ხოლო უფრო დიდი და უფრო ბევრი გაუთავებელი დაგვიტოვა მან და რამდენი პლანები თან წაიღო უბედურმა მსხვერპლმა არამც თუ უკურნებელ სენისამ, არამედ უფრო ჩვენის ჩაზოგადოებრივის ზნეობისა და პირობებისამ... რომელიმე სენი, ვინ იცის, რომ თითეული ჩვენში არ ბუდობდეს... შეიძლება რომ უბედურ ეგნატეს, წილად ერგო საშინელი სენი უკურნებელი: მაგრამ ასეთი სენიც დროებით მაინც უკან იწვეს და თავის მომაკვდინებელ სიმძლავრეს ვერ იჩენს, თუ კი რიგიანი ცხოვრება გაქვთ... მაგრამ ამ მხრივ ეგნატეს ცხოვრება ყოკლად უხუგეშო მდგომარეობაში იყო...

ჯერ ხომ, სანამ მწერლობასა და ინტელიგენტურ ცხოვრებას მიენდობოდა, იტანჯებოდა აუტანელი ფიზიკური შრომით... მერმე მწერლობამ და ინტელიგენციამ ვერ უმძო, ვერ გაუწია ჭეშმარიტი მეგობრობა, რის ღირსიც იყო ის... თუ არა გჯერათ, გამოიკითხეთ შარშანდელი ერთი რედაქციის მოქცევა მასთან... მთელი შარშანდელი ზამთარი საბრალო ეგნატემ ტფილისში ნოტით და გაუთბობელ ოთახში გაატარა... მასთან ტანს ემოსა დახეული ტანსაცმელის შედაკონკილი გახუნებული საზაფხულო პალტო. ჰამა-სმაც ბინის შესაფერი ჰქონდა...

იმავე დროს იმ რედაქციას მისი წინანდელი ნაწერების ხუთი მოთხრობის ფასი შერჩენილი ჰქონდა. შეუძლებლობით რედაქცია ვერ გაიმართლებს თავს, რადგან 1893 წლის დამწყებს, იმა რედაქციის ბელადებმა, რომელთაც თვეში უმისოდაც საკმაო ჯამაგირი (100 მანეთი თვეში) და მეტი ეძლეოდათ, 2500—3000 მანეთამდე გაინაწილეს და საბრალო ეგნატეს მხოლოდ ერთი მოთხრობის ფასი („ქრისტინეს“), ისიც ხუთ-ხუთ მანეთობით გადუგდეს, ესეც დამადლებით: „თქვენ მოგეცით, თორემ სხვას ჩვენ აქამდე ერთი სტრიქონის სასყიდელსაც არ ვაძლევთო“..

კაი საქებარია, თქვენმა სიცოცხლემ!.. მაგრამ ასეთი წრეს გადასული მოქმედება რედაქციისა არ უნდა დარჩეს დაფარულად... მაგრამ იმავე რედაქციას სხვა უფრო დანაშაული აწევს ქვეყნის წინაშე უბედურ ეგნატესთან დამოკიდებულებაში. საზაფხულოდ ტფილის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში უბინაო და უსაევარო ეგნატემ შარშან საფილოქსერო დასში დაა-პირა შესვლა სამუშაოდ. ამ დროს რედაქცია პირდება მას,—თქვენი ახალი თხზულება—„ჩვენი ქვეყნის რაინდი“ დაგვითმეთ და შემდეგ კიდევ მოგვაწოდეთ—და ყოველ თვეში 20 მანეთს მაინც, თუ არა მეტს, გამოგიგზავნითო და სოფელში, საკუთარ სახლში იცხოვრეთ დასვენებითაო და სალიტერატურო მეცადინეობითო. ამ იმედით ის მიდის სოფელში, თავის ღარიბ ოჯახში, საცა ყოველისფერი ყიდვით და ფულით უნდა ეშოვა გარედან... ეს გახლდათ აპრილში 1893 წელს... მიდის მაისი, ივნისი, ივლისი და მთელი ზაფხულის თვეები და ერთი გროშიც არ მიუღია რედაქციისაგან დაპირებისამებრ საბრალო ეგნატეს .. და ვინ იცის, ამის გამო რამდენმა ნაკლულევანებამ მისი მოსხლტილი სხეული სულ მთლად დააუძლურა,.. და წარმოიდგინეთ დაცინვა ბედისა, სოფლებიდან და აგარაკებიდან ენკენისთვეში ყველანი, ბმიმე სნეულებიც, უფრო ღონიერნი, უფრო ძალუმნი ჩამოდიან.. ხოლო ჩვენი ეგნატე ჩამომდნარი, ჩამოხრიწიანებული ჩამოვიდა ენკენისთვეს ტფილისში სოფლიდან და მაშინაც არ უნდოდა იმავე რედაქციას დატოვებული თხზულების ფასის მიცემა და იძულებული შეიქნა საბრალო მწერალი გამოერთმია ის და მეორე რედაქციისთვის გადაეცა... გამორთმევაზედაც მთელი თვე არბენიეს მაღლა კიბეებზე დაავად-მყოფებული კაცი და მანამდე არ დაუთმეს, სანამ საბრალო ეგნატემ თავის ამხანაგთა შორის ოთხი ამორჩეული კაცები არ დაისწრო და ისე არ მოელაპარაკა რედაქციის ბეღადებს... უეჭველია იტყვით, ეს ნამეტარი დანაშაულობაა რედაქციის მხრივ...

და აი, ამიტომაც საჭიროა ასეთი ფაქტების გამოქვეყნება, რადგან თუ არ ეს მიზეზები, ეგება ჩვენ ეგნატეს ოთხ ხუთი წელიწადი მაინც ეცოცხლა და არ დაემარხა თავისი ნიჭი, რომელიც ჩვენს ღარიბ ლიტერატურას რიგიანი ნაწერებით ფრთას შეასხამდა, გზა-კვალს გაურკვევდა და მკითხველ საზოგადოებას ერთი ორად წარმატებდა თავის სიმპატიურ მიმართულებით... მაგრამ ბელეტრისტულ ნიჭს გარდა ეგნატე ნინოშვილმა მწერლობაში პუბლიცისტურ-კრიტიკული ნიჭიც გამოიჩინა... მე მგონია ეს ნიჭი მასში ბელეტრისტულ ნიჭზე ნაკლები არ იყო და ამ მხრივაც არა ნაკლებ სამსახურს გაუწევდა ის ჩვენს მწერლობას... რომ ეს არ არის გადამეტებული, ამის დასარწმუნებლად გადაიკითხეთ შარშანდელი „კვალის“ ნომრებში მისი პირველი პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილები „პლებსი“-ისა და „მეცნიერ.“ და მათ მსგავსთა მიმართულების წინააღმდეგ... ეს წერილები, როგორც პირველი გამოცდა, პირველი ნაბიჯი კრიტიკულ-პუბლიცისტურ მწერლობისაკენ დიას, შესანიშნავი არიან და ასე იცვნეს იმათ,

ვინც უანგაროდ, მხოლოდ ჰეშმარიტების სიყვარულით ჰსჭვრეტს და არჩევს ხოლმე ყოველსავე საგანს!...

. . . . . .

„ის მოკვდა, მაგრამ არ არის მკვდარი,
მას მოიგონებს შთამომავლობა
და მას უგალობს აწ წმინდა ქნარი"—...

მაგრამ საქმე ის არის ძლიერ ცოტათი ანუგეშებს ეს სიტყვები უბედურისა და ტანჯულის ეგნატეს დაკარგვის დანაღვლიანებულსა და მგლოვიარე გულს ჰეშმარიტ სწორ ამხანაგებისას.

ამხანაგი (მიხა ცხაკაია).

„კვალი" № 21—1894 წ.
(მაისის 15).

II.

ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) გარდაცვალების გამო.

სიტყვა თქმული სილიბისტრო ჯიბლაძის მიერ

(მესამე დასის პროგრამა).

როგორც წინათაც იყო ჩვენს გაზეთში აღნიშნული, ნინოშვილის დასაფლავებაზე შეგროვდა მესამე დასი ახალგაზრდობისა, რომელმაც ძალიან გარკვევით აღნიშნა თავის სიტყვებში პროგრამა აწინდელი მოქმედებისა. ბევრი სიტყვები წარმოითქვა და იმათი სიტყვები სულ ხელში გვაქვს, მაგრამ ამასთან ჩვენ საჭიროდ ვცნეთ დავსტამბოთ მხოლოდ ორის ახალგაზრდას სიტყვა, რომელთა აზრები თვალსაჩინოდ და სრულად იხატება მესამე დასის ახალგაზრდობის მისწრაფება და მისი იდეალი. ერთი პირადი მეგობარი ამათგანი ეგ. ნინოშვილისა—სილიბისტრო ჯიბლაძე, რომლის ხელზედაც მოკვდა ჩვენი ახალგაზრდა ბელეტრისტი და მეორე—დარჩიაშვილი,—ჭიზიყელი ახალგაზრდა, წლოვანების შესაფერად კარგი მომზადებული თავის პროგრამისათვის.

———

„მწარე ხვედრი გვარგუნა შავმა ბედმა. ცუდი, მეტად ცუდი სამსახური, მეტად ბოროტი დედინაცვლობა გავგიწია წასული წლის დასასრულმა და აწმყოს დასაწყისმა. ეს ორი წლები თითქმის გამოეკიბრნენ ერთმანეთს თავიანთ ბოროტ-განძრახულობაში: აბა, რომელი ჩვენგანი უფრო რჩეულ სხვერპლს ამოიღებს ნიშანში ქართველთა ერის საზოგადოებრივ მებრძოლთა რაზმიდანო, რომელი უფრო ღონივრად მომამარავს და დასცემს მას გულში მომაკვდინებელ ისარ-

საო? რომელმა ამ წელთაგანმა უფრო გაიმარჯვა, ე. ი. რომელმა უფრო დაგვამარცხა, ამაზე ლაპარაკს აქ ადგილი არა აქვს. აშკარაა მხოლოდ, რომ ამ ორმა წელმა გამოაცალა ჩვენს სამშობლოს ხელიდან ორი სამაგალითო შვილი, ჩვენს მწერლობას — ორი უნიჭიერესი წარმომადგენელი. ეს ორი დასაკლისი — ალ. ყაზბეგი და ეგ. ინგოროყვა — ჩვენს ღარიბსა და გათახსირებულს მწერლობაში მეტად საგრძნობელი დაუზღვეველია. ეს სულმნათნი არსებანი არაფრით არ გვახდენ იმ კალმოსანთა გროვას, რომელნიც მხოლოდ თავმოყვარეობას ან პატივმოყვარეობას გამოუყვანიათ სამწერლო ასპარეზზე და არა ჰუმანიურ გრძნობებს... ინგოროყვა და ყაზბეგი იმ სიმპატიურ მწერალთა გუნდს ეკუთვნიან, რომელთათვის მწერლობა არსებითი ბუნებრივი მოთხოვნილებაა, ჰაერია, რომლითაც სუნთქვენ და ცოცხლობენ. კალმათ ისინი თავიანთ საკუთარ ნერვებს ხმარობენ, რომელსაც საკუთარსავე სისხლში აწებებენ, თავისავე გულის ფიცარზე სწერენ. ამ გვარ საზოგადო მოღვაწეებში იშვიათის ჩარმონიით არის მოთავსებული სამი დიდი ძალა, რომელიც ჰქმნის კაცს უნაკლულო ადამიანად: გონებითი, ზნეობითი და მოქმედებითი. თავიანთი საღი, ფხიზელი ჭკუა-გონებით, მხოლოდ ერთს რასმეს ეძებენ — ჭეშმარიტებაა მისი სახელი; გონებით ნაპოვარს ცხოველისა და ნაზი გრძნობით ათბობენ — ამ გრძნობას ციურს, უმანკო სიყვარულს ეძახიან; ნაგრძნობს კი ასისხლხორცებენ დაუშრეტელი შრომითა და ენერგიით. ასეთი ვარსკვლავები იშვიათი მოვლენაა სამწუხაროდ ჩვენს ცხოვრებაში. ნაკლებად, საზოგადოთ, კაცობრიობის, და კერძოდ, სამშობლოს წარმატებაში, წინმსვლელობაში, მხოლოდ ასეთ მადლიან ადამიანებს აქვთ უტყუარი ფასი და მნიშვნელობა. ესენი არიან გმირნი, ესენი არიან მაღალ-სულოვანნი, მეომარნი, ესენი იბრძვიან და ამ ბრძოლაში ყველაფერს ხედვენ, ყველაფერი გათვალისწინებული აქვთ, გარდა თავიანთ პირად ინტერესებისა. ამისთვის რამდენათაც ეს უცხო ქმნილებანი სულით იზრდებიან და ყვავიან, იმდენათ ხორცით სნეულდებიან და ჭლექდებიან: მწარე ცხოვრების ღვიძლი შვილები, ისინი ტრიალებენ ამავე ცხოვრების შუა გულში, მედგრად ებრძვიან სიბნელეს, უკაფვენ გზას, აშუქებენ სინათლეს. ამცარცხებენ ცრემლებს და აღორძინებენ სიხარულს ჩვენს უბედურ ქვეყანაზე. მერე რას აძლევს მათ ცხოვრება სამაგიეროდ?.. ორ-სამ ღერ ფიცარს კუბოსთვის, ორ-სამ ადლ მიწას ცივი სამარისათვის... არც ჩვენ თანამედროვე მწერლობას ეხერხება ამგვარ მუშაკთა ღირსეულათ დაფასება, ამისთვის საჭიროა ფხიზელი კრიტიკა, რომელსაც სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ გაუშლია ჩვენში ფრთები. ეს ცუდი ნიშანია, რადგანაც ლიტე-

რატურა ცხოვრების სარკეა და პირველის სიღატაკე შედეგია ცხოვრების სიბეჩავისა, მაგრამ ახლოა დრო ჩვენდა სანუგეშოდ, ჩვენის ცხოვრების გამორკვევ-გამოფხიზლებისა. ეს გარემოება, ეჭვი არ არის, გამოიწვევს საღ პირუთვნელ კრიტიკასაც. მაშინ იმედია, თვითეულ საზოგადოებრივ მოღვაწესაც დაედება შესაფერი ფასი და პატივი, მაშინ ღირსეულად იქნებიან ცნობილნი ჩვენი ინგოროყვა და ყაზბეგიც.—ინგოროყვას კუბოს წინაშე ყაზბეგზე ლაპარაკი უადგილოდ არ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ამ ჩვენ ორ მამულისშვილთა შორის, როგორც ზევით ვთქვით, თვალსაჩინო მსგავსებაა: ორივე თანაბარ უღელს ეწეოდენ, ორივენი მეტად მგრძნობიერ ბარომეტრს წაროადგენდენ ჩვენს ცხოვრებაში, შესანიშნავის სიმართლით გვისურათ-ხატებდენ ყოველგვარ მცირეოდენ ცვლილებასაც კი ჩვენი საზოგადოებრივი ატმოსფერისა. ორნივე თავის სამოქმედო ასპარეზს ანათებდენ ღრმა ისტორიული იდეებით. ყაზბეგმა მაგ. საოცარი ხელოვნებით დაგვიხატა, თუ რა შედეგი აქვს დიდს, ძლიერი ერის მიერ პაწაწინა ერის პოლიტიკურად დამორჩილებას, როგორ იდრიკება და ირყევა უკანასკნელის ზნე-ჩვეულება, ყოფა-ცხოვრება, როგორ იცვლება მისი დამოუკიდებელი მაჯისცემა. ეს იდეა—დედა აზრია, რომელიც წითელი ძაფით არის გატარებული ყველა მის შრომაში და რომელიც უკვდავად ჰქმნის „ელგუჯას“ ავტორს. მაგრამ ჩვენ, ბრმა დილეტანტები, ვერ ვამჩნევთ ამ წითელ ძაფს. ეს არის მიზეზი, რომ ყაზბეგი ცნობილია ჩვენში თუმცა ნიჭიერ, მაგრამ ვიწრო ეტნოგრაფ-ბელეტრისტად.—ეგნატე ინგოროყვაც იმ ღრმა ისტორიული ჭეშმარიტებით ხელმძღვანელობდა. ის ნათლად ხედავდა, როგორ გვიჭირება ხელიდან ის მაღალი ჩინური კედელი, რომლითაც თავს იცავდა წინათ სხვა ერთა ზნეობრივ გავლენისაგან თვითეული ერი, როგორ შემოკლდა სივრცე, დაფუძვნდა მტკიცე კავშირი და ურთიერთული ზედ გავლენა სხვადასხვა ერთა შორის. ეს იყო მიზეზი, თუ რად გასცქეროდა ეგნატე ნინოშვილი დასაღეთ განათლებულ სახელმწიფოთა ყოფა-ცხოვრების ახალ მიმდინარეობას. მას კარგათ ესმოდა, რომ ჩვენისთანა პაწაწინა ერი ვერ აცდება დიდ ერთა შორის მოვლენილ ცვლილებათა და მიმდინარეობათა ნაშხეფს. მან შეუგნო კიდეცაც თავი ამ მიმდინარეობის ერთს ნაწყვეტს, რომელიც ჩუმად, თითქოს ქურდულად, დგამს ფეხს ჩვენ ცხოვრებაში. ვიწრო პატრიოტულ ფარგალში მოტრიალე უმეტესი ნაწილი ჩვენი ძველი თაობისა ჯერ ვერ ამჩნევს იმ ღირს-საყურადღებო მოვლენას; შემდეგ კი, როცა ეს მოვლენა ცხოვრებაში ღრმა კალაპოტს აკეთებს და ყველასათვის თვალსაჩინო ხდება, ეს ძველი თაობა ბევრ ტყეია-წამალს

ხარჯავს მის დასამარცხებლად. ძველს აზროვნებაზე აღზრდილთ, არ ეხერხებათ ცხოვრების ახალ მნიშვნელობის თვისებებისა და მათგან გამოწვეული იდეების შეჭნება. ეს არა სანატრელი გარემოება საბინლად უშლის ხელს კაცობრიობის წინმსვლელობას. ამის მაგალითებით სავსეა თვით მოწინავე ერთა ცხოვრება.

მოვიყვან ერთ მაგალითს ჩვენი ცხოვრებიდან, ეგ. ინგოროყვას მიმართულების დასახასიათებლად. ეს მაგალითი ნათლად დავანახვებს აგრეთვე, როგორ ეფარება ძველი თაობის თვით უნიჭიერეს წარმომადგენელის გონებას ერთხელ თუმცა დიდმნიშვნელოვანი, მაგრამ აწ უკვე დახავსებული და უალაგოთ ცნობილი იდეა,—დიდათ პატივსაცემმა ავტორმა „ოთარაანთ ქვრივისამ“ შეუქცია ხურგი აწინდელ ჟამთა ვითარებას და მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში გვითითებს უკვე გადაცვლილ ჰეშმარიტებაზე: ხიდია ჩატეხილი, ხიდია ჩატეხილი თავად-აზნაურთა და გლეხთა შორისო, გაიძახის ის. აქ დიდი სიმრუდეა. ცხოვრებაში ბევრი მოვლენაა, რომელიც ჩვენ, ჩვეულებრივ მომაკედავთათვის, გაგებულად საიდუმლოებად რჩება, მაგრამ კესო—არჩილების მსგავსი ტიპების შენიშვნა თვით გლეხთა წოდებაშიაც როგორც „გიორგების“ თავად-აზნაურთა შორის—არავისთვის არავითარ საიდუმლოებას არ უნდა შეადგენდეს. აწინდელ ცხოვრების ახალმა მიმდინარეობამ უკვე ამოსილა, გაასწორა ყოფილი-ჯურღმული—უფსკრული ორივე წოდებათა შორის, შერეკა ორივე ერთს ბანაკში, აუგო წესი ძველ ბატონ-ყმობას და მის ნაცვლად ამოაცურა ახალი, დროთა-ვითარების მიხედვით, არა ნაკლები სამარცხვინო და სათაკილო. ჩვენი ახალი ბატონი ის ნივთიერებაა, რომელსაც ფულს ეძახიან. ამ ახალი კერპის გახურებულ თითებზე იხრაკება შეუბრალებლად ურიცხვი მსხვერპლი, მის წინაშე იდრიკენ მუხლს ძველი ყმაცა და ბატონიც, მის უდაურ უფლებაში გადადის ყოველგვარი შრომის იარაღი და აქედან ყველა შრომის წარმომადგენელნი მის ყურმოჭრილ მონად ხდება—თვით მეცნიერებაც კი.

ამ ახალმა ბატონ-ყმობამ კარგა ხანია დაამთავრა ზრდა მოწინავე ერთა შორის, სადაც საშინელი ბრძოლა გამოიწვია. ჩვენში კი, თუმცა ის ახალი დაბადებულია, ბავშვია, მაგრამ სამაგიეროდ ეს ბავშვი საუცხოვო თვისებისაა—შესანიშნავის სისწრაფით იცის ზრდა. ამაში გვარწმუნებს სტატისტიკური ცნობები ჩვენი მეზობელთა ერის ცხოვრების.—ამნაირად ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმომადგენს ორს ახალს, ერთი მეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს. ერთი მხრით—ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მეორე მხრით—მუქთახორა ბურჟუა-კაპიტალისტები. პირველთა ხელია

აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი—დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა. აი სად ტყდება ხიდი ჩვენში და ზოგან კი კარგა ხანია ჩატეხილიცაა; აი სად ირღვევა უფსკრული და ბევრგან კარგა ხანია გარღვეულიცაა. ამ უკუღმართობის დასამარცხებლად არის, ერთის მეცნიერის სიტყვით რომ ვთქვათ, ორსულად ახლანდელი ქამთა-ვითარება. ამ მშობიარობის დასაჩქარებლად და გასაადვილებლად იღვწიან და უნდა იღვწოდენ კიდევაც საუკეთესო წარმომადგენელნი ახალი თაობისა. ამ ახალ კვალზე დადგომა აშკარად ეტყობა ჩვენს ახალს „კვალსაც".—ეს ჯეშმარიტება შეიგნო და მისკენ ჰქონდა მიმართული თავისი ქნარი ჩვენს შესანიშნავს ნიჭის მქონე ინგოროყვასაც. ამის ნიშნებს ვხედავთ მის მოთხრობებშიაც, მაგ. „სიმონაში" და პოლემიკურ სტატიებში. მაგრამ უფრო ნათლად და გარკვეით აქვს ეს იდეია გატარებული ერთს გრძელ პუბლიცისტიკურ წერილში, რომელიც ეჭვი არ არის, ამ მოკლე ხანში იქნება დასტამბული.

ფართო შეხედულობისა და იშვიათის ენერგიის პატრონი ნიკოშვილი ვერ კმაყოფილდებოდა ერთ მხრივსა და ვიწრო ფარგალში, ტრიალით—მარტო ბელეტრისტული მოღვაწეობით. განსვენებული ემზადებოდა ახალს—კრიტიკულ და პუბლიცისტურ—ასპარეზზედ გამოსვლას. ვინც დაახლოვებით იცნობდა მის საუცხოო ნიჭს, მის გონების სიმახვილეს, კარგათ შეუძლია წარმოიდგინოს, რა ღაწვსა და სამსახურს გაუწევდა ის ჩვენ მწერლობას ამ ახალს ასპარეზზედაც. საკითხავი მხოლოდ ის არის, საიდან შეითვისა ამ კაცმა თავისი საღი შეხედულება, რომელ წყაროდან მოიპოვა სიმპატიური ცოდნა-განვითარება? პასუხს ამ საკითხებზე უნდა ვეძებდეთ მხოლოდ მის უჩვეულებრივო ბუნებაში, მის საარაკო სულის ძლიერებაში. ყველა გარემოებანი, რომელნიც ცნობილნი არიან ჰკუა გონების და გრძნობის ნორმალურ აღსაზრდელად, პატარაობიდანვე საშინელს მტრობას უწევდენ ამ მწარე ბედის ადამიანს. რადგან მისი სუსტი აგებულობა თოხითა და ბარით ვერავის ანუგეშებდა, მშობლებმა მისცეს თავის ნიჭიერი ბავშვი ერთს ჩვენს დაბალ სასწავლებელში, მაგრამ ამ დაბალ სასწავლებელმა მართლა რომ დიდი სულმდაბლობა გამოიჩინა თავის საუცხოო მოწაფის წინაშე. ორ წლის შემდეგ განაძევა თავის კედლებიდან და მით აღმოუხოცელი დანაშაულობა, მიუტევებელი ბოროტება ჩაიდინა თავის სამშობლოს წინაშე. ყოველთვის საოცარი წყურვილით მიმდევარი სწავლა-განათლების, განსვენებული თავგანწირვით ებრძოდა ყოველგვარ დაბრკოლებას ამ მხრივ, მაგრამ ამაოდ. სამარცხვინო ბეჭედმა, რომელიც პირველადვე დაჰკრეს მის შუბლზე, დაუხშო მას ყველა სკოლის კარები, ერთი-ღა სკოლა დარ-

ჩა მას—ჩვენი ცხოვრება, ჩვენი საზოგადოება, ის საზოგადოება, რომელსაც არამც თუ არავისი კეთილსა და ჭეშმარიტ გზაზე დაყენება არ ეხერხება, პირ-იქით, მზადაა, თუ ვისმე მასზე შემთხვევით ფეხი შეუცდა, უკუ-ატრიალოს და ჰუჰყსა და ლაფში გასვაროს, ეს ადრე შეიგნო ეგნატემ... ეგნატე გაჰქრა სადღაც... თავის სამშობლოსაგან დევნილმა სცადა დანაკარგის პოვნა უცხო ერთა შორის, მაგრამ შავმა ბედმა აქაც უმუხთლა. ულუკმა-პუროდ დარჩენილი სამი თუ ოთხი თვის უკან ისევ თავის დედინაცვალს დაუბრუნდა. დედინაცვალმა ახლა კი მკაცრად ჩასჭიდა ბასრი ბრჭყალები თავის მსხვერპლს, გადუშალა თავის ბოროტი მკერდი და ჩააყურყუმელავა თავის კუპრის მორევში, მაგრამ... მაგრამ დასაბრჩობად არ იყო გაჩენილი ეგნატეს ძლიერი სული... საოცარია! ეს მოუმზადებელი და უიარაღო ადამიანი ვერაფითარმა ტანჯვა-წვალებამ, ვერაფითარმა ძალამ ვერ შეაკავა გამოეფონა და გამოფონა კიდეც ამ საზიზღარ მორევიდან, როცა რომ ბევრნი, მომზადებული და სწავლა განათლებით აღჭურვილნი გვამნი, ახალი თუ ძველი თაობისა ამ მორევს ამცდარნი, ისევ მისკენ მიიმართებიან და კისრულით გადადიან შიგ სამარცხვინოდ და ქვეყნის საზარალოდ! აი, ამ უბრალო, უიარაღო ადამიანმა გამოცურა ხმელეთზე, გაჰკაფა ბნელით მოცული ეკლარი. გავიდა ნათელ მტკიცე გზაზე, აქ გაიშრო, აქ გაშალა თავისი ღონიერი ფრთები და იწყო თავისი მოუსვენარი ნაყოფიერი მუშაობა.

არ იყო, ძმაო, ხანგრძლივი შენი ამ გზაზე მსვლელობა. მუხთალმა ცხოვრებამ დაარღვია ბოლოს შენი უიმისოდაც დასუსტებული აგებულობა და, აჰა, დღეს შენი მუდამ მოძრავი, მუდამ მოუსვენარი გვამი მისცემია რაღაც საშინელ საიდუმლო უძრაობას. ჭეშმარიტების მღაღადებელნი ბაგენი შენი დადუმებულან, ვიწროობას შეურიგებელი, ახლა მოთავსებულხარ ამ ვიწრო ბინაში, დაგიტოვებია შენი ბრწყინვალე სარბიელი და მომზადებულხარ შავი სამარისკენ გამგზავრებას!.. სახელი და დიდება იმ შენი მშობლის მკერდს, რომლის ტკბილმა ძუძუმ ჩაგნერგა შენში ზეციური მადღი! მშვიდობა მაგ შენს გვამს, ჩემო სასიქადულო მეგობარო! შენ მიდიხარ და იპოვი ახალს ბინაში ტკბილს, მყუდრო მოსვენებას, რომელიც ვერ იგემე ამ უკუღმართ წუთისოფელში. ჩვენ კი... ჩვენ კი გვიტოვებ შენს ნათელს სულს ფარნად ამ ბნელ ცხოვრებაში... მშვიდობით!.. მშვიდობით... მაგრამ არა, ჯერ ნება მომეცი უკანასკნელად მოვიდრიკო მუხლი შენს წმინდა ნეშთის წინაშე...

ეხლა კი მივუბრუნდები სამშობლოს იმ ორგულთა, რომელნიც ერთგულთა სახელით მოღაწეობენ კანონიერის მოქმედების ნიღაბს

ქვეშ, მიეუბრუნდები იმ ჯალათებს, რომლებიც ნესტარითაჩ ხვლეტდენ შენს წმინდა ტანს და მარწუხით ხელში ემუქროდენ შენს წინასწარმეტყველურ ენის ამოწვდას, იმ ენის, რომლის ბასრი, მწვეტი ლახვარად ესობოდა მათ სულსა და გულს!.. სად არიან ის ერთგულნი დარაჯნი ამ მმართვის სანეტარო ჯამს? სად იმალებიან, რატომ არ გამოიჩენენ მათს საზიზღარ ძალას ამ უკვდავის გვამის წინაშე?!. ვიმეორებ, რატომ არ ჩნდებიან ისინი ამ დროს, როცა თავისუფლად შეუძლიათ აღასრულონ მათი უწმინდური სურვილი და პბოროტი მუქარა?!! მაგრამ რას ეამბობ?! იმათ უკვდავთან რა ხელი აქვთ?.. ისინი მხოლოდ ლეშით ძღებიან და დაე გაძღენ!..

აწ კი მშვიდობით, დაუვიწყარო მეგობარო ..

ჟურ. „კვალი“ № 22—1894 წ.
(22 მაისი).

ეგნატე ინგოროყვა

ჩემო ძვირფასო ძმაო, ეგნატე!

გულ-ამომჯდარი და თვალ-ცრემლიანი ვწერ ძმაო, შენთან გამოსათხოვარ უკანასკნელ წერილს. მსურს ამ შორიდან მიწვდეს ჩემი ხმა შენს საფლავს, ხმა დაგვიანებული, მაგრამ გულიდან ამოხეთქილი და მეგობრული გრძნობით მორწყული. მე შენი უახლოვესი მეგობარი, კალამს ვიღებ მხოლოდ მაშინ, როცა შენ უკვე შავ მიწაში განისვენებ! ვტირი მხოლოდ მაშინ, როცა შენი გვამი ნახევრად უკვე დაადნო ცივმა სამარემ! ასეთი სამსახური გაგვიწიეს ჩვენმა მეგობრებმა, რომელთაც დაეზარათ მარტივი ცნობის დროზე გადმოცემა: „ჩვენი ეგნატე აღარ გვყავსო“. განა ვიფიქრებდი, შენს დაკარგვას აქ უცხოეთში გავიგონებდი? განა წარმოვიდგენდი, რომ კვლავ ჩვენს სამშობლოში ვეღარ გიხილავდი? მართალია გამოთხოვების დროს დამპირე: „იცოდე, ცოცხალი ვეღარ დაგხვდებიო, მაგრამ ეს კი მჯეროდა? ამაში დარწმუნება კი მინდოდა? სად არის ეგ შენგან გამოთქვილი სამი თვე? თურმე მაშინ რამდენიმე დღე დაგრჩენოდა, თურმე მაშინ ზურგი შემოგვაქცევ და აამარის კარებსაკენ გაეჩქარე. რამ აგაჩქარა, რამ დაგატოვებინა ასე მალე ჯაჭვ შემორტყმული სიცოცხლე? არა იმათ, რომ შენ იყავი სხვისი გულ-შემატკივარი, დაუღალავი მუშაკი და სიმართლისთვის მებრძოლი? შენ არ იყავ განხორციელებული ტანჯვა ჩვენი ხალხისა? ცხოვრების გულიდან შენ არ გადმოგქონდა დაუსრულებელი გმინვა და ოხვრა დავრდომილთა და მაშვრალთა? შენ არ ჰსწუხდი მაშინ, როცა ხალხი ჰწუხდა? შენ არ ტიროდი მაშინ, რო-

ცა ერი ტიროდა? ბეჩავთა ტანჯვა-ვაებამ შენში არ იშოვა საუკეთესო გამომხატველი? შენ იტვირთე ისეთი მძიმე საქმე და კიდეეაც მოგიტანა ქვეშ, დიდხანს ვეღარ გაუძელ. შენმა ნაზ გრძნობებმა, კაცთ მოყვარე გულმა გარს-შემორტყმული გმინვა ვეღარ აიტანა. ამ საშინელ სანახავს თავი მოარიდე და მოცსილდი...დიაღ, მოსცილდი, მაგრამ არა როგორც ლაჩარი, სასოწარკვეთილი არსება, არამედ როგორც გმირი, იარაღით აღჭურვილი და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მებრძოლი. აი, ამ საშიშარ ასპარეზზე დაგვტოვე და დაგვიბარე: მე დავიღალე, ახლა თქვენი ჯერიაო. საღდაა შენებრ სულის სიძლიერე, შენი რიხიანი და მკვდრეთით აღმდგენი ხმა? აღარსად. გაჭრა, მიწყნარდა. დაობლდა ჩვენი მწერლობა. მას გამოეცალა ერთი უმაგრესი ბოძი, დაობლდა ჩვენი საზოგადოება, მას გამოაკლდა მუდმივი მღაღადებელი. ჩამოხედეთ ქვეგით, ჩვენკენ. აქ დგას ხლვა ადამიანთა ცრემლისა, მდინარე მათის სისხლისა...დაობლდა ჩვენი სალხი, მას მოწყდა მისი ჰმუნვა-ვარამის მჭერმეტყველურად გამომთქმელი; დაობლდა ახალგაზრდობის ის წრე, რომლის სულის ჩამდგმელი შენ იყავ. დაობლდი მე, დავკარგე უძვირფასესი მეგობარი და გონიერი მრჩეველი. დღე შენი კეთილ-შობილური აზრები, მტკიცე და მოუყიდველი ხასიათი და მომმესათვის თავის დადება დარჩეს ჩვენს ახალგაზდობაში სამარადისო სახელმძღვანელოდ.

ძმაო ეგნატე, ცრემლთა-ფრქვევით და მუხლმოდრეკით თაყვანს ვცემ შენს საფლავს და სამუდამოთ გეთხოვები. მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო დაუვიწყარო ძმაო ეგნატე...

ნოე ჟორდანია.

ჟ. ქუთაისი, 14 მაისი.
ჟურნ. „კვალი" №№ 24—1894 წ.
(5 ივნისი).

მწარე ფიქრები *).

შეიძლება, ზოგიერთმა მკითხველმა პირდაპირ იკითხოს: ნეტავი ეს რომელი მწარე ფიქრები გახსენებია ამ წერილის ავტორს? თუ ეს ძველი რამ არის, მაშინ მათზე აღარ ღირს საუბარი, რადგანაც მასეთებისაგან თავი დიდი ხანია მოგვიზრებული გვაქვს, ხოლო თუ ეს შეეხება ამ უკანასკნელი დროის გარემოებებს, ამ შემთხვევაში სწორედ დიდათ შემცდარა ავტორი, რადგანაც ჩვენ ახლა არა-

*) „მწარე ფიქრები", ჯერ არსად დაბეჭდილი სტატია დაწერილია ფ. შემოქმედლის (ფ. მახარაძე) მიერ ვარშავაში 1893 წ. თებერვლის წ-ს. გბეჭდავთ უცვლელად.

რ ე დ.

ვითარი მწარე ფიქრები აღარ გვაწუხებენ, როგორც ეს მშვენივრად დაგვიმტკიცეს „ივერიის“ პუბლიცისტებმაო. აქ მე ვიწემ თავის დანიშნულებას შეუდგებოდე, უნდა აღვიარო, რომ ამ მცირე შენიშვნაში, რომელსაც წარმოადგენს ეს წერილი, საუბარი მექნება მხოლოდ ამ უკანასკნელ დროზე, და თუ მოთმინებას და დროს იქონიებს წინდაწინე დაჯერებული მკითხველი ამ შენიშვნის გადასათვალიერებლად, მაშინ იგი რამდენიმედ დარწმუნდება, რომ მისი აზრი, ვითომც ჩვენ დღეს არავითარი მწარე ფიქრები აღარ გვაწუხებს, სულ თუ შემცდარი არა, ძლიერ საეჭვო მაინც უნდა იყოს.

I

ბევრი რომ არ გავაგრძელო საუბარი, მე აქ დავასახელებ ერთ თვალსაჩინო ფაქტს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, რომელიც ეკუთვნის ამ უკანასკნელ დროს. მართლა, როგორი აზრისა ხართ, მკითხველო, იმ მომაკვდინებელ გულგრილობის შესახებ, რომელიც აშკარად გამოაცხადა ჩვენმა განათლებულმა საზოგადოებამ ჩვენი მწერლის, ივანე კერესელიძის დასაფლავების დროს და საზოგადოდ მის გარდაცვალების გამო? მე პირადათ არ ეყოფილვარ მოწამე ამ გულგრილობისა, მაგრამ, როგორც გაზეთებიდან ამოვიკითხე ერთობ დიდი სასირცხო საქმე დამართია ჩვენს ეგრედ წოდებულ ინტელიგენციას და მოზარდ ახალ თაობას. აბა ერთი გაიხსენე მკითხველო, თუ რას ამბობს ბ. პ. უმიკაშვილი ი. კერესელიძის დასაფლავების გამო: „მე სრულებით განზრახვა არა მქონდაო—ამბობს იგი—და არც ჩვეულება მაქვს სიტყვის წარმოთქმისა, მაგრამ ყოველად სამღვდელოს გარდა **საერო კაცისაგან ჩვენის მწერლობის ანუ საზოგადოების მხრივ რომ ხმა აღარავინ ამოიღო მოღვაწე კაცის უკანასკნელ პატივის საცემად**, ის ვეღარ მოვითმინე. სამღვდელოება მოშორდა საფლავს, ხალხი იშლებოდა, ველოდი—აი აგერ ვინმე ხმას ამოიღებს პატივის ცემის განცხადებისათვის... **დაჩუმება ვეღარ მოვითმინე და მოუმზადებლად წარმოვსთქვი სიტყვა**, რაც გულში მქონდა წარმოვსთქვი. იქნება უხერხულად მომიეოდა, მაგრამ... (იხ. „ივერია“ 1893 წ. № 4).

ვგონებ ამ უბრალოდ დაწერილ სიტყვებს განმარტება აღარ სჭირია; იმათი გულწრფელობა ყველასათვის ცხადია. სულ გაქვავებული გული უნდა ქონდეს ადამიანს, რომ ამ უხელოვნოდ დაწერილ სიტყვებმა იგი არ აღელვოს.

მართლადაც, რას ნიშნავს ეს მკედარი სიჩუმე იმ დროს, როცა მუნჯიც კი ხმას ამოიღებს ხოლმე, და მერე იმისთანა კაცის დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლაველის დროს, რომელსაც საკმარისი ღვაწლი და ენერგიული შრომა და გარჯა მიუძღვის მთელი ჩვენი ერის წინაშე? „იქნება— როგორც წარმოსთქვა ბ. უმიკაშვილმა თავის სიტყვაში—ბევრს მის რწმენას არ ვეთანხმებოდით, სხვა და სხვა აზრისანი ვიყავით", მაგრამ ეს ხმის ამოუღებლობა უკანასკნელი მისი პატივისცემისათვის, სწორედ არ ვიცი, რას ნიშნავს თვით ბ. უმიკაშვილმა თავის სიტყვაში განმარტა ეს რამოდენიმედ: „ჩვენში შესაძლებელი ყოფილაო— დაიწყო მან ამბაირად—ჩვიდმეტი წელიწადი კაცმა შრომა დასდოს საქვეყნო საქმისათვის და არავინ ხმა არ ამოიღოს: ჩვენა გვაქვს საზოგადოებანი, რომელთაც უნდა ახსოვდეთ, რომ მათი შრომა იწყება იმ დროიდან, როდესაც ივ. კერესელიძე გამოვიდა მოქმედების ასპარეზზე. რა დავიწუებაა".

მაგრამ მეშინია, არავინ დამწამოს, ვითომც მე დიდი თაყვანის მცემელი ვიყო პანეგირიკებისა; არა, მე ვამბობ მხოლოდ ღრმა მოხუცებულის და საზოგადოებრივი მოღვაწის გვამის უკანასკნელ პატივისცემაზე და აი სად გამოიჩინა თავის სისუსტე ჩვენმა განათლებულმა საზოგადოებამ. რასაკვირველია, მე იმის წინააღმდეგიც არ ვარ, რომ ამნაირი პატივისცემა სიტყვის წარმოთუთქმელადა შეიძლებოდა, მაგალ., როგიანი და შესაფერი ბიოგრაფიის შედგენით, მაგრამ შენც არ მომიკვდე, მკითხველო! ჩვენმა მწერლობამ აქ უფრო სამარცხვინო საქმე ჩაიდინა: მან ერთი სიტყვაც არ დასძრა ივ. კერესელიძის შესახებ, გარდა იმისა, რომ გაზ. „ივერიამ" ანეგდოტებივით ამოიწერა რამდონიმე წინადადება სომხურ და რუსულ გაზეთებიდან ი. კერესელიძის შესახებ და ამით იკმარა. შეიძლება ეს მოუმზენლობაში ჩამომართვას მკითხველმა: ჰე, რაზე აჩქარებულხარ შენ, ჩემო ბიძიავო, ჯერ კიდევ ბევრი დრო დაგვრჩენია წინო. დიახ მართალს ბრძანებ, ჩემო მკითხველო, დრო კი სწორედ ბევრია ჩვენ წინ იმდენი, რომ ვერც ანგარიშს უზამ: მაგრამ საქმე ის არის, რომ ყველაფერს თავის დრო გააჩნია. ცხადია, რომ ი. კერესელიძეს ქართული მწერლობის ისტორია არ დაივიწყებს, როგორც ამას ამბობდა სომხური გაზეთი, მაგრამ ჩვენ ჩვენი ვალი დროზე უნდა მოგვეხადა და იქამდე არ უნდა მიესულიყავით, რომ ჩვენი მწერლობის ისტორია უცხოელებისათვის მიგვენდედია გამოსაკელევად. აქ რაღა დროს ხუმრობაა, მაგრამ ის კი უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ რაღაც იმისანა ბედზე ვართ დაბადებული, რომ ჩვენი ცხოვრება მარტო ბროსეებმა, პატკანიანცებმა, სენკოვსკებმა და სხვებმა უნდა იკვლიონ. მე სრულებით ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს სათქმელი: დეე; ყველამ იშრომოს ქვეყნის სასარგებლოდ (ამა ამის წინ ვინ აღუდგება).

მაგრამ ჩვენი საეალალო ის არის, რომ ჩვენ ნამეტანს დავეჩვიეთ სხვების ზრუნვას ჩვენი საქმეების შესახებ. მოსალოდნელია ეხლა ის გარემოებაც, რომ მომდინარე საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიასაც სხვა ვინმე შემთხვევით გამვლელი უცხოელი შეადგენს და გამოსცემს საქვეყნოდ და მერე ჩვენ კი დავიწყებთ წუწუნს, რომ ეს რა უქნია ამ უცხოელსაო, ეს რა შეცდომებით გაუსიაო, ეს როგორ სტყუისო და სხვ. მაგრამ მაშინ გვიანღა იქნება. დამნაშავე ამ შემთხვევაში ვიქნებით მხოლოდ ჩვენ, ჩვენ, რომლებიც არ ვზრუნავთ სრულებით არც ჩვენი ერის ისტორიულ და ეკონომიურ ცხოვრების ჯეროვან გამოკვლევაზე და არც ჩვენი ქვეყნის ეტნოგრაფიულ და გეოგრაფიულ შესწავლაზე. ჩვენ თუ გვეახელთ თვალს მხოლოდ იმ დროს, როცა ჩვენზე დაიწყებენ საუბარს და კამათობას სხვები და ისიც, რასაკვირველია, დროებით, შემდეგ კი იმავე დავიწყებას ვეძლევით. მაგრამ ამ საგნებზე საუბარი ჩვენ ცოტაობ შორს წაგვიყვანს.

ზემოაღნიშნული ფაქტი ჩვენ აქ იმიტომ დავასახელეთ, რომ ის პირდაპირ თვალში ეძგერება ადამიანს, თუ ეს უკანასკნელი ცოტაოდნად მაინც აქცევს ყურადღებას ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას და ამასთანავე აშკარად ეუბნება მაავე, თუ რამდენად მართალნი არიან ის ვაჟ-ბატონები, რომლებიც ხმა მაღლა გაიძახიან, „რომ ეს ახალი წელიწადი (ლაპარაკი 1893 წელზეა) დიდის იმედებით დაგვიდგა და ბრწყინვალე იმედებითაცო“ (იხ. საახალწლო ნომერი გაზ. „ივერიისა“, 1893 წ. მეთაური). აქ მკითხველის წინაშე უნდა ვაღიაროო, რომ საზოგადოდ მე კატეგორიობის მერმისზე სრულებით პესტიმისტური შეხედულების არა ვარ, მაგრამ არც იმნაირი ოპტიმისტი ვარ, რომ ყოველივე ჩვენი დაუდევრობა სიკეთედ მივიჩინო; ისიც არ უნდა გვაყოფყდებოდეს, რომ პესტიმისტობა აწმყოს შესახებ ბევრად უმჯობესია უმოქმედო ოპტიმისტობაზე. განვმარტოთ ჩვენი აზრი უფრო ნათლად.

საახალწლო ნომერში გაზ. „ივერიამ“ დაბეჭდა ჩვეულებრივი მეთაური, რომელშიაც უსახელო ავტორმა (თუ არ ვსცდებით ეს ფერილი თვით ი. ჭავჭავაძეს უნდა ეკუთვნოდეს) წარმოგვიდგინა თვალწინ ჩვენი ცხოვრების ის სასიხარულო მომავალი პერსპექტივა, რომლის უეჭველი ნიშნები ვითომც გვიჩვენა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობამ წარსულ 1892 წელში. აი რას ამბობს ავტორი წარსულ წელზე: „წარსულმა წელმა, რომელიც ჩვენგან (!) დიდის მადლობით მოსაგონია, ბევრი რამ უანდერძა ამ ახალ წელიწადს. ეს წარსული წელიწადი კარგა მსმოიარე წელიწადი იყო ჩვენის ჰკუა-გონების (?) და გულის (?) სამოქმედოდ დაძრისათვის და

თუმცა თვითონ ვერა მომკო რა, მაგრამ იმითაც სადიდებელია (!), რომ მოსავალი მოთესა, მოიყვანა (?!) და ახალ წელიწადს დაულოცა: აი მოვხან-მოვთესე, შენ მომკე და შეირგეო და სხვ." ცოტა ქვემოდ კიდევ უჭენებს ავტორი, თუ რა ჰქნა ამ წელმა: „ისა ჰქნაო, რომ ორი დიდი ძალა წამოაყენა ფეხზე ჩვენში, იმისთანა ძალა, ურომლისოდაც წარმატება ერისა, მისი წინსვლა, მისი ბედნიერება, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, ღონიერება შეუძლებელია და წარმოუდგენელი. ერთს ეძახიან ძალას თვითმოქმედებისას და მეორეს თავის თავის იმედისას" („ივერია", 1893 წ. № 1), ჩვენ ქვემოდ დავინახავთ, რომ ამ ავტორის ამნაირი ოცნება ყოველგვარ სინამდვილეს მოკლებულია და უნდა ნიშნავდეს ორში ერთს: ან იმას, რომ ავტორი სრულებით აღარ ადევნებს თვალყურს ჩვენს ცხოვრებას, რაც მის წმინდა მოვალეობას შეადგენს, და ან მას განზრახ ჰსურს, რომ საზოგადოებას თვალი აუხვიოს სინამდვილის წინაშე. მაგრამ პირველად საჭიროა მოვიხსენიოთ აქ ის საბუთები, რომლებზედაც ავტორი უჩენებს თავის აზრის დასამტკიცებლად.

პირველად ავტორი საზოგადოდ იხილავს წარსულ წელში ნამოქმედარ საქმეებს და ამ განხილვიდან შემდეგი დასკვნა გამოჰყავს: „ჰკუის და გონების გაძლიერებას მხარ და მხარ უნდა მოსდევდეს ქონების, ჯიბის გაძლიერებაც". ამის შემდეგ ავტორი უთითებს ოთხს შესამჩნევ გარემოებაზე, რომლებიც ამტკიცებენ „ჯიბის გაძლიერების" პრინციპს. ეს ოთხი გარემოება არის: 1. სახლების ამშენებელი ამხანაგობა, 2. ღვინის გაყიდვის ამხანაგობის დაარსება კახეთში, 3. კახეთის რკინის გზის გაყვანა და 4-ეც გლეხ-კაცობის მიერ პურის გაწერა.

აქ მკითხველი პირველის შეხედვით ვერც კი მიხვდება, თუ როგორ ოსტატურად მოიქცა ავტორი ამ აღნუსხვაში ყველასათვის აშკარაა, რომ ავტორი ხმას იმაღლებს ორ გარემოებაზე, და მხოლოდ ორზე რომლებიც ავტორს შუაში ჩაუსვამს და აქეთ-იქით, თავში და ბოლოში. საზოგადოების თავის მოსაქონავად მისთვის სულ გარეშე გარემოებანი მიუკრავს.

ასეა თუ ისე; მაგრამ ის კი ყველასათვის კეშმარიტებას შეადგენს, რომ საზოგადოებრივი ორგანო თავის თანამშრომელის კალმით უსათუოდ, თუ უტყუარი არა, გულწრფელი მაინც უნდა იყოს ყოველნაირი აზრის თუ შეხედულების გამოთქმაში. ხსენებული მეთაური წერილის ავტორი ათასჯერ უკეთეს იზამდა, რომ პირდაპირ ეღიარებია ის, რასაც იგი თავის გულში გრძნობდა, ე. ი. გუნდრუკი ეკმია მხოლოდ თავად-აზნაურობის „ჯიბის გაძლიერების" საქმისათ-

ვის, რომელმაც იწყო აღორძინება, ავტორის აზრით, წარსულ წელში და რომლის გამო იგი გამოუთქმელ აღტაცებაში მოდის. რომ ავტორი იძახის მხოლოდ ღვინის გაყიდვის სათავად-აზნაურო ამხანაგობის დაარსებაზე კახეთში და კახეთის რკინის გზის გაყვანის შესახებ იმავე თავად-აზნაურობის შეერთებულის ძალით, ამის დასამტკიცებლად ჩვენ შემდეგი უტყუარი საბუთები გვაქვს.

როგორც მკითხველს ეხსომება, ჯერ კიდევ, ვინემ კახეთში ამნაირი ამხანაგობა დაარსდებოდა, იგივე ავტორი სწერდა ამნაირივე ამხანაგობის საჭიროებაზე და ამასთანავე ხმა მაღლა ღაღადებდა შემდეგს: „ამბობენ ყველაზე უწინარეს ფული არის საჭირო საქმის დაწყებისათვის. ჩვენ ეს აზრი შეცდომათ მიგვაჩნია. ფული, როგორც ყოველიეე ეკონომიური ძალ-ღონე ისეთი თვისებისაა, რომ თითონ ეძებს საქმეს, თითონ მიეზიდება საქმისაკენ, რადგანაც უსაქმოდ დება ეწინააღმდეგება ეკონომიურს ბუნებას (!) ყოველიეე ეკონომიური საგნისას („ეკონომიური საგანი"? ფინანსიური მეცნიერების მცოდნეთათვის ამნაირი ტერმინის ხმარება, ვგონებ დანაშაულებას შეადგენს) ლა მაშასადამე, ფულისასაც" („ივერია" 1892 წ. № 240*). ეს უკანასკნელი თუ მე მიმაჩნია ჩემი ნათქვამის საბუთად, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ავტორი მეთაური წერილებისათვის ძლიერ იშვიათად ზრუნავს, ასე რომ მთელი წლების განმავლობაში დიდი-დიდი, რომ ორი ან სამი წერილი გამოვიდეს მისი ხელიდან და რასაკვირველია, ამნაირ იშვიათ წერილებს იგი უძღვნის მარტო იმისთანა საქმეებს, რომლებშიაც მეტად დაინტერესებულია და რომელთა აღორძინებას თვითონ ჰლამობს და ელტვის. ჩემი ნათქვამის სიმართლეს ის გარემოებაც აშკარად ჰღაღადებს, რომ ხსენებული წერილის დაბეჭდვა გაზ. „ივერიაში" და თავად-აზნაურთა კრება კახეთში ერთი ერთმანეთს მოყვა, ასე რომ ჯერ წერილი დაიბეჭდა და მერე თვით კრება მოხდა, რომელმაც ხსენებული წერილის იდეას ჯეროვანი მსჯელობა მისცა. ამასთანავე, როგორც კახეთიდან მოწერილი წერილიდან ვგებულობთ („ივერია" 1892 წ. № 245 „წერილი კახეთიდამ" ბ. ნადიკვრელისა), კახეთის სათავად-აზნაური ამხანაგობის თათხნობა სულ ჩვენს ავტორს უნდა ეკუთვნოდეს, რადგანაც მაშინდელ კრებაზე ერთმა ორატორთაგანმა პირდაპირ დაასახელა ჩვენი ავტორი, როგორც საქმის მრჩეველი და გამჭირებელი.

*) ეს ციტატა მე იმიტომ ამოვიღე ჩვენი ავტორის წერილიდან, რომ ამ იაფ მოსაცდუნებელი მანჭანებით მან ერთობ დიდი სახელი გაითქვა და ბევრი მიჰდევარი და თაყვანისმცემელი მოიპოვა არა მარტო სააღება-მიცემო ასპარეზზე, არამედ თვით ჩვენ მწერლობაშიაც. ამის დასამტკიცებლად იხ. მაგალ. ბ. სანოს ფელეტონები („ივერია" 1892 წ. № 268 1893 წ. № 4)

რაც შეეხება კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმეს, ამ შემთხვევაში ავტორმა უფრო საქმიანად და დარიგებით იმოქმედა, ვიდრე მწერლობით, მაგრამ ამით მას საქმისათვის არავითარი დაბრკოლება არ მიუყენებია, რადგანაც ჯერ ჩვენში საზოგადოდ მწერლობას არ აქვს იმნაირი გავლენა საზოგადოებაზე, როგორც ხშირ განათლებულ ქვეყნებში, ჩვენში სიტყვიერ დარიგებას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველივე საერთო საქმეში.

მაგრამ მე მაქვს კიდევ სხვა დასამტკიცებელი საბუთი თავის აზრისა ჩვენი ავტორის საახალწლო წერილის შესახებ. როგორც აშკარად სჩანს, ჩვენი ავტორი დიდათ დაახლოვნებული და დაკავშირებული უნდა იყოს გაზ. „ივერიასთან", ე. ი. ჩვეულებრივ ენაზე რომ ვსთქვათ, თვით „ივერიის" რედაქტორი უნდა იყოს და როგორც ამნაირი იგი ვალდებულია, რაც მის გაზეთში საზოგადოებრივი ხასიათის წერილები იბეჭდება, უსათუოდ ყველანი ასწონ-დასწონოს და განიხილოს, რათა უშენიშვნოდ რედაქციის მხრივ არავითარი საწინააღმდეგო წერილი არ დაიბეჭდოს. თუ რომელიმე წერილი, რომელიც ასე თუ ისე ეხება საზოგადოებრივ საკითხებს, დატოვებულია რედაქციის მხრივ უშენიშვნოდ, მაშინ აშკარაა, რომ რედაქტორი, რომელმაც გამოუშვა ის თავის ორგანოში, თანაუგრძნობს ამნაირ წერილს. თუ ეს ასე ითქმის საზოგადოთ, მაშასადამე, ასე უნდა ითქვას „ივერიის" და მის რედაქტორის შესახებაც. ამას კი ის შეურყეველი დასკვნა მოსდევს, რომ „ივერიაში დაბეჭდილ წერილებსაც უნდა უსათუოდ თანაუგრძნობდეს იმის აეტორი, როცა ამნაირი წერილი უშენიშვნოდ არის დატოვებული რედაქციის მხრით.

ახლა აბა ყური დაუგდე მკითხველო, რას ამბობს „ივერიის" „მოშინაურებული" ბ. სანი: „ოცი წლის წინად, ამბობს იგი, საადგილმამულო ბანკების დაარსება იკისრა ჩვენმა თავად-აზნაურობამ და ამით ფეხი შესდგა ახალი დროების „ეკონომიურ აღებ-მიცემობაში" (ეკონომიური აღებ-მიცემობა" ბ. სანისისა უდრის „ეკონომიურს საგანს" უსაბელო ავტორისას; ჩვენ კი მაინც ვერ გავგვიგია: რას ნიშნავს ეკონომიური აღებ-მიცემობა და „ეკონომიური საგანი"), ეიტაკატურად იდო თავს რთული (?) და მძიმე საქმე (ისე რთული და მძიმე, რომ „ბარძიმებიც"-კი ადვილად ასრულებენ). „ეს რკინის გზა კი ისეთი საგანია, **რომ დღეს ჩვენთვის ამაზე მეტი თითქმის აღარა უნდა იყოს რა საფიქრებელი და სანაღვლებელი** *) „რომ 20 დეკემბერს **)

*) ამ წერილში ხაზგასმული ყოველგან ჩვენია.

**) მკითხველს ეხსომება, რომ 20 დეკემბერს 1892 წ. რკინის გზის გაყვანის თაობაზე თავად-აზნაურთა კრება იყო დანიშნული ქ. ტფილისში.

ჩვენი თავად-აზნაურობა ერთს დიდ ნაბიჯს (?!) კიდევ გადადგამს ეკონომიურ წარმატებისაკენ, როგორიც გადასდგა ამ ოცი წლის წინად ბანკის დაარსებით („ივერია“ 1892 წ. № 260).

აქ გასაკვირალი მარტო ის არის, რომ ბ. სანოს ზემოდ მოყვანილ გოდებაში, რომელიც ყოველ ჭეშმარიტებას მოკლებულია, საქმე იმნაირად არის წარმოდგენილი, რომ ავტორი თავად-აზნაურობის კეთილდღეობაში ჰხედავს კეთილდღეობას მთელი ქართველი ერისას როგორც მაგალ., ბ. დ. მაჩხანელი მისი „სისტემის“ დეპო-კასსების შემოღებაში ჰხედავს ზეციურ სამოთხის დამკვიდრებას დედა-მიწაზე*). რამდენად მართალია ამნაირი ახირებული აზრი ბ. სანოსი, ამის გასაგება ჯერ-ჯერობით მიმინდვია მკითხველისათვის, მოკლე დროში მე მსურს დაწვრილებით შევეხო არა მარტო იმ საგანს, არამედ მთელ ბ. სანოს წარსულ და აწინდელ მოღვაწეობას სალიტერატურო ასპარეზზე, რადგანაც ბ. სანოზე დამდგარა დღეს ჩვენში შინაური მიმოხილვა და ხმის ამოღება საზოგაოდებრივ კითხვებზე. ბ. სანოს დრტვინვა მე აქ იმიტო მოვიხსენე, რომ მსურდა დამენახვებია მკითხველისათვის, თუ რა ნიადაგზეა დამყარებული საბალწლო წერილის ავტორის მხიარულება ჩვენს „თვით-მოქმედებაზე და თავის თავის იმედზე“.

წარმოიდგინე, მკითხველო, „ივერიის“ მოშინაურებული პუბლიცისტი თამამად გაიძახის: „ეს რკინის გზა ისეთი საგანია, **რომ დღეს ჩვენთვის ამაზედ მეტი თითქმის აღარა უნდა იყოს საფიქრებელი და სანაღვლებელიო**“. მე როცა ვკითხულობდი ამ სიტყვებს, რაღაცნაირ სუნთქვის შებხუთავ ჟრუანტელმა გამიარა სხეულში! სადა ვართ? ნეტა ხომ არ მოვშორებივართ ჩვენს დედა-მიწას მეთქი, გავიძახოდი! ეს რას ნიშნავს, ბატონებო! ნუ თუ ჩვენთვის აღარ არსებობს აღარც ერი, აღარც განათლება, აღარც სინდისი, აღარც სიმართლე! ნუ თუ ჩვენი მწერლობა, ნუ თუ ჩვენი განათლებული საზოგადოება, ნუ თუ ჩვენი მოზარდი ახალი თაობა, რომლისაგანაც ჩვენ ათას რამეებს მოველით, ყველანი რკინის გზის მზრუნველად უნდა გარდაიქმნენ? მერე რის ანუ ვისთვის? იმიტომ, რომ „ჩვენ თავად-

*) ბ. დ. მაჩხანელის წერილი „ჩვენი უთავბოლობა“, რომელიც იბეჭდებოდა წარსული წლის „ივერიაში“ არ უნდა დარჩენილიყო, ჩემის აზრით, შეუმჩნეველად ჩვენი მწერლობის მხრით. ამისათვის ჩვენი შენიშვნები გავაგზავნე „ივერიის“ რედაქციაში დასაბეჭდათ. ეს იყო წარსული წლის სექტემბრის გასულს; მას მერე გავიდა ოთხ თვეზე მეტი და როგორც გავიგე კერძო წერილებიდან, ჩემი წერილი არც კი უთქვამთ რედაქციაში. როგორ მოგწონს მკითხველო ამნაირი საქციელი რედაქციისა!

აზნაურობა 20 დეკემბერს ერთს დიდ ნაბიჯს კიდევ გადასდგამს ეკონომიური წარმატებისაკენ"! შემდეგ თავის ფელეტონში ბ. სანო ხელაპყრობილი ევედრებოდა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას, რომ ამ ჰერკულესივით ნაბიჯის წინწადგომისათვის ნუ დაიზარებთ ჩამობრძანდით ტფილისში 20 დეკემბრისათვის, უამისოდ ჩვენ აპოვარდებით, მთელი ქართველი ერი ერთიანად დაიღუპება და ღვთის გულიზა ნუ იზამთ ამისთანა სამწუხარო საქმეს, ნუ დაღუპავთ კაცობრიობას, ცივილიზაციას, წარმატებას და სხვ. („ივერია" 1892 წ. № 286).

სწორედ „ბარძიმებული" მსჯელობაა! როცა დანაბოლოს ასრულდა ბ. სანოს წადილი, როცა „ბარძიმებმა" არ დაიზარეს ტფილისში ჩამოსვლა და 20 დეკემბრის სათავად-აზნაურო კრებაზე დასასწრებლად, როცა ამნაირად დახსნილ იქნა კაცობრიობა დაღუპვისაგან, და, მაშასადამე, ცივილიზაციამ გაიმარჯვა, ბ. სანო ამნაირად იწყებდა თავის ფელეტონს: „ღმერთო შენითა! **ერთი დიდი საქმე კიდევ ემატება ჩვენს მდოვრ-მოდებულ ცხოვრებასო**". ასეთი დედაკაცური გოდების შემდეგ იგი განაგრძობს: „20 დეკ. ქართველმა თავად-აზნაურობამ თითქმის ერთხმად განაცხადა სურვილი, თავს იდვა კახეთის რკინის გზის გაყვანა. ეს იყო ჩვენი უგულითადესი სანატრელიც"-ო („ივერია" 1892 წ. № 275). მაშ, რაღა უნდა ამ გადაწყვეტილებას შემდეგ ჩვენს საქართველოს, ჩვენს განათლების საქმეს, ჩვენი ერის გონებრივ და ქონებრივ წარმატების საქმეს: 20 დეკ. 1892 წ. ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ „განაცხადა სურვილი თავს იდვას" ეს ყოველივე.

აი ის მკვეთრი ნიადაგი, რომელზედაც გამოცხვა „ივერიის" საახალწლო მეთაური, აი სად უნდა ვეძიოთ ავტორის განუსაზღვრელი ოპტიმისტური შეხედულების ახსნა. მაშასადამე, სხვნებული მეთაურის ავტორის მეტის-მეტი მხიარულების მიზეზს შეადგენს მხოლოდ თავად-აზნაურობის „ჯიბის გაძლიერების" აღორძინების საქმე.—რა ჯავრი გქონდა მერე? შეიძლება იკითხოს მკითხველმა. რად შეგშურდა თავად-აზნაურობის კეთილდღეობა, რომ ამნაირად შეუწუხებიხარ იმის ქონებრივი კეთილდღეობის აღორძინების საქმესო?— უნდა მოგახსენო, ჩემო მკითხველო, რომ თუ რამდენად მართალია თავად-აზნაურობის ეკონომიური წარმატების საქმე, ამაზე ცოტა ქვემოდ მექნება რამდენიმედ საუბარი. აქ კი მას ვალვიარებ, რომ მე არც თავად-აზნაურობის ჯავრი მჭირს და არც ვინმე სხვისი (და განა რომ მჭირდეს, ამით რა გამოვა?) მაგრამ, როცა ჩვენ გვეუბნებიან, რომ თავად-აზნაურობის „ჯიბის გაძლიერება", მისი ძალ-ღონის განვითა-

რება, ერთი სიტყვით, მისი კეთილდღეობა ერთ და იმავე დროს ნიშნავს მთელი ერის კეთილდღეობას, ეს გარემოება არა თუ გვაწუხებს, არამედ კიდევაც გვაბრაზებს და მწარე ფიქრებს გვრის ჩვენი ერის დღევანდელ და მომავალ ბედზე. ყველა ქვეყნის ისტორიამ კერძოდ და მთელი კაცობრიობის ისტორიამ საზოგადოდ, თვალსაჩინოდ დაგვანახვა, რომ ერთი წოდების კეთილდღეობა არა თუ არ ნიშნავს დანარჩენ წოდებათა კეთილდღეობას, არამედ ყოველნაირი განწყობილება მათ შორის პირდაპირ წინააღმდეგობას წარმოადგენს. ერთი წოდების თუ კლასის კეთილდღეობა იზრდება იმდენად, რამდენად კლებულობს დანარჩენ წოდებათა ანუ კლასების კეთილდღეობა. ის საუცხოვო შეხედულება, რომ ვითომც ერთი წოდების ანუ პოლიტიკური ეკონომიის ენაზე რომ ვსთქვათ, კლასის კეთილდღეობა, არა თუ არ ეწინააღმდეგება მეორე კლასის კეთილდღეობას, არამედ პირიქით ჰარმონიულ ურთიერთშორის განწყობილებაში არიან, ეს შეხედულება, ვამეორებ ეკუთვნის ავ (banal) ბურჟუაზიული მიმართულების წარმომადგენლებს პოლიტიკურ ეკონომიაში მიმდინარე საუკუნის დასაწყისში. ხსენებული მიმართულების წარმომადგენელნი პოლიტიკურ ეკონომიაში იმის მტკიცებაში იყვნენ, რომ ერთის სიმდიდრე ერთ და იმავე დროს ნიშნავს მეორის სიმდიდრესაც. რასაკვირველია, ამას ისინი პირდაპირ არ გაიძახოდენ, არამედ მაღალი და წითელ-წითელი ფრაზებით ამშვენებდენ თავის არა წმინდა განზრახვებს, მაგალ. „ეროვნული სიძდიდრე“, „ეროვნული კეთილდღეობა“ და სხვ. ამისთანები მუდამ ენაზე ჰქონდათ, მაგრამ საქმით კი მხოლოდ კერძო ინტერესებისათვის იღვწოდენ. საბედნიეროდ, ისტორიამ, თუმცა და გვიან, სასტიკად დასაჯა ბანალური ეკონომიის მიმდევარნი, როცა გამწვავებულნი განწყობილებანი მდიდართა და ღარიბთა შორის უფრო თვალსაჩინოდ გამოცურდენ საზოგადოებრივ ასპარეზზე მიმდინარე საუკუნის ნახევარში. მაშინ უკვე გვიანღა იყო გოდება „ნაციონალურ სიმდიდრეზე“ და „ნაციონალურ კეთილდღეობაზე“!

ევროპაში გარემოებათა მსვლელობამ ცხადად დაანახვა ყველას პირდაპირი წინააღმდეგობა მდიდართა და ღარიბთა შორის, ანუ დღევანდელი ენით რომ ვსთქვათ კაპიტალისტთა და მუშათა შორის. საუბედუროთ, ჩვენში აქამდე გარემოებათა სულ სხვანაირი მსვლელობა იყო. მაგრამ როგორც უნდა ყოფილიყო, ის კი ყველასათვის ცხადია, რომ უმაღლესი წოდების კეთილდღეობა თავის დღეში არ ნიშნავს მეორე დაბალი წოდების კეთილდღეობასაც. ამ ანბანური ჭეშმარიტების უარყოფა ჩვენს დროში, ერთის მხრით ეწინააღმდეგება ყოველნაირ ისტორიულ მოსაზრებას და, მეორეს მხრით, ნიშნავს

ან სრულს უცოდინარობას წარსულ და თანამედროვე ურთიერთ შორის განწყობილებათა და ან კიდევ, რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, წინდაწინვე განზრახულ სიცრუის მტკიცებას. როგორ უნდა გვესმოდეს ამის შემდეგ საახალწლო წერილის ავტორის და ბ. სანოს საქვეყნოდ მტკიცება, რომ ქართველ თავად-აზნაურობის „ჯიბის გაძლიერება“, ე. ი. იმის კეთილდღეობა ნიშნავს ერთ და იმავე დროს მთელი ქართველი ერის „ჯიბის გაძლიერებას“, ე. ი. იმის კეთილდღეობას და დღეგრძელობას? არა, სწორედ ვერ გაგვიგია, თუ რას უნდა მივაწეროთ ამნაირი უცნაური შეხედულება? ნუ თუ აქაც წითელ-წითელი ფრაზებია ნახმარი საზოგადოების თვალის ასახვევად?

თუმცა დიდათ სამწუხაროა ჩვენში ამნაირი მოვლენა, მაგრამ ულმობელი ლოღიკა ფაქტებისა მაიძულებს დადებითი პასუხი მივსცე მკითხველს ამ კითხვაზე. ამიტომ შორს... შორს ჩვენგან ღამის არახჩინი! დროა უკვე გავიგოთ გარემოებათა ნამდვილი მდგომარეობა!..

II

მკითხველს მე წინდაწინვე განვუცხადე, რომ ამ წერილში მე მსურდა მხოლოდ მოკლედ მეჩვენებია რამდენიმე სამწუხარო გარემოება ჩვენი ცხოვრებიდან, რომელიც ჩემში კერძოდ იწვევს ძლიერ მწარე ფიქრებს ჩვენი დღევანდელი და მომავალი ცხოვრების ბედილბალზე. ამიტომ მე აქ ყველა ამ გარემოებათა უფრო დაწვრილებით განხილვაში არ შევდივარ, რადგანაც ეს ძლიერ შორს წაგვიყვანდა და თვით ამ წერილის ჩარჩოებიდანაც გამოგვიყვანდა. მაგრამ მე კიდევ მსურს რამდენიმე გარემოების განხილვაზე გავჩერდე, რადგანაც ესენიც დღეს ყველას ეჩხირება თვალში, თუმცა იმათ განხილვაში და ჯეროვან დაფასებაში არავინ არ შედის.

მე მოგახსენებთ პირველად იმ გარემოებაზე, თუ რამდენათ მართალია ის აზრი, ვითომც ღვინის გამყიდველ სათავად-აზნაურო ამხანაგობის დაარსებით კახეთში და 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით, რომლითაც „ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ თითქმის ერთხმად განაცხადა სურვილი თავს იდვას კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმე“, ქართველმა თავად-აზნაურობამ კიდევ გადასდგა „ერთი დიდი ნაბიჯი ეკონომიური წარმატებისაკენ“.

ჯონ. სტ. მილი თავის ცნობილ „ლოღიკის სისტემაში“ ამბობს, რომ სანამ ჩვენ არ განვმარტავთ ტერმინებს, რომლებსაც მუდამ ვხმარობთ სხვა და სხვა ალაგას, და არ დავთანხმდებით ამ ტერმინების ერთ და იმავე მნიშვნელობით ხმარებაში, მანამ ჩვენს იმათზე მსჯელობას და კამათს არავითარი მნიშვნელობა არ ექნებაო. მართლა-

დაც, ავიღოთ, მაგალ., ის „ეკონომიური წარმატება“, რომელსაც ბ. სანო პირდებოდა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას წარსული წლის 20 დეკემბრისათვის და რომელიც უკვე არსებულ მოვლენად ჩასთვალა საბალწლო წერილის ავტორმა გაზ. „ივერიაში“. მე კერძოდ ვერ ვხედავ აქ იოტისოდნავ ეკონომიურ წარმატებასაც. რათაო? იკითხავს მკითხველი: იმიტომ რომ, მე ეკონომიურ წარმატებას სულ სხვაში ვხედავ, ვინემ „ივერიის“ პუბლიცისტები. ჩემთვის მაგალ. ეკონომიური წარმატება მთელი ერისა, ან მის რომელიმე ნაწილისა, ნიშნავს შრომის საწარმოო პირობების ამაღლებასა და განვითარებას, ე. ი. სხვადასხვა სამუშაო იარაღების ტეხნიკურ გაუმჯობესებას. ამ განსაზღვრის დაწვრილებით განხილვაში მე აქ არ შევდივარ, თუმცა ეს ძლიერ საინტერესოც არის. შევნიშნავ მხოლოდ, რომ პოლიტიკური ეკონომიის და სახალხო მეურნეობის მცოდნესათვის ჩემ მიერ ნათქვამი ანბანურ ჭეშმარიტებას შეადგენს და ამასთანავე ის არის საფუძველი ყოველივე ერის ეკონომიური წარმატებისა და განვითარებისა. რაც შეეხება „ივერიის“ პუბლიცისტებს, უნდა ვაღიარო, რომ იმათთვის ეკონომიური წარმატება ხალხისა ან რომელიმე მისი ნაწილისა, მაგ. თავად-აზნაურობისა, სულ სხვას წარმოადგენს. იმათი წარმოდგენით მაგალითად ეკონომიური წარმატება იქნება მაშინ, როცა რომელიმე თავადი ან აზნაური რომელიმე დაწესებულებაში (მაგალ. სათავად-აზნაურო ბანკში) 100.000 მანეთ. ღირებულ უძრავ ქონებას დააგირავებს და იმის მაგიერ გამოიტანს იქიდან 25.000 მან. ფულს, რომელსაც რამდენიმე წლის ან თვის განმავლობაში მიფლანგ-მოფლანგავს უწვრმოებლად. როცა ეს 25.000 მანეთიც გამოელევა, მერე კიდევ მიეშურება დანარჩენი მამულის დაგირავებისათვის იმავე დაწესებულებაში და შემდეგ იწყება იგივე „ფლანგვის პროცესი“, სანამ თვით დაწესებულება სულ არ გაანთავისუფლებს დაუდგრომელ „ბატონს“ მძიმე ტვირთისაგან ე. ი. უძრავი ქონებისაგან, რომელიც მისთვის კიდევ ნეტარხსენებულ პაპას აუკიდნია... აი „ივერიის“ პუბლიცისტების წარმოდგენით რაში მდგომარეობს „ეკონომიური წარმატება“. რა საუცხოოც უნდა იყოს ამნაირი ეკონომიური წარმატება მკითხველის თვალში, მაინც იგი უსათუოდ უნდა დარწმუნდეს, რომ ამას ჰქადაგებს „ივერია“.

უეჭველია ამის დასამტკიცებელ საბუთსაც მომთხოვს მკითხველი. მაგრამ, ეს რა სასტიკი მკითხველი გადამეკიდა მე, რომ საშველს აღარ მაძლევს: რასაც ვიტყვი, უსათუოდ იმის დასამტკიცებელი საბუთი უნდა წარვუდგინო. მაგრამ არა; ეს სისასტიკე სრულებით არ არის: ეს ყველა მკითხველის წმინდა მოვალეობას შეადგენს; ყოველი

გამჭრიახე მკითხველი მოვალეა ჯიბრში ჩაუდგეს ავტორს და მოსთხოვოს სრული ანგარიში ყოველივე მისი ნათქვამისა. ვინც არ ასრულებს ამას, ის არც ნამდვილი მკითხველის მოვალეობას ასრულებს. მე მაკვირებს მხოლოდ ის გარემოება, რომ ამნაირად ირჯება მკითხველი მხოლოდ ჩემთან და „ივერიის“ „ნაფიც“ პუბლიცისტებზე იგი კრინტსაც არ ძრავს. აი ამიტომ ვეძახი მე ჩემს მკითხველს სასტიკს. ვინაიდან ის მხოლოდ ჩემთან ირჯება ამნაირად და არა ჩვენ „ნაფიც“ მწერლებთან. ეს სწორედ სამწუხაროა და ამასთანავე უსამართლობასაც შეადგენს ჩემი მკითხველის მხრით, რადგანაც იგი ორგულობას იჩენს და მხოლოდ პიროვნებას აქცევს ყურადღებას. მაგრამ მე მაინც ვალდებული ვარ ჩემი ნათქვამი დავასაბუთო რამოდენიმედ მაინც. ამისთვის მე შორს არ წავალ: იგივე „ივერია“ წარმოგვიდგენს ჩვენ ჩემი აზრის დასამტკიცებელ საბუთს.

ვინც-კი ცოტაოდნავად თვალს ადევნებს „ივერიას“, მას უსათუოდ ეცოდინება, თუ როგორი თაყვანის ცემით და მუხლის დრეკით იხსენიებს ეს გაზეთი სათავად-აზნაურო ბანკებს. ჩვენ აქ ვერ გავიხსენებთ, თუ რამდენი სათაყვანისაცემო წერილები უბეჭდია ხსენებულ გაზეთს სათავად-აზნაურო ბანკების შესახებ. მოვაგონებ მკითხველს მხოლოდ, რომ იყო იმნაირი დრო და ბევრისათვის ის ჯერაც არ გამქრალა, როცა იმასაც ამტკიცებდენ, რომ სათავად აზნაურო ბანკებზე ჰკიდია მთელი ჩვენი ერის ცხოვრება და ბედ-იღბალიო. უყურადღებოთ დავტოვოთ აგრეთვე ისიც, რომ სათავად-აზნაურო ბანკების მაგალითზე უთითებდენ ყოველთვის და დღესაც უთითებენ, როცა რაიმე ახალი საქმის სარგებლობას ამტკიცებენ, მაგალ. თვით სახალწლო წერილის ავტორიც („ივერია“ 1892 წ. № 240) ღვინის გამყიდველი ამხანაგობის სარგებლობას სათავად-აზნაურო ბანკების მაგალითით უმტკიცებდა საზოგადოებას. ჩვენ მხოლოდ ყურადღება მივაქციოთ აქ იმას, თუ რას ამბობს „ივერიის“ ერთი „მოშინაურებული“ პუბლიცისტთაგანი, სახელდობრ, ბ. სანო: „ოცი წლის წინადაო—ჰღაღადებს იგი საადგილ-მამულო ბანკების დაარსებაზე იკისრა ჩვენმა თავად-აზნაურობამ და ამით ფეხი შესდგა ახალი დროების „ეკონომიურ აღებ-მიცემობაში“, ვაჟკაცურად იდო თავს რთული და მძიმე საქმე, რომლის ავ-კარგობაზე მაშინ ძლიერ ნაკლებად ჰქონდა შეგნებულიო“ („ივერია“ 1892 წ. № 260). გესმის მკითხველო. „ოცის წლის წინად საადგილ-მამულო ბანკების დაარსებით ჩვენს თავად-აზნაურობას „ეკონომიური აღებ-მიცემობა“ უკისრნია და ამ „ეკონომიურ აღებ-მიცემობის“ ავკარგიანობა მაშინ შეგნებული კი არ ჰქონებია.

მაგრამ ჰკითხეთ ერთი ბ. სანოს, დღეს კი ესმის და შეგნებული აქვს ჩვენს თავად-აზნაურობას საადგილ-მამულო ბანკების აე-კარგიანობა? და თვით ბ. სანომ შეიგნო და გამოარკვია ეს ავ-კარგიანობა, თუ არა? თუ ჰო, მაშ, რას ნიშნავს მისი ცილისწამება, რომ ვითომც საადგილ-მამულო ბანკების დაარსებით ქართველმა თავად-აზნაურობამ „ფეხი შესდგა ახალი დროის“ ეკონომიურ აღებ-მიცემობაში? მკითხველო, ნუ თუ შენ არ იცი რავგვარი აღებ-მიცემობა გამოიწვია თავად-აზნაურობაში საადგილ-მამულო ბანკების დაარსებამ? ვგონებ, ეს ყველასათვის ცხადია, გარდა გაზ. „ივერიისა“ და მის, „ნოეც“ მწერლებისა, რომლების გამო ჩვენმა საზოგადოებამ დღემდის არ იცის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობის ნამდვილი ვითარება, საზოგადოთ, და თავად-აზნაურობის საქმეებისა, კერძოთ. თავად-აზნაურობას ეუბნებიან, რომ იმის საქმე არსეინად სწარმოებს და ამის დასამტკიცებლად იმაზე უჩვენებენ, რომ აი „გროშებიდან დაწყებული საქმე მილიონებათ გადაიქცა“, და აბა მეტი რაღა გინდა; თუ რამე მამული დაგვრჩენია, მოდი ჩქარა დააგირავე და ეს ფულები გაიტანე, „რადგანაც უსაქმოდ დება ეწინააღმდეგება ეკონომიურ ბუნებას ყოველი“-ეკონომიური საგნისას“ და, მაშასადამე, ფულისაც“, ქადაგებენ ჩვენი თავისებური ეკონომისტები. რაც შეეხება ამ ფულების მოხმარებას (ნამდვილად რომ ვთქვათ: გაფლანგვას). ამაზე კი კრინტსაც არ იღებენ და მართლადაც იმათი შებედულებით რა საჭიროა ამ საქმეზე ზრუნვა, როცა ბანკში ჯერ-ჯერობით ფულები საკმარისია.

მკითხველი ახლა უკვე გებულობს, თუ რაშია აქ საქმე. იგი მოწადინებულია გაიგოს, თუ რა საშუალებით გროვდება ფული საადგილ-მამულო ბანკში და რა ეკონომიური შედეგი მოსდევს თვით თავად-აზნაურობის კეთილდღეობისათვის იმ მოგროვების სისტემას, რომელიც ხმარებაშია საადგილ-მამულო ბანკებში. ამ საგანზე მე ბევრს არ გავაგრძელებ საუბარს; მკითხველს შეუძლია პირდაპირ მიმართოს ბ. ჟიგაჩოვის სტატიას „Русская Мысль“-ში, სახელდობრ: „Задолженность частнаго землевладения в России“. (იხ. „Рус. Мысль“ 1892 წ., ნოემბერი), რომლის შინაარსი ბ. გ. მაიაშვილმა განმარტა ამას წინედ გაზ. „Нов. Обоз.“-ში და აღიარა, რომ ხსენებული სტატია მეტად საინტერესოა ჩვენი ქვეყნისთვისაცო, სადაც „კერძო მიწადმფლობელობის დავალიანება დღითი დღე ძლიერდებაო“—(„Нов. Обоз.“ № 3109). ამასთანავე ბ. მაიაშვილმა მშვენივრად შენიშნა, რომ შენ ნუ გგონია ვითომც ეს მარტო რუსეთის თა-

ვად-აზნაურობაზეა ნათქვამი, არა, ამნაირი დასკვნა მარტო ბავშობას ნიშნავსო. de te fabula narrotur (არაკი შენზეა ნათქვამიო).

ფაქტიური შემოწმება ქართველ თავად-აზნაურობის დავალიანებისა ჯერ-ჯერობით ძლიერ საძნელოა, რადგანაც ამის მასალა ხელუხლებლად დევს კანცელარიებში. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია რამოდენიმეთ მართალი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ დავალიანებაზე იმ აუარებელი განცხადებისგანაც, რომლებიც ყოველ წლივ იბეჭდება გაზეთებში და შეიცავს გასასყიდად დანიშნულ მამულების სიას. მაგრამ უბედურება ამ აუარებელი დავალიანებით არ თავდება; დავალიანება კიდევ არ ნიშნავს სრულს ქონებრივ დაუძლურებას. შეიძლება, რომ თავად-აზნაურობას მამული დაგირავებული ჰქონდეს ბანკებში, მაგრამ სამაგიეროდ ის ცდილობდეს საწარმოვო ძალის გაუმჯობესებას და განკარგებას და ზრუნავდეს თვით თავად-აზნაურობის კულტურულ ზრდაზე მაინც. საუბედუროთ ულმობელი ფაქტების ძალით მე იძულებული ვარ ვაღიაროო, რომ შრომის საწარმოვო ძალის განკარგულებაში ქართველ თავად-აზნაურობას არავითარი ღვაწლი არ მიუძღვის ჩვენი ერის წინაშე და რაც შეეხება კულტურულ ზრდას, ამაზე მე იმას ვიტყვი, რომ მთელ ქართველ თავად-აზნაურობამ არა თუ მაღალი, არამედ ვერც დაბალი ხარისხის სამეურნეო სასწავლებელი ვერ შექმნა, რომ მით მოემზადებია მას რიგიანი მეურნენი ახლანდელ „მტაცებელი მეურნეობის“ ბოლოს მოსაღებად, როცა, ერთის მხრით, მასაზრდოებელი ნიადაგი სულ უფრო და უფრო იფიტება და, მეორე მხრით, უსარგებლოდ იხარჯება აუარებელი ჯაფა მიწის მომჭედელთა.

ზემოდ ნათქვამიდან მკითხველი უეჭველად დაინახავდა, თუ რამდენათ მართალი ვიყავი, როცა ვამბობდი, რომ საადგილ-მამულო ბანკების დაარსებით ქართველ თავად-აზნაურობას სრულებით ფეხი არ შეუდგამს ახალი დროების „ეკონომიურ აღებ-მიცემობაში“. რაც შეეხება კახეთში სათავად-აზნაურო ამხანაგობის დაარსების და კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმეს, ჯერ-ჯერობით წინდაწინვე მტკიცდება, რომ „20 დეკემბერს ჩვენი თავად-აზნაურობა ერთს დიდ ნაბიჯს კიდევ წარსდგამს ეკონომიური წარმატებისაკენო“, ჯერ-ჯეროთ, ვიმეორებ, ამნაირი მტკიცება თუ სრულ ჭეშმარიტებას მოკლებული არაა, ძლიერ საეჭვო და უდროვო უნდა იყოს.

ფ. შემოქმედელი (ფ. მახარაძე).

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის კომპარტიის ისტორიის შესწავლისათვის.

(განმარტებითი ბარათი რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორიის პროგრამისათვის 1-ლ საფეხურის საბპარტსკოლებში).

პროგრამაში გათვალისწინებულია 130 საათი, რომლის განმავლობაში კურსის გავლა უნდა იყოს დაყრდნობილი ლიტერატურულ მასალის გადამუშავება-შესწავლაზე. მასალის დამუშავება უნდა ხდებოდეს ბაასის საშუალებით; მსმენელთ უნდა მიეცეს საშუალება დამუშავებული მასალის ჩაწერის და კონსტრუქციის შედგენისა, გზა და გზა უნდა სწარმოებდეს მსმენელთა გამოკითხვა.

რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორიის სწავლებას 1-ლ საფეხურის საბპარტსკოლებში მიზნად უნდა ჰქონდეს დასახული უმთავრესად მოწაფეთა მიერ კონკრეტიულ ისტორიულ მასალის გაცნობა. მეცადინეობის წარმოების დროს უნდა ვერიდოთ საკითხის მეტად ფართოდ და რთულად განხილვას. კურსის ამოცანები შეიძლება ჩაითვალოს გადაწყვეტილად, თუ მსმენელები, კურსის დამთავრებისას, მიიღებენ გარკვეულ და საკმარის წარმოდგენას მუშათა კლასის და მისი პარტიის როლზე რევოლიუციონურ ბრძოლაში. ამისათვის კურსის ღერძად უნდა იქნეს: ლენინიზმის ძირითადი იდეა, პროლეტარიატის გეგემონიის იდეა და იდეა პარტიისა, როგორც ავანგარდისა. ამ თვალსაზრისით თუ მიეუდექით საკითხს, ხელმძღვანელი არ შეხვდება განსაკუთრებულ სიძნელეს ბოლშევიკ-ლენინელების დამოკიდებულების გამოკვლევის დროს ესერების წვრილ-ბურჟუაზიულ სოციალიზმთან, ლიბერალურ ბურჟუაზიისა, მენშევიკურ ოპორტუნიზმისა და კერძოთ ტროცკიზმთან.

ყურადღების მაქსიმუმი უნდა მიექცეს ვ. ი. ლენინის ორგანიზაციულ შეხედულებას. ორგანიზაციულ საკითხების სალათ გარჩევის უნარი ჰქმნის საკმაოდ მძლავრ გარანტიის ყოველგვარ მერყეობასა და გადახრისაგან, რომელიც მძიმე დაღს ასვამს პარტიულ ორგანიზაციებს. განსაკუთრებული ხაზი უნდა გაესვას პროლეტარიატის და გლეხკაცობის ურთიერთ შორის დამოკიდებულებას, როგორც ორ ძირითად რევოლიუციონურ ძალას, ერთის მხრივ და როგორც ორ განსაკუთრებულ სოციალურ და ეკონომიურ ძალას მეორეს მხრივ. საბო-

ლოთ უნდა გარკვეულ და ამოწურულ იქნას პარტიის როლი, როგორც მუშათა კლასის ავანგარდის და მუშათა კლასის როლი, როგორც რევოლიუციის ავანგარდისა. დასაბუთდება რა პროლეტარიატის გეგემონია კლასთა ერთმანეთ შორის დამოკიდებულებათა ანალიზის საშუალებით, რუსეთის რევოლიუციამდე და შემდეგ, საჭირო არის დასაბუთდეს ავრეთვე მუშათა კლასის გლეხობასთან კავშირი, როგორც აუცილებელი პირობა პროლეტარიატის დიქტატურისა.

ესენი უნდა ითვლებოდეს ცენტრალურ პრობლემებათ კურსის გაელის დროს. არა ნაკლებ სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს კომუნისტური პარტიის და პროლეტარიატის როლის გამორკვევას.

ნაციონალურ შეღლისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში ამისათვის ნაციონალურ საკითხს ეძღვნება კურსის გაელის დროს განსაკუთრებული თემა, დაბოლოს რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორიის კურსს არ შეუძლიან არ შეჩერდეს რუსეთის და მსოფლიო მუშათა კლასების რევოლიუციონურ მოძრაობათა ურთიერთ შორის კავშირისა და რუსეთის პროლეტარიატის რევოლიუციონურ ბრძოლის საერთაშორისო მუშათა მოძრაობაზე მოხდენილ გაელენაზე.

ყოველივე ეს აუცილებელია წითელ ზოლივით გაეელოს რუსეთის კომუნისტურ პარტიის მთელ ისტორიას და კურსის დაბოლოებისას უნდა გამოიხატოს ეს შემდეგ თემაში: რუსეთის კომუნისტური პარტიის გამოცდილება კომინტერნში: ასე დაყენებული რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორიის კურსი იქნება ერთს და იმავე დროს, ლენინიზმის ძირითადი დებულების კურსიც, იმ ფარგლებში, რომელშიაც ეს შესაძლებელია პირველ საფებურის საბჭოთა პარტსკოლებში, ამისათვის დათმობილ დროის მიხედვით.

პარტიის ისტორიის აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის ცოტაოდენათ გადამუშავებულ პროგრამას. ყოველ თემას, რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორიიდან აღებულს, დამატებული აქვს საჭირო მასალა საქართველოს კომპარტიის ისტორიიდანაც. ჩვენს პარტსკოლებში სწავლების დეფექტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ არ ისწავლებოდა საქართველოს კომპარტიის ისტორია.

აქ წარმოდგენილი პროგრამა წარმოადგენს პირველ ცდას და მოითხოვს დამუშავებას. სწავლის ჯეროვან დონეზე დაყენებას დიდათ დაეხმარებოდა სახელმძღვანელოთა უქონლობა. ჯერ-ჯერობით ხელთ გვაქვს (იშოვება) მხოლოდ ზოგიერთი ნაშრომი ამხ. ფ. მახარაძისა და ს. თალაკვაძის და აგრეთვე მოგონებანი და გამოკვლევანი, მოთავსებულნი „რევოლიუციის. მატიანე“-ში და სხვა პერიოდულ გა-

მოცემებში. ამის გამო ლექტორს მოუხდება მასალების და წყაროების შერჩევა და ყოველი მათგანის კრიტიკულად განხილვა. პარტიის ისტორიის სკოლებში სწავლების ჯეროვან დონეზე დასაყენებლად საჭირო არის ახალ სამოსწავლო წელში იხელმძღვანელონ წარსული წლის გამოცდილებით და იმის მიხედვით იქნეს შედგენილი ახალი პროგრამა.

პ რ ო გ რ ა მ ა.

(რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორიის და ლენინიზმის პირველ საფეხურის საბპარტსკოლებისათვის).

1. კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში და მუშათა კლასის პირველი რევოლიუციონურ-პოლიტიკური ორგანიზაციები.

ა) კაპიტალიზმის განვითარება და მუშათა მოძრაობის ზრდა მე-19 საუკუნის ბოლოში. რევოლიუციონური ინტელიგენციის მოძრაობა სამოცდაათიან წლებში. ნაროდნიკობის ორი ფრთა. პირველი მუშათა ორგანიზაციები. სამხრეთ რუსეთის და ჩრდილო-რუსეთის კავშირი. მათი მნიშვნელობა რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორიაში.

ბ) კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში. გლეხების მდგომარეობა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ 1864 წ. სახელოსნო წარმოების დაცემა და დაშლა. პირველი ფაბრიკების გახსნა. ამიერკავკასიის რკინის გზები. ნავთის მრეწველობის განვითარება. ბათუმის ნავთსადგური. ჰიათურის მარგანეცის და ტყიბულის ქვა-ნახშირის წარმოება.

ნაროდნიკული აზრების გავრცელება საქართველოში 1873 წ-დან დაწყებული, ნაროდნიკების მოქმედების ხასიათი. 70—80 წლების ნაროდნიკულ მოღვაწეთა სოციალური შემადგენლობა. რატომ ვერ მოიპოვა ნიადაგი ნაროდნიკობამ საქართველოში. (მთავრობის ძლიერი რეპრესიები, გლეხთა შორის პროპაგანდის უნიადაგობა).

მუშათა მოძრაობის ჩასახვა და ფორმები ოთხმოცდაათიან წლამდე.

ლიტერატურა: ბ ა ტ უ რ ი ნ ი—სოციალდემოკრატიის ისტორიის მიმოხილვა რუსეთში გვ. 32—42.

ზ ი ნ ო ვ ი ე ვ ი „რკპ ისტორია“ სახელმწ. გამომც. 1923 წ. გვ. 18—27.

ფ. მახარაძე—ტფილისის ორგანიზაციის არსებობის 30 წლის თავი.

ს. თალაკვაძე—„საქართველოს კომპარტიის ისტორიისათვის (პირველი პერიოდი)

მე-11 თემა.

მარქსისტული იდეების გავრცელება რუსეთში (12 საათი).

პირველი მარქსისტული წრეები. ბლაგოევის ჯგუფი. პლეხანოვის სიტყვა პარიზის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე 1889 წ. პროლეტარიატის გეგემონიის იდეა. 1891 წლის შიმშილობა. მრეწველობის განვითარება და მუშათა მოძრაობის ზრდა. მუშათა კლასის განთავისუფლების ბრძოლის კავშირი და მისი დამოკიდებულება მუშათა ფართო მოძრაობასთან.

ლენინი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ლენინი ნაროდნიკული იდეების წინააღმდეგ. ლენინი ლეგალური მარქსიზმის წინააღმდეგ. ლენინი, როგორც პარტიის დამაარსებელი. პარტიის პირველი ყრილობა და მისი მანიფესტი.

მარქსისტული იდეების შემოტანა საქართველოში. რევოლიუციონური ინტელიგენცია, კონფერენცია ზესტაფონში 1892 წ. ნინოშვილის დაკრძალვა 1894 წ. და ს. ჯიბლაძის სიტყვის საზოგადოებრივი მნიშვნელობა. მესამე დასელები. სოციალ-დემოკრატიული მუშაობა ტფილისის რკინის გზის სახელოსნოების მუშათა შორის. ტფილისის მუშების პირველი გაფიცვები (გაფიცვა რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში, რომელშიაც 4.000 მუშა იღებდა მონაწილეობას). პირველი მაისის დემონსტრაციები. მათი პოლიტიკური მნიშვნელობა. პირველი სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ორგანიზაცია ტფილისში 1895—6 წლებში. კომიტეტების რევოლიუციონური მოქმედება და მისი გავლენა მუშათა მოძრაობის განვითარებაზე.

ლიტერატურა: ზინოვიევი „კომპარტიის ისტორია". გვ. 29—37 32—35.

ბატურინი „სოციალ-დემოკრატიის ისტორიის მიმოხილვა რუსეთში" გვ. 12—32, 42—45.

იაროსლავსკი: „ლენინის ცხოვრება და მუშაობა". გვ. 22—32.

ლენინი: სტატია—„ჩვენი რევოლიუციის არსებითი ამოცანები".

ფ. მახარაძე: „ტფილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა გვ. 30.

ფ. მახარაძე: „როგორ გავხდი მარქსისტი".

ს. ჯიბლაძე: „სიტყვა, თქმული ინგოროყვას სიკვდილის გამო", კვალი, 1894. (გადმობეჭდილია „რევ. მატ." ამ ნომერში).

ს. თალაკვაძე: „კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის საქართველოში". (პირველი პერიოდი).

ფ. მახარაძე: „კომპარტიის ისტორიისათვის საქართველოში. 25 წლის ბრძოლა სოციალიზმისათვის,— ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის გამოცემა.

მე-3 თემა.

ბოლშევიკები და მენშევიკები. 12 საათი.

პარტიის მეორე ყრილობა. პარტიის პროგრამა (მინიმუმი და მაქსიმუმი). აგრარული პროგრამა (ჩამონაჭრები). დამოკიდებულება ლიბერალურ ბურჟუაზიასთან. დაეა წესდების პირველი პარაგრაფის შესახებ. განხეთქილება პარტიაში. პარტიის დაყოფა ორ ძირითად მიმდინარეობათ (ბოლშევიზმი და მენშევიზმი). ამბ. ტროცკის პოზიცია.

რევოლიუციონური მოძრაობის განვითარება საქართველოში 1900 წლიდან. გლეხთა აჯანყებანი გურიაში. მუშების გამოსვლა. თვითმპყრობელობის სისასტიკე მუშების მიმართ ბათუმში 1902 წელს. სოციალ-დემოკრატიული კომიტეტების ორგანიზაცია გურიაში, ქუთაისში, ბათუმში, ჭიათურაში, სადგურ მიხაილოვში. ლიბერალურ-ლეგალურ-მარქსისტული გაზეთი „კვალი" 1898 წლიდან. არალეგალური რევოლიუციონურ-პროლეტარული გაზეთი „ბრძოლა". ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობა 1903 წლის დამდეგს ტფილისში და დაარსება „კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კავშირის".

სრულიად რუსეთის მეორე საერთო პარტიული ყრილობა. დელეგატები კავკასიიდან. ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კავშირის მოქცევა რუსეთის სოციალ დემ. მუშათა პარტიის ბოლშევიკურ ფრთაში.

ლიტერატურა. ზინოვიევი: „რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორია". გვ. 75—86.

ბატურინი: „სოციალ-დემოკრატიის ისტორიის მიმოხილვა". გვ. 86—92.

ს. თალაკვაძე: „საქართველოს კომპარტიის ისტორიისათვის. (მეორე პერიოდი).

რ. კალაძე: „მუშათა ჟურნალ-გაზეთის ისტორია. („რევ. მატ.").

ფ. მახარაძე: „კომპარტიის ისტორიისათვის საქართველოში“, ქრისტომატია, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის გამოცემა.

მე-4 თემა.

1905 წლის რევოლიუცია (12 საათი).

რუსეთ-იაპონიის ომი. ბურჟუაზიული ოპოზიციის ზრდა. 9 იანვარი და მისი მნიშვნელობა რევოლიუციის მსვლელობაში. მუშათა მოძრაობის ზრდა. გლეხობის მღელვარება. პარტიის მესამე ყრილობა. საკითხი ბოლშევიკებისა და მენშევიკების დამოკიდებულების შესახებ ბურჟუაზიასთან, გლეხობასთან, დროებით რევოლიუციონურ მთავრობასა და შეიარაღებულ აჯანყებასთან. აგრარული პროგრამის გადასინჯვა. მენშევიკების კონფერენცია ჟენევაში. 1905 წლის რევოლიუციონური გამოსვლები. ოქტომბრის საერთო გაფიცვები. ნოემბრის გაფიცვა. მუშათა დეპუტატების საბჭო. მოსკოვის შეიარაღებული აჯანყება. 1905 წლის რევოლიუციის დამარცხება და მისი მიზეზები. პოლიტიკური დემონსტრაციები საქართველოში იაპონიის ომის წინააღმდეგ. აგრარული მღელვარებანი. გლეხთა აჯანყება. მუშების პოლიტიკური გაფიცვები. შეიარაღებული გამოსვლა ტფილისში (ნაძალადევში). სომეხ-თათართა ჟლეტა, მოწყობილი თვითმპყრობელობის აგენტების მიერ და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ტაქტიკა. რევოლიუციონური მოძრაობის სასტიკი ჩაქრობა დამსჯელი რაზმების მეოხებით.

ლიტერატურა: ზინოვიევი: „რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორია“ გვ. 87—112.

ბატურინი: „ნარკვევი სოციალ-დემოკრატიის ისტორიიდან რუსეთში“. გვ. 92—107, 111—118.

ლენინის სტატიები: „რევოლიუციის დასაწყისი რუსეთში“. „ორი ტაქტიკა“. „მოსკოვის აჯანყების გაკვეთილები“.

ლ. ტროცკი: 1905 წ. გვ. 76—85, 122—129, 172—174.

„რევოლიუციის მატიანე“ №№ 7—8, 9—10, 11—„1905 წელი საქართველოში“.

ფ. მახარაძე: „კომპარტიის ისტორიისათვის საქართველოში“, ქრესტომატია, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის გამოცემა.

ს. თალაკვაძე: „საქართველოს კომპარტიის ისტორიისათვის". (მეორე პერიოდი).

მე-5 თემა.

რეაქციის პერიოდი და ახალი აღორძინება. (10 საათი).

მიმდინარე მომენტის შეფასება 1905 წლის რევოლიუციის შემდეგ. პარტიის მეორე გამაერთიანებელი ყრილობა. რეაქციის გაძლიერება. I, II, III სახელმწიფო სათათბირო. პარტიის მე-V ყრილობა ლონდონში. კრიზისი პარტიაში: ლიკვიდატორები: „ოტზოვისტები". სრულიად რუსეთის კონფერენცია 1908 წ. ც. კ. პლენუმი 1910 წ. ამბ. ტროცკის შემარიგებელი პოზიცია. იანვრის კონფერენცია პრაგაში 1911 წ. ლენის მუშების დახვრეტა. მუშათა მოძრაობის გამოცოცხლება. გაზეთები: „ზვეზდა" და „პრავდა". მე-IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები და სათათბიროს ფრაქცია. 1914 წლ. რევოლიუციონური ამბები. ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ბრძოლა საქართველოში 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ტაქტიკის საკითხებში. რეაქციის წინააღმდეგ პარტიზანული ომი. ტერორისტული აქტები. ფრაქციული ბრძოლის გამწვავება 1909 წელს. უკანასკნელი გაერთიანებული ყრილობა კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებისა.

ბოლშევიკების (კავკასიის) ბიუროს მოქმედება. ბოლშევიკების მიერ უმრავლესობის დაპყრობა ტფილისის კომიტეტში. 1909 წელს ბოლშევიკების ტფილისის არალეგალური სტამბის ჩავარდნა. არალეგალური ბოლშევიკური გაზეთის „ტფილისის პროლეტარიატის" გამოცემა.

ლიტერატურა: ზინოვიევი: „რ. კ. პ. ისტორია". გვ. 113—156.

ბატურინი: „ნარკვევი სოციალ-დემოკრატიის ისტ.". გვ. 115—160.

იაროსლავსკი: „ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა". გვ. 38—43.

ლენინის სტატიები: „გზაზე", „ლიკვიდატორების ლიკვიდაცია".

ს. თალაკვაძე: „კომპარტიის ისტორიისათვის საქართველოში". (მეორე პერიოდი).

ილ. ვარდინი: მოგონებანი (რევ. მატ. № 11).

პ. საბაშვილი: „ „ „

ფ. მახარაძე: კომპარტიის ისტორიისათვის საქართველოში, სოციალიზმისათვის ბრძოლის 25 წელი. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის გამოცემა.

მე-6 თემა.

თებერვლის რევოლიუცია (12 საათი).

მსოფლიო ომის მიზეზები. ომი და II ინტერნაციონალი. ბოლშევიკების დამოკიდებულება ომთან. ამხ. ტროცკის პოზიცია (არც გამარჯვება, არც დამარცხება). მეურნეობის დაშლა და კლასთა წინააღმდეგობის გამწვავება. მუშათა მოძრაობის აღზრდა რუსეთში. მუშების და გლეხების კავშირი, როგორც აუცილებელი პირობა წარმატებითი ბრძოლის წარმოებისათვის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ომმა გააერთიანა, შეაიარაღა მუშები და გლეხები. მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები. დროებითი მთავრობა. „ორმთავრიანობა“, ლენინის 4 აპრილის თეზისები. მენშევიკების და ესერების როლი თებერვლის რევოლიუციაში, პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენცია და მისი დღის წესრიგი: კერენსკის შეტევა გერმანიის ფრონტზე 3 და 5 ივლისს. კონტრ-რევოლიუციის გამარჯვება. პარტიის არალეგალურ მდგომარეობაში ჩაყენება. პარტიის მე 6 ყრილობა და მისი ტაქტიკური ხაზი. „კორნილოვშინა“. ოქტომბრის ძალების დაგროვება. იმპერიალისტური ომი და ქართველი მენშევიკების ორი ტაქტიკა: „ობორონჩესტვო“ და „პორაკენჩესტვო“. ბოლშევიკების კლასიური და რევოლიუციონური ტაქტიკა. თებერვლის რევოლიუცია. მენშევიკების და ესერების ერთიანი ტაქტიკა. ბოლშევიკების შესვლა მენშევიკებთან ერთად გაერთიანებულ ორგანიზაციაში, თავისი ბიუროს შენახვით და საკუთარი ფრაქციული კრებების მოწყობის უფლებით. ბოლშევიკური ორგანოს—„კავკასსკი რაბოჩის“ და „ბრძოლის“ გამოცემა, რომლის მიზანი იყო მენშევიკების და ესერების გამეკემლობითი როლის მხილება და მასის დარაზმვა ბოლშევიკების ლოზუნგების ქვეშ. სრულიად რუსეთის ბოლშევიკების კონფერენცია პეტროგრადში, აპრილში, ტფილისის ორგანიზაციის წარმომადგენლის თანდასწრებით. კომუნისტების ტფილისის ორგანიზაციის გამოსვლა გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციიდან და თავის გამოცხადება რ. ს. დ. მ. პ. ბოლშევიკების ნაწილად. ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი კავკასიის საოლქო ყრილობა ტფილისში 1917 წლის სექტემბერში და კავკასიის პირველი საოლქო კომიტეტის ამორჩევა. ბოლშევიკურ ორგანიზაციების გაძლიერება კავკასიაში და გავლენის ზრდა მასებზე.

ლიტერატურა: ზინოვიევი: „რუსეთის კომპარტიის ისტორია", გვ. 156 – 167

ლიადოვი: „რუსეთის კომპარტიის 25 წელი" გვ. 73—81 86—92.

იაროსლავსკი „ცხოვრება და მუშაობა ლენინის" გვ. 42—83

ლენინის სტატიები; „თავის მთავრობის დამარცხების შესახებ იმპერიალისტურ ომში", „პროლეტარიატის ამოცანებზე ეხლანდელ რევოლიუციაში", „რევოლიუციის ამოცანები". „ბოლშევიკებმა უნდა ხელთ იგდონ ძალა-უფლება".

ფ. მახარაძე. „მენშევიკების დიქტატურა საქართველოში".

რევოლიუციონური საარქივო განყოფილება: „ოქტომბრის რევოლიუცია და საქართველო", ს. კ. პ. აკიტპროპის გამოცემა

ფ. მახარაძე. კომპარტიის ისტორიისათვის საქართველოში. ჭრისტომატია, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის გამოცემა.

მე 7 თემა.

ოქტომბრის რევოლიუცია. სამხედრო კომუნიზმი და სამოქალაქო ომი. (14 საათი).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მიწის დეკრეტი, დეკრეტები ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ, დეკრეტი მშვიდობიანობის შესახებ, ბრესტ-ლიტოვის ზავი, ტროცკის პოზიცია ზავის შეკვრის კითხვაში, სამოქალაქო ომის დასაწყისი, მენშევიკების და ესერების როლი ამ ომში, მემარჯვენე ესერების ტერორი, წითელი ტერორი, სამხედრო კომუნიზმი, სამხედრო კომუნიზმის პერიოდის სამეურნეო და ეკონომიური ხასიათი, პარტიის მე-8 ყრილობა, პარტიული პროგრამა, წითელი ჯარის გამარჯვება სამოქალაქო ომში, პარტიის მე 9 ყრილობა, ყრილობის მთავარი დადგენილებანი, სამოქალაქო ომის დასასრული. ბოლშევიკების დევნა ტფილისში 1917 წლის ბოლოს, არსენალის მუხანათურათ ხელში ჩაგდება მენშევიკების მიერ, კომუნისტური გაზეთების რედაქციების დარბევა, დაპატიმრებანი, კომპარტიის და საოლქო კომიტეტის გადასვლა არალეგალურ მდგომარეობაზე 1918 წლის დასაწყისში, ალექსანდროვის ბაღში გამართულ მიტინგის დახვრეტა, კომუნისტური გაზეთების დახურვა, ამიერ კავ-

კასიის რესპუბლიკა მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების მონაწილეობით, გერმანიის და ოსმალეთის იმპერიალიზმის თაოდასხმა. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დაწლა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება, საბჭოთა ხელისუფლება ბაქოში ამბ. შაუმიანის, ჯაფარიძის და აზიზბეკოვის მეთაურობით, გლეხთა აჯანყება საქართველოში 1918 წლის გაზაფხულზე საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგით; საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდება ბაქოში სექტემბერში 1918 წ. და 26 კომუნარის დალუპვა, ბოლშევიკური ორგანიზაციების მეორე კავკასიის ყრილობა 1919 წლის იანვარში, გლეხთა აჯანყება საქართველოში 1919 წელს კომპარტიის ხელმძღვანელობით, აზერბეიჯანის გასაბჭოება 27 აპრილს 1920 წელს, რ. ს. ფ. ს. რ. ხელშეკრულება მენშევიკურ მთავრობასთან 7 მაისს 1920 წელს, კომპარტიის ლეგალიზაცია ხელშეკრულების ძალით.

ლიტერატურა: პიანტკოვსკი: „ოქტომბრის რევოლიუცია". სახელმწ. გამ. 1923 წ. გვ. 53—126.

იაროსლავსკი: „ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა" გვ. 54—88.

პოპოვი და კოვალენკო: „ლენინის ცხოვრება და ლენინიზმი".

ლენინი: სტატიები და სიტყვები, 177—169.

სახელმძღვანელო საპარტსკოლებისათვის სახელ. გამოც. 1924 წ.

ფ. მახარაძე: „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში".

„ოქტომბრის რევოლიუცია და საქართველო" ც. კ. აგიტპროპის გამოცემა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდი (12 საათი)

დისკუსია პროფკავშირებში და ამბ. ტროცკის პოზიცია. პარტიის მე-10 ყრილობა. ნაციონალური საკითხი ყრილობაზე. კითხვები ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შესახებ. პარტიის მე-11 ყრილობა. ლენინის სიტყვა ახალი ეკონომიური პოლიტიკის წლიურ გამოცდილების შესახებ. მუშების და გლეხების კავშირი, როგორც ფუძე პროლეტარიატის დიქტატურისა: პარტიის მე-12 ყრილობა: იდეოლოგიური ფრონტი, ახალი ეკონომიური პოლიტიკისაგან წარმოშობილი საფრთხე და მასთან ბრძოლა. 1923 და 24 წლების დისკუსია და ოპოზიციის ძირითადი შეცდომები შინა პარტიულ და ეკონომიურ პოლიტიკის სფეროში. ამბ. ტროცკის როლი ოპოზიცია-

ში. პარტიის ყრილობა და მისი დადგენილებანი. ლენინის სიკვდილი. ლენინის გაწვევა. მენშევიკების დიქტატურის უკანასკნელი დღეები საქართველოში. საქართველოს გასაბჭოება 1921 წ. თებერვალში, ლენინის წერილი ქართველ კომუნისტების მიმართ ტაქტიკის შესახებ. საბჭოთა და პარტიული აღმშენებლობა საქართველოში ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში. კომპარტიის პირველი ყრილობა საქართველოში 1922 წ. ყრილობის კითხვები და მისი მთავარი დადგენილებანი. ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია. საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობა და მისი მთავარი დადგენილებანი.

ლიტერატურა: ლ ე ნ ი ნ ი: სიტყვები და სტატიები, გვ. 263-270, 441-448, 570-577.

ცხოვრება და მუშაობა ლენინისა გვ. 88-100.

ს ტ ა ლ ი ნ ი—რ. კ. პ. წინამძღოლი და ორგანიზატორი.

მე-10, 11, 12 პარტყრილობის რეზოლიუციები და დადგენილებანი.

საქართველოს კომპარტიის 1 და 11 ყრილობის რეზოლიუციები და დადგენილებანი.

პროლეტარიატი და გლეხობა (8 საათი)

პროლეტარიატი და გლეხობა, როგორც საზოგადოებრივი კლასები განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიური ინტერესებით. ესერების (ნაროდნიკების) შეხედულება გლეხობაზე; მენშევიკების დამოკიდებულება გლეხობისადმი. გლეხობის როლი რევოლიუციაში. მუშათა კლასის და გლეხობის ინტერესების ერთგვაროვნობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. პროლეტარულ რევოლიუციის პერიოდში. მუშებსა და გლეხების კავშირი სამხედრო კომუნიზმის პერიოდში. პროლეტარიატის და გლეხობის კავშირი, როგორც აუცილებელი პირობა პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნების და გამაგრებისა. კავშირის ფორმები. კოოპერაცია და გლეხის მეურნეობის ელექტროფიკაცია, როგორც გზა კომუნიზმისაკენ.

ლიტერატურა: ნ. ლ ე ნ ი ნ—(ულიანოვი) სიტყვები და სტატიები ნ. ი. ლენინისა.

„ნაროდნიკობიდან მარქსიზმისაკენ" გვ. 39—44.

„პროლეტარიატი და გლეხობა" გვ. 56—61.

„ღია წერილი სრულიად რუსეთის 1-ლ გლეხთა დეპუტატების ყრილობას" გვ. 143—147.

„სიტყვები მიწის შესახებ“ გვ. 174—176; „წერილი მუშებს და გლეხებს“ კოლჩაკზე გამარჯვების გამო დაწერილი გვ. 250—257, „სოფლად მუშაობის შესახებ“, გვ. 234—250, სასურსათო გადასახადზე“ გვ. 281—193, „ელექტროფიკაციის შესახებ“, გვ. 274—279 „კოოპერაციაზე“ გვ. 339—346.

პროლეტარიატის დიქტატურა (8 საათი).

სახელმწიფო, როგორც კლასიური ბატონობის ორგანიზაცია. საბჭ. ხელისუფლება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ფორმა. პროლეტარიატი ახორციელებს ძალა-უფლებას თავის დიქტატურის საშუალებით. პროლეტარიატის დიქტატურისათვის დაპირისპირების უაზრობა. პარტია, როგორც კლასის ავანგარდი.

პარტია და უპარტიო მასა. ბელადები და პარტია. პარტიის ორგანიზაციული ფორმები. ცენტრალიზმი, როგორც ძირითადი პრინციპი შინაპარტიულ დემოკრატიის ორგანიზაციულ მშენებლობისა და მისი საზღვარი. პარტია ოქტომბრის რევოლიუციამდე. პარტია სამხედრო კომუნიზმის დროს, პარტია კაპიტალისტურ და წვრილ ბურჟუაზიულ ცხოვრების პირობებში. მუშათა კლასი, როგორც ძირითადი გული პარტიისა.

ლიტერატურა: ნ. ლენინი. სიტყვები და სტატიები ვ. ი. ლენინისა—„კლასიური საზოგადო. და საბელმწ.“ გვ. 349—364; „ორგანიზაცია მუშებისა და ორგანიზაცია რევოლიუციონერებისა გვ. 509—522 „რ. კ. პ. დისციპლინა“ გვ. 554—560. „ბელადები—პარტია—კლასი—მასა“ გვ. 560—67; პარტიის ერთიანობის და ანარქო-სინდიკალისტურ გადახრის შესახებ“ გვ. 590—597; „რ. კ. პ. 1-ლი ყრილობის რეზოლიუცია პარტიის, მთლიანობის შესახებ“ გვ. 597. მე-13. ყრილობის პარტკონფერენციის და რ. კ. პ მე-13 ყრილობის დადგენილებანი პარტშენებლობის შესახებ.

სტრატონი—„ლენინის სწავლა პარტიაზე“.

ნაციონალური კითხვა (8 საათი)

თვითმპყრობელი რუსეთი, როგორც მრავალ ეროვნების სახელმწიფო. ჩაგრულ ეროვნებათა მდგომარეობა ძველი წყობილების დროს. გაბატონებული ეროვნება და ჩაგრული ხალხნი. კლასობრივი საფუძველი თვითმპყრობელური მთავრობის შოვინისტური პოლიტიკისა, ეროვნული საკითხი თებერვლის რევოლიუციის დროს. რ. კ. პ. ნაციონალური პოლიტიკა, ეროვნებათათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭება, სრულ ჩამოშორებამდე. ნაციონალური საკითხი პარ-

ტიის მე-2 ყრილობაზე. პროლეტარული რევოლიუცია და ნაციონალური საკითხი. ნაციონალური საკითხი რ. კ. პ. მე-8 და მე-12 ყრილობაზე. ბრძოლა „დიდ მპყრობელ“ შოვინიზმის და ადგილობრივ ნაციონალიზმის წინააღმდეგ. ნაციონალური საკითხი, როგორც ერთი ძირითადი საკითხთაგანი პროლეტარულ რევოლიუციისა.

ლიტერატურა: ლენინი—სიტყვები და სტატიები ვ. ი. ლენინისა – „ველიკოროსების ნაციონალური სიამაყის შესახებ“ გვ. 427—481 „სოციალისტური რევოლიუცია და ეროვნებისათვის თვითგამორკვევის უფლება“ გვ. 431—444; „ნაციონალური კითხვის; შესახებ“ გვ. 441—448;

ნ. პოპოვი. საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა „კრასნაია ნოვის“ გამოცემა 1924 წ. (ლეკცია 3,5,6,7 და 8 გვ. 49—126.

რუსეთის კომპარტიის გამოცდილება კომინტერნში. (10 საათი)

ოპორტიუნიზმი და რევოლიუციონური მარქსიზმი საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. კლასთა ბრძოლა, თუ კლასთა თანამშრომლობა. პროლეტარიატის დიქტატურა თუ დემოკრატია. რუსეთში სოციალ-შემთანხმებელი მენშევიკები და ესერები. მემარცხენეობის საყმაწვილო სნე. კომინტერნი, როგორც მებრძოლი შტაბი საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციისა. ოქტომბრის რევოლიუციის და რუსეთის კომპარტიის გამოცდილება კომინტერნისათვის. კომინტერნში შესვლის 21 პირობა. უნგრეთის რევოლიუციის გამოცდილება. ლოზუნგი მასებისაკენ. მუშათა მთლიანი ფრონტი. მუშათა მთავრობა. ინგლისის მუშათა მთავრობა და საბჭოთა ხელისუფლება. მუშურ-გლეხური მთავრობა. ბულგარეთის გამოცდილება. ნაციონალური და კოლონიალური საკითხი კომინტერნში.

ლიტერატურა ნ. ლენინი. სიტყვები და სტატიები ვ. ი. ლენინისა გვ. 473—475, 480,—482—489

გ. ზინოვიევი. მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი 1921 წ. (ბროშურა შეიცავს 44 გვერდს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲓᲐᲜ

დიახ, ეს ამბავი მოხდა დიდი ხნის წინად, მას შემდეგ გავიდა თითქმის ოცი წელი...

ეს იყო შავი რეაქციის დღეებში. მეფის მთავრობა სასტიკად სჯიდა მუშებსა და გლეხებს, რომელთაც ვერ აიტანეს რა წვალება-დამცირება, იარაღით ხელში აჯანყდნენ მყვლეფელ კაპიტალისტების, მემამულეების და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ხელისუფლების მქონე კლასები ცეცხლითა და მახვილით აჭრობდენ მშრომელთა ცდას, რომელიც მიმართული იყო ძველი წყობილების დასამხობათ.

მუშებისა და გლეხების სისხლი ნაკადებათ სდიოდა.

რევოლიუციონური ცეცხლი მოედო ჩვენ შიაც, ამიერ-კავკასიაში.

და აქ მუშებმა და გლეხებმა გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადეს თავიანთ მტრებს და აქ აღმართულ იქნა აჯანყების წითელი დროშა. და აქ მეფის მამაცი გენერალი ალიხან-ავარსკი თავისი დამსჯელი რაზმებით ამშვიდებდა ურჩ ქვეშევრდომთ, რომელთაც გაბედეს და აღსდგენ თავიანთი დამმონებელთა და ძალადობის წინააღმდეგ.

საქართველოს მიუვალ სიმაგრეებში არა სწყდებოდა ზარბაზნების გრიალი.—

ქვეყანას შავი ზეწარი გადაეფარა, თითქმის აღარ იყო ხსნა,—

საშინელ ტყვეობაში იბადებოდა ნანატრი თავისუფლება...

***

ტფილისის განაპირა უბნის ერთერთ ოთახში, ლამპის ოდნავ სინათლესთან ცხარე მუსაიფი იყო გაჩაღებული.

„ამხანაგებო, გახსოვდეთ, ჩვენ იქნებ მოგვაყურადონ, შენიშნა მ. ამ სიტყვებზე ლაპარაკი შესწყდა, დამსწრეთა სახეებზე (სულ ხ კაცი იყო) აღიბეჭდა შიშიანობა. ყველამ ყური დაუგდო.

სიწყნარე იყო, მხოლოდ შორიდან მოისმოდა ძაღლის ყრუ ყეფა...

— აი, რომ იცოდნენ, თუ რისთვის დავსახლდით ჩვენ აქ, უეჭველია, აქვე მოგვიღებდენ ბოლოს... ჩუმად, თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა ნ.

ყველა შესწუხდა... და გასაგებიც იყო რატომ.

მიუხედავათ იმისა, ქვეყანა შავს რეაქციას მოეცვა, მიუხედავათ აუტანელი წვალებისა, რომელსაც მშრომელნი განიცდიდენ უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში, ისინი მაინც არ დრკებოდენ და იარაღს არ ჰყრიდენ.

„ჩვენი ძალები ჯერ კიდევ განადგურებული არაა, ჩვენ ჯერ კიდევ შეესძლებთ მტრებთან ბრძოლასო", ამბობდენ ისინი.

მშრომელნი თავს არ თვლიდენ დამარცხებულათ, მათ არც რეოლიუციის საბოლოო დამარცხება სჯეროდა, ისინი ემზადებოდენ ახალი ბრძოლებისათვის, ძალას იკრებდენ ახალი იერიშისათვის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

და აი, 1906 წლის იანვრის შუა რიცხვებში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ტფილისის გაერთიანებულმა კომიტეტმა გამოყო რამდენიმე ამხანაგებისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელსაც უნდა შეესწავლა პარტიანული გამოსვლების მეთოდები (ქუჩებში ბარიკადების საშვალებით ბრძოლა და სხ.) აგრეთვე უნდა შეესწავლა ასაფეთქებელი ნივთიერების დამზადება (ყუმბარები, ფუგასები და სხ.)

ეს საქმე მინდობილი ჰქონდა რამდენიმე ამხანაგს, რომელთაგან სამი ბოლშევიკური ფრაქციიდან იყო (მიხო ბაქრაძე, ნუშიკ ზავრიანი, ნინა ალაჯალოვა) სამიც მენშევიკური ფრაქციიდან (სილიბისტრო ჯიბლაძე, კალისტრატე გოგუა და კოწია ჩაჩავა). ბოლშევიკები და მენშევიკები მაშინ ერთ ორგანიზაციაში მუშაობდენ.

ამ ჩვენთვის სრულიად უცნობი საქმის შესასწავლად ჩვენ მოვიხეთ სპეცი-ინჟინერი (ბერძენი), რომელსაც, გამცნობი ამხ. ჯიბლაძის გადმოცემით, დიდი სამსახური გაეწია ჩვენი ორგანიზაციისათვის მიხაილოვში, როცა იქ მეფის ყაზახებმა რეოლიუციონური გამოსვლა ჩაახრეს.

ამ ჯგუფის კონსპირატიული კრებები როგორც თეორეტიულ მომზადებისათვის, ისე შემდეგში პრაქტიკული მეცადინეობისა და ცდებისათვის ხდებოდა ამ მიზნით დაქირავებულ სარდაფის ოთახში (ფეხსაცმის ქუჩაზე), სადაც დასახლდა ამხ. კოწია.

ძნელი შეიქნა მუშაობა იმ მომენტიდან, როდესაც ჩვენ შევუდექით საქმის პრაქტიკულად განხორციელებას, როცა დავიწყეთ ასაფეთქებელ ნივთიერებათა ცდების მოხდენა. ერთხელ ამნაირი ექსპერიმენტის დროს უცბათ, გაუფრთხილებლობით ამხ. მიხოს აუფეთქ-

და ფილში ნივთიერება, რომელსაც ახავებდა. მოისმა გუგუნი და ოთახიც კვამლით აივსო, რასაც ყურადღება მიაქციეს მეზობლებმა და დაიწყეს გამოკითხვა, თუ რას აკეთებდა ის ამხანაგი, რომელიც იქ დადიოდა და სხ.

ხშირი სიარულისა ამ ბინაზე და სხვა უწესრიგობის გამო ახლო-მახლო მცხოვრებთა შორის ეჭვები უფრო და უფრო იზრდებოდა, ამიტომ ამხანაგმა ბოჭორიძემ საკითხი დააყენა ახალი ბინის მონახვისა, სადაც გულდასმით და უშიშრად იქნებოდა შესაძლებელი მუშაობა.

დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ ასეთ ბინათ მივიჩნიეთ საკავშირო კომიტეტის არალეგალური სტამბა, რომელიც მოთავსებული იყო ავლაბარში და სადაც სამი წლის განმავლობაში იბეჭდებოდა არალეგალური რევოლიუციონური ლიტერატურა. დაბეჭდილ ლიტერატურას იქვე ანაწილებდენ, ახვევდენ, გადაჰქონდათ ტაჭკით სადგურზე და ბაგაჟად აგზავნიდენ ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა კუთხეებში. ეს სტამბა მოაწყო 1903 წელს ამხ. ლადო დუმბაძემ ამხ. მიხო ბოჭორიძის ახლო მონაწილეობით.

სტანბა მოთავსებული იყო მიწაში, სადაც შესვლა შეიძლებოდა ჰიდან, რომელიც იმყოფებოდა იქვე ახლოს მდებარე საბძელში.

საბძელიდან გასასვლელი იყო ჰაში, იქიდან მიწაში გაყვანილი ხვრელით და კიბით შეიძლებოდა სტამბაში ჩასვლა.

სტამბაში ჩასასვლელად საჭირო იყო ვედროში ჩაჯდომა, რომელსაც ჰახრაკით ჩაუშვებდენ ხოლმე. აქ წყალს ზემოდან კედელში გაკეთებული იყო ვიწრო ხვრელი, რომლითაც შეიძლებოდა სტამბაში შესვლა. სტამბას ეკავა ორი ოთახი. აქ იდგა საუცხოოდ მოწყობილი საბეჭდავი მანქანა. აქვე ინახებოდა აუარებელი დაბეჭდილი ლიტერატურა, პასპორტის ბლანკები, იარაღი და სხ.

იმ ადგილს, სადაც მოთავსებული იყო სტამბა ყოველს მხრიდან შემოვლებული ჰქონდა ღობე (გალავანი). შუაგულ ეზოში იდგა პატარა ერთსართულიანი, ორი ოთახისაგან შემდგარი სახლი აივანითა და სამზარეულოთი. გარეგნულად ეს სახლი არაფრით არ განსხვავდებოდა მეზობელ სახლებისაგან, სადაც ქალაქის ღარიბი მცხოვრებნი ცხოვრობდენ.

მუდმივი „დიასახლისის" სახით ამ სახლში ცხოვრობდა ამხ. მ. ბოჭორიძის ნათესავი ამხ. ბაბე ლაშაძე.—ამხ. ბაბეს სიფრთხილის წყალობით არა ერთხელ გადარჩენილა სტამბა ჩავარდნისაგან. თუ ვინმე იმ დროს ჩავიდოდა ეზოში, როდესაც მანქანა მუშაობდა და ხმაური მოისმოდა, ამხ. ბაბე ელექტრონის ზარის საშუალებით, რო-

მელიც ოთახიდან იყო გაყვანილი სტამბაში, ატყობინებდა ამხანაგებს და ისინიც დაუყოვნებლივ აჩერებდენ მუშაობას. ამიტომ იყო, რომ ჟანდარმებს ვერ მიეგნოთ სტამბის კვალისთვის, თუმცა დიდი ხანია ბეჭდით დაეძებდენ მას.

რადგანაც სტამბაში მუშაობა დროებით შეჩერებული იყო, ამ სახლში გადავიდა ზემოხსენებული ჯგუფი მენშევიკების ჯიბლაძისა და გოგუას გარდა, რომლებიც თავიდანვე გაურბოდენ მუშაობას.

ჩვენ ყველანი შევადგენდით ერთს ოჯახს ზარდიაშვილის გვარით, რისთვისაც გავემზადეთ საგანგებო პასპორტი. წარმტაცი და თან ჰშფოთარე მუშაობაში მიდიოდენ დღენი. მთელი დღის განმავლობაში დამზადებული ყუმბარები და ფუგასები ღამით დიდის სიფრთხილით გადაგვქონდა ქვესკნელში (სტამბაში).

როდესაც ყუმბარების დასამზადებელი მასალა გამოგველეოდა, ერთი ჩვენგანი, ამხ. ნუშიკი, რომელიც ნაკლებათ იყო პოლიციის მიერ შენიშნული, ჩაიცვამდა მუშა-ქალის ტანსაცმელს, გადაიკრავდა თავსაფარს და კალათით ხელში გასწევდა ქალაქისაკენ საჭირო მასალის შესაძენათ.

ზოგჯერ გვიან ღამით ამხ. მიხოსა და კოწიას გაჰქონდათ დამზადებული ყუმბარა მისი ძალისა და ვარგისობის შესამოწმებლათ ქალაქ გარეთ.

რომ ჩვენზე ეჭვი არ მოეტანათ მეზობლებს, საღამოობით ეზოში ვმართავდით ბურთაობას და სხვა სათამაშოებს და როცა დაბნელდებოდა ფანჯრებს დავხურავდით და ლამპის მკრთალ სინათლესთან დაბალის ხმით იწყებოდა საუბარი ერთიანი რევოლიუციონური ნებით მჭიდრო შეკავშირებული და უკეთესი მომავლის შემყურე ხუთი ამხანაგისა. ვაწყობდით მომავალი გამოსვლების გეგმებს, ვითვალისწინებდით საბარიკადო ბრძოლას და სხ.

ერთ-ერთ ასეთ საღამოს ძთელი დღის მშფოთარე მუშაობის შემდეგ დასასვენებლათ შევუდექით სტეპნიაკის—კრავჩინსკის მშვენიერი წიგნის „ანდრეი კოჟუხოვის“ კითხვას. ამ წიგნის შინაარსი ჰარმონიულად ეთანხმებოდა ჩვენს სულიერს განწყობილებას და ჩვენი აზრი და გონება გადაჰქონდა შორეულ გმირულ წარსულში...

უცბად, გარედან, ფანჯარის ახლოს, მოისმის საეჭვო ფაცა-ფუცი, რამაც გამოგვაფხიზლა.

ამხ. მიხომ იმ წანსვე რევოლვერს დაატანა ხელი და ეზოში გამოვიდა. ჩვენ სულგანაბულნი ყურს ვუგდებდით... წინასწარ ვიყავით მოლაპარაკებული, რომ უკეთუ ჩავვარდებოდით, ცოცხლად მტერს

არ დავნებებოდით და უკანასკნელ შესაძლებლობამდე გაგვეწია წინააღმდეგობა.

მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე მშვიდობიანათ გათავდა, თუმცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩვენი შიში უსაფუძვლო არ ყოფილა...

ამის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა და ერთს საღამოს ჩვენ ეზოში ვბურთაობდით. უცბათ ბურთი ღობეს ასცილდა და მინდორში გადაეარდა. ამხ. ნინამ ჰიშკრიდან გაირბინა ბურთის შემოსატანად და როცა მას დაეძებდა, დაჰკარგა თმის დასაბნევი, რის შესახებ გვიამბო საღამოს ჩაის სმის დროს და ამხანაგებს სთხოვა მისი მონახვა.

ერთი შეხედვით, ამ ფრაზო ამბავს, მეტად თვალსაჩინო შედეგი მოჰყვა...

ამხ. მიხო ყოველთვის დილა-ადრიან დგებოდა და აი, როცა ის მეორე დილით ადგა, მოაგონდა დაკარგული თმის დასაბნევი და გადავიდა ეზოს გადაღმა მის მოსაძებნათ. ჰიშკრის მახლობლათ, ღობესთან, მან შენიშნა ვიღაც საეჭვო პიროვნება, რომელიც ჩამომჯდარიყო, თვალებზე ჩამოეფარებია ქუდი და ისე გულდასმით კითხულობდა გაზეთს.

ამხ. მიხო მყისვე მიხვდა რაშიაც იყო საქმე და რომ მას არ შეემჩნია ის, შებრუნდა მეორე მხარეს, სადაც შენიშნა ასეთივე პიროვნება. ამის შემდეგ ამხ. მიხომ ფიცხლავ შემოირბინა ეზოში და ყველანი წამოვიხტით.

შეეუდექით შექმნილი მდგომარეობის შეფასებას და გეგმის შედგენას, თუ რიგორ გვემოქმედა შემდეგში.

დაბოლოს გადავწყვიტეთ—ყველაფერი რაც კი რამ საეჭვო მოგვეპოვებოდა სახლში, გადაგვეტანა სტამბაში, რათა, თუ ვინიცობაა პოლიცია დაგვეცემოდა თავის მამხილებელი მასალა ხელთ არ ჩავარდნოდა და რაც უმთავრესი იყო, სტამბა გადაგვერჩინა ჩავარდნისაგან. გადაგვერჩინა ის სტამბა, რომელიც შეადგენდა ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის სიამაყეს, რომელიც სჭედდა და აფოლადებდა ამ პროლეტარიატის რევოლიუციონურ აზროვნებას... საქათმეში მიწაში ჩაფლული ყუთი ყუმბარებით მივანდეთ ამხანაგ კოწიას გამოეტანა ღამით, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა.

ყველაფერი მივმალ-მოვმალეთ, რაც საეჭვო იყო. ამხ. მიხო და ნინა (ნუშიკი წინა დღით ქალაქში წავიდა ასაფეთქებელი მასალის მოსატანად) შეიარაღდნენ რევოლვერებით და სახლიდან გამოვიდენ. მათ წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი მტრისთვის საკადრისი პასუხი გაეცათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ბაბე, როგორც დიასახლისი, ოთახში დარჩა, მას უნდა ეპატრონა ჩვენი ნივთებისათვის და თუ ყველაფერი მშვიდობიანათ გათავდებოდა, ეს ნივთები ღამით სახლიდან უნდა გამოეზიდა.

ჭიშკრიდან გამოსვლისას ჩვენ გავეცინერდა და თან გაგვეხარდა, რომ ახლო-მახლო არავინ შეგვემჩნევია. მოვიკრიბეთ ძალ-ღონე და გაბედულათ გავსწიეთ რკინის გზის ლიანდაგისაკენ, საიდანაც უნდა წავსულიყავით ქალაქში და ასე მტრისთვის გზა-კვალი აგვებნია. ჩვენ ეჭვი არ შეგვდიოდა იმაში, რომ ჩვენს ბინაზე თავდასხმა მოხდებოდა. როცა ჯაშუშები ვერ დავინახეთ, ვიფიქრეთ—უეჭველია, პოლიციაში იქნებიან წასულიო.

დიდი შიშიანობა გამოვიარეთ, როდესაც რკინის გზის სადარაჯოსთან, სადაც ჩვენ გავლა მოგვიხდა, დავინახეთ სწორეთ ის პიროვნება, რომელიც მიხომ შენიშნა ჩვენი სახლის ახლოს მჯდომარე. მას აქაც თავი გაზეთში ჩაერგო.

ბევრი აღარ გვიფიქრია, გაბედულის ნაბიჯით ჩამოვუარეთ მას გვერდი და გავიქეცით რკინის გზის ლიანდაგით. როცა დავრწმუნდით, რომ უკან არავინ მოგვდევდა, თავისუფლად ამოვისუნთქეთ და ნელის ნაბიჯით გავუდექით ქალაქისაკენ, სადაც სხვადასხვა მხარეზე მივიმალეთ.

*
* *

რა მოხდა შემდეგ?

ერთი დღის შემდეგ, გათენებისას, კარზე ძლიერმა ბრახუნმა გამოაღვიძა ამხ. ნინა.

— „კარი გააღეთ, დეპეშაა"...

წამსვე ოთახში შემოიჭრენ ათეული გაბოროტებული ჟანდარმები და პოლიციელები. შეუდგენ გულდასმით ჩხრეკას, რომელიც 3 საათს გაგრძელდა. ყველაფერი გადააქოთეს. ბოქაულმა ფრთხილად შეახო რა ხელი ბალიშს, გაჯავრებით შეეკითხა ნინას შიგ ყუმბარა ხომ არ არისო. პასუხად მიიღო—ისეთ გულუბრყვილოსთან არა გაქვს საქმე, რომელიც ყუმბარას ბალიშში შეინახავსო.

თუმცა არაფერი არ უნახავთ ეჭვების აღმძვრელი, მაგრამ ნინა მაინც შეიპყრეს და გაგზავნეს მეტეხის ციხეში.

იმავე დღეს შეიპყრეს პარტორგანიზაციის აქტიური მომუშავენი, მათ შორის ამხ. მიხო ბოჭორიძე, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, შალვა ელიავა—ბოლშევიკები. მეხშევიკებიდან შეიპყრეს—კოტე ანდრონიკაშვილი, ნოე რამიშვილი და ნოე ხომერიკი და სხ. სულ 30 კაცამდე.

საღამოთი გამოირკვა დაპატიმრების მიზეზიც—წინა დღით გათენებისას ჩავარდნილიყო აელაბრის სტამბა.

როგორ მოხდა ეს?

როგორც კი ზემოდ მოხსენებული ორი პირი წავიდა სტამბიდან ამბ. ბაბე და კოწია შეუდგენ ნივთების გადამალვას, საეჭვო ნიშნების მოსპობას. დახიეს და დასწვეს წარწერები ყუთებზე, ნიშნიანი ბალიშის პირები, რეცეპტები და სხ. დანარჩენი ნივთები ჩაყუყეს—შეკრეს, რათა შეღამებისათანავე გადაეტანათ ამბ. დავით როსტომაშვილის ბინაზე, რომელსაც ფიქტიურად ეკუთვნოდა ის მიწა და სახლი, სადაც სტამბა იყო მოთავსებული. ის იქვე აელაბარში ცხოვრობდა. იმ დღეს მათ ყველა ნივთების გადამალვა ვერ მოასწრეს, ნაწილი ნივთებისა დატოვეს მეორე დღისათვის

თითონ ისინი კი, რახან სტამბაში საფრთხე მოელოდათ, წავიდენ ქალაქში.

კარგადაც მოიქცენ.

დამსწრეთა გადმოცემით ღამის 2 საათზე სახლს ალყა შემოარტყა ასამდე ყაზახმა პოლიციასთან და ჟანდარმერიასთან ერთად. შეუდგენ გულდასმით ჩხრეკას, მაგრამ პირველად ვერაფერი საეჭვო აღმოაჩინეს. მაგრამ როდესაც ერთმა ყაზახთაგანმა ტახტი დასძრა ადგილიდან, აღმოჩნდა ელექტრონის ზარის „კნოპკა", რომელიც გაყვანილი იყო სტამბაში.

აქ ყველა დაინტერესდა. დაიწყეს გამორკვევა სად იყო გაყვანილი ელექტრონის ზარი. გაჰყვენ მავთულს და მიადგენ სტამბას.

დიდი შრომა დაიხარჯა საბეჭდავი მანქანის ამოღებაზე. მანქანა გადატანილ იქნა სამხედრო შტაბის სტაჟბაში.

დილით, როგორც ეს საბეჭდავი მანქანა, ისე სტამბის სხვა ნაწილი როგორც მაგ. შრიფტი და სხ. აგრეთვე იარაღი და სხვა ნივთები რამდენიმე დროგით მრავალი ცრობის მოყვარე ხალხის თვალწინ გადატანილ იქნა ჟანდარმთა სამმართველოში.

საქართველში აღმოჩენილმა ყუმბარებმა ისე გააბრაზა ყაზახები, რომ მთელი სახლი ფერფლად აქციეს. ცეცხლმა იმ ეზოში ყველაფერი გაანადგურა და იმ ალაგას, სადაც სტამბა იყო, ამოვიდა ბალახი...*)

ჟანდარმები იმან კიდევ უფრო გააბოროტა, რომ სტამბაში ვერავინ აღმოაჩინეს.

ამიტომ გადამალულ მდგმურთა ვინაობის გამოსარკვევად დაპატიმრებულ იქნა მეზობლათ მცხოვრები სამი რუსი დედაკაცი. ეს ქალებიც მოათავსეს ციხეში ცალკე კამერაში.

*) ხმები დადიოდა, რომ სტამბა გასცა მუშა ტატულოვმაო (მენშევიკი)

ერთ დღეს, ჩვენი დაპატიმრებიდან ორი კვირის შემდეგ, ციხეში შეიქმნა ერთი ფაცა-ფუცი. ჩვენ, ყველა პატიმრებს გაგვიძახეს კანცელარიაში და "ჩაგვამწკრივეს. ჩვენთან მოიყვანეს ის სამი დაპატიმრებული დედაკაცი და რომ მათ უფრო გაბედულად ემოქმედნათ, არაყით გამასპინძლებოდენ. აქ ჟანდარმთა პოლკოვნიკმა მათ წინადადება მისცა ჩამწკრივებულთაგან ხელი დაედო იმათთვის, ვინც იმ სახლში ცხოვრობდა.

ქალებმა ჩამოიარეს, გულდასმით დაგვათვალიერეს და ხელი დაადეს ოთხ ამხანაგს. ქალები პირჯვრის გამოსახვით და ფიცით ამტკიცებდენ, რომ ეს ოთხი კაცი ცხოვრობდა სტამბაში.

ნამდვილათ კი ამ ოთხი კაციდან სტამბის საქმეში მონაწილე იყო მხოლოდ ამხ. მიხო ბოჭორიძე, დანარჩენნი ორი ქალი და ერთი კაცი — კოტე ანდრონიკოვი, რომელიც ამ ჟამად დაპატიმრებულია როგორც თავმჯდომარე პარიტეტული კომიტეტისა, აღმოჩნდენ შემთხვევითი მსხვერპლი. ისინი სასტიკად იქნენ დასჯილნი ციმბირში სამუდამო გადასახლებით.

ამხ. ნინა, რადგანაც მის წინააღმდეგ არავითარი საბუთი არ მოიპოვებოდა 1—$1^1/_2$ თვის შემდეგ სხვებთან ერთად განთავისუფლებულ იქნა. ამხ. მიხომ კი, იცოდა თუ რა სასჯელი მოელოდა, გადასწყვიტა ციხიდან გაქცევა. ამ მიზნით მან კავშირი გააბა თავისუფლად მყოფ ამხ. ნუშიკთან და შეუდგა გასაქცევად მზადებას.

ამ ნიადაგზე დაიწყო გაცხოველებული მუშაობა როგორც ციხეში, ისე მის გარეთ.

გაქცევის გეგმა, რომელიც ამხ. მიხომ შეადგინა სხვა გამქცევ ტუსაღებთან ერთად, შემდეგში მდგომარეობდა: მათ უხდა გაეხვრიტათ კამერის კედელი, საიდანაც ადიოდენ მეზობელ სახლის სახურავზე. აქედან უნდა ჩასულიყვნენ მეზობელი სახლისავე ეზოში, საიდანაც ჰეშკრით გავიდოდენ ქუჩაში. აქ მათთვის მზად იქნებოდა ეტლები.

ამხ. ნუშიკმა ისე მოაწყო საქმე ხშირი ნახვის საშვალებით, რომ დაიმსახურა ციხის უფროსის ნდობა და მიიღო ამხ. მიხოს პირადი ნახვის ნებართვა. ასეთი ნახვების დროს ამხ. ნუშიკმა მოახერხა გადაეცა ამხ. მიხოსთვის საჭირო იარაღი.

დაბოლოს ყველაფერი მზად იყო გაქცევისათვის. წინასწარ იყო მოლაპარაკებული, რომ ციხიდან გამოსვლისთანავე ამხ. მიხო წავიდოდა სომხის ბაზარში მდებარე სამრეველოს სკოლაში, სადაც გამგეთ იყო ამხ. ნუშიკის დაი.

დანიშნულ დროს მიხო არ მოვიდა.

ამხანაგებს, რომელნიც აქ ამხ. მიხოს ელოდებოდენ, მოუსვენრობა დაეტყო, რაც კიდევ უფრო გაიზარდა, როცა არც დილით გამოჩნდა ამხ. მიხო.

გადაწყდა ამხ. ნუშიკის გაგზავნა ამბის გასაგებათ:

და რა გამოიოკვა? უკანასკნელ წუთამდე თურმე საქმე კარგათ მიმდინარეობდა. კედელში გაკეთებული ნახვრეტის საშვალებით ექვსი პოლიტიკური პატიმარი თავისუფლად გადასულიყო სახურავზე. როდესაც რიგი მივიდა გაქცევის ჰომწყობ ამხ. მიხოზე, ის ბევრი ეცადა გამძვრალიყო ნახვრეტში, მაგრამ თავისი ტანის მოყვანილობის წყალობით გაეხეჩა ნახვრეტში და მიუხედავათ ამხანაგების მიერ მიღებული ზომებისა, მისი იქიდან გატანა შეუძლებელი შეიქნა.

რადგანაც მდგომარეობა უიმედო იყო და სხვა ამხანაგებსაც საფრთხე მოელოდა, ამხ. მიხო დატოვებულ იქნა ასეთ მდგომარეობაში. ამის შემდეგ ციხის დარაჯებმაც გაიგეს რაც მოხდა და დიდი წვალების შემდეგ მიხო ნახვრეტიდან უკანვე ციხეში შეათრიეს და მაგრათაც მიბეგვეს.

ამ გარემოებამ ამხ. მიხოს მაინც ვერ გაუტეხა გული. ის განაგრძობდა ცდას ციხიდან გაქცევის შესახებ.

დაბოლოს ეს მან მოახერხა.


თავისი ორგანიზატორული ნიჭისა და დარაჯ საღდათებთან კარგი მოპყრობით მან შესძლო საღდათის ტანისამოსისა და ნიღაბის შოვნა და ერთს საღამოს, ამ ტანისამოსში გადაცმული ამხ. მიხო, საღდათებს გამოჰყვა ციხიდან, როცა ისინი გამოცვლილ იქნენ.

რამდენიმე სიტყვა სტამბის სახლის დანარჩენ მცხოვრებლებზე.

ამხ. კოწია, რომელსაც დაჟინებით დაეძებდა პოლიცია ბათუმის რაიონში რკინის გზის ლიანდაგის აფეთქებაში მონაწილეობისათვის, ამხანაგების დახმარებით მიიმალა კახეთში. ამხ. ბაბე, სტამბის მუდმივი „დიასახლისი“, რომელსაც კარგათ იცნობდენ მეზობლები, გამოეწყო მონაზონის ტანისაიოსში, ამხ. ბაბეს ახლო ნაცნობნიც ვეღარ სცნობდენ. რამდენიმე ხანს ის ყულაბით ხელში შემოწირულებას აგროვებდა საყდრის ასაშენებლათ.

* *
*

ასე დასრულდა ერთი იმ ცდათაგანი, რომელსაც უნდა წინ წაეწია მშრომელი მასის განთავისუფლება, გაეღვივებია იმ დროს რამდენიმეთ მიმქრალი რევოლიუციონური ცეცხლი...



იქ, შორეულ რუსეთში კი, თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირების გვამებზე აშენებდნენ შაურაზედ სახელმწიფო სათათბიროს, იქედებოდა ახალი ბორკილები მშრომელთა დასამონავებლათ.

„ზარდიაშვილის ოჯახობის“ წევრი—**ნ. ალაფალოვა ნ. ზავაგარიანი.**

როგორ აღმოაჩინა ჟანდარმერიამ ავლაბრის სტამბა *).

რა აღმოაჩინა ამ საიდუმლო სტამბაში ჟანდარმერიამ?

როგორ აღმოაჩინა მან თვით ეს სტამბა?

როგორ ჰქონდა მოწყობილი თვალყურის დევნება?

პოლიციის დეპარტამენტის სახელზე გაგზავნილ საიდუმლო მოხსენებაში 1906 წლის აპრილის 17 თარიღით № 2892 ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი, სხვათა შორის, სწერს: „აპრილის 15-ს დილით ადრე ქალაქ ტფილისის იმ უბნებში, სადაც შემჩნეული იყვნენ საეჭვო პირები, მოხდა მასიური ჩხრეკა. ქალაქის განაპირა მე-7 ნაწილში „ავლაბარში“, როსტომაშვილის სახლის გაჩხრეკა მინდობილი ჰქონდა როტმისტრ იულინცს. როსტომაშვილის ეზოში სახლზე მიშენებულ, მდგმურების მიერ მიტოვებულ შენობაში სამი დღის წინად ჩხრეკამდე როტმისტრმა იულინცმა აღმოაჩინა სტამბის ოტისკის ქალაღდში გახვეული ყუმბარის ასაფეთქებელი 7 შუშის ფალია (запал). აქედან იულინცს აზრი დაებადა ამ ეზოში საიდუმლო სტამბის არსებობის შესახებ. სახლზე მიშენებულ შენობას გარდა ამ ეზოში კიდევ იდგა ორი სარაია. ერთ ამათგანში, როცა ბარათი მიწის იატაკი გათხარეს, აღმოაჩინეს ავეჯალის ტიპის სამი ბრინჯაოს ყუმბარა გავსილნი ასაფეთქებელი მასალით, მაგრამ პირადუცველი, მახლობელ შენობაში კი აღმოჩენილ იქნა ყუმბარის ბრინჯაოს 6 პირსაცობი ბერტოლეტის მარილითა და სხვა ნივთიერებით სავსე. ეს პირსაცობი სავსებით სარგონი გამოდგენ აღმოჩენილი ყუმბარებისათვის. ამ სარაიაში აღმოჩნდა რგვალი ფორმის, აგურით ამოშენებული ჭა, რომელშიაც ბლოკით ჩაშვებული იყო თოკი. ამ თოკით ჩასულმა კაცმა სამი საჟენის სიღრმეზე ჭის კედელში აღმოაჩინა არშინნახევარი სიმაღლის გასასვლელი ხვრელი ფლეგელის მიმართულებით. ამის შემდეგ სარდაფში შეუდგენ მიწის თხრას და ორი არშინის სიღრმეზე აღმოაჩინეს ფიცრის იატაკი, როცა ფიცრები აიღეს, აგურის თაღში აღმოჩნდა ნახვრეტი, საიდანაც ათი არშინი კიბით ჩაე-

*) იხ. ჟანდარმთა სამმართველოს გამოძიება № 30/1906 წ. (საქ. სარევოლიუციო მუზეუმის არქივი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვენ /აგუროთ ამოშენებულ სარდაფში. აქ აღმოჩნდა სასტამბო მანქანა ამერიკული ტიპისა „ბოსტონ“-ი თავისი საბრუნავი ჩარხით, გამზადებული საბეჭდავათ, ორმოცამდე კასა ასოებით, ათეული ფუთი ასოები)*, რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე, დასაბეჭდათ აწყობილი მასალა და დაბეჭდილი პროკლამაციები და ბროშიურები ამ ენაზე რამდენიმე ათი ფუთი და თეთრი სუფთა ქაღალდი.

„ამას გარდა მოსაჭრელი მანქანა (Граверный станок) და ოცდა ორი მთავრობის სხვადასხვა დაწესებულებათა სპილენძის ბეჭედი მათ შორის ტფილისის გუბერნატორის, პოლიციმეისტერის და სხვათა, აგრეთვე რამდენიმე დაწერილი და სუფთა პასპორტის ბლანკი. ერთ კუთხეში აღმოჩნდა თუნუქის ჭურჭელი 15 გრ. დინამიტით, რომელშიაც ჩაწყობილი იყო ბიკფორდის ზონარი, აღმოჩნდა აგრეთვე რამდენიმე გირვანქა დინამიტი პატრონებში გაკეთებული და რამდენიმე შუშა სხვადასხვა გვარი სითხით ასაფეთქებელ ნივთიერებათა მოსამზადებლათ. პირველსა და მეორე სარდაფს შორის მიწაში ჩამარხული აღმოჩნდა დიდძალი რაოდენობა ყუმბარების თავის დასაცობის ჩამოსასხმელი ფორმები. მეორე სარდაფიდან მიწის თხრის შემდეგ აღმოჩნდა მესამე სარდაფი, სადაც წყალი იდგა და თვით სარდაფი ცარიელი იყო“.

„ეს სახლი ეკუთვნის სალდათის ბაზარში ხილით წვრილ მოვაჭრე დავით მიხეილისძე როსტომაშვილს, რომელიც დაპატიმრებულია. დაპატიმრებულია მისი ნოქარიც. მაგრამ სახლის მოიჯარადრე ზარდიაშვილი, რომელიც ორ დედაკაცთან ერთად ამ სახლში ცხოვრობდა და მათთან ერთი თვის წინად მდგმური ხერხეშვილი, სადღაც მიიმალენ.“

შემდეგ მოხსენებაში ჩამოთვლილია 15 აპრილს გაზ. „ცნობა“-ს რედაქციაში შეპყრობილი პირნი (24 კაცი). აქ სხვათა შორის არიან ამხ. ფ. მახარაძე, შალვა ელიავა, ნიკოლოზ ოთაროვი (მიხა ბოჭოიაშვილი) და სხ.

საქმეში არის მიწერ-მოწერა მიხა ცხაკაიას, ნინა ალაფალოვას და ტიგრან კრიკორიანცის დაპატიმრების და მათი ბინების გაჩხრეკის შესახებ.

*) საქმეში არის საოლქო სამხედრო შტაბის სტამბის გამგის ხელწერილი 1906 წლის მაისის 10-ის თარიღით, სადაც სწერია: „მიღებულია ვანდარშია საგუბერნიო სამმართველოსაგან ერთი დაშლილი მსწრაფლმბეჭდავი მანქანა ფირმა „ვენგსბურგისა“—პატარა ტიპის. არეული (გარტი) ასოებით წონით 35 ფ. 30 გრ. მათ რიცხვში მასალები და უყარგისი სახაზავები 15 ფუთი, სპილენძის საბაზაეები (ნახევრად საყარგისი) 9½“.

ტფილისის დაცვის უფროსის მოხსენების თანახმად (№ 856—19/IV 1906 წ.) რუსეთის სოც. დემ. მ. პარტ. კავკასიის კავშირის კომიტეტის სტამბას განაგებდა მიხეილის ქუჩაზე ღვინის საწყობ „მელაან"-ის ბუხგალტერი, თელავის მცხოვრები, მიხეილ ზაქარიასძე ბოჭორიძე, კავშირი სტამბასთან ჰქონდა თავის დის მარიამ ჩიტაშვილის საშუალებით. შემდეგ, ამავე მოხსენებით, სტამბის მთელ საქმეს განაგებდა ყოფილი მასწავლებელი მიხეილ გრიგოლისძე ცხაკაია, რომელსაც აგრეთვე კავშირი ჰქონდა სტამბასთან ქალების საშუალებით. ხსენებულ პირთათვის ხანგრძლივმა თვალყურის დევნამ დაამტკიცა, რომ ისინი სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას ეკუთვნოდენ, მაგრამ სტამბის კვალი მაინც არ იქნა აღმოჩენილი. წელს კი მუსიკის მასწავლებლის ნუნია ნიკიტის ასულის ალაჯალოვის ბინის თვალყურის დევნამ ავჭალის ქ. № 63—65 დაამტკიცა, რომ მასთან დადიოდენ უცნობი პირები, უეჭველია, როსტომაშვილის სახლიდან. ამიტომ როსტომაშვილის სახლს მიექცა განსაკუთრებული ყურადღება; გამოირკვა, რომ სხვათა შორის იქ ცხოვრობდა მიხეილ ბოჭორიძე (მეტი სახელი „озорной"), ახალგაზრდა კაცი „ტუზემეცი" (მეტი სახელი „დრუჟინნიკი", ხანში შესული ადგილობრივი მცხოვრები ქალი მეტი სახელი „დედა" და ახალგაზრდა ქალი მეტი სახელით „мелкая" (როგორც სჩანს, სოფიო უთმელიძე).

თვალყურის დევნება (слежка) ოხრანამ დაიწყო როსტომაშვილის სახლზე 5 აპრილიდან ჩხრეკის მოხდენამდე—15 აპრილამდე. მთელი ათი დღის განმავლობაში ფილერები იყვნენ მიჩენილი ამ სახლზე. ისინი აწარმოებდენ დღიურს და აი ამ დღიურიდან საინტერესოა ზოგიერთი ადგილები: მაგ.,

10 აპრილს ამ სახლში დილის 8 ს. 20 წ. მოვიდა „ამერიკანსკაი", 20 წუთის შემდეგ აქვე საიდანღაც მოვიდა „მელკაია", რომელსაც ხელსახოცში რაღაც თეფშის მსგავსი მოკრული ეკავა. 2 საათის შემდეგ ამ სახლიდან „წავიდა „ამერიკანსკაი". ნაშუადღევის 4 საათზე ამ სახლიდან გამოვიდა მიხეილ ბოჭორიძე და ტრამვაით წავიდა ვორონცოვის მოედანზე თხელაძის დუქანში, შემდეგ 5 წუთით შევიდა საკანდიტროში ავჭალის ქუჩ. სახლ № 2 და 30 წუთით იმავე ავჭალის ქ. სახლი № 63—65, საიდანაც 30 წუთის შემდეგ გამოვიდა წიგნის მსგავსი მოკრულით, შეხვდა ჩვენთვის უცნობ პირს, რომელსაც მეტ სახელად ვეძახით „კოპჩენის", რომელიც შემდეგ აღმოჩნდა სპარსეთის ქვეშევრდომი სომეხი ტიგრან ოსიპისძე კრიკორიანცი, ცხოვრობს (თამარის ქ. სახ. № 7) ტფილისში დაახლოებით 7 თვეა, ჩამოვიდა პარიზიდან, თანამშრომლობს სომხურ

გაზეთ „კაიწ".ში. ესენი ერთად შევიდნენ 5 წუთით მიხეილის პროსპექ. სახ. № 172, სადაც მოთავსებულია ტფილისის ობსერვატორია და სადაც აგენტურის ცნობებით სოც. დემ. ორგანიზაციები ხვდებიან სხვა ორგანიზაციებს, აქედან წავიდნენ ლისოგორის ქუს. სახ. № 14, სადაც კრიკორიანცი დარჩა, ბოჭორიძე კი 15 წუთის შემდეგ 5 წუთით შევიდა რიყეს ქუჩ. № 21—ათთიაჭში და 10 წუთით კავშირის ამხანაგობის სააფთიაქო საქონლის საწყობში მიხეილის პროსპ. № 67, საიდანაც პატარა მოკრულით დაბრუნდა უკანვე სახლში (როსტომაშვილის სახლი).

13 აპრილს დილის 8 ს. 40 წ. ბოჭორიძე იყო წინანდალის ქუჩ., ცხენების ჭარხნის ახლოს. როგორც, სჩანდა, მან შენიშნა, რომ თვალყურს ადევნებდა მას „ოხრანის" პოლიციის ზედამხედველი პაველ ტომკინი.

ასეთი თვალყურის დევნის შემდეგ „ოხრანა" დარწმუნდა, რომ როსტომაშვილის სახლში მოთავსებული იყო საიდუმლო სტამბა. „ოხრანის ცნობით 13 აპრილს სახლში მისვლა-მოსვლა შესწყდა, რაც იმით აიხსნებოდა, რომ მდგმურებმა და მომსვლელებმა შენიშნეს თვალყურის დევნება. გადაწყდა სახლის გაჩხრეკა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი 15 აპრილის დილის 5 საათზე.

ამავე დღეს დილით გაზეთ „ელვის" რედაქციაში შეპყრობილ იქნა 24 კაცი, იმავე დროს ჩხრეკა მოხდა ტფილისის ობსერვატორიაში და ნინა ალაჯალოვას ბინაზე, რომელიც დაპატიმრებულ იქნა. 16 აპრილს „ოხრანის" განყოფილების მოხელეთა ჩვენებით ქუჩაში შეპყრობილ იქნა მიხა ცხაკაია, 17 აპრილს—ტიგრან კრიკორიანცი.

16 აპრილს ქუჩაში რევოლვერიდან ოთხჯერ გასროლით მოკლულ იქნა პოლიციის ზედამხედველი ტომკინი და მასთან მყოფი პეტრე დიომინი ორი ტყვიით მსუბუქათ იქნა დაჭრილი. ბოროტმომქმედნი მიიმალენ.

———

აოლეგალურ სტამბაში აღმოჩენილი ხელნაწერის—„დეკემბრის დღეები პეტერბურგში"—ავტორი ივანე (მამია) დიმიტრისძე ორახელაშვილი როგორც საქმიდან სჩანს მიცემულია პასუხისგებაში სისხლ. სამართლ. დებულ. მე-2 126 და 132 მუხლ. ძალით.

ამხ. მამია ორახელაშვილის შესახებ საქმეში არის მიწერ-მოწერა, ცნობები და სხვა.

ამხ. მამია ორახელაშვილის შესახებ შემდეგი ცნობებია (сведения) შეგროვილი პეტერბურგის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ ტფი-

ლისის ჟანდარმერიის მოთხოვნის თანახმად. აქ მოგვყავს ზოგიერთი მათგანი:

გვარი, სიხელი, მამის სახელი—ივანე დიმიტრისძე ორახელაშვილი.

დაბადების დრო და ადგილი—26 მაისი 1881 წ., ქალ. ქუთაისი.

. . . . . .

წოდება (звание)—სამხედრო საექიმო აკადემიის მე-5 კურსის სტუდენტი.

ოჯახური მდგომარეობა—უცოლო.

სად სწავლობდა:—ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შევიდა 1890 წელს, რომელიც დაასრულა 1899 წელს და შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტში, საიდანაც 1902 წელს გადავიდა საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიაში.

ვის ხარჯზე იზრდებოდა—გიმნაზიის მეორე კლასიდან სახელმწიფო ხარჯზე, უნივერსიტეტში—ძმების ხარჯზე, აკადემიაში ღებულობს სახელმწიფო სტიპენდიას.

იყო საზღვარგარეთ, როდის და რა მიზნით—ამა წლის 25 მაისიდან სექტემბრის 4-მდე გაატარა საზღვარგარეთ, უმთავრესად შვეიცარიაში, ცხოვრობდა ჟენევის კანტონში ციურიხის მახლობლათ და მკურნალობდა რევმატიზმს.

წინად თუ იყო მიცემული პასუხისგებაში—არ ყოფილა. 1903 წელს, როცა აკადემიის სტუდენტი იყო და ლაგერში იმყოფებოდა იაროსლავში, სხვა სტუდენტებთან ერთად უფროსისათვის სალამის მიუცემლობის გამო დისციპლინარული წესით დაპატიმრებული იყო ორი თვით.

დრო და ადგილი დაპატიმრების და გაჩხრეკისა—დაპატიმრებულია პეტერბურგში 1906 წ. 15 სექტემბერს.

აღვნიშვნა ადგილის, სადაც დატიმრებული მოთავსებულია—პეტერბურგის წინასწარ დასაპატიმრებელი სახლი

ხელს აწერს: პეტ. საგუბ. ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი,

გენ. მაიორი **კლოკოვი.**

№ 24070.

16 სექტემბერი 1907.

ეს ცნობები წარგზავნილია პოლიციის დეპარტამენტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტობიოგრაფია.

ჩემი თავგადასავალი.

(იხ. რევ. მატ. № I (II) 1925 წ.).

როგორც ვიცით, 1902 წელს გამოიცა ლენინის წიგნი „რა ვაკეთოთ“. ისიც ვიცით, რომ 1903 წელს ლონდონის სიეზდზე ნოე ჟორდანიაც დაესწრო და მენშევიკების აზროვნებას მიემხრო.

ამ სიეზდზე კი პარტია ორად გაიყო და აქ ორი პროექტი იქნა წამოყენებული,—ლენინის და მარტოვის; მარტოვის აზრით შეიძლებოდა ყველა შესულიყო პარტიაში, ვინც კი მოისურვებდა, ლენინი კი ამტკიცებდა, რომ პარტიაში აქტიური მომუშაველები უნდა იყვენა, სიეზდის უმრავლესობა ლენინის აზრს მიემხრო და მარტოვი კი დარჩა უმცირესობაში და ამ რიგად ლენინის მომხრეებს ეწოდა „ბოლშევიკები“ და მარტოვის მომხრეებს კი—„მენშევიკები“.

ასე გვიამბობდენ სიეზდიდან ჩამოსული ამხანაგები, ნ. ჟორდანია კი გულმოდგინეთ იცავდა მენშევიკთა აზროვნებას. ასეთ მდგომარეობამ დიდათ გაამწვავა ჩვენი პარტიული ცხოვრება.

1904 წლის უკანასკნელ რიცხვებში ლონდონის სიეზდიდან დაბრუნებული ნოე ჟორდანიამაც გააძლიერა თავისი მენშევიკური მუშაობა ტფილისს და ბათუმს, თავს უყრიდა მოწინავე მუშებს ნაძალადევში მუშა ტორიკაშვილის ბინაზე და აგრეთვე სხვა მუშების ბინებზე. მაშინ ჟორდანია ანდრიას ირქმევდა. ჯერ ის მიესალმებოდა მუშებს, მერე თავზე ხელს გადასმით შეაქებდა ასეთი სიტყვებით:

ამხანაგებო მუშებო, მე ეს ორი წელიწადია რაც საქართველოში აღარ ვყოფილვარ და დღეს აქ დამსწრე მუშების ასეთ დალაგებულ მსჯელობას როშ ვისმენ და ასეთ რევოლიუციონურ შეგნებას და მომზადებას ვხედავ, ეს ჩემზედ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და გული სიხარულით მევსება, რომ ამ ორ წელიწადში ასე მომზადებულხართ რევოლიუციონურ ნიადაგზე. უნდა ითქვას, რომ ასეთ მომზადებულ მუშებს თვით ევროპაშიაც კი ვერ შეხვდებით.

ნოეს ასეთ სიტყვებმა დამსწრე მუშებს ფრთები შეასხა და ამ სიტყვებით დამთვრალმა და გათამამებულმა მუშებმა ყოყოჩობაც დაი-

წყეს; ზოგ მუშებს კი ნოეს ასეთ ცბიერ სიტყვებზე ეჭვი დაებადათ, ერთმა მუშამ, ამბ. რ. ჯღამაძემ, ვეღარ მოითმინა და ნოეს და მის მომხრე მუშებს ასე მიმართა: ამხანაგო მუშებო, მე მგონია ამბ. ნოეს არასოდეს ისეთი ცბიერი სიტყვებით მუშებისთვის არ მიუმართნია, როგორსაც დღეს ვისმენთ ჩვენ აქ. მაშ, აბა მიგვითითოს ამბ. ნოემ, ჩვენში ისეთ მუშებზე, რომ ევროპის და რუსეთის მუშებზე უფრო მომზადებულნი იყვნენ. თქვენ მოგეხსენებათ, ამხანაგებო, რომ თითონ ნოესგან ბევრჯერ გვსმენია ევროპის და რუსეთის მუშების ქება-დიდებაზე და ახლა კი გვეუბნება: თქვენ მაღლა დგეხართ ევროპის და რუსეთის მუშებზეო; მე კი უნდა გითხრათ, რომ ეს ცბიერებაა და მწარე დაცინვაა ჩვენი.

სიტყვის დამთავრებაც კი აღარ დააცალეს ამბ. ჯღამაძეს და ნოეს სიტყვებით ნაქებ მუშებმა მას კრებიდან მოუნდომეს გაყვანა, მაგრამ შერცხვათ და ისევ ნოეს ნებართვით კრებაზე დასტოვეს. ასევე ნ. ჯორდანია რამოდენიმე კვირა და თვეებსაც იწვევდა მუშებს ნაძალადევში და აგიტაციას უწევდა ბალშევიკების წინააღმდეგ; ჯორდანია ჩამოვიდა ბათუმში და აქაური მუშებსაც დაუწყო აგიტაცია და პროპაგანდა და რამოდენიმე ბრმა მუშები გადიბირა თავისკენ. ესე იგი მენშევიკების მხარეს, მაგრამ უფრო ღრმათ დაკვირებული მუშები, როგორც ბათუმის, ისე ტფილისის, არ გაებენ ჯორდანიას მიერ დაგებულ მახეში და ურყევად დარჩენ ბალშევიკებად.

ასე, ჩვენშიაც ორად გაიყო პარტია—ბალშევიკურ და მენშევიკურ პარტიად, ბალშევიკების ფრაქციას მაშინ ხელმძღვანელობდა ამხ. ვამხ. ბ. ცხაკაია, სოსო ჯუღაშვილი, ფ. მახარაძე, მ. ტოროშელიძე, ნ. ელიავა, შ. ელიავა. მ. დავიდოვი, ს. შაუმიანი, პროკოფი ჯაფარიძე და სხვები.

მათთან ერთად ბალშევიკი მუშები: მ. ბოჭორიძე, გ. ელიავა, ზ. ჩოდრიშვილი, გ. თელია, პ. მონტინი, ძმანი ჩოდრიშვილები, ლ. დუმბაძე, ვ. ბოლქვაძე, რ. ჯღამაძე, მახასე (ასოთ ამწყობი) და ბევრი სხვები. მენშევიკთა ფრაქციას ხელმძღვანელობდნენ: ს. ჯიბლაძე, ნ. ხომერიკი, ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, ი. რამიშვილი და სხვები.

აი ამ ორ ფრაქციათა შორის დაიწყო იდეური ბრძოლა: იმართებოდა კრებები, ეწყობოდა დისკუსიები ნაძალადევში, ვერაზე, ავლაბარში, მთაწმინდის გორაზე, ფუნიკულერთან, და კოჯრის ხევებში, ბოტა იაურ ბაღში, ორთაჭალის და ნავთლუღის ბაღებში, კრწანისის ბაღებში, ზედაძენის და მცხეთის ტყეში და შიგ ჭალაჭის მივარდნილ სარდაფებში. აი ამ კრებებზე და დისკურსიებზე ირჩეო-

და საკითხები. მენშევიკებს მოჰყავდათ ადგილები პლეხანოვის, მარტოვის, აქსელროდის, პოტრესოვის სიტყვებიდან და ამბობდენ, რომ აუცილებელია საერთო ეროვნული პოზიცია „მთლიანი ფრონტი“ ბურჟუაზიასთან, უნდა დავიახლოვოთ ლიბერალები და არ ჩამოვაშორდეთ მათო.

ბოლშევიკები კი პლეხანოვისავე ნათქვამითვე უპასაუხებდენ, რომ პლეხანოვი სწერდა და ამბობდა, რომ ლიბერალებს ნიღაბი უნდა ჩამოვხსნათ მუშათა კლასის წინაშეო და წარუდგინოთ იმ სახით, რასაც ისინი ატარებენო, ესე იგი, უნდა ვაჩვენოთ, რომ ისინი ხალხის მტრები არიან. რაც შეეხება პოტრესოვის რეზოლიუციას, პრიქით ღალადება, რომ ლიბერალებთან უნდა ვეძიოთ ერთგვარი შეთანხმებაო, პოტრესოვის აზრით, ამტკიცებდენ მენშევიკები, რომ თვითეული ლიბერალისთვის უნდა გვეკითხნა: იცავს საყოველთაო არჩევნების უფლებას თუ არა. თუ ლიბერალები გვეპასუხებენ, ის საყოველთაო არჩევნების უფლების პრინციპებს იცავს, მაშინ ის წესიერი ლიბერალი ყოფილა და მასთან შეიძლება კაცმა იქონიოს საერთო რამ.

ამაზე კი ბალშევიკები ასე უპასუხებდენ ლენინის ნათქვამიდან, რომელიც სამართლიანად დასცინოდა მათ და ამბობდა, რომ ლაქუმის ქალაღდი არ უშველის, რომ მუშები და ბურჟუაზია ეს ორი კლასია, რომ ბუნებაში არ არიან იმისთანა ლიბერალები, რომელთაც შეეძლოთ ჩვენთან ერთათ სიარულიო.

ლიბერალები შეიძლება დროებით დაგვეხმარენ ჩვენ, ვიდრე არ დაგვიმხია ცარიზმი, მაგრამ ერთ წუთასაც არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ თუ ლიბერალური ბურჟუაზია დღეს ჩვენთან არის, ხვალ წავა ჩვენს წინააღმდეგო, ამიტომ ეხლავე უნდა შევქმნათ პარტია, ცარიზმისავე ბრძანებლობის დროს უნდა შევქმნათ კლასობრივი სოციალისტური პარტია, რომელიც წავა როგორც ცარიზმის, ისე ბურჟუაზიის წინააღმდეგო.

აი როგორ ისმებოდა საკითხი ბურჟუაზიის შესახებ. მეორე ყრილობაზეც და ჩვენ დისკურსიაზედაც ისმებოდა საკითხი, თუ ვინ ითვლება მუშათა პარტიის წევრად.

ჩვენი პარტია, როგორც ცნობილია, მაშინ არალეგალური იყო და ლენინის ფორმულიროვკით რ. ს. დ. მ. პარტიის წევრი არის ის, ვინც შედის ამა თუ იმ არალეგალურ ორგანიზაციაში და ემორჩილება ცენტრალურ კომიტეტის დირექტივებს და შეაქვს შესაფერი გადასახადი პარტიაში, ასე უხსნიდენ მუშებს დისკურსიაზე ამბ. მიხა ცხაკაია, სოსო ჯუღაშვილი, მ. ტოროშელიძე, ს. შაუმიანი და სხვები.

მენშევიკები კი მარტოვის ფორმულის თანახმად ამბობდენ: პარტიის წევრად შეიძლება იყოს ისიც, ვინც მუშაობს ერთ-ერთ ორგანიზაციის კანტროლის ქვეშო, და აქსელროდის ფორმულოვკასაც ასე ერთგულათ ებღაუჭებოდენ მენშევიკები,' რომ მათ ჰსურდათ შემოეყვანონ ჩვენ მუშათა პარტიაში, მთელი რიგი ბურჟუა-კულაკების ინტელიგენცია, პროფესორები, სტუდენტები, გემნაზისტები ეგრედწოდებული ვითომ და სოციალისტები, ნამდვილათ კი ბურჟუაზიული ახალგაზრდობა, აი ასეთი იყო ჩვენს დისკურსიებზე მენშევიკების მსჯელობა.

წარსული წლების პრაპაგანდა-აგიტაციამ და დისკუსიებმა იქამდის გამოაფხიზლა მუშები, რომ 1904 წელს შემოდგომაზე კონკის, (ახლა ტრამვაის) მუშებმა გაფიცება მოაწყეს და ადანდარმ-პოლიციელებთან შეტაკებაც მოუხდათ, რის მსხვერპლიც შეიქნა „კონკის“ ერთი მუშა (კუჩერი) და რომელიც ცხოვრობდა დიდუბეში სწორეთ იმ ეზოში, სადაც მეც დროებით ვცხოვრობდი. აი აქ, ამ ეზოში მოიტანეს მძიმეთ დაჭრილი კუჩერი და ამ დღესავე გარდაიცვალა. გვარი აღარ მახსოვს.

1907 წელს, თვე აღარ მახსოვს, ჩემ ბინაზე მიხეილის ქუჩაზე, მოეწყო ამბ. ბოლშევიკების კრება იმის შესახებ, რომ ჩვენი ბოლშევიკების ფრაქციიდან ლონდონის სიეზდზე გაგვეგზავნა ბალშევიკების წარმომადგენელი პარტიულ სიეზდზე დასასწრებლათ *). კრებას დაესწრენ: ამხ. მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. ჯუღაშვილი, ს. შაუმიანი, მ. ტოროშელიძე, ვ. ნანეიშვილი, ზ. ჩოდრიშვილი, მ. ბოჭორიძე, მ. ჩოდრიშვილი, ასატ. კანოიანი და სხვა ბევრი ამხანაგები, რომელთა გვარები აღარ მახსოვს.

ამ კრების დამსწრე ამხანაგების აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, არჩეულ იქნენ შემდეგი პირები:

ქუთაისიდან ამხ. მ. ცხაკაია, ტფილისიდან სოსო ჯუღაშვილი და ბორჩალოს მაზრიდან სტეფანე შაუმიანი და ასატ. კანოიანი. მეორე კითხვა იყო ბოლშევიკური წრეების გაძლიერება-გაფართოება, მესამე კითხვა—ფურცლების გამოცემა მენშევიკების მოქმედების წინააღმდეგ.

ამისთვის დროებით ფურცლების საბეჭდი ხის დაზგაც გავაკეთეთ და ამ რიგად განვაგრძობდით პარტიულ მუშაობას და ამ ზე-

*) რადგან მენშევიკები გვპარბობდენ და ლონდონის სიეზდისთვის ტფილისიდან დელეგატები ვერ გავიყვანეთ, ბოლშევიკურ ფრაქციამ სათათბირო ხმით გაგზავნა კობა და ცხაკაია.

მოთ ხსენებულ ამხანაგებმა უფრო გავაფართოვეთ ბოლშევიკური წრეებიც.

ვმართავდით კრებებს ქალაქის განაპირა რაიონებში—ხუდადოვის ტყეში, ვერაზე და სარდაფებში, სადაც ირჩეოდა ორგანიზაციული კითხვები.

აგრეთვე ჩემს ბინაზე, მიხეილის ქუჩაზე, ჩემ სახელოსნო სარდაფშიც იმართებოდა ხშირად კონფერენციები, სადაც ირჩეოდა ბევრი სერიოზული კითხვები.

მე მონდობილი მქონდა კონსპირატიული საქმეები, მებარა პარტიული სალარო *), მე მებარა ლიტერატურა, იარაღი, პასპორტის ბლანკები და სხვადასხვა საიდუმლო ნივთების შესანახი საწყობი. აგრეთვე ვაკეთებდი სახელდახელო ფურცლების საბეჭდ ხის დაზგებს. ასეთი დაზგების კეთება ხშირად მიხდებოდა. მშველიდენ ამხ. სოსო ჯუღაშვილი, პროკოფი ჯაფარიძე, კამო, სერგეი ალილუიევი და სხვები. მათ დაზგები მიქონდათ ბათუმში, განჯაში, ქუთაისში და სხვა პროვინციებში.

ერთი ასეთი სახელდახელო ხის დაზგა, ფურცლების საბეჭდი, კამოს გაუკეთე, რომელზედაც თავის და ჯავაირასთან ერთად მუშაობდა.

ეს საბეჭდი დაზგა დავდგით ტფილისში, აბანოების ზემოთ, სუფსარჭისის ეკლესიის პირდაპირ, ვიწრო ქუჩის შესახვევში, ერთ თათრის სახლში და იქვე კამო და მისი და ჯავარია მუშაობდენ ფურცლებზე, შემდეგ დაბეჭდილი ფურცლები, ჯავაირას გადმოჰქონდა ჩემ ბინაზე. წამოიხურავდა თათრულ ჩადრს, ფეზზე თათრულ ქოშებს და ჩადრ ქვეშ უბეში ჩაიწყობდა ფურცლებს და ასე ფარულად მოჰქონდა ჩემ ბინაზე და აქედან ვავრცელებდით საქარხნო რაიონებში.

აგრეთვე ჩემ სახელოსნოში ვაკეთებდი საიდუმლო ჩემოდნებს, მაგიდებს, ტახტებს, ჩაის პატარა მაგიდებს, რომლებშიაც ინახებოდა საიდუმლო ბარათები, ფურცლები და სხვა. ერთი ასეთი ჩემოდანი ფურცლებით ბათუმში კამომ წაიღო, მაგრამ ბათუმის სადგურზე კამო დააპატიმრეს და ჩემოდანიც ჩავარდა.

*) ერთ შემთხვევაში საღამოს მ. ცხაკაიამ და სოსო ჯუღაშვილმა (სტალინმა) მომიტანეს ორასი თუმანი, შემდეგ თითონვე გაანაწილეს პროვინციებში—მარტო ბათუმიანს გადაეცა ბორჩალოს რაიონისთვის შვიდასი მანეთი. 1400 მანეთი კი განაწილდა სხვადასხვა პროვინციებზე პარტიულ საქმეების საჭიროებისათვის.

პ. ჩ.

1905 წელს კამოს გაუკეთე ორი საიდუმლო რბილი ტახტი (კუშეტკა), სადაც ინახებოდა იარაღი, ბომბები, ბომბის საკეთებელი ნივთიერება და გამზადებული ლიტერატურა, ეს ტახტები კამომ ვერაზე წაიღო ერთ ამხანაგის ბინაზე და იქ ინახებოდა.

1907 წელს ამ ტახტით იქნა გადატანილი, მუშით, მიხა ბოჭორიძის და მაროსაგან ერევნის მოედანზე გატაცებული ორას ორმოცდა ათი ათასი მანეთი პლეხანოვის პროსპექტზე ობსერვატორიის შენობაში იქ ცხოვრებ ერთ ამხანაგის ბინაზე, რომელიც იქვე მსახურობდა და ცხოვრობდა კიდეც.

როგორ წაიღო კამომ ერევნის მოედნიდან გატაცებული ფული პოლშევიკურ ცენტრალურ კომიტეტში პეტერბურგში 1907 წელს?

ეს ფული გადატანილი იქნა და დროებით ინახებოდა, როგორც ზემოთა ვსთქვით, ობსერვატორიაში. ორი-სამი დღის შემდეგ, კამო და დათიკო ჭიაბრიშვილი მოვიდენ ჩემ სახელოსნოში და შემიკეთეს ფურცლის შესანახი შეუმჩნეველი, საიდუმლო და მომცეს წინადადება, რომ ერთ პატარა ოთხ ვედრიან ბოჭკაში მომეწყო როგორმე, რომ ფული არ დასველდეს, არც გაფუჭდეს. მოვიტანე რამდენიმე ფურცელი გაუსველებელი ქაღალდი და ერთი ტიკჭორა, ფული ქაღალდში შევახვიე რამდენიმე ფურცელში, მერე გავჭერი ტიკჭორა, მოკუპრულ მხარიდან ქაღალდში შეხვეული ფული შიგ ჩავდე გაჭრილ ტიკჭორაში, მერე კარგად შევკერე, წაუსვი გარედან ბლომად ქონი, შემდეგ ღვინით უნდა გაეცვსო ბოჭკა და ასე წაეღოთ. შემდეგ მე ურჩიე, რომ ჩემოდანი მგონი უკეთესი იყოს მეთქი, ესეც მოიწონეს და ჩემოდანიც გამაკეთებიეს.

ჩემოდანის ფორმა ასეთი იყო: სიგრძე 14 ვერ., სიგანე 8 და სიმაღლეც 8 ვერშოკი, ჩემოდანი იყო ორ ძირიანი და ორ ძირშუა, ერთი მეოთხედ ვერშოკის ცარიელი ალაგი, სადაც თავსდებოდა ორასი ათასი მანეთი, გაწლით ჩაწყობილი. ფული იყო 100 მან., 25 მან. და 5 მან.

ჩემოდნის მეორე ძირი, რომელიც უნდა დაჰფარებოდა ფულს 3 კუთხის ჩემოდნის გვერდებში შეუნთით იყო ჩასმული, როცა გინდოდა გამოიღებდით და როცა გინდოდა დაჰხურამდი, სახურავ ხუფს ერთ მხარეს პატარა რგოლი ჰქონდა გამოსაწევად რომელსაც გარედან ფარავდა შავი ტესტის სალტეები ყვითელ თავიან პატარა ვინტებით, ასეთი სალტა ჰქონდა ჩემოდანს სამ ალაგს, ძირს, ასახდელში და სახურავზე. ასე რომ, სრულიად ჩვეულებრივ ჩემოდანში ვერც კი გამოიცნობდით. ამ რიგად ორივე „სეკრეტი“ მზათ, იყო ორი დღის შემდეგ კამო მოვიდა ჩემთან ყავის ფერი ჩოხით, ფაფახით, ოფიცრის

ფორმაში პაგონებით და ხმალ-ხანჯლით გამოწყობილი და ეს ორივე სეკრეტი—ჩემოდანი და ბოჭკა წაიღო იქ, სადაც ფული ინახებოდა და ის კი ვეღარ გავიგე ფული ბოჭკით თუ ჩემოდნით წაიღო..

მიხა ჩოდრიშვილი.

(შემდეგი იქნება.)

მოირკვა, რომ სოფელი დღეს დიდ კრიზისს განიცდის. გლეხობას დაუკარგავს ან კარგავს ყოველივე ნდობას მენშევიკებისა და იმათ მთავრობისადმი. უმთავრესი მიზეზი ამის ის არის, რომ გლეხები დარწმუნდენ იმაში, რომ მენშევიკებმა ისინი დაატყუილეს. მენშევიკები სარგებლობდენ ხალხის განუსაზღვრელი ნდობით და ეს ნდობა ძათ გამოიყენეს ერთი მხრით იმაში, რომ მენშევიკებმა ძველი მთავრობის კაცები დასცვალეს და იმათ ადგილას ჩააყენეს ახლები, რომლებიც ძველებიდან თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან, და მეორე მხრით იმაში, რომ არჩევნების დროს გლეხები თავის ხმებს მხოლოთ და მხოლოთ მენშევიკებს აძლევდენ.

სამაგიეროთ გლეხკაცობა სამართლიანთ მოელოდა მენშევიკებისაგან, რომლებიც დღეს მთავრობას სათავეში უდგანან, მიწის საკითხის გლეხების სასარგებლოთ გადაჭრას, ომის დაბოლოებას, ეკონომიური კრიზისის და სასურსათო საკითხების მოგვარებას. მაგრამ მენშევიკებს აინტერესებდათ მხოლოთ თავისი პარტიის კაცების არჩევა. მიწის საკითხი ჯერ განზე გადადვეს, შემდეგ, როცა იძულებული შეიქნენ ის წამოეყენებიათ, სრულიად უძლური გამოდგენ მისი გადაჭრისთვის გლეხების სასარგებლოთ. ომის გათავების და ჯარის შინ დაბრუნების მაგიერ, მენშევიკები, ახალი ომისთვის ემზადებიან ომამალეთის წინააღმდეგ და ახალ მობილიზაციას ახდენენ. ყველა ეს გამოიწვია რუსეთიდან ამიერ-კავკასიის გამოყოფამ. კონფერენციაზე გამოირკვა, რომ ხალხი მეტათ უკმაყოფილოა ამიერ-კავკასიის კომისარიატის და სეიმის მოქმედებით, რაც ჩვენ ხალხს დიდ უბედურებას უმზადებს. ერთი სიტყვით, ხალხი გრძნობს, რომ მენშევიკები მის ინტერესებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღალატობენ და ამიტომ სოფლის ხალხმა იმთავან უკვე პირი იბრუნა. თითქმის ყველა დელეგატმა აღნიშნა შემდეგი გარემოება: ახლა რომ მოხდეს სოფლათ არჩევნები, მენშევიკები ვერ მიიღებენ მეხუთედ ნაწილს იმ ხმებისას, რომლებიც მათ მიიღეს წარსულ არჩევნების დროს.

ამნაირად უკანასკნელ ორ-სამი თვის განმავლობაში ჩვენი სოფელი შესამჩნევათ გამოიცვალა: მენშევიზმმა იქ ან სრულებით დაკარგა ნიადაგი, ან ახლა კარგავს. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ იქ ბალშევიზმის გასაოცარ ზრდას: თითქმის ყველა სოფელში თავისთავათ, სტრქიფურათ ჩნდება ბალშევიკური ორგანიზაცია, მაგრამ სამწუხაროთ, თითქმის ყოველგან ძალების ნაკლებობაა, ზოგან კი სრულებით არ მოიპოვება არც პროპაგანდისტი და არც აგიტატორი: ეს გარემოება რა თქმა უნდა, ძალზე აფერხებს პარტიის ყოველგვარ მუშაობას და წარმატებას.

მოირკვა, რომ სოფელი დღეს დიდ კრიზისს განიცდის. გლეხობას დაუკარგავს ან კარგავს ყოველივე ნდობას მენშევიკებისა და იმათ მთავრობისადმი. უმთავრესი მიზეზი ამის ის არის, რომ გლეხები დარწმუნდენ იმაში, რომ მენშევიკებმა ისინი დაატყუილეს. მენშევიკები სარგებლობდენ ხალხის განუსაზღვრელი ნდობით და ეს ნდობა მათ გამოიყენეს ერთი მხრით იმაში, რომ მენშევიკებმა ძველი მთავრობის კაცები დასცვალეს და იმათ ადგილას ჩაყენეს ახლები, რომლებიც ძველებიდან თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან, და მეორე მხრით იმაში, რომ არჩევნების დროს გლეხები თავის ხმებს მხოლოთ და მხოლოთ მენშევიკებს აძლევდენ.

სამაგიეროთ გლეხკაცობა სამართლიანთ მოელოდა მენშევიკებისაგან, რომლებიც დღეს მთავრობას სათავეში უდგანან, მიწის საკითხის გლეხების სასარგებლოთ გადაჭრას, ომის დაბოლოებას, ეკონომიური კრიზისის და სასურსათო საკითხების მოგვარებას. მაგრამ მენშევიკებს აინტერესებდათ მხოლოთ თავისი პარტიის კაცების არჩევა. მიწის საკითხი ჯერ განზე გადადვეს, შემდეგ, როცა იძულებული შეიქნენ ის წამოეყენებინათ, სრულიად უძლური გამოდგენ მისი გადაჭრისთვის გლეხების სასარგებლოთ. ომის გათავების და ჯარის შინ დაბრუნების მაგიერ, მენშევიკები ახალი ომისთვის ემზადებიან ოსმალეთის წინააღმდეგ და ახალ მობილიზაციას ახდენენ. ყველა ეს გამოიწვია რუსეთიდან ამიერ-კავკასიის გამოყოფამ. კონფერენციაზე გამოირკვა, რომ ხალხი მეტათ უკმაყოფილოა ამიერ-კავკასიის კომისარიატის და სეიმის მოქმედებით, რაც ჩვენ ხალხს დიდ უბედურებას უმზადებს. ერთი სიტყვით, ხალხი გრძნობს, რომ მენშევიკები მის ინტერესებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღალატობენ და ამიტომ სოფლის ხალხმა იმთვან უკვე პირი იბრუნა. თითქმის ყველა დელეგატმა აღნიშნა შემდეგი გარემოება: ახლა რომ მოხდეს სოფლათ არჩევნები, მენშევიკები ვერ მიიღებენ მეხუთედ ნაწილს იმ ხმებისას, რომლებიც მათ მიიღეს წარსულ არჩევნების დროს.

ამნაირად უკანასკნელ ორ-სამი თვის განმავლობაში ჩვენი სოფელი შესამჩნევათ გამოიცვალა: მენშევიხმა იქ ან სრულებით დაკარგა ნიადაგი, ან ახლა კარგავს. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ იქ ბოლშევიხმის გასაოცარ ზრდას: თითქმის ყველა სოფელში თავისთავათ, სტრქიურათ ჩნდება ბოლშევიკური ორგანიზაცია, მაგრამ სამწუხაროთ, თითქმის ყოველგან ძალების ნაკლებობაა, ზოგან კი სრულებით არ მოიპოვება არც პროპაგანდისტი და არც აგიტატორი: ეს გარემოება რა თქმა უნდა, ძალზე აფერხებს პარტიის ყოველგვარ მუშაობას და წარმატებას.

მოირკვა, რომ სოფელი დღეს დიდ კრიზისს განიცდის. გლეხობას დაუკარგავს ან კარგავს ყოველივე ნდობას მენშევიკებისა და იმათ მთავრობისადმი. უმთავრესი მიზეზი ამის ის არის, რომ გლეხები დარწმუნდენ იმაში, რომ მენშევიკებმა ისინი დაატყუილეს. მენშევიკები სარგებლობდენ ხალხის განუსაზღვრელი ნდობით და ეს ნდობა მათ გამოიყენეს ერთი მხრით იმაში, რომ მენშევიკებმა ძველი მთავრობის კაცები დასცვალეს და იმათ ადგილას ჩააყენეს ახლები, რომლებიც ძველებიდან თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან, და მეორე მხრით იმაში, რომ არჩევნების დროს გლეხები თავის ხმებს მხოლოთ და მხოლოთ მენშევიკებს აძლევდენ.

სამაგიეროთ გლეხკაცობა სამართლიანთ მოელოდა მენშევიკებისაგან, რომლებიც დღეს მთავრობას სათავეში უდგანან, მიწის საკითხის გლეხების სასარგებლოთ გადაჭრას, ომის დაბოლოებას, ეკონომიური კრიზისის და სასურსათო საკითხების მოგვარებას. მაგრამ მენშევიკებს აინტერესებდათ მხოლოთ თავისი პარტიის კაცების არჩევა. მიწის საკითხი ჯერ განზე გადადვეს, შემდეგ, როცა იძულებული შეიქნენ ის წამოეყენებიათ, სრულიად უძლური გამოდგენ მისი გადაჭრისთვის გლეხების სასარგებლოთ. ომის გათავების და ჯარის შინ დაბრუნების მაგიერ, მენშევიკები ახალი ომისთვის ემზადებიან ოსმალეთის წინააღმდეგ და ახალ მობილიზაციას ახდენენ. ყველა ეს გამოიწვია რუსეთიდან ამიერ-კავკასიის გამოყოფამ. კონფერენციაზე გამოირკვა, რომ ხალხი მეტათ უკმაყოფილოა ამიერ-კავკასიის კომისარიატის და სეიმის მოქმედებით, რაც ჩვენ ხალხს დიდ უბედურებას უმზადებს. ერთი სიტყვით, ხალხი გრძნობს, რომ მენშევიკები მის ინტერესებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღალატობენ და ამიტომ სოფლის ხალხმა იმათგან უკვე პირი იბრუნა. თითქმის ყველა დელეგატმა აღნიშნა შემდეგი გარემოება: ახლა რომ მოხდეს სოფლათ არჩევნები, მენშევიკები ვერ მიიღებენ მეხუთედ ნაწილს იმ ხმებისას, რომლებიც მათ მიიღეს წარსულ არჩევნების დროს.

ამნაირად უკანასკნელ ორ-სამი თვის განმავლობაში ჩვენი სოფელი შესამჩნევათ გამოიცვალა: მენშევიზმმა იქ ან სრულებით დაკარგა ნიადაგი, ან ახლა კარგავს. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ იქ ბალშევიზმის გასაოცარ ზრდას: თითქმის ყველა სოფელში თავისთავათ, სტრქიურათ ჩნდება ბალშევიკური ორგანიზაცია. მაგრამ სამწუხაროთ, თითქმის ყოველგან ძალების ნაკლებობაა, ზოგან კი სრულებით არ მოიპოვება არც პროპაგანდისტი და არც აგიტატორი: ეს გარემოება რა თქმა უნდა, ძალზე აფერხებს პარტიის ყოველგვარ მუშაობას და წარმატებას.

დასასრულ, უნდა მოვიხსენიოთ ერთი მეტათ საინტერესო მოვლენა, რომელიც ხაზგასმით აღნიშნული იყო თითქმის ყველა დელეგატის მოხსენებაში, სახელდობ შემდეგი: ამ უკანასკნელ დროს სოფლის გამოფხიზლებაში დიდ როლს თამაშობენ ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცები. როგორც ვიცით, ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცების შესახებ დღეს მენშევიკურ და ნაციონალისტურ პრესაში ერთი დაუსრულებელი განგაშია ატეხილი: ვერ პოულობენ სიტყვებს იმათ სალანძღაოთ: ხულიგანები, დეზორგანიზატორები, პოგრომშჩიკები,—აი რა სიტყვებით ნათლავენ ბურჟუა-შოვინისტების და იმათ ამყოლ მენშევიკების გაზეთები იმ ჯარისკაცებს, რომლებიც წინეთ იმათ არც კი იცოდენ რა სიტყვებით ექოთ, დღეს მდგომარეობა სრულებით გამოიცვალა: იმპერიალისტების ავაზაკურმა ომმა ჯარისკაცებს თვალები აუხილა სინამდვილეზე და ამიტომ ისინი დღეს ბრმათ არავის მიყვებიან, როგორც ეს აქამდის იყო. ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ ყოფილ ჯარისკაცებს დიდი შეგნება შეექვთ სოფელში. ერთი სიტყვით, სოფლის დღევანდელ გამოფხიზლებაში შინ დაბრუნებული ჯარისკაცები მეტათ შესამჩნევ როლს თამაშობენ. რა თქმა უნდა, გამონაკლისი ყოველგან არის: ამ ჯარისკაცებშიაც ურევიან არა სასურველი და უვარგისი ელემენტები, რომლებიც თავის მოქმედებით ჩირქს სცხებენ დანარჩენ ჯარისკაცებს; მაგრამ ერთი ვიკითხოთ, რომელი კლასსი ან რომელი ჯგუფია უზრუნველყოფილი სავსებით ასეთი მავნე ელემენტებისაგან. ყოველ შეძხვევაში, საერთოთ დაბრუნებულ ჯარისკაცების მოქმედებას დღეს ჩვენ სოფელში მეტათ ნაყოფიერი და სასარგებლო შედეგი მოყვება. თავისთავათ იგულისხმება, რომ ჩვენი პარტიის წევრებმა ყოფილ ჯარისკაცებს უნდა მიაქციონ დიდი ყურადღება და ისინი მჭიდროთ შეაკავშირონ პარტიულ ორგანიზაციებთან, ე. ი. მისცენ იმათ მოქმედებას გარკვეული პოლიტიკური მიმართულება.

დელეგატების მოხსენების მოსმენის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა მოხსენებები დღიურ წესრიგის დანარჩენ საკითხებზე და შემდეგ გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუციები. ქვევით მოგვყავს კონფერენციის მიერ მიღებული უმთავრესი რეზოლიუციები.

დღევანდელი მომენტი

I. დღევანდელ მომენტს ახასიათებს საერთაშორისო იმპერიალისტური ბურჟუაზიის აშკარა თავდასხმა რუსეთის რევოლიუციაზე. ეს თავდასხმა იმის მაჩვენებელია, რომ მუშათა რევოლიუცია ევრო-

პაში მწიფდება და უკვე ემზადება იმპერიალიზმის დასანგრევად. ბურჟუაზია ცდილობს გამოიყენოს ის მდგომარეობა, რომ დასავლეთ ევროპაში რევოლიუციონურ მოძრაობას ჯერ კიდევ ვერ გაუშლია თავისუფლათ ფრთები, მით, რომ ის თავს ესხმის რუსეთის რევოლიუციას, რომელიც შინაურ კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში დიდ ძალას იჩენს, მაგრამ საბოლოოთ ეს ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუცია ჯერ კიდევ დამარცხებული არაა. ამიტომ გერმანიის იმპერიალისტების მიერ დაწყებული თავშეუკავებელი თავდასხმა რუსეთის რევოლიუციაზე, რაც ხდება რუსეთის „მოკავშირეთა“ გაბატონებულ კლასების და მთავრობათა თანხმობით ერთი მხრით და რუსეთის ბურჟუაზიასა და მის ამყოლებთან მოლაპარაკებით და მონაწილეობით მეორე მხრით,—ეს თავდასხმა გამოხატავს საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციის სულისკვეთებას და იმედებს და პოულობს თავის ძალას ყველა ბურჟუაზიულ კლასების კონტრ-რევოლიუციონურ სულისკვეთებაში, რათა ბოლო მოუღონ მუშების და გლეხების რევოლიუციას.

II. რუსეთის რევოლიუცია დღეს ჩაბმულია ხელჩართულ ბრძოლაში მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ერთდაიმავე დროს ის ებრძვის შინაურ კონტრ-რევოლიუციას. რუსეთის რევოლიუციის გამარჯვება ამ გიგანტისებურ ბრძალაში, რაც ნიშნავს რუსეთის რევოლიუციის მიერ წამოყენებულ პრინციპების გამარჯვებას,—დამოუკიდებულია რევოლიუციის განვითარებაში დასავლეთ ევროპაში ერთი მხრით და მუშების და გლეხების სრულიად რუსეთის რევოლიუციონური ფრონტის ერთობაში მეორე მხრით. ეს არის სრულუფლებიან საბჭოთა ფრონტი. ყოველი სეპარატიული გამოსვლა ხელსაყრელია შემოსეულ იმპერიალისტურ კონტრ-რევოლიუციისათვის. ბრძოლა სრულუფლებიან საბჭოთა ფრონტის წინააღმდეგ არის ბრძოლა რევოლიუციის წინააღმდეგ და ამ ბრძოლას იყენებენ მუშების და გლეხების მტრები.

კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ ბრძოლის ხელმძღვანელობა შეუძლიათ თავს იღებან მხოლოთ მუშების, ჯარისკაცების და გლეხების დეპუტატების საბჭოთა სრულიად რუსეთის ყრილობამ და მის სრულუფლებიან ორგანომ.

III. კერძოთ ამიერ-კავკასიაში რევოლიუცია დიდ განსაცდელშია. ადგილობრივ მენშევიკების და მემარჯვენე ესერების პოლიტიკის წყალობით საბჭოთა პოლიტიკური როლი სრულიად ჩამოქვეითდა და ისინი დღეს სრულებით ქრებიან. ძალა-უფლებას ეპატრონებიან მუშების და გლეხების სურვილის წინააღმდეგ შექმნილი „ეროვ-

ნული“ საბჭოები, რომლებიც თავიანთი ბურჟუაზიულ-შოვინისტური და აშკარა კონტრ-რევოლიუციონური პოლიტიკით ცდილობენ ნაციონალურ ბრძოლაში რევოლიუციის დაღუპვას.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი, როგორც მთავრობა, რომელიც წარმოშვეს თათრის ბეგებმა და ხანება და ამიერ-კავკასიის ბურჟუაზიამ ერთი მხრით და რევოლიუციის მოღალატეებმა—მენშევიკებმა და ესერებმა მეორე მხრით, წარმოადგენს არსებითათ გაბატონებულ კლასების შეთქმულებას მუშების და გლეხების რევოლიუციის და მის მიერ შექმნილ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ამიერ-კავკასიის კომისარიატი იცავს მჭონებელ კლასების ინტერესებს და იბრძვის სახალხო კომისრების საბჭოს მიერ გამოცემულ რევოლიუციონურ დეკრეტების წინააღმდეგ. მან მიიყვანა ქვეყანა უფსკრულამდე და ყოველივე ძალას მოკლებულმა, მან დაამთავრა თავის არსებობა მით, რომ გამოაცხადა რა თავის დიქტატურა, დაარბია სოციალისტური პრესსა, დევნა დაუწყო რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებს, დახვრიტა მუშებისა და ჯარისკაცების მიტინგი და სხვ. და სხვ.

ამიერ-კავკასიის სეიმი, რომელიც ფაქტიურათ ბურჟუაზიულ-შოვინისტურ და ცრუ-სოციალისტურ (მენშევიკების და სხვების) პარტიების წარმომადგენლობაა და არა ხალხის, სრულებით არ გამოთქვამს მუშების და გლეხების დიდი უმეტესობის სურვილებს. გამოთქვამს რა კონტრ-რევოლიუციონურ კლასების სულისკვეთებას, სეიმი ცდილობს საბოლოოთ შემუსროს საბჭოები. ამზადებს რა ნიადაგს კონტრ-რევოლიუციის გასამარჯვებლათ ამიერ-კავკასიაში, სეიმი ადასტურებს ამიერ-კავკასიის გამოყოფას რევოლიუციონურ რუსეთისაგან, ე. ი· რუსეთის მუშების, ჯარისკაცების და გლეხების სახალხო მთავრობისაგან; ამით მას მიყავს ქვეყანა დაღუპვისაკენ და საერთო რევოლიუციონური ფრონტის დასუსტებისაკენ. გამოდის რა აქედან, კონფერენცია სცნობს ჩვენი პარტიის ძირითად დანიშნულებათ ამიერ-კავკასიაში შემდეგს:

1. **მოწყობა ყოველგან მუშების და გლეხების დეპუტატების საბჭოთა და იმათი სრული ძალა-უფლების განხორციელება.**

2. **განახლებულ და ახლად მოწყობილ საბჭოთა ყრილობის მოწვევა მუშების, ჯარისკაცების და გლეხების რევოლიუციონური ორგანოს შესაქმნელათ მთელი ამიერ-კავკასიისა.**

3. **შექმნა სოციალისტურ ჯარისა, რომელიც საბჭოების ხელმძღვანელობით შეებრძოლება როგორც შინაურ, ისე გარეშე იმპერიალისტებურ კონტრ-რევოლიუციას.**

4. გამოაშკარავება იმის, თუ რა დამღუპველი და კონტრ-რევოლიუციონური ნაბიჯია კოალიციონური მთავრობის შემქნა ამიერ კავკასიაში ერთი მხრით და ამიერ-კავკასიის გამოყოფა რევოლიციონური რუსეთიდან მეორე მხრით. გამოაშკარება იმის, თუ რა კონტრ-რევოლიუციონური სარჩული უდევს იმ სამარცხვინო განგაშს, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ასტეხეს ბურჟუაზიულ შოვინისტურმა და მენშევიკურმა გაზეთებმა ზავის და ომის თაობაზე

დადგენილება მიწის შესახებ *)

მიწის საკითხის გადაჭრა.

მიწის საკითხის სამართლიანათ გადაჭრა უნდა მოხდეს შემდეგ საფუძვლებზე.

1. ყველა მიწები ამიერიდან მთელი ხალხის საკუთრებას შეადგენს.

მიწის ყიდვა-გაყიდვა, იჯარით გაცემა, დაგირავება ან სხვანაირად გადაცემა სამუდამოთ ისპობა.

2. ყველა მიწები: სახაზინო, საეკლესიო, სამონასტრო, საუფლისწულო (რომანოვების გვარეულობის), კერძო მემამულეთა და სხ. უსასყიდლოთ უნდა იქნან ჩამორთმეული და გადაცემული ხალხზე.

3. კერძო მესაკუთრეთა ყველა მიწები და აგრეთვე ყველა საეკლესიო, სამონასტრო და საუფლისწულო მიწები ყოველგვარი შენობებით, სამეურნეო იარაღებით და მუშა საქონლით გადადის გლეხთა დეპუტატების სასოფლო, სარაიონო ან საგუბერნიო საბჭოების განკარგულებაში იმის მიხედვით, თუ რა ხასიათი ან რა მნიშვნელობა აქვს ამ მიწებს.

4. გლეხთა დეპუტატების სასოფლო, სარაიონო, სამაზრო და საგუბერნიო საბჭოები ღებულობენ ყოველგვარ ზომებს, რათა დაცული იქნას სრული წესიერება მემამულეთა მიწების ჩამორთმევის (კონფისკაციის) დროს იმის გამოსარკვევად და განსასაზღვრავათ, თუ რა ან რა ზომის მიწები უნდა იქნას ჩამორთმეული, და ამასთანავე

*) ეს რეზოლიუცია მიღებულ იქნა 27 ზმის ღამეტესობით 3 ზმის წინააღმდეგ.

ყველა მიწების, როგორც ჩამორთმეულ, ისე წინანდელ მფლობელთა სარგებლობაში დატოვებულ მიწების სწორი და მართალი სიის შესადგენად და მთელი ამ ქონების დასაცავად.

რაიმე ზიანის მიყენება ჩამორთმეული ქონებისათვის, რომელიც ამიერიდან მთელი ხალხის საკუთრებას შეადგენს, უდიდეს დანაშაულათ ითვლება და დამნაშავე რევოლიციონური სამსჯავროს მიერ უნდა იქნას გასამართლებული.

5. ვინც აგრარული (მიწის) რევოლიუციის გამო დაზარალდება ისე, რომ ცხოვრების სახსარს მოკლებული დარჩება, ყველა ასეთ პირებს უფლება აქვთ საზოგადოებრივ დახმარებაზე იმ ხნის განმავლობაში, სანამ ისინი არსებობის ახალ პირობებს შეეგუებიან.

6. მიწის გულის სიმდიდრე: სხვადასხვა მადნეულობა, ნავთი, ნახშირი, მარილი და სხვ. და აგრეთვე ისეთი ტყეები და წყლები, რომელთაც საყოველთაო მნიშვნელობა აქვთ, გადადის ხალხის ან ქვეყნის განსაკუთრებულ სარგებლობაში. ყველა პატარა მდინარეები, ტბები, ტყეები, საძოვრები და სხვ. გადადის ადგილობრივ საზოგადოებათა სარგებლობაში.

7. ის მიწები, რომლებზედაც გაშენებულია ძვირფასი მცენარეულობა: ბაღები, ვენახები, პლანტაციები ჩაის, თამბაქოს, დაფნის და სხვ., სანერგეები, ორანჟერეები და სხვ. არ უნდა იქნან დაყოფილი, არამედ ისინი უნდა გადააქციონ სანიმუშო ანუ სამაგალითო დაწესებულებებათ. ასეთი მიწები გადადიან ან მთელი ხალხის (ქვეყნის) ან ადგილობრივ საზოგადოებათა განსაკუთრებულ სარგებლობაში იმის მიხედვით, თუ რა ზომის და მნიშვნელობის არიან.

8. ეზოები, როგორც ქალაქში, ისე სოფელში პატარა შინაურ ბაღებით და ბახჩებითურთ, რჩებიან დღევანდელ მფლობელთა სარგებლობაში. საეზო ნაკვეთების ზომას და ამ ნაკვეთების სარგებლობისათვის გადასახადის რაოდენობას არდგენენ გლეხთა დეპუტატების რაიონული (სამაზრო) ან საგუბერნიო საბჭოები.

9. ჩამორთმეულ მიწებზე აგებული შენობები ყოველივე სამეურნეო იარაღით და მუშა საქონლით გამოუყიდავათ გადადის ან მთელ ხალხის (ქვეყნის) ან ადგილობრივ საზოგადოებათა განსაკუთრებულ სარგებლობაში იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა მათ აქვთ.

10. დიდი წისქვილები, მელთაც სამრეწველო ხასიათი აქვთ, დღევანდელ მფლობელებს უნდა ჩამოერთვათ და საზოგადოებათა განკარგულებაში გადავიდენ. ამის გამო გამოწვეული ზარალი საზოგადოებამ უნდა აუნაზღაუროს კერძო პირებს სამართლიანი შეფასე-

ბის კვალობაზე. პატარა წისქვილები კი დღეევანდელ მფლობელთა ხელში რჩება.

11. ხე-ტყის ქარხნები აუცილებლათ უნდა ჩამოერთვათ დღეევანდელ მფლობელთ და გადავიდენ გლეხთა დეპუტატების სასოფლო ან რაიონულ საბჭოთა განკარგულებაში, რომლებმაც საზოგადოებრივი წესით უნდა განაგრძონ ეს წარმოება.

12. მიწით სარგებლობის უფლება ეძლევა ყველა მოქალაქეთ, განურჩეველათ სქესისა, რომელთაც მიწის დამუშავება სურთ თავისი შრომით ოჯახის წევრების დახმარებით ან საამხანაგოთ და მხოლოთ იმ დრომდე, სანამ იმათ შეუძლიათ მიწის დამუშავება, ვინაიდან ქირაებული შრომა სოფლის მეურნეობაში ამიერიდან აკრძალულია.

13. თუ საზოგადოების რომელიმე წევრი დაავიმყოფდა და უძლური შეიქნა მუშაობისათვის, საზოგადოება დახმარებას უწევს ასეთ წევრს მის ხვედრი მიწის დამუშავებაში.

14. იმ ყოფილ მემამულეთ, რომელთაც სიბერის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო სამუდამოთ დაკარგეს თავისი საკუთარი შრომით მიწის დამუშავების უნარი, მიწის მიღების უფლება ეკარგებათ და ამის მაგიერ საზოგადოებიდან ისინი იღებენ დაკმაყოფილებას პენსიის სახით საჭიროების კვალობაზე.

15. მიწით სარგებლობა ყველა მშრომელთათვის თანასწორი უნდა იყოს, ე. ი. მიწა ეძლევა მშრომელთ საჭიროების მიხედვით. მიწის სარგებლობის ფორმა კი ისეთი უნდა იყოს, როგორც ამას სასურველათ დაინახავენ თვით გლეხთა დეპუტატების საბჭოები.

16. ყველა მიწები ჩამორთმევის შემდეგ გადადის მთელი ხალხის მიწების საერთო ფონდში. ამ მიწების განაწილებას სარგებლობისთვის მშრომელთა შორის განაგებენ გლეხთა დეპუტატების ცენტრალური, რაიონული ან ადგილობრივ საზოგადოებათა საბჭოები.

მიწების ფონდი დროგამოშვებით ხელახლა იყოფა მცხოვრებთა ზრდის, სამეურნეო ტეხნიკის და საზოგადოთ საწარმოო ძალთა განვითარების მიხედვით. საზღვრების შეცვლის დროს სასურველია, რომ თავდაპირველათ მიცემული ან დატოვებული მიწა ხელუხლებელი დარჩეს.

17. იმ წევრების მიწები, რომლებიც სოფელს ტოვებენ ისევ ბრუნდება მიწის საერთო ფონდში. ამ მიწების მიღების უპირატესობა ეძლევათ იმ პირების მახლობელ ნათესავებს, რომლებსაც ისინი წინეთ ეპირათ ან იმ პირთ, რომელთაც ისინი დაასახლებენ.

18. თუ მიწის გასაუმჯობესებლათ და გასაპოხიერებლათ გაწეული სხვადასხვა ხარჯი მიწის უკან დაბრუნებამდე სავსებით განაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებული არ იქნა, საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს ასეთ წევრს გაწეული ხარჯების ნაწილი შეფასების კვალობაზე.

19. თუ რომელიმე ადგილას ან სოფელში მიწების არსებული ფონდი ვერ აკმაყოფილებს ყველა ადგილობრივ მცხოვრებლების საჭიროებას, იმ შემთხვევაში ზედმეტი მცხოვრებლები გადასახლებულ უნდა იქნან სხვა ადგილას.

გადასახლების ორგანიზაცია, აგრეთვე გადასახლების გამო გამოწვეული ხარჯები, როგორც, მაგ., წასვლა, სამეურნეო იარაღების მიწოდება და სხვ., უნდა იტვირთოს გლეხთა დეპუტატების ცენტრალურმა საბჭომ.

თვით გადასახლება ხდება ასეთი წესით: პირველათ მიდიან მსურველები და თუ ასეთები არ იქნება, იმ შემთხვევაში საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა გადასახლდეს, უნდა გადაიჭრას ან ურთიერთ შეთანხმებით, ან წილის ყრით.

20. წვრილ გლეხკაცობას მიწები არ ჩამოერთმევა. ეს მიწები მხოლოდ შეტანილი იქნება მიწების საერთო ფონდში.

21. ყოფილ მემამულეებს მიწა ეძლევათ სარგებლობისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავის შრომით ან თავისი ოჯახის წევრების დახმარებით აწარმოებენ იმ მიწაზე მეურნეობას. რაც შეეხება იმას, თუ რამდენი მიწა უნდა დარჩეს ყოფილ მემამულეების სარგებლობაში, ამას სწყვეტენ გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები.

22. სოფლის ყველა წევრი, ვინც მიწით სარგებლობს, სულ ერთია ეს მიწა წინეთ მის კერძო საკუთრებას შეადგენდა, თუ ახლა აქვს მას საერთო ფონდიდან მიღებული,—იხდის მიწის გადასახადს იმის კვალობაზე, თუ რამოდენი მიწა უჭირავს. ეს გადასახადი შედის გლეხების დეპუტატების საბჭოთა ფონდში.

მიწის გადასახადის ნორმას იმუშავებს გლეხთა დეპუტატების ცენტრალური (საგუბერნიო) საბჭო, რომელიც იმავე დროს საზღვრავს, თუ როგორ უნდა განაწილდეს მიწის გადასახადი ცენტრალურს და ადგილობრივ საბჭოთა შორის.

23. გლეხთა დეპუტატების ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგენ ყოველგვარ ზომების მიღებას, რათა სოფლის მეურნეობის ნაყოფიერება გაიზარდოს და განვითარდეს, რათა საშვალება მიეცეს ღარიბეს გლეხებს გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღების ხმარების, მიწის გასაუმჯობესებელ და გასაპოხიერებელ საშვალებათა მიწოდებით და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. კოლექტიური წარმოების განვითარების დასაჩქარებლათ და სოციალიზმის განსახორციელებლათ ნიადაგის მოსამზადებლათ გლეხების დეპუტატების საბჭოები უღარიბეს გლეხებიდან ადგენენ ამხანაგობებს დიდი მინდვრების კოლექტიური შრომით დასამუშავებლათ. ასეთ ამხანაგობებს ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინონ, რათა მიწის დამუშავებაში გამოიყენონ აგრონომიული მეცნიერების და ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვა.

25. მიწის საკითხის საბოლოოდ მოსაწესრიგებლათ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული დასაველეთ ამიერ კავკასიის, ე. ი. ქუთაისის გუბერნიის და ბათუმის და სოხუმის ოლქების გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობა. ეს ყრილობა დაწვრილებით გამოიმუშავებს მიწის სარგებლობის წესებს, დაადგენს იმ ნორმას, რომლის ზევით სასარგებლოთ მიწა არავის უნდა მიეცეს; ამ ყრილობამ უნდა განსაზღვროს მიწის გადასახადის რაოდენობა, მან უნდა მიიღოს ყოველივე ზომები აგრონომიული დახმარების მოსაწყობათ და სხვ.

26. ამ უდიდეს რეფორმას ანხორციელებს თითონ ხალხი მის მიერ არჩეულ საბჭოების, ე. ი. უღარიბეს გლეხების დეპუტატების საბჭოების საშვალებით, ეს რეფორმა უნდა გატარდეს ცხოვრებაში მწყობრათ, ორგანიზაციულათ, სრული სამართლიანობის დაცვით. თავისთავად იგულისხმება, რომ მიწის რეფორმის გატარების დროს არავითარ ექსცესს, არავითარ შურისძიებას ადგილი არ უნდა ექნეს.

დადგენილება გლეხთა დეპუტატების საბჭოების შესახებ.

გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ორგანიზაცია.

1. საბჭოთა ძირითადი ორგანიზაცია იწყება სოფლის საზოგადოებიდან. თითეული საზოგადოება (ერთი ან რამდენიმე სოფლის ჯგუფი) თითეულ ას კაცზე არჩევს ერთ დეპუტატს პროპორციონალური სისტემით საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრის საფუძველზე. საარჩევნო უფლება ეძლევა 18 წლიდან ყველა მოქალაქეს განურჩევლათ სქესისა.

2. საზოგადოებების საბჭოთა დეპუტატების ყრილობა (სიეზდი) ირჩევს გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭოებს.

შენიშვნა: იმ რაიონებში, სადაც მუშათა დეპუტატების საბჭოები არსებობენ, სამაზრო საბჭოს გარდა, შეიძლება დაარსდეს გლეხ-

თა დეპუტატების რაიონული საბჭო, მაგ. ჭიათურაში, სამტრედიაში და სხვ., რომელიც გლეხების საბჭოებთან ერთად შეადგენენ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს.

3. გლეხების და მუშების სამაზრო და რაიონულ საბჭოთა ყველა დეპუტატების ყრილობა (სიეზდი) ირჩევს მუშების და გლეხების საგუბერნიო საბჭოს.

4. გლეხთა დეპუტატების რაიონული, სამაზრო და საგუბერნიო საბჭოები უთანხმებენ თავიანთ მოქმედებას მუშათა დეპუტატების საბჭოებს, სადაც კი ასეთები არსებობენ, მით, რომ ირჩევენ საერთო აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც დაყოფილი იქნება მუშათა და გლეხთა სექციებათ.

5. ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოებს ირჩევენ მხოლოდ იქ, სადაც ჯარი ჯერ კიდევ გაუქმებული არაა, ე. ი. სადაც არსებობენ სამხედრო ნაწილები, მაგ., პოლკები, ბატალიონები და სხვ.

შენიშვნა.: ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცები შედიან ან მუშების და ან გლეხების დეპუტატების საბჭოებში და არა შემთხვევაში ისინი არ აარსებენ ჯარისკაცთა საკუთარ საბჭოებს.

9. სადაც ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოები არსებობენ, იქ ისინი უერთდებიან გლეხების და მუშების დეპუტატების საბჭოებს და ირჩევენ ერთ ხელმძღვანელ აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც იყოფა მუშების, გლეხების და ჯარისკაცების სექციებათ.

7. გლეხთა დეპუტატების საბჭოთა არჩევაში ხმის მიცემის უფლება აქვს ყველა ღარიბ მოქალაქეს, რომელიც თავის შრომით მიწას ამუშავებს მიუხედავათ ჩამომავლობისა; მუშათა დეპუტატების საბჭოს არჩევაში ხმის მიცემის უფლება აქვს ყველა დაქირავებულ მუშას გარდა ფაბრიკა-ქარხნის პატრონებისა, გამგეებისა და ადმინისტრაციის მოხელეებისა; ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოთა არჩევნებში ხმის უფლება აქვს ყველა სამხედრო პირებს.

8. გლეხების, მუშების და ჯარისკაცების საბჭოთა დეპუტატათ შეიძლება არჩეულ იქნას ყველა მოქალაქე განურჩევლად სქესისა, ჩამომავლობისა და პროფესიისა.

9. ამორჩევლებს სრული უფლება აქვთ უკან გამოიწვიონ საბჭოში მათ მიერ გაგზავნილი დეპუტატი ვადის გასვლამდე, თუ ეს უკანასკნელი თავის მოვალეობას ღირსეულად ვერ ასრულებს.

10. საბჭოს ხელახალი არჩევნები ხდება ყოველ 4—6 თვეში ერთხელ.

11. მთელი ძალა-უფლება საბჭოების და იმათ მიერ შექმნილ ორგანოების ხელშია.

12. ყველა დაწესებულება და ორგანიზაციები, როგორც, მაგ., ქალაქის თვითმართველობები თუ ერობები, ან უქმდებიან ან სავსებით ემორჩილებიან საბჭოთა მთავრობას. საბჭოები გამოიყოფენ თავიანთ წრიდან სხვადასხვა სექციებს ან კომისიებს ამა თუ იმ დარგის საქმეების გასაძღოლათ; ამ კომისიებს ანუ სექციებს უფლება ეძლევათ მოიწვიონ მცოდნე პირები. სექციები გამოიყოფა შემდეგი ფუნქციების შესასრულებლათ:

ა) **სასურსათო საქმის მოწყობა.** სასურსათო საგნების შემოტანა, ადგილობრივათ დამზადება და განაწილება.

ბ) **კულტურულ-განმანათლებელი საქმეები.** სწავლა-განათლება, ლიტერატურა, ხელოვნება, თეატრი, მუზეუმები და სხვ. და სხვ.

გ) **მართლ-მსაჯულების საქმე.**

დ) **ადმინისტრატიული საქმეები.** საზოგადოებრივი წესიერების და მშვიდობიანობის დაცვა, სახალხო მილიციის ან სოციალისტური წითელი ჯარის მოწყობა და მართვა.

ე) **მიმოსვლის, გზების, ფოსტა-ტელეგრაფის საქმეები.**

13. ყველა სექციების ფუნქციებს დაწვრილებით იმუშავებს მუშების, გლეხების და ჯარისკაცების დეპუტატების ცენტრალური საბჭო ან საბჭოების ყრილობა (სიეზდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალები და დოკუმენტები.

ჟანდარმერიის არქივიდან ამოღებული ქვემოდ დაბეჭდილი დოკუმენტები, ვფიქრობთ, არ იქნებიან ინტერესს მოკლებული ჩვენი მკითხველებისათვის. ამასთან ეს დოკუმენტები კარგს მასალას წამოადგენენ რევოლიუციონური მოძრაობის შესასწავლად ჩვენში.

რედ.

I.


№ 337/272.
ტფილისის საგუბერნიო
ჟანდარმთა სამმართველოს
უფროსი.
26 მარტი 1901 წლისა
№ 1962
ქ ტფილისი.

საიდუმლოთ.

მის ბრწყინვალებას კავკასიის მთავარმართებელს.

მაქვს პატივი გთხოვოთ, ნება დამრთოთ ერთ თვემდე გაეუგრძელო დაპატიმრების ვადა 21 და 22 მარტს შეპყრობილ შემდეგ პირთ, რომელნიც შენიშნულნი არიან სოციალ-დემოკრატიულ პროპაგანდაში: ჟურნალ „კვალი“-ს რედაქციაში მოსამსახურე—1) სილიბისტრო ჯიბლაძეს, 2) ალექსანდრეს სახელობის საოსტატო ინსტიტუტის ყოფილ მოწაფეს ნიკოლოზ დომოსტროევს, 3) იმავე ინსტიტუტის ყოფილ მოწაფეს ვლადიმერ მეშჩერიაკოვს, 4) ყოფილ სტუდენტს პავლე პუშჯაროვს, 5) ყოფილ სტუდენტს აკოფ სტეპანიანცსზარგარიანცს, 6) ინჟინერ-ქიმიკოსს ვიქტორ კურნატოვსკის, 7) ყოფილ სტუდენტს ბორის პერესს, 8) ამიერ-კავკასიის სარკინიგზო კანტორაში მოსამსახურე **ფილიპე მახარაძეს**, 9) იმავე რკინის გზის სამმართველოში მოსამსახურე პოლიეკტო კალანდაძეს, 10) პაველ კალანდაძეს, რომელიც მასწავლებლობის ხარისხის მისაღებათ ემზადება, 11) განსაზღვრული სამსახურის არ მქონე მიხეილ გოგლიძეს, 12) ასთა-ამწყობ ივანე ეგოროვს და რკინის გზის მუშებს: 13) ვლადიმერ ჯიბლაძეს, 14) კუზმა კრილოვს და 15) ალექსი ნიკანოროვს პოლკოვნიკი **დებილეევი**.

(მთავარ მართებლის) თ. დ გოლიცინის რეზოლიუცია: „დაუყოვნებლივ შეასრულეთ“.



ამხ. ფ. მახარაძე.
გადაღებულია 1900 წელს.

№ 1303/975
შინაგ. საქმეთა სამინისტრო
პოლიციის დეპარტამენტი
მე-5 საქმეწარმოება.
5 აგვისტო 1903 წ.
№ 9471.

საიდუმლოთ.

ქუთაისის სამოქალაქო ნაწილის მთავარ მართებელს.

უმაღლესი ბრძანებით 1903 წ. ივლისის 9 თარიღით, იუსტიციის მინისტრის უქვეშევრდომილესი მოხსენების თანახმად, გლეხი ვლადიმერ გიორგის ძე ჯიბლაძე, აზნაური ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია, ტფილისის მოქალაქე ალექსი რომ. ბერეზნიაკი, მდაბიო მოქალაქე ალექსი ივანეს ძე ნიკანოროვი, გლეხი ბართლომე (იგივე ბარონი) ექვთიმეს ძე ბიბინეიშვილი და მღვდლის შვილი ფილიპე იესეს ძე მახარაძე, საიდუმლო, დაშვებულ სოციალ-დემოკრატიული მიმართულების სანოვადოებაში მონაწილეობისათვის წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით ბიბინეიშვილისათვის უნდა გაიგზავნონ: ვლადიმერ ჯიბლაძე არხანგელის გუბერნიაში პოლიციის აწკარა მხედველობის ქვეშ 3 წლით, ჟორდანია—ვიატკის გუბერნიაში პოლიციის მხედველობის ქვეშ 3 წლით, და ყველა დანარჩენნი პოლიციის აწკარა მხედველობის ქვეშ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში, ბერეზნიაკი და ნიკანოროვი სამის წლით, ბიბინეიშვილი და მახარაძე თითო წლით.

მინისტრის მაგიერი, მინისტრის ამხანაგი

გენ. ლეიტ. **ვ. ფონ-ვალი.**

რეზოლიუცია: „შესრულებულ იქნას".

ეს დოკუმენტები ამოღებულია საქმიდან: „О социал-демокр. Кружке интеллигентов в г. Тифлисе".

ცნობები.

მღვდლის შვილის ფილიპე მახარაძის დანაშაულობრივი მოქმედების შესახებ.

1902 წელს ტფილისის საგუბერნიო ჯანდარმთა სამმართველოს მიერ მიცემული იყო პასუხის გებაში სასჯელთა დებულების მე-252 და 318 მუხ. ძალით, რომლის თანახმად 1903 წლის ივლისის 9-დან დაწესებულია მასზე ბინადრობის მიხედვით პოლიციის აწკარა მხედველობა 1 წლით.

1904 წლის მაისში მახარაძის შესახებ მიღებული ცნობებით ის ბათუმის სოც.-დემოკრატიულ კომიტეტში მუშაობს.

1904 წლის დეკემბრის 31-ს მონაწილეობდა ტფილისის არტისტიულ საზოგადოებაში გამართულ მთავრობის საწინააღმდეგო ბანკეტში.

1905 წლის იანვრის 17 ღამით მოსალოდნელი არეულობის აღკვეთის მიზნით გაჩხრეკილ და დაპატიმრებულ იქნა.

1905 წლის მაისის 16-ს დაესწრო ქალაქის გამგეობაში მოწვეულ სოციალ-დემოკრატების კრებას, სადაც სიტყვა წარმოსთქვა და მოუწოდებდა იარაღით გამოსულიყვნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ

მასთან ტფილისში 4 დღე იმყოფებოდა გიორგი ლორთქიფანიძე, რომელიც შეპყრობილ იქნა ტფილისიდან გასვლის დროს უფუბარებით 1905 წელს სექტემბრის 11-ს.

იყო რა სოც.-დემოკრატიული ბოლშევიკური ორგანიზაციის აქტიური მომუშავე-წევრი, მახარაძე შედიოდა საყოველთაო დეკემბრის გაფიცვის დროს ტფილისის გაფიცვის კომიტეტში.

დაპატიმრებულ იქნა 1906 წლის იანვრის 2-ს.

1906 წლის აპრილის 15-ს დაპატიმრებულ იქნა კრებაზე ქართული გაზეთ „ელვა"-ს რედაქციაში.

II

ცნობა.

იმ პირის შესახებ, რომელიც იმყოფება წევრად სოციალ-დემ. პარტიაში.

(მოიპოვება ტფილისის დაცვის განყოფილებაში 1904 წლის სექტემბრიდან).

გვარი სახელი და მამის სახელი—**ჯუღაშვილი იოსებ ბესარიონისძე.**

მეტი სახელი თვალყურის დევნისა...

ჯგუფშირას ეძახიან...

წოდება—ტფილისის მაზრის და გუბერნიის სოფელ დიდი ლილოს გლეხი.

ხელობა—ტფილისის სასულიერო სემინარიის მოწაფე.

წლოვანობა, სარწმუნოება...

ნიშნები...

არის ფოტოგრაფიული სურათი...

ამჟამად სად ცხოვრობს...

კავშირი ოჯახთან—მისი დედა ეკატერინე ცხოვრობს ტფილისის გუბ. ქალ. გორში.

რევოლიუციონური კავშირი...

მოღვაწეობა პარტიაში—1902 წელს ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს მიერ პასუხის გებაში იყო მიცემული რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის ტფილისში არსებულ საიდუმლო ჯგუფის საქმეზე. ამ საქმეზე, როგორც ეს პოლიციის დეპარტამენტის მოწერილობიდან სჩანს (17 ივნისი 1903 წ. № 4305) იოსებ



ამხ. კობა ჯუღაშვილი (სტალინი).
სურათი ნაპოვნია ჟანდარმთა არქივში, გადაღებული უნდა იყოს 1900 წ.

ჯუღაშვილი უნდა გაგზავნილიყო პოლიციის აშკარა მხედველობის ქვეშ აღმოსავლეთ ციმბირში სამი წლით, სადაც პოლიციის მიერ ადმინისტრატიული წესით იქნა გაგზავნილი (вх. ж. 1904 № 2209).

X/8—1904 ჯუღაშვილი გამოიქცა ციმბირიდან და ამ ჟამად ითვლება ქართველი მუშების პარტიის მეთაურად.

XII/23—1904 წ. აგენტურას ჯუღაშვილი სიტყვებიდან აქვს გაგებული, რომ ის ცხოვრობს ხან ტფილისში, ხან გორში.

II/26—1906 წ. 26 თებერვალს უნდა შემდგარიყო სოციალისტების კრება ლაბაძის სახლში, ლორჩინის ქ. ბოლოში და ლისაგორის დასაწყისში. კრებას უნდა დასწრებოდენ ს. ჯიბლაძე, ნ. ჟორდანია, ხუნხუნი, მ. ბოჭორიძე და სხ. სულ 30 კაცამდე.

III/3—1906 წ. 3 მარტს უნდა შემდგარიყო ასეთი კრება იმავე ლაბაძის სახლში, მაგრამ ის არ შესდგა.

„სოც.-დემ.".

ბათუმში ჯუღაშვილი ორგანიზაციას მეთაურობს (იმყოფება პოლიციის განსაკუთრებული მხედველობის ქვეშ; მოხსენება პოლიციის დეპარტამენტის დირექტორისადმი № 60—1903 წლის 29 იანვრიდან საქ. 7—ტ. I).

„საგრიო".

არის ბათუმის კომიტეტის მეთაური, სოც.-დემოკრატიულ პარტიაში ცნობილია მეტი სახელით „ჩოფური" (მოხსენება პოლიციის დეპარტამენტის დირექტორისადმი № 85—1903 წლის 9 თებერვლიდან საქ. № 10).

წინა მოხსენებაში პოლიციის დეპარტამენტის დირექტორისადმი განმარტებულია ბათუმის ოლქში მყოფი ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს თანაშემწეს მიმართვა № 572—1903 წ. 28 აპრილიდან საქ. 10 вх. № 359.

უმაღლესი ბრძანების თანახმად 1903 წლის 9 ივლისიდან სახელმწიფოებრივ დანაშაულისათვის გადასახლებულია აღმოსავლეთ ციმბირში პოლიციის აშკარა მხედველობის ქვეშ სამი წლის ვადით და დაბინავებულია ირკუტსკის გუბერნიის ბალაგანის მაზრაში, საიდანაც მიიმალა 1904 წლის იანვრის 5 ს.

ნიშნები: სიმაღლე 2 არშინი $4^1/_2$ გოჯი, ტანადობა საშუალო, ახდენს ჩვეულებრივი კაცის შთაბეჭდილებას, თმა თავზე მოშავო-წაბლისფერი, ულვაშები და წვერი—წაბლისფერი, თმის ბალანი პირდაპირი, თვალები მოშავო, ჯრელი, საშუალო ზომისა, თაიის მოყვანილობა ჩვეულებრივი, შუბლი სწორე, არა მაღალი, ცხვირი პირდაპირი, გრძელი, სახე მოგრძო, შავი, ნაყვავილევი, მარჯვენა ყბის ქვედა ყბაზე აკლია წინა ღრძილი; პირი ზომიერი ნიკაპი წვრილი, ხმა ნელი, ყურები საშუალო ზომის, მიხვრა-მოხვრა ჩვეულებრივი, მარცხენა ყურზე ნიშანი აქვს, მარცხენა ფეხის მეორე და მესამე თითი შეზრდილი (მოხსენება პოლიციის დეპარტამენტის ცირკულიარი № 5500—1904 წლის მაისის 1.).

XII/27—დეკემბერს ცხოვრობს ტფილისში და მუშაობს „კამოსა" და კანდელაკთან ერთად.

— —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქოს დაცვის განყოფილების დეპეშა 1909 წლის ოქტომბრის 19-ს თარიღით.

თვრამეტს სწრაფი № 11 ტფილისში წამოვიდა თვალყურის დევნების გარეშე ორგანიზაციაში მეტი სახელით ცნობილი „კობა"—ბაქოს ს. დ. კომიტეტის წევრი; უნდა დაესწროს კონფერენციას, სადაც გაირჩევა საკითხი ბაქოში საერთო ტეხნიკის მოწყობის და საერთო ორგანოს გამოშვების შესახებ. შეეგებეთ, თვალყურის მდევნელად მიუჩინეთ ფილერები კირიჩუკი და პეროდერი, რომელნიც „კობას" იცნობენ „молочный-ს" მეტსახელით „კობას" შეპყრობა უსათუოდ არ არის სასურველი, რადგანაც აქედან მოსალოდნელია აგენტურის ჩაშლა, რაც ხელს შეგვიშლის აღგილობრივი ორგანიზაციის და მისი ტეხნიკის მომავალი ლიკვიდაციის საქმეში. № 3306. რატმისტრი **მარტინოვი.**

ტფილისის საგუბერნიო
ჟანდარმთა სამმართველო
9 ნოემბერი 1909 წ.
№ 1453
ქ. ტფილისი

სასწრაფო
საიდუმლო.

„ჩაიორებს".

დამატებათ ცნობისა ოქტომბრის 14 თარიღით №13,308 გაცნობებთ, „კობა" ხშირად დადის ტფილისში ვანქის ქუჩაზე მდებარე ქართველთა ამხანაგობის სტამბაში, ნახულობს აქ მანასე გოგვაძეს, რომლის საშუალებით ღებულობს კორესპონდენციას ბაქოდან შემდეგი ადრესით: ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა ვანქის ქ. მანასე გოგვაძეს. გადაეცით „სოსოს".

საჭიროა „კობაზე" გარეგანი მეთვალყურეობის დაწესება. ბაქოს დაცვის განყოფილების ყოფილი ფილერები მას იცნობენ молочный-ს მეტი სახელით და ნაჩვენები ადრესის მიხედვით მათ შეუძლიათ მეთვალყურეობა, რაზედაც მას კარგათ იცნობენ.

უკეთუ კობა ტეხნიკების თანხლებით ბაქოში წამოვიდა ტფილისიდან, საჭიროა მეთვალყურენი გამოყვენ მას ბაქომდე და აქ მეთვალყურეობა გადასცენ ბაქოს დაცვის ფილერებს.

კავკასიის სარაიონო დაცვის განყოფილება გთხოვთ აცნობოთ შედეგების შესახებ.

როტმისტრი (ხელს აწერს).

ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს.

9 ნოემბერი 1909 წ. სრულიად საიდუმლოთ.

მოვახსენებ თქვენს მაღალ-კეთილშობილებას, რომ კომბა (სოსო) ჯერ-ჯერობით ვერ იქნა აღმოჩენილი ტფილისში. ვიცით მხოლოდ, რომ კომბას ცოლად ჰყავს ტფილისის ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიის ყოფილი მოწაფის ვასილ ფად. რატიევის და 20 წლისა, რომელიც ცხოვრობს პირველ სპოლიციო უბანში, ფასანაურის შესახვევი სახ. № 15. ხსენებულ რატიევზე დაწესებულ მეთვალყურეობას ჯერ-ჯერობით არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

როტმისტრი (ხელს აწერს)

III

ორჯონიკიძე გრიგოლ კონსტანტინეს ძე.

მეტი სახელი ორგანიზაციაში „სერგო"
ცხოვრობს ასხან გუსეინოვის პასპორტით.

ც ნ ო ბ ა.

ორჯონიკიძე გრიგოლ კონსტანტინეს ძე 26 წლისა (1912 წ.) აზნაური ს. გორელის (შორაპნის მაზრა) — ფერმალი.

1905 წლის დეკემბრის 24-ს სხვებთან ერთად შეპყრობილ იქნა სოხუმის ოლქის დაბა გუდაუთში იმ დროს, როდესაც ზღვის ნაპირად გემიდან იარაღი და ვაზნები გადმოჰქონდათ. დაპატიმრებული ორჯონიკიძის შესახებ საქმის გამოძიებას აწარმოებდა ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველო სისხლის სამართლის დებულების მე 126 მუხ. მე 2 ნაწილის თანახმად. განთავისუფლებულ იქნა თავმდებს ქვეშ 500 მანეთის გირაოს შემოტანით. მაგრამ შემდეგ მიმალა და დაეძებება პოლიციის დეპარტამენტი თანახმად ცირკულიარისა № 150032 1907 წლის 18 ივნისის თარიღით.

1907 წლის მეოთე ნახევარში ბაქოს ოხრანის პუნქტმა აგენტებისგან ცნობა მიიღო, რომ ბალახანაში მცხოვრები ფერმალი ორჯონიკიძე არალეგალური პიროვნებაა, ეკუთვნის რ. ს. დ. მ. პ. ბაქოს ორგანიზაციას და მისი კოსპირატიული მეტისახელი არის „სერგო". 1907 წლის ნოემბრის 3-ს ის გაჩხრიკეს და 4-ს დააპატიმრეს. გაჩხრეკის დროს მის ბინაზე აღმოჩნდა: არალეგალური ბროშიურები, პროკლამაციები და დაუწერელი პასპორტის ბლანკები. ამის გამო ის

პასუხისგებაში იქნა მიცემული და თანახმად სისხ. სამართ. დებულების 1035 მუხ. ბაქოს ჯანდარმთა საგუბერნიო სამმართველო საქმის გამოძიებას შეუდგა სისხლის სამართლის წესით 129 მუხ. საფუძველზე. ეს დამტკიცებულ იქნა შემდეგი გამოძიების დამთვრებია დროს. გამოძიების დამთავრების შემდეგ 1907 წლის დეკემბრის 14 ს (№ 2794) საქმე გადაეცა ბაქოს საოლქო სასამართლოს პროკუროროს, ორჯონიკიძის ძებნა შეწყვეტილ იქნა პოლიციის დეპარტამენტის ცარკულიარის თანახმად 1908 წ 15 დეკემბერს (№ 151013)



ამხ. სერგო ორჯონიკიძე.
გადაღებულია პეტერბურგის კრესტში 1912 წ.

პეტერბურგის დაცვის განყოფილების ცნობიდან სჩანს, რომ ორჯონიკიძეს 1903 წელს ტფილისის სასამართლო პალატამ სახელმწიფო დანაშაულისათვის მიუსაჯა გადასახლება და გაგზავნილ იქნა ერისეის გუბერნიაში და მაზრის პინჩუგის ვოლოსტის სოფ. პოტოსკოეში, საიდანაც 1909 წელს გამოიქცა. 1910 წლის ივნისის 3-ს ყუბანის საოლქო ჯანდარმთა სამმართველოს უფროსმა ცნობა მიიღო აგენტურისაგან, რომ ბალახანაში ცხოვრობს ბაქოს ს. დ. ბოლშევიკების ფრაქციის გამოჩენილი წევრი ფერშალი ორჯონიკიძე.

შეკითხვაზე ბაქოს დაცვის უფროსმა 1910 წლის სექტემბრის 17-ის თარიღით აცნობა, რომ ორჯონიკიძის ვინაობა ჯერ გამორკვეული არ არის.

1910 წლის ნოემბრის 30-ს თარიღით № 126048/119 ორჯონიკიძე მოხსენებულია პოლიციის დეპარტამენტის საძებარ ფურცელში.

1911 წელს ბაქოს დაცვის განყოფილებამ მიიღო აგენტებისაგან შემდეგი ცნობები:

19 აგვისტო. 6 აგვისტოს „სერგო" დაესწრო ბალახანაში ბაქოს აღმასრულებელ კომიტეტის კრებას როგორც მომხსენებელი ცენტრალური კომიტეტისა პარიზიდან და როგორც წევრი საორგანიზაციო კომისიისა; ამ კრებაზე მან მოხსენება გააკეთა საქმეთა მდგომარეობის შესახებ საზღვარგარეთ.

23 **აგვისტოს** „სერგო" უკვე ტფილისში იყო, საიდანაც მოვიდა ბაქოში და რომ კონფერენციაზე გასაგზავნი წარმომადგენელი ტფილისის ორგანიზაციიდან ჯერ კიდევ არ არის არჩეული.

7 **სექტემბერი.**—4 სექტემბერს „სერგო" თითქოს როსტოვში გაემგზავრა, საიდანაც სურდა დაბრუნება რამდენიმე დღის შემდეგ.

12 ოქტომბერი. სექტემბრის გასულს ბაქოში უნდა შემდგარიყო თათბირი კონფერენციის შესახებ. ამ კონფერენციას უნდა დასწრებოდენ პეტერბურგიდან ჩამოსული დელეგატები. ამათთან „სერგო" ჩამოვიდა 26 სექტემბერს.

23 ოქტომბერი. პეტერბურგიდან „სერგოსთან" ერთად ჩამოსული დელეგატები კონფერენციის გამო სათათბიროთ, ბაქოში დაწყებულ დაპატიმრებათა გამო, დაუყოვნებლივ წავიდნენ.

მოსკოვში გამართულ კონფერენციაზე შეპყრობილ ბაქოს დელეგატ ცაპლინს აღმოაჩნდა „სერგოს" მისამართები, რომლის თანახმად ბაქოში 1911 წლის სექტემბრის გასულს მოხდა ლიკვიდაცია.

1911 წლის დეკემბერში დონის დაცვის განყოფილებამ ცნობა მიიღო აგენტებისაგან, რომ 1911 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში დონის როსტოვში ჩრდილო კავკასიიდან ჩამოვიდა პარტიული კონფერენციის მომწვევი საორგანიზაციო კომისიის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციის რომელიღაც წევრი. როსტოვში მან მოახდინა ს. დ. ორგანიზაციის წევრთა კრება. როგორც ამ წარმომადგენელმა განაცხადა მას ასეთი კრებები სხვათა შორის გაუმართავს ტფილისში და ბაქოში.

რაიონის ცნობებით როსტოვში მოსული წარმომადგენელი არის „სერგო".

1912 წლის იანვარში რაიონის მერე მიღებული ცნობით 1910 წელს „სერგო" ბაქოდან მოვიდა ტფილისში, სადაც ბოტანიკურ ბაღში გამართა სოც.-დემოკრატების კრება.

1912 წლის მარტში ბაქოს დაცვის განყოფილების უფროსმა მიიღო ასეთივე ცნობები, რომ „სერგო“ მონაწილეობას ღებულობდა მარტის 7-ს ორგანიზაციის მიერ კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევაში. დელეგატათ არჩეულ იქნა სურენ სპანდარიანი,—მეტი სახელი „ტიმოფეი“.

აპრილში მიღებული ცნობებით ამავე თვეში ბაქოში ტფილისიდან ჩამოვიდა რუსეთის საორგანიზაციო კომისიის ყოფილი წევრი სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც ბაქოში დასტოვა შემდეგი ლიტერატურა: 1) კიევის ორგანიზაციის კომიტეტის რეზოლიუცია 1912 წლის იანვრის. 2) რსდმპ ფურცელი სათაურით „პარტიისკენ“ და 3) ფურცელი სათაურით: „რსდმპ საარჩევნო პლატფორმა“. „სერგოს“ საცხოვრებელი ადგილებია კიევი და ხარკოვი. 1912 წლის თებერვალში პოლიციის დეპარტამენტმა აგენტებისაგან ცნობები მიიღო, რომ 1912 წელს 6—17 იანვრამდე ქ. პრაგაში (ავსტრია) შესდგა რსდმპ ბოლშევიკური მიმართულების წევრთა კონფერენცია, რომელზედაც მონაწილეობდა დელეგატათ ქ. ტფილისიდან ბოლშევიკი—„სერგო“.

1912 წლის აპრილის 14-ს ორჯონიკიძე შეპყრობილ იქნა პეტერბურგში. დაპერის დროს მან განაცხადა, რომ ის არის ტფილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის სოფ. სარვანის გლეხი ნავრუსოღლი გუსეინოვი. მისი საქმე გადაეცა პეტერბურგის საოლქო სასამართლოს პროკურორს.

IV

ცნობა.

ჩოდრიშვილი.

სოც. დემოკრ.

ტფილ. დაცვის განყოფილება.

1905 წლის იანვარი.

გვარი, სახელი, მამის სახელი—ჩოდრიშვილი ხაჭარია იოსებისძე.

წოდება—ქ. სიღნაღის (ტფილ. გუბ.) მდაბიო მოქალაქე.

სად ცხოვრობს ამ ჟამად—ქ. ბათუმში.

მუშაობა პარტიაში—2—31—1905 წ. ჩოდრიშვილი ამ ჟამად მუშაობს ბათუმში. მისი დახმარებით ორგანიზაციაში შევიდა მისი ძმა მიხეილ ჩოდრიშვილი და ამ უკანასკნელის ცოლი მელანია ჩოდრიშვილი.

III—19—1905 წ. მათუმიდან გავიდა. მასთან ტფილისიდან მონდობილობით ჩამოვიდა მელანია ჩოდრიშვილი.

საერთო ცნობები. ჩოდრიშვილი პოლიციის დეპარტამენტის ცირკულარის თანახმად 1902 წლის 4 ივლისის თარიღით № 4430, უმაღლესი ბრძანებით 1903 წლის 9 ივლისიდან გადასახლებული იყო პოლიციის აწკარა მხედველობის ქვეშ აღმოსავლეთ ციმბირში. 1904 წლის 15 მაისს ჩოდრიშვილი გაიქცა ბალაგანის ციხის სოფ. ხოლმაგაიდან, სადაც ის დაბინავებული იყო და მიიმალა (ცნობა ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოსადმი № 1333—6).

საქმეს ძიობდა ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველო. ბრალდებოდა სახელმწიფოებრივი დანაშაული. უმაღლესი ბრძანების თანახმად საქმე გადაწყდა ადმინისტრატიული წესით. ხაქარია ჩოდრიშვილი პოლიციის მხედველობის ქვეშ გაგზავნილი იქნა სამი წლით აღმოსავლეთ ციმბირში, და როგორც სჩანს ირკუტსკის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს ცნობიდან (1904 წ. ივლისის 6. № 4272) მის შესახებ ჟანდარმერიამ დაიწყო ახალი საქმე და შეუდგა გამოძიებას. იმავე წლის მაისის 15-ს ჩოდრიშვილი სადღაც მიმალა. (ცნობა ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს 1904 წ. თებერვლის 16-დან № 1125. вх. ж. № 404—7).

V.

გვარი, სახელი და მამის სახელი ალილუევი სერგეი იაკობისძე.

წოდება—ვორონეჟის გუბერნიის გლეხი.

ხელობა—ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოს სახარატო ცეხის ზეინკალი.

პარტიაში მუშაობა—1900 წ. ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს მიერ პასუხისგებაში იყო მიცემული დაცვის წესების თანახმად და მის შესახებ სწარმოებდა მიწერ-მოწერა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მუშათა არეულობაში მონაწილეობისათვის. 1902 წ. იმავე სამმართველო აწარმოებდა ფორმალურ გამოძიებას სისხლის სამართლის დებულების მე-1034 მუხ. თანახმად. ბრალად ედებოდა ქალაქ ტფილისში არსებულ ფარულ რევოლიუციონურ საზოგადოებაში მონაწილეობა. ამ საქმეზე დაპატიმრებული იყო 1902 წ. თებერვლის 21-დან მაისის 7-მდე, რის შემდეგ იმყოფებოდა პოლიციის საგანგებო მხედველობის ქვეშ. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოძიება დამთავრადა ადმინისტრატიული წესით—ალილუევს კრძალა კავკასიის სანამესტნიკოს ფარგლებში ცხოვრება.

1903 წელს ხელ-ახლა იქნა მიცემული პასუხისგებაში სისხ. სამართ. მე-1035 იუხ. თანახმად. ბრალდებოდა ტფილისში შემდგარ ჯგუფში მონაწილეობა. ამ ჯგუფის მიზანი იყო მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციების მოწყობა და მუშების გაფიცვა. ამ საქმეზე ალილუევი დაპატიმრებული იყო 1903 წლის ივლისის 25-დან ოქტომბრის 30-მდე. ეს გამოძიება გააუქმა ტფილისის საგუბერნიო თათბირმა 1905 წლის მაისის 22-ს, რადგანაც მასში დანაშაული ვერ აღმოაჩინა. 1903 წელს ალილუევი საკუთარ ბინაზე ინახავდა არა-



ამხ. ს. ალილუევი.

ლეგალურ ლიტერატურას. რამდენიმე დღით ადრე გაფიცვის დაწყებამდე დადიოდა მუშათა ბინებზე და ახდენდა კრებებს, სადაც მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებს ამბობდა და არალეგალურ ლიტერატურას ავრცელებდა.

1905 წელს ალილუევი ტფილისიდან ბაქოში გაემგზავრა, სადაც ამავე წლის სექტემბრის 11-ს შეხვედრილ იქნა „ბოლშევიკების

საერთო საქალაქო კონფერენციაზე" და ბაქოს დროებით გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნა ციხეში სამი თვით. ალილუევს კავშირი ჰქონდა ცნობილ პროპაგანდის ქალი მარია ივანეს ასული ბეზსმერტნაიასთან და ნოე ნიკოლოზისძე ჟორდანიასთან.

1906 წელს ალილუევი არჩეული იყო „ტერორისტთა ჯგუფის" სასამართლოში, რომელსაც სიკვდილით დასასჯელი განაჩენი გამოჰქონდა სხვადასხვა პირების მიმართ.

1906 წელს ალილუევი შეპყრობილ იქნა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში და რკინის გზის რაიონის დროებით გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით როგორც საზოგადოებრივი წესრიგისათვის მავნე პირი და მებრძოლი ორგანიზაციის წევრი, გაგზავნილ იქნა ადმინისტრატიული წესით არხანგელის გუბერნიაში.

რაიონული აგენტურის ცნობებით, რომელიც შეეხება 1910 წლის მაისს, ალილუევი ცხოვრობობს პეტერბურგში, სადაც განაგებს ერთ-ერთ ელექტრონის სადგურს.

ალილუევის პეტერბურგში ცხოვრების შესახებ ცნობები გაეგზავნა პეტერბურგის დაცვის განყოფილების უფროსს საიდუმლო ბარათით 1910 წლის მაისის 22-ს (№ 7674).

VI

ცნობა.

ტფილისის დაცვის განყოფილებისა

„ აგვისტო 1909 წ.

დუმბაძე ვლადიმერ (მამის სახელი არ ვიცით) აგენტურის ცნობებით, რომელიც 1903 წელს შეეხება შედიოდა ტფილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის შემადგენლობაში, მუშაობდა ასოთამწყობათ საიდუმლო სტამბაში და იმავე წლის 30 ნოემბერს ბიქტორ წულაძის ბინიდან დუმბაძემ მანასე გოგუაძესთან ერთად რკინის გზით სადღაც წაიღო შრიფტი. იმავე აგენტურის ცნობით 1905 და 1906 წ. წ. აღნიშნული დუმბაძე სოც. დემ. გაერთიანებულ ორგანიზაციის სტამბაში მუშაობდა. ხსენებული სტამბის აღმოჩენის დროს 1906 წლის აპრილის 15, იქ იპოვეს სილნაღის მაზრის სოფ. გურჯაანის მცხოვრების ელადიმერ ელიზბარის ძე დუმბაძის სახელზე

პასპორტი. როცა ამ პასპორტის შესახებ შევეკითხეთ სიღნაღის მაზრის უფროსს, მან გვიპასუხა, რომ სოფ. გურჯაანის მცხოვრებთა



ანხ. ლადო დუმბაძე.

რიცხვში ვლადიმერ დუმბაძე არ ითვლებაო. აღნიშნული სტატიის საქმეზე უნდა დაპატიმრებულ იქნას ვლადიმერ დუმბაძე, როგორც დაბნაშავე და პასუხისგებაში იქნას მიცემული.

VII

მარტი 1903.

ბოლქვაძე ივანე ბეჟანის ძე.

მეტი სახელი სოც. დემ. ორგ. „колотый“

წოდება—ოზურგეთის მაზრ. (ქუთ. გუბერნიის) აზნაური

ხელობა—გაზეთ „გოლოს კავკაზა“-ს ამწყობი.

წლოვანება, სარწმუნოება დაიბადა 1877 წლის თებერვლის 1-ს. მართლმადიდებელი.

ნიშნები: ტანად პატარა, გამხდარი, თეთრფეროვანი, სახე ლამაზი.

სად ცხოვრობს ამჟამად—ტფილისში თუმანოვის ქუჩაზე სახლ. № 38, ბინა № 6.

პარტიაში მუშაობა.—ტფილისის საგუბერნიო ანდარმთა უფროსის აგენტების ცნობით, რომელიც შეეხება 1903—1905 წ. ბოლქვაძე წარმოადგენს შეგნებული მუშის ტიპს, შედის ტფილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში და არის მისი აქტიური მუშაკი.

1903 წელს ხშირად დადიოდა რ. ს. დ. მ. პ. ტფილისის კომიტეტის მინდობილობით ბაქოსა და ბათუმში, ამიტომ 1903 წლის მარტის 25-ს, ღამით, როდესაც მოხდა ადგილობრივ სოც. დემ. ორგანიზაციის ლიკვიდაცია, ამ დროს ის შეპყრობილ იქნა კომიტეტის წევრის ა. დოლიძის ბინაზე. ის გაჩხრეკილ და დაპატიმრებულ იქნა სახელმწიფო დაცვის დებულების თანახმად. იმავე წლის აპრილის დამდეგს ის განთავისუფლებულ იქნა. 1903 წლის ივნისში პროპაგანდას ეწეოდა მუშათა მასიურ კრებებზე და მოსწავლე ახალგაზრდობაში ა. დოლიძესთან, ი. ბაკურაძესთან და ქართველ მწერალ ეგდოშვილთან ერთად. ივლისის 1-ს ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო ადგილობრივი მუშების მანიფესტაციისა, რომელიც გაიმართა 1900 წელს ტფილისში აღმოჩენილ საიდუმლო სტამბის ამწყობთა აღმოსავლეთ ციმბირში გაგზავნის გამო. უწესოებაში მონაწილეობისათვის 1903 წლის ივლისის 11-ს გაჩხრეკილ და დაპატიმრებულ იქნა. სასჯელთა დებულების მე 318 მუხ. თანახმად ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველო შეუდგა საქმის გამოძიებას. თავართქილაძის სტამბის გაჩხრეკის დროს, იმ კასის ქვეშ, სადაც ბოლქვაძე მუშაობდა, აღმოჩენილ იქნა აღმაშფოთებელი შინაარსის პროკლამაცია,

რომელიც იწყებოდა მიმართვით: „ამხანაგებო“ და ბოლოში მოწერილი იყო—„რ. ს. დ. მ. პ. ტფილისის კომიტეტი“.

1903 წლის ნოემბერში ბოლქვაძე განთავისუფლებულ იქნა ტფილისის პოლიციის მხედველობის ქვეშ. განთავისუფლების შემდეგ მუშებში აერცელებდა აკრძალულ მოწოდებებს და წრის შედგენასაც ცდილობდა. მონაწილეობდა სტამბის მუშათა კრებებზე 1903 წლის 30 ნოემბერს და 25 დეკემბერს და 1904 წლის 11 იანვარს, უკანასკნელ კრებაზე 6 იანვარს მომხდარი დაპატიმრების გამო, ამაღელვებელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: ჩვენ დაჭერამ არ უნდა შეგვაშინოს, უნდა განვაგრძოთ ძველებურათ მუშაობა და მიზნათ დავისახოთ: „ძირს თვითმპყრობელობა“. 1904 წლის თებერვლის 13-ს ხელმძღვანელობდა მუშა პლატონ ხუციშვილის ბინაზე მოწვეულ კრებას. აქ მან კომიტეტის სახელით წინადადება მისცა კრებას ხშირად შეკრებილიყვენ და ბლომათ გაეერცელებიათ მოწოდებები. 1904 წლის აპრილის 11-ს დაპატიმრებულ იქნა სად. ტფილისში დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის, რომელიც მოწყობილი იყო ადგილობრივი სოც-დემ. ორგანიზაციის მუშაკების გადასახლების გამო და გუბერნატორის დადგენილებით მიესჯა ორი თვით ციხეში დამწყვდევა. 3, 6 და 31 ივლისს, 6 აგვისტოს და 14 და 26 სექტემბერს 1904 წელს მის ბინაზე იმართებოდა სტამბის მუშათა კრებები. მონაწილეობას ღებულობდა კრებებზე ამავე წლის 13 და 29 ივნისს და 7 აგვისტოს. უკანასკნელ კრებაზე დამსწრეთ დაურიგა ხელთაწერი ქაღალდი, რომლითაც უნდა შეკრებილიყო სტატისტიკური ცნობები ადგილობრივი მუშების ცხოვრების პირობების შესახებ და უნდა ერთდროულად გადაეხადა მუშებს საიდუმლო კასის სასარგებლოთ დღიური ხელფასი. 1904 წ. სექტემბერში არჩეულ იქნა სტამბების მუშათა წარმომადგენლათ.

1904 წ. სექტემბრის 3-ს, როცა მოხდა ადგილობრივი ს.-დ. ორგანიზაციის ლიკვიდაცია, ბოლქვაძე გაჩხრეკილ და დაპატიმრებულ იქნა, 9 სექტემბერს, რადგანაც მის წინააღმდეგ საკმაო საბუთები არ მოიპოვებოდა, ის განთავისუფლებულ იქნა.

1903 წელს დაწყებული გამოძიება ბოლქვაძის შესახებ 1905 წლის მაისის 22 ტფილისის საგუბერნიო თათბირმა გააუქმა და პოლიციის მხედველობიდანაც გაანთავისუფლა ბოლქვაძე.

ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს აგენტების ცნობით, რომელიც 1910 წელს შეეხება, ბოლქვაძე მონაწილეობას ღებულობდა სოც-დემოკრატების კრებაზე, რომელიც შესდგა დეკემბრის 8-ს რუხაძის ბინაზე, თეატრის შესახვევი სახ. № 26.

1911 წლის თებერვალში იყო ცნობები იმის შესახებ, რომ ბოლქვაძეს დამოკიდებულობა ჰქონდა რ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტთან.

იმავე ცნობებით, რომელიც ეხება 1911 წ. დეკემბერს ბოლქვაძე არის სოციალ-დემოკრატი —ბოლშევიკი. მასთან ბინაზე ხშირად დადიან პარტიული პირები და იქ ხშირად ხდება კრებები.

1912 წლის 20 იანვარს ბოლქვაძის ბინაზე შესდგა კრება, სადაც გადაწყდა 19 თებერვლისათვის სოციალ-დემოკრატიული მოწოდების გამოცემა, ამ დღის დღესასწაულის და აგრეთვე 9 იანვრის გამო.

1912 წლის ივნისში აგენტურის ცნობების თანახმად ბოლქვაძემ ააწყო „შრომა"-ს სტამბაში მენშევიკების და ბოლშევიკების საპირველმაისო ფურცელი.

იმავე წლის დეკემბერში ცნობა მივიღეთ, რომ ბოლქვაძის და კირილე კილაძის ბინაზე ცხოვრობდა ტფილისიდან დონის როსტოვში სოც-დემოკრატების საქმეზე გადასახლებული ერასტი ჩანტლაძე.

გარეგნული თვალყურის დევნების დროს ბოლქვაძე ცნობილია მეტი სახელით—„колотый"

აგენტების ცნობის თანხმად, რომელიც შეეხება 1913 წელს ბოლქვაძის ბინაზე იმალებოდა 1909 წელს კავკასიის სამხედრო სასოლქო სასამართლოს დარბაზიდან გაქცეული ს. დ. მელიტონ ფილია. თვალყურის დევნამ ვერ აღმოაჩინა ტფილისში ფილია. თვალყურის დევნა სწრაფებდა ივნისში და ივლისში.

იმავე წლის 2 ივლისს ის გაჩხრეკილ იქნა და აღმოჩენილი საბუთების მიხედვით დატოვებულ იქნა თავისუფლად.

იმავე წლის აგვისტოს 18-ს მონაწილეობა მიიღო ტფილისის ბეჭდვითი მუშათა საქმის პროფესიონალური საზოგადოების დამაარსებელთა დამფუძნებელ კრებაში.

1914 წელს მუშაობდა ასოთ-ამწყობათ ტფილისში სტამბა „ნადეჟდა"-ში.

იმავე წლის 16 ივლისს (№ 1654) ქუთაისის ქანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწემ ბათუმის ოლქში გვაცნობა, რომ იმავე წლის 4 ივლისიდან ბოლქვაძეზე დაწესებულია გარეგანი თვალყურის დევნება და ითხოვა მის შესახებ ცნობების მიწოდება, რაც მას ეცნობა ივლისის 23-ს (№ 4256).

VIII.

ცნობა.

ტფილისის დაცვის განყოფილებისა.

„17“ ივლისი 1909 წ,

ელიავა შალვა ზურაბის ძე—ქუთაისის გუბ. და მაზრის სოფ. ღანირის აზნაური, სტუდენტი. 1905 წლის იანვრის 17-ს ‚სხვებთან ერთად როგორც სოციალ-დემოკრატი მომუშავე—პროპაგანდისტი დაპატიმრებულ იქნა მოსალოდნელი უწესესობის აღკვეთის მიზნით.

1905 წლის აგვისტოს 14-ს სხვებთან ერთად დაპატიმრებულ იქნა ქუთაისის ქალაქის ბაღში, სადაც შეკრებილ ხალხს საწინააღმდეგო მოწოდებას უკითხავდა.

თვალყურის დევნა მასზე დაწესდა 1904 წლის დეკემბრიდან. შენიშნულია, რომ მას კავშირი აქვს სხვადასხვა მომუშავეებთან, განსაკუთრებით ბოლშევიკების ორგანიზაციის მუშებთან.

აგენტურის ცნობებით, რომელიც 1905 წელს შეეხება, ის იყო სოც. დემ. ბოლშევიკების ორგანიზაციის აქტიური მომუშავე წევრი.

1905 წლის 1 ნოემბერს რკინის გზის სახელოსნოების მუშათა მიტინგზე არჩეულ იქნა თავმჯდომარეთ.

დაპატიმრებულ იქნა 30/31 დეკემბერს 1905 წელს.

1906 წლის აპრილის 15 დაპატიმრებულ იქნა ადგილობრივ სოც. დემ. ორგანიზაციის წევრთა კრებაზე გაზ. „ელვის“ რედაქციაში და მოთავსებულ იქნა მეტეხის ციხეში ტფ. დრ. გენ. გუბერნატორზე ჩარიცხვით.

ადგილობრივი სოც. დემ. ორგანიზაციის ინტელიგენტ მომუშავე ჯგუფის ლიკვიდაციის დროს 1907 წლის დეკემბრის 4-ს ღამით ის გაჩხრეკილ და დაპატიმრებულ იქნა. გაჩხრეკის შემდეგ წაღებული მასალა ოქმთან ერთად წარედგინა ტფილისის ქანდარმთა სამართველოს უფროსს მოხსენებასთან ერთად 1907 წლის დეკემბრის 6-ს თარიღით (№ 4965).

IX.

ტფილისის დაცვის განყოფილება.

თებერვალი, 1905 წლისა.

გვარი სახელი მამის სახელი—გუნდელავა (გულენდავა) დომენტი.

ხელობა—ამიერ-კავკასიის მთავარ სახელოსნოების რკინის გზ. მუშა № 313—შემკრები (сборный) ცეხისა.

ამჟამად სად ცხოვრობს—სურამის ქუჩა რკინის გზის სასწავლებლის სახლი.

პარტიაში მუშაობა. II/16—905 წელს გუნდელავა არჩეულ იქნა შემკრები ცეხის წარმომადგენელის პალენკოს № 93 თანაშემწედ. მას მოჰქონდა წინად და ახლაც პროკლამაციები, რომელთაც ურიგებდა „ოფიცრებს“ და ნაწილს თითონაც ავრცელებდა.

II/22—905 წ. ვინაიდან პალენკო მოუმზადებელია, გუნდელავა დროებით იქნება შემკრები ცეხის წარმომადგენელის მოვალეობის ამსრულებელათ.

მან მოიტანა ცეხში შემდეგი პროკლამაციები: „ტფილისის ყველა მცხოვრებთადმი დაახლოებით 40 ცალი და გადასცა „უნტერ-ოფიცრებს“.

III/8 905 წ. 3 და 4 მარტს 5—7 საათამდე მის ბინაზე შესდგა რკინის გზის მოწინავე მუშათა კრება; პირველ კრებას დაესწრო ინტელიგენტი—ქართველი საშუალო ტანის, გამხდარი, შავგრემანი, თმა საკმაოდ გრძელი აქვს, ულვაშები—საშუალო, ჭერა, აცვია მოლურჯო, ზოლებიანი, რუხი ფერის პიჯაკი, ახურავს რუსული ბეწვეიანი ქუდი და ხელში უჭირავს შავი პატარა ჯოხი. მან ილაპარაკა სოც. დემ. პარტიის „ბოლშევიკებათ“ და „მენშევიკებათ“ გაყოფაზე, ილაპარაკა აგრეთვე პეტერბურგის ამბებზე. დაბოლოს მოხდა შემკრები ცეხის წარმომადგენლის ლავრენტი პალენკოს თანაშემწეთა არჩევნები: არჩეულ იქნენ: 1. დ. გუნდელავა და 2. ერემია ბურჭულაძე, მოლარედ ანდრია გოჩიტაშვილი. პირველ კრებას დაესწრო 20 კაცი, მეორეს 26. მეორე კრებაზე პროპაგანდას ეწეოდა ინტელიგენტი—ქალი (ტანად მაღალი, რუსი, თეთრფეროვანი, საშუალო ტანის, აცვია შავი იუპკა—ზოლებიანი და ყვითელი ფერის მოკლე კოფტა, ახურავს შავი ხავერდის ქუდი, რომელიც თავზე მიმაგრებული აქვს ქინძისთავით. დაწერილებით ილაპარაკა პეტერბურგის ამბებზე.

გუნდელავას ნაცვლად ფურცლებს მოიტანს ივანე მდინარაძე.

III/15—905 წ. 10 და 11 მარტს მის ბინაზე შესდგა რკინის გზის მუშების კრება. დაესწრო 22 კაცი; ამ კრებაზე პროპაგანდას ეწეოდა ინტელიგენტი (რუსი, საშუალო ტანისა, თმა, ულვაშები და წვერი (რგვალი) წითური აქვს, 30 წლისა იქნება, ატარებს მუქი ფერის და ზოგჯერ შავ პალტოს, ახურავს შავი ფაფახი და შავი „პუშკინის“ ქუდი, აცვია შავი შარვალი. 10 მარტს ილაპარაკა პეტერბურგის ამბებზე, 11-ს—სოც.-დემ. პარტიაში მომხდარ რასკოლზე. ეს ინტელიგენტი ორივეჯერ კრებიდან გააცილა გუნდედავამ.

III/22-905 წ. 18 მარტს მის ბინაზე შესდგა მოწინავე მუშების კრება, სადაც პროპაგანდას ეწეოდა ის ინტელიგენტი ქალი, რომელმაც 4 მარტს ილაპარაკა გუნდედავას ბინაზე მოწვეულ კრებაზე. სალაპარაკო საგანი იყო კაპიტალიზმი და სოციალიზმი. ეს ქალი კრებაზე მოიყვანა გრიგოლ კოდინმა. კრებას დაესწრენ: დ. გუნდედავა, ივანე მდინარაძე, ივანე კაპანაძე, თედორე კერესელიძე, ნიკოლოზ იობაშვილი, ალექსანდრე და ევგენი რევე, ივანე კოსტინი, ეფიმ კუჩუკი, გრიგოლ ლავრენტიევი, პაველ სტარკევი და უშაკოვი.

IV/5—905 წ. „ოფიცერი“ და შემკრები ცეხის წარმომადგენელი. 1 აპრილს მის ბინაზე შესდგა შემკრები ცეხის მოწინავე მუშების კრება, რომელზედაც პროპაგანდას ეწეოდა ინტელიგენტი—ქალი (საშუალო ტანის, საკმაოდ სქელი, თმა ოდნავ მოშავო-ქერა, აცვია შავი იუპკა და ცისფერი კოფტა, რომელსაც მკერდზე ნაქარგი აქვს თეთრი ძაფით) გურიის გლეხთა მოძრაობის, იქ აგიტატორებისა და სხვათა დაპატიმრების შესახებ.

IV/12—905 წ. 10 აპრილს მის ბინაზე შესდგა შემკრები ცეხის მოწინავე მუშების კრება. პროპაგანდა გასწია ამ კრებაზე იმავე ქალმა, რომელმაც წინა კრებაზე ილაპარაკა. ილაპარაკა პეტერბურგის ამბებზე, რუსეთის ბურჟუაზიაზე და სხ. ბურჟუაზიის შესახებ სხვათა შორის სთქვა, რომ მასთან უფრო სასტიკი ბრძოლა გვექნება, ვიდრე თვითმპყრობელობასთან. სხვათა შორის ის აზრიც გამოსთქვა, რომ ტფილისში მუშები უფრო არიან მომზადებულნი, ვიდრე რუსეთშიო. (ნიშნების მიხედვით ის უნდა ყოფილიყოს „Розовая“).

IV/26—905 წ. აგენტურის საშვალებით მან გადასცა საიდუმლო წერილი ბაქოში ელექტრონის სადგურის ჭეინკალის გრიგოლ ხრაპაკოვის სახელზე.

V/3—905 წ. 29 აპრილს მას გადასცა გრიგოლ ლავრენტიევმა ხმალი, რომელიც ყაზახს მოპარა მისმა ამხანაგმა. ეს ხმალი გუნდედავამ გადასცა ორგანიზაციას.

V/24—905 წ. 20 მაისს სოლომონ პანოზოვის ბინაზე დაესწრო შემკრები ცეხის მოწინავე მუშათა კრებას. 22 მაისს მის ბინაზე შესდგა იმავე მუშების კრება, რომლებიც პანოზოვის ბინაზე იყვნენ შეკრებილნი (იხ. ცნობა პანოზოვის შესახებ). ამ კრებას ინტელიგენტი არ დასწრებია. გაირჩა რამდენიმე საკითხი. გადაწყდა—უკეთუ ნაციონალურ ნიადაგზე განხეთქილება ჩამოვარდებოდა, ისე როგორც ეს ბაქოში და ნახიჩევანში მოხდა, ყველანი გაფიცულიყვნენ.

VI/14—1905 წ. 13 ივნისს მის ბინაზე შესდგა შემკრები ცეხის მოწინავე მუშების კრება; კრებას დაესწრო პროპაგანდისტი ლევ ბორისისძე როზენფელდი. კრებაზე იყვნენ: კალუდინოვი ალექსი (რომელიც გამოვიდა „მენშევიკების“ სახელით), ვიტუხინ ივან, კოსტინ ივან, ბურჯულაძე ერემია, კერესელიძე მათე, კოზლოვი პეტრე, კრავჩენკო, მაისურაძე ალექსანდრე, გოჩიტაშვილი ანდრო, ლავრენტიევი გრიგოლ, კოროტალი გრიხტ, კაპანაძე „ალექსე“ და უცნობი პირნი სულ 20-მდე კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრიბუნა.

ბოლშევიზმის ისტორიისათვის ამიერ-კავკასიასა და საქართველოში.

ქვემოდ მოთავსებული მასალა ჩვენს რედაქციას გადმოეცა „გაზ. „ზარია ვოსტოკას“ რედაქციისაგან, ზოგიერთი ამათგანი (ამხ თალაკვაძის უკანასკნელი სტატია) ახლად იბეჭდება, ამხ. კალანდაძის სტატია კი გადმოთარგმნილია გაზ. „მუშა“-დან. მთელი ეს მასალა წარმოადგენს დისკუსიის პარტისის წესით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქმე ამით არ გათავდება და შემდეგში დისკუსია გაშოარკვევს ჩვენი პარტიის წარსული მუშაობის ბევრ მხარეებს. ახლა კი, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რაც აუცილებელია ვიცოდეთ, როცა 1905 წლის პარტიის ისტორიის გადმოცემას შეუდგებით საქართველოს მასშტაბით.

დისკუსიიდან თითქოს გამომდინარეობს, რომ ქართული მარქსიზმი აღმოცენდა როგორც ფენიქსი და განვითარდა დამოუკიდებლათ: რუსეთის ბოლშევიზმის გარეშე ამიერ-კავკასიაში არ ყოფილა, არც შეიძლება ყოფილიყო თავისი, განსაკუთრებული ბოლშევიზმი. ეს უნდა დაეიმახსოვროთ. შემდეგ ამხ. თალაკვაძე სრულიად არა სწორად ხატავს ჩვენი პარტიის როლს და მოქმედებას საქართველოში 1905 წელს. ამხ. კალანდაძე საქმაო საბუთებით უარყოფს საქართველოში 1905 წ. მომხდარი ამბების იმ შეფასებას, რასაც იძლევა საქ. კომპ. ცეკას პარტისის ხელმძღვანელი.

დაბოლოს, რაც თვალში გეცემათ ამ დისკუსიაში,—ეს ამა თუ იმ ამხანაგის, როგორც ცენტრალური ფიგურის, პირველ რიგში წამოყენება პარტიის ისტორიაში (საქართველოში). ნუ თუ ეს ასე აუცილებელია და საჭირო? უკეთესი არ იქნებოდა მოძრაობის ფაქტების, ამბების აღწუსხვა, სულიერი განწყობილების და მუშაობის ჩამოთვლა არა ცალკე პიროვნებათა, არამედ თვით მუშათა კლასის მასების და პარტიული ორგანიზაციებისა?

ასეთია ჩვენი შენიშვნა ამხ. ხანოიანის, თალაკვაძის და კალანდაძის სტატიების გამო. **რედაქცია** („კავკაზსკი ბოლშევიკ“-ისა).

„რევ. მატ.“ **რედაქციისაგან**: ქვემოდ მოცემული ორი წერილი: 1) რამდენიმე სიტყვა „კავკაზსკი ბოლშევიკის“ შენიშვნის

გამო" და 2) ეს მართლაც შესაფერი საქმეა „მისთვის" (ამხ. თ. კალანდაძის წერილის გამო), დაწერილია ამხ. ს. თალაკვაძის მიერ იმ წერილების პასუხად, რომლებიც მოთავსებული იყო ჟურ. „კავკაზ. ბოლშევ." რედაქციისა (იხ. ზემოდ მოთავსებული წერილი „ბოლშევიზმის ისტორიისათვის ამიერ-კავკასიასა და საქართველოში), და თ. კალანდაძის მიერ (ამხ. თ. კალანდაძის წერილი პირველად მოთავსებული იყო გაზ. „მუშაში,-შემდეგ „კავკაზსკი ბოლშევიკ"-ში დაიბეჭდა მისი თარგმანი.

ეს წერილები დაწერილი იყო რუსულად „კავ. ბოლშ"-ში. მოსათავსებლათ, მაგრამ რადგანაც გამორკვეული არ არის, თუ როდის გამოვა ჟურნ. „კავკ. ბოლშევიკი", ამიტომ რედაქციამ საჭიროდ დაინახა მათი მოთავსება „რევ. მატ". ფურცლებზე.

I

რამდენიმე სიტყვა „კავკაზსკი ბოლშევიკ"-ის შენიშვნის გამო.

„კავკაზსკი ბოლშევიკ"-ის რედაქცია ათავსებს რა სადისკუსიო სტატიებს ამხ. ხანოიანის, თ. კალანდაძის და ჩემსას, რომლებიც შეეხებიან ფრაქციული ბრძოლის ისტორიას ამიერ-კავკასიაში, კერძოთ კი საქართველოში, მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის 1905 წლის რევოლიუციის დროს, შემდეგს შენიშვნას:

„დისკუსიიდან თითქოს გამომდინარეობს, რომ ქართული მარქსიზმი აღმოცენდა როგორც ფენიქსი. განვითარდა დამოუკიდებლათ. რუსეთის ბოლშევიზმის გარეშე ამიერ-კავკასიაში არ ყოფილა, არც შეიძლება ყოფილიყო თავისი, განსაკუთრებულ ბოლშევიზმი. ეს უნდა დავიმახსოვროთ. შემდეგ ამხ. თალაკვაძე სრულიად არა სწორად ხატავს ჩვენი პარტიის როლს და მოქმედებას საქართველოში 1905 წელს. ამხ. კალანდაძე საქმაო საბუთებით უარყოფს 1905 წ. მომხდარი ამბების იმ შეფასებას, რასაც იძლევა საქ. კომპ. ცეკას პარტიის ხელმძღვანელი.

„დაბოლოს, რაც თვალში გეცემათ,—ეს ამა თუ იმ ამხანაგის, როგორც ცენტრალური ფიგურის, პირველ რიგში წამოყენება პარ-

ტიის ისტორიაში (საქართველოში). ნუ თუ ეს ახე აუცილებელია და საჭირო?" და სხ.

ჩემის აზრით, ამ შემთხვევაში უკეთესი იქნებოდა რედაქციას უფრო ნეიტრალური პოზიცია დაეკავებია, არ აეყვანა ამ დისკუსიაში თავის მფარველობის ქვეშ ამხ. ხანოიანი და კალანდაძე განსაკუთრებით ეს უკანასკნელი თავისი „საკმაო საბუთებით" საქართველოში 1905წ. მომხდარი ამბების შეფასების საქმეში, რადგანაც ამხ. კალანდაძის პოზიცია ამ საკითხში მეტად უიმედოა და არა გვგონია ის ამ პოზიციას დიდხანს შერჩეს.

მე არსად არ დამიკერია, აზრადაც არ მომსვლია დამეწერა, რომ მარქსიზმი, მით უმეტეს, ბოლშევიზმი საქართველოში აღმოცენდა და განვითარდა საერთო რუსეთის ბოლშევიზმისაგან დამოუკიდებლათ, პირიქით, მე ყოველთვის ვწერდი და ვიცავდი იმ დებულებას, რომ საქართველო და ამიერ-კავკასია ყოველ სფეროში—პოლიტიკურად, კულტურულად, ეკონომიურად განვითარდენ რუსეთის გავლენის ქვეშ. და რუსეთის ასეთ გავლენას ჩვენ ვამჩნევთ არა მარტო 1900 წლიდან—იქ ბოლშევიზმის ჩასახვიდან, არამედ მე-19 საუკუნის 50 წლებიდან. ეს აზრი მე გატარებული მაქვს სხვადასხვა დროს მოთავსებულ წერილებში ჟურ. „რევ. მატიანე"-ში.

და როდესაც მე ვსწერ საქართველოს მუშათა ბოლშევიკურ-რევოლიუციონურ განწყობილობაზე, ამით სრულიადაც იმას არ ვამბობ, რომ ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური, პარტიული მიმდინარეობა აღმოცენდა ჩვენში დამოუკიდებლათ.

დიახ, ბოლშევიკური სულიერი განწყობილება, ბოლშევიზმის იდეა იყო მუშათა შორის, ამბ. ლენინმა მეცნიერულად დაამუშავა ეს იდეა, მისცა ამ მიმდინარეობას პოლიტიკური კალაპოტი.

და როცა ვსწერდი „ეკონომიზმსა" და „პოლიტიციზმზე" („კავკაზ. ბოლშ." № 1) მაშინ აშკარად ვამბობდი („რევ. მატ."), რომ ეს მიმდინარეობა მხა-მხარეულად გადმონერგილი იქნა რუსული სინამდვილიდან ქართულ ნიადაგზე, ამის შემდეგ განა შემეძლო მეთქვა (არც მითქვამს), რომ ბოლშევიზმს, როგორც მოძღვრებას, როგორც პოლიტიკურ მიმდინარეობას, შეეძლო ჩვენში გაჩენილიყო დამოუკიდებლათ?

საერთოდ, პირველი რევოლიუცია,—1905 წლის რევოლიუცია საქართველოში და ამიერ-კავკასიაში ნაკლებად შესწავლილი და გამოკვლეულია; მოინახება, რა თქმა უნდა, ბევრი სადავო კითხვები ამ მოძრაობის შესწავლის დროს, ამიტომ, ვიმეორებ, ჯერ ნაადრევია

ავტორიტეტული ორგანოსათვის გამოიტანოს კატეგორიული აზრი მხოლოდ ამხ. თ. კალანდაძის „საბუთებით“.

დაბოლოს, გაუგებარია რას მოხვდა თვალში რედაქციას „ამა თუ იმ ამხანაგის წინ წამოყენება“.

თუ თითონ ისტორია წინ აყენებს ამა თუ იმ პიროვნებას, ნუ თუ ეს საინტერესო არ არის ახალგაზრდა თაობისათვის?

მაგრამ, ამასაც რომ თავი დავანებოთ, არ შეიძლება სწეროთ რევოლიუციონურ მოძრაობაზე და არ მოიხსენიოთ მისი მოღვაწენი:

Из песни слов не выкинешь,—როგორც იტყვიან.

ს. თალაკვაძე.

II

ეს მართლაც შესაფერი საქმეა „მიხთვის“.

(ამხ. თ. კალანდაძის წერილის გამო).

ახლახან გამოსულ ჟურნალ „კავკაზსკი ბოლშევიკის“ პირველ ნომერში დაბეჭდილია ამხ. თ. კალანდაძის სტატია სათაურით—„შეუფერებელი საქმე“. ეს სტატია კრიტიკაა ჩემი წერილის, რომელიც მოთავსებული იყო „რევოლიუციის მატიანე“-ში (№ 4—5 (9—10) 1924 წ.) სათაურით—„1905 წელი“.

ხანგრძლივი „დასვენებისა“ და უქმად ყოფნის შემდეგ ამხ. თ. კალანდაძემ „საქმე“ გაიჩინა. მან „კრიტიკას“ მიჰყო ხელი.

ყველა დამეთანხმება, რომ კრიტიკა კარგი და საჭირო საქმეა, უკეთუ ის ამ შემთხვევაში დახმარებას გაუწევს საქართველოს მდიდარ რევოლიუციონურ წარსულის შესწავლის, გამოკვლევის საქმეს. ცხადია, ასეთი კრიტიკა უნდა იყოს ობიექტიური, მოუდგომელი, საქმიანი და მხოლოდ მაშინ შეიძლება მას სარგებლობის მოტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის იქნება პირადი ხასიათისა და უარყოფითი. გადავხედოთ, დაცულია თუ არა ეს წესები ჩვენი „კრიტიკოსის“ მიერ?

უყურადღებოთ ვტოვებ რა ამხ. თ. კალანდაძის ჩვეულებრივ სულელურ ყოყოჩობას მოწინააღმდეგისადმი (ამ შემთხვევაში თავისი ამხანაგისადმი), გვერდს ვუვლი მის მიერ ჩემი პიროვნების ბოროტულ დახასიათებას და გადავდივარ ამხ. თ. კალანდაძის სტატიის მთავარ „დებულების“ გარჩევაზე.

ჩემი წერილის—„1905 წელი“—შენიშვნაში დაბეჭდილი იყო, რომ „1905 წლის ბოლომდე სოც.-დემ. პარტიაში საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული ფრაქციული შეურიგებელი ბრძოლა". აქ შეცდომით (კორექტორის) 1904 წლის ნაცვლად დაიბეჭდა 1905 წელი, რაც გასწორებულია შემდეგ ნომერში („რევ. მატ." № 1 (11) 1925 წ.

რომ ეს იყო შეცდომა (კორექტურული) და არა ჩემი აზრი, ეს კარგად იცოდა „ძველი გვარდიის ბედით დაინტერესებულმა" ჩვენმა ჰკუა გრძელმა ამხ. თ. კალანდაძემ ჩემივე წერილებიდან, რომლებიც მოთავსებული იყო „რევოლიუციის მატიანე"-ს 1923 წლის ნომრებში. როგორც ხსენებულ წერილებში, ისე ამხ. ხანოიანთან პოლემიკის დროს ფრაქციული ბრძოლის დასაწყისად სხვადასხვა ადგილას მე მოხსენებული მაქვს: „1904 წლის მიწურულიდან", „1905 წლის დასაწყისიდან", „1905 წლის დასაწყისში" და სხვ.

აი მაგალითებიც: მე ვსწერდი„... ეს იყო 1905 წლის დასაწყისში... პარტიაში მომხდარ რასკოლს მენშევიკები ლენინს აბრალებდენ.." „ამ ყალბმა ინფორმაციამ და მასზე აშენებულმა დემაგოგიამ ყველაზე მახინჯი სახე საქართველოში მიიღო (იხ. „რევ. მატ " № 5—1923 გვ. 26—27). ასე ვსწერდი მე 1923 წელს.

რას ვსწერდი 1925 წელს ამხ. ს. ხანოიანთან პოლემიკის დროს? „1905 წლის თებერვალ—მარტში მათ (მენშევიკებმა) ის იყო ბრძოლა დაიწყეს ბოლშევიკების წინააღმდეგ **ორგანიზაციებში**, შეეკადენ გვლენის მოპოვებას მუშათა შორის, მაგრამ **ორგანიზაციებში** იმ ხანებში **ჯერ კიდევ** გაბატონებული იყვნენ ბოლშევიკები... საქართველოს **ორგანიზაციებში** მენშევიკების გავლენა და **სრული** გაბატონება იწყება 1905 წლის მიწურულიდან და სხ.*).

ეს სტრიქონები მე არ დამიწერია ზეპირად, არ მომიყვანია „მოგონებათა" მიხედვით, ამისთვის ხელთ მქონდა ისეთი „ჯიუტი" საგნები—ფაქტები, დოკუმენტები, როგორიც არიან მენშევიკების იმ დროინდელი ბეჭდვითი ორგანოები. ამათი უარყოფა შეუძლებელია ამხ. ხანოიანისა და კალანდაძის თავისებური მოგონებებით ან მათი ოსტატურად დაწერილი სტატიებით.

სად მიეყენებათ მათ „კრიტიკას"?

რათა გამთათხონ, „გამანადგურონ", ეს ამხანაგები, განსაკუთრებით თ. კალანდაძე, **უნებლიეთ** თავიანთი მფარველობის ქვეშ აყენებენ მენშევიზმის წარსულ მოღვაწეობას ჩვენში, რაც აშკარად ეწი-

*) 1905 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მოეწყო მენშევიკების საოლქო კომიტეტი, რომელმაც შესცვალა მენშევიკური კავკასიის ბიურო და დეკემბრის გასულს შეუდგენ მენშევიკური დღიური გაზეთის „სხივის" გამოცემას.

ნაალმდეგება პარტიისა და პარტიის მიზან-ამოცანებს. და განა ასეთი მუშაობა მათის მხრით სასურველ შედეგს მოიტანს?

შემდეგ, ამხ. ხანოიანის საპასუხოდ მე ვსწერდი: „1905 წ. პირველ ნახევარში (ე. ი. დასაწყისიდან) კობა—სტალინი ტფილისში არ ყოფილა. ის დადიოდა დასავლეთ საქართველოში—ჭიათურაში, ბათუმში *), გურიაში, სადაც დისკუსია-პრილემიკას აწარმოებდა მენშევიკებთან.

და ყველაფერი ეს აშკარად არ ამტკიცებს იმას, რომ ფრაქციული ბრძოლის დასაწყისად მე არ მიმაჩნია 1905 წლის გასული?

და მე დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ეს იცოდა, წაკითხული ჰქონდა ამხ. თ. კალანდაძეს, მაგრამ მან მაინც ინება დაეწერა თავისი „შეუფერებელი საქმე".

რა სახელი ვუწოდოთ ამხ. კალანდაძის ასეთ საქციელს?...

1905 წლის ფრაქციული ბრძოლის შესახებ ამხ. თ. კალანდაძე სწერს ისტორიას ასე:„ 1905 წლის დასაწყისიდან საქართველოს უმთავრეს პროლეტარულ ცენტრებში (ბათუმი, ტფილისი, ჭიათურა და სხ.) ფრაქციონური ბრძოლა იყო მეტად მწვავე... 1905 წლის განმავლობაში, ყოველი შემთხვევაში, გაზაფხულიდან მენშევიზმი, როგორც ფრაქცია, გაბატონებული იყო თითქმის მთელს საქართველოში, მცირე გამოკლებით.

აქ ნაცვლად ისტორიისა ამხ. თ. კალანდაძე გამოაქვს საკუთარი ფანტაზია. გავერკვათ რაშია საქმე: მენშევიკების ბეჭდვითი ორგანო „სოციალ-დემოკრატ"-ში (ქართულ ენაზე, გამოც. 1905 წ. მაისი) № 2 ვკითხულობთ, რომ „სრულიად კავკასიის" მენშევიკების ფრაქციულ კონფერენციაზე საქართველოდან წარმოდგენელი იყო მხოლოდ ტფილისი და ნაწილობრივათ გურია **), ბათუმის დელეგატმა კი მენშევიკების ეს ფრაქციული კონფერენცია დასტოვა, დანარჩენი ორგანი-

*) ამ სტრიქონების ავტორი შემთხვევით დაესწრო იმ ხანებში ბარცხანაში (ბათუმი) ერთ ერთ ასეთს მოწინავე მუშებს შორის გამართულ დისკუსიას. აქ იყვნენ, როგორც მახსოვს, კობა-სტალინი, კოწია ხომერიკი, ილიკო წოწიშვილი, ტარასი მგალობლიშვილი, თენგიზ ფოფტი, გერმანე მგალობლიშვილი (ყველა ბოლშევიკები). მენშევიკებიდან იყვნენ: ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი, იას. მეგრელიძე, ვლადიმერ ჯიბლაძე, ალექსანდრე დგებუაძე, კალანდაძე (სახელი არ მახსოვს) ნიკო მგელაძე, ბარამიძე, თავართქილაძე, დუდუჩავა და სხ. (ყველა მენშევიკები). სულ 30—40 კაცამდე.

**) ზოგიერთი რაიონებში ჯერ კიდევ გრძელდებოდა ფრაქციული ბრძოლა, ზოგიერთი რაიონები ჯერ კიდევ ვერ დაეყრდნო მენშევიკებს, რაც ხელს უშლიდა მენშევიკებს არჩეულებინ მოეხდინათ თავის მენშევიკურ ფრაქციულ კონფერენციაზე.

ზაციები—ჰიათურის, იმერეთ-სამეგრელოს (ჭუთაისი), რაჭა-ლეჩხუმის, გორის და სხვა რაიონების ორგანიზაციები არ დასწრებიან კონფერენციას, მაშასადამე, ისინი აღიარებდენ მხოლოდ ერთად ერთი კავკასიის კავშირის (ბოლშევიკური) კომიტეტის ხელმძღვანელობას.

ვინ იყვნენ 1905 წლის გაზაფხულის გასულს საქართველოდან წარმომადგენლებათ ლონდონში გამართულ ჩვენი პარტიის ყრილობაზე? ამ ყრილობაზე საქართველოდან მარტო ბოლშევიკები არ იყვნენ? არ შეიძლება ამ ისტორიული ფაქტის უარყოფა მხოლოდ „მოგონებებით". თვით მენშევიკები არ უარყოფენ ამ ფაქტს. იმ დროინდელი მენშევიკური „სიკ. დემ." კამათიდან აშკარად სჩანს, რომ ტფილისის და გურიის ორგანიზაციების გარდა არა ბოლშევიკურად ისინი სთვლიან ბათუმის ორგანიზაციას. დავა არის იმის შესახებ, ჰქონდა ბათუმის ორგანიზაციას უფლება მე III ყრილობაზე დელეგატის გაგზავნისა, თუ არა.

და განა ეს ფაქტები არ ლაპარაკობენ იმაზე, რომ გაზაფხულზე და 1905 წლის მეორე ნახევრამდე ორგანიზაციებს საერთოდ ხელმძღვანელობდა კავშირის კომიტეტი, ორგანიზაციების უმრავლესობაში **ჯერ კიდევ** ბატონობდენ ბოლშევიკები?

შესაძლოა ამ ორგანიზაციებში ადგილი ჰქონდა ყრუ „მასსიურ" ღელვას ბოლშევიკების წინააღმდეგ, მაგრამ რა საქმე აქვს **ისტორიას** იმის ძებნასთან, თუ ვის როგორი განწყობილება ჰქონდა, ვინ რაზე ფიქრობდა, ან ოცნებობდა!

ისტორიას საქმე აქვს ფაქტებთან, დოკუმენტებთან, რეალურ ამბებთან, ძალთა რეალურ განწყობილებასთან ამა თუ მხარის სასარგებლოდ.

კითხვა იბადება: ამხ. თ. კალანდაძე ამხ. ს. ხანოიანთან ერთად რისთვის ლაპარაკობს მენშევიკების სასარგებლოთ და **ამცირებს** ბოლშევიკების როლს?

ახლა ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო და განვითარდა ფრაქციული ბრძოლა საქართველოში მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის; როცა საქმეს გავეცნობით, სინამდვილეში ეს ბრძოლა ასე წარმოგვიდგება: 1904 წლის მეორე ნახევრიდან ემჩნეოდა მენშევიკური, სუსტი უკმაყოფილება, რაც მოსასწავებელი იყო მომავალი ფრაქციული ბრძოლის. ეს იყო გამოწვეული იმ წერილებით, რომელთაც მენშევიკი ნ. ჟორდანია თავის მეგობრებს საზღვარგარეთიდან უგზავნიდა, მაგრამ ნ. ლენინის „პროლეტარიის—„რა ვაკეთოთ"-ის წაკითხვის შემდეგ ნ. ჟორდანიამ, ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი და სხვ. გამოჩენილი პირები ორგანიზაციაში ერთად იდგნენ ლენინის პოზიციაზე სხვა,

საკავშირო კომიტეტში მომუშავე ლენინელებთან ერთად; ეს გარემოება და აგრეთვე მასების რევოლიუციონური სულიერი განწყობილება მენშევიზმს ხელს უშლიდა ორგანიზაციაში არა თუ განვითარებას, უბრალო გამოჩენასაც კი.

1905 წლის დასაწყისში მდგომარეობა იცვლება. ტფილისის კომიტეტსა და კავშირის კომიტეტს შორის ჩამოვარდნილ შეხლა-შემოხლის და აგრეთვე ნ. ჟორდანიას პირადი გაელენის წყალობით *), რომელიც დიდი ხნიდან ამზადებდა ნიადაგს მენშევიზმისათვის თავის ახლო მეგობრებს შორის—იანვრის გასულს ტფილისის კომიტეტი გამოვიდა კავშირის კომიტეტიდან და ასე უარყო მისი ხელმძღვანელობა. თებერვლის გასულს საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებული ნ. ჟორდანია ბოლშევიკურ ჟურნალ „მოგზაურში"-ში ათავსებს ფრაქციულ წერილს; ამ წერილის წინააღმდეგ იბეჭდება ამბ. ს. წულუკიძის მიერ დაწერილი საპასუხო წერილი რედაქციის სახელით. ამ დღიდან იწყება „სიახლოხ", ასე ვთქვათ, ოფიციალური ფრაქციული ბრძოლა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის, რამაც შემდეგ მიიღო მეტად მწვავე ხასიათი.

აპრილის პირველ რიცხვებში მენშევიკების ფრაქცია სცემს საკუთარ არალეგალურ ბეჭდვითი ორგანოს ქართულ ენაზე—„სოციალ-დემოკრატს" და აპრილის ბოლოს მენშევიკები იწვევენ „კავკასიის" კონფერენციას, რომელიც არ იყო სრული. არ შეიძლებოდა მისი კავ. კონფერენციათ ჩათვლა, რადგანაც ამ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ ტფილისის და გურიის კომიტეტები. ამ კონფერენციაზე „გიმოთჩეკა" მენშევიკური „კავკასიის ბიურო".

1905 წლის მეორე ნახევრიდან, იულის-აგვისტოდან, გაცოფებული კამპანიის და დემოგოგიის წყალობით მენშევიკებმა შესძლეს საქართველოს ორგანიზაციებში მბრძანებელი მაღლობების დაპყრობა **) და ასე შემდეგ თანდათანობით ხელში ჩაიგდეს სხვა ორგანიზაციებიც. 1905 წლის გასულს მენშევიკები უკვე გაბატონებული იყვნენ ყველა ორგანიზაციებში, მაგრამ მაშინაც კი, როცა მდგომარეობის ბატონებათ და ხელმძღვანელებათ მენშევიკები იყვნენ, ბრძოლის პოლიტიკური ხაზი მათ მაინც ძველი ჰქონდა, რადგანაც ლენინის

*) უდავოა, რომ ნ. ჟორდანიას, ამ ცნობილი მწერლის ავტორიტეტი, რომელსაც თავი ისახელა ილია ჭავჭავაძესთან ლიტერატურულ ბრძოლაში, დიდი იყო. ქართველი მშრომელი მასის მიმართველობა მისდამი დიდი იყო.

**) 1905 წლის აგვისტოს გასულს მოწვეული იქმნა მენშევიკების მეორე კონფერენცია, სადაც მართლა იყო წარმოდგენილი საქართველოს ორგანიზაციების უმრავლესობა (იხ. „სოც. დემ." № 6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრონშიურაზე—„რა ვაკეთოთო“ აღზრდილი მუშები და უღარიბესი გლეხები აშკარად აგრძნობინებდენ მენშევიკებს, რომ მათ მიდგომოდენ და ეხელმძღვანელებიათ ბოლშევიკურად; ამიტომ თვით მენშევიკების ლიდერები იძულებულნი იყვნენ გაჰყოლოდენ შეკავშირებულ მუშებსა და გლეხებს, რომლებიც სწრაფი რევოლიუციონური ნაბიჯით მიე ქანებოდენ წინ.

ამ შემთხვევაში ჩემს აზრს არ ეწინააღმდეგება თვით „ამაყი“ ამხ. თ. კალანდაძე.

რაც შეეხება გურიას, აქ ზოგიერთი რაიონული ორგანიზაციები და თვით გურიის კომიტეტი ვერ შეეგუნენ მენშევიკების ტაკტიკას. მენშევიკების ბრძოლის ხაზს... მათ ბოლშევიკებთან ერთად ბოიკოტი გამოუცხადეს „საერობო კამპანიას“, რის გამო ცენტრიდან ლიდერებს მოუხდათ თავიანთი გურიის ორგანიზაციების გადახალისება*). ამგვარსავე მოვლენას ჰქონდა ადგილი ტფილისში და ბათუმში იმ განსხვავებით, რომ მუშები ამ შემთხვევაში არ სტოვებდენ რევოლიუციონურ, ბოლშევიკურ ხაზს და ასე, იმის ნაცვლად, რომ მუშები გაჰყოლოდენ მენშევიკებს, თვით მენშევიკი ლიდერები მისჩაჩალებდენ მუშებს...

შევერდეთ დროებით აქ და გავყვეთ ჩვენს „კრიტიკოსს“, გავიცნოთ ეხლა მკითხველთ ის, თუ რამდენათ წვრილმანი და მდაბალი ხდება ადამიანი, როცა ის კბილ-კრეჭიობის მიზნით ამაბინძურებს მოპირდაპირის აზრს.

კატეგორიულად ვაცხადებ (და ამის შესაფერი დოკუმენტები ქვემოდ მექნება მოყვანილი), რომ ამხ. თ. კალანდაძეს ჩემი წერილიდან—„1905 წელი“ არც ერთი ციტატა სწორად, დაუმახინჯებელათ არ მოუყვანია და ყველაფერი ეს მას იმისთვის დასჭირდა, რომ შემდეგ განეგრძო თავისებური კბილ-კრეჭიაობა და წერა იმის შესახებ, რომ მე არ მივარგა არც სტილი, არც აზრი და სხ. დამეთანხმება მკითხველი, რომ ეს დონ-კიხოტობაზე უკეთესი არაფერით არაა და ჩვენი „უებრო და უშიშარი რაინდი“ ე. ი. თ. კალანდაძე, ებრძვის ქარის წისლებს არა ნაკლებ...

აი იმის მაგალითი, თუ როგორ მოჰყავს ამხ. თ. კალანდაძეს ციტატები, რა თქმა უნდა, თვისი კომენტარიებით, ჩემი წერილიდან. ჩემი წერილიდან ციტატა მას ასე მოჰყავს: „ბოჭაულები, სტრაჟნიკები სოფლებიდან იდევნებოდენ და მათ ალაგას ბატონდებოდა მშრომელი გლეხობის მიერ არჩეული ათისთავები და ასისთავები, მოჰყავს

*) იხ. ამის შესახებ გაზ. „სოც. დემ.“ № 6.

რა ამგვარად ჩემი ციტატა, ის გაიძახის: „როგორ მოგწონთ არჩეული ათისთავების ბატონობა აჯანყებულ გლეხებზე" და დაასკვნის: „აქ არა თუ უაზრობაა, არამედ სრული უცოდინარობაა ჩვენი პარტიული ანბანისა."

მე კი ვსწერდი: „ბოქაულ-სტრაჟნიკები სოფლებიდან იდევნებოდა და მათ ალაგას ბატონდებოდენ მწვრომელ გლეხობის მიერ არჩეული ათისთავები, ასისთავები,—**აჯანყებულ გლეხთა რევოლიუციონური კომიტეტები**.

მას რომ არ გამოეტოვებია ჩემ მიერ ხაზგასმული უკანასკნელი სიტყვები, საბუთი აღარ ექნებოდა ასეთი თავხედობისათვის. და კიდევ ამგვარ შეუფერებელ საქციელს ის ამართლებს „მარქსიზმისა" და „ჩვენი პარტიული ანბანის" ცოდნით. იმას გარდა, რომ ჩვენს „კრიტიკოსს" თავი უჭირავს მეტად თავხედურათ, თვისებურათ—**კალანდაძისებურათ** გამოდის—კლასიურ საზოგადოებაში „მარქსიზმის ანბანი" უარყოფს კლასის ბატონობას კლასზე...

შემდეგ, ამბ. თ. კალანდაძე განაგრძობს ციტატების მოყვანას: „მწრომელი ხალხის მიერ შევიწროვებული მემამულეები და თავადები შეუდგენ შავი რაზმების მოწყობას" და დასძენს: აქაც უცოდინარობა და ბურუსია: „კავშირ „და"-ს წყალობით გამოდის, რომ მემამულე და თავადები ორი სხვადასხვა სოციალური კატეგორიაა, ორი წოდება, ორი კლასი. (ო-ო-ო რამდენი საღებავია დახარჯული! **ს, თ.**) ეს ზღაპარია. საქართველოში იმ დროს ყოველი მემამულე იყო თავადი" და სხვა.

ჩემს პატარა წერილში—„1905 წელი"—ექვს ალაგას ხსვადასხვა წინადადებაში სიტყვა-სიტყვით სწერია: „მემამულე—თავად-აზნაურები" და მხოლოდ ერთ ალაგას (მეოთხე ალაგას) მე უნებლიეთ მიხმარია კავშირი „და" სწორედ ეს მონახა (უეჭველია დიოგენის ფანარით) ამბ. კალანდაძემ და გამოათრია „საქვეყნოდ", რათა ამით დაემტკიცებია ჩემი უვიცობა...

ეს „ახირებული" კავშირი „და" რომ არ „შეეწუხებია" ამბ. კალანდაძეს, მე ისედაც ავუხსნიდი მას, რომ **ჭონებრივად** ყველა თავადაზნაური არ არის მემამულე, პირიქით, ზოგიერთი გლეხები ან გლეხობიდან გამოსულები არა თავადი და აზნაურნი ჩვენში არიან მსხვილი მიწათმფლობელნი, მემამულენი; მაშასადამე, ყოველი მემამულე ჩვენში თავად-აზნაური არ არის; მოიპოვებიან ჩვენი „მემამულეები" არა თავად-აზნაურნი. ასეთ „მემამულეებს" გლეხობიდან საქართველოში ჩვენ ვიცნობთ ჯერ კიდევ 1905 წლამდე გ. წერეთლის რომანებიდან. და აქაც რომ ერთმანეთს დაეუპირდაპიროთ

ჩვენ მემამულე და თავადი, მაშინაც არ ვიქნებით მარქსიზმის მოღალატენი-

ამბ. კალანდაძეს, ამას გჯრდა, არ მოსწონს ჩემი გრამატიკა, ჩემი სტილი.

წარმოდგენილი მაქვს რა დარჩებოდა ამბ. კალანდაძეს თავის ნაწერებიდან, რომ ისინი გრამატიკული და სტილისტიური გასწორებისათვის ამ „საქმის“ მცოდნესთვის გადაეცა. სხვათა შორის, თავისი საყვედურით ამბ. კალანდაძემ მომაგონა ძველი დავა ამ ნაირსავე საგანზე. ქართველი ფეოდალების გაზეთი „ივერია“ ილ. ჭავჭავაძის მეთაურობით სასაცილოდ იღებდა „კვალის“ მწერალ მესამე დასელებს. არ მოსწონდა მათი გრამატიკა, სტილი. მესამე დასელები ამაზე პირდაპირ უპასუხებდენ: ჩვენი აზრი გასაგებია, სხვა ჩვენ არ გვეხება, ჩვენ არა გვცალია, არ შეგვიძლია ხელდაკრეფილი ვისხდეთ, ვიდრე სავსებით შევითვისებდეთ გრამატიკას, არ გავეუჭყობესებთ სტილს; ჩვენ ვიბრძვით ხალხთან ერთად საუკეთესო მომავლისათვის, ჩვენ მას ვუგებთ, მასაც ესმის ჩვენი გრამატიკა, ჩვენი სტილი.

აი ამ პასუხს ვიკმარებ მეც ამბ. თ. კალანდაძის შამიანი საყვედურის წინააღმდეგ გრამატიკისა და სტილის შესახებ.

ამბ. კალანდაძე განაგრძობს ციტატების მოყვანას: „რაზმის (შავი რაზმის) მიზანი იყო მოძრაობის შესუსტება, რევოლიუციის შენელება,“ და დასძენს: „ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ „შავების“ მიზანი უფრო ღრმა უნდა ყოფილიყო, ესე იგი, რევოლიუციის სრული განადგურება“.

მე ვსწერდი: „რაზმის (შავი) მიზანი იყო თავის დაცვა აჯანყებული რევოლიუციონური გლეხობისაგან, თავის დაპირდაპირება რევოლიუციასთან, ხელის შეშლა—შესუსტება რევოლიუციისა, **ძველი ცხოვრების, ძველი ყოფის აღდგენა**“.

ყოველივე ამის შემდეგ რაღა დავურჩენია სათქმელი?

ჩვენი „კრიტიკოსი“ მეტად ბოროტად სარგებლობს ქალაღდის მოთმინებით!...

ამბ. კალანდაძემ დაბოლოს ხელი ჩასჭიდა ჩემი წერილის უკანასკნელ ადგილს, მე ვსწერდი... „მაგრამ რევოლიუციონერებს მაინც არ დაუკარგავთ რწმენა რევოლიუციისადმი და სულ რაღაც 10—12 წლის შემდეგ,—1917 წელს,—გადარჩენილმა რევოლიუციონერებმა შესძლეს თვითმპყრობელური მონარქიის აღგვა, მინგრევე-მონგრევა მისი დრაკონისებური რეჟიმისა. **გამარჯვებული პროლეტარიატი ამით არ დაკმაყოფილდა, მონარქიას მან თან მიაყოლა მეფის კალთებს ამოფარებული ბურჟუაზიაც.**

ჩემ მიერ ხაზგასმული სიტყვები თედორე კალანდაძეს არ მოჰყავს, მაგრამ აჭ მან ნახა მართლაც ჩემის მხრით პატარა ნაკლი. იქ სადაც ლაპარაკია ძველ რეფოლიუციონერებზე, უნდა დამემატებია— **წამოსწრებულ ახალგაზრდა თაობასთან ერთად.** აჭ მართლა ჩემს წერილს აკლია დახელოვნებული ჟურნალისტის ხელი, ამას მე ვაღიარებ, მაგრამ ვფიქრობ კეთილ-სინდისიერი მკითხველი უამისოდაც ადვილათ გაიგებს ჩემი წერილის ძირითად აზრს.

ჩემი პატარა წერილი—„1905 წელი" დაიბეჭდა ჟურნალში, როგორც შესავალი იმ მასალებისა და დოკუმენტებისა, რომლებიც იმავე ნომერში ჩემი წერილის გვერდით დაიბეჭდა 1905 წლის რევოლიუციის ოცი წლის თავის შესრულების გამო.

როგორც პატარა, შესავალ წერილს მას მიზნად არ ჰქონდა დასახული ყოველმხრივი ვრცელი განხილვა 1905 წლის მოძრაობისა, როგორც ეს სურს ამბ. კალანდაძეს თავის წერილში დაუმტკიცოს მკითხველს. ახლა გასაგებია, რომ საჭირო არ იყო „მოწმობა" იმის შესახებ, რომ მე ამბ. თ. კალანდაძის მსგავსად ვმონაწილეობდი 1905 წლის მოძრაობაში. ძნელიც იყო ჩემთვის ასეთი „მოწმობის" შოვნა, რადგანაც მისი გაცემა თ. კალანდაძის „მონოპოლიას" შეადგენს და მე კი ის არ მიცქერის „კარგის" თვალით.

ამის შემდეგ მე ვფიქრობ გასაგებია არა მარტო ჩემთვის, არამედ ფართო მკითხველთათვისაც, თუ რად დასჭირდა ამბ. კალანდაძეს ჩემს წინააღმდეგ გამოლაშქრება თვისი „შეუფერებელი საქმით".

ეს არის სულმოკლე, წვრილმანი ადამიანის საქმე! ამბ. თ. კალანდაძე ისე ვერ მოისვენებს, თუ ვინმე არ აგინა, არ ლანძღა, არ ჰკბინა (რა თქმა უნდა, უკბილოთ), არ დაამახინჯა სხვისი აზრები; იგი არაფრად არ ჩაიგდებს სხვების მუშაობას, თუ, რა თქმა უნდა, ეს „სხვები" მას არ მოსწონს პირადათ, არ უყვარს ისინი, არ უწევს მას პირადათ სამსახურს, უკმაყოფილოა მათი მოქმედებით. ასეთი მოქცევა არის მისი **საყვარელი საქმე.**

ამიტომ, ვფიქრობ, არ შევცდი, როცა ამბ. კალანდაძის საპასუხო ჩემს წერილს სახელად ვუწოდე: „ეს მართლაც რომ შესაფერისი საქმეა მისთვის". რაც შეეხება იმას, რამდენათ მე „შესაფერი" ვარ „საქმისათვის" ამაში, დარწმუნებული ვარ, თ. კალანდაძის „დაუხმარებლათაც" გაერკვევა ის ორგანო, რომელსაც მე ვემორჩილები...

ს. თალაკვაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ს. რ. პარტიის წარმომადგენლების თათბირი.

(გაგრძელება, იხ. „რევ. მატ. № 1 (11) 1925 წ.)

მოხსენება ადგილებიდან.

ამხ. ჩერნომორდიკი (მოსკოვის პარტისი). პარტისთა წარმომადგენლების წარსული თათბირის შემდეგ მოსკოვის პარტისის მატერიალური მდგომარეობა რამდენიმეთ გაუმჯობესდა. ეს იმით აიხსნება, რომ წარსულ თათბირზე გამომუშავებული იქნა მთელი კონსტიტუცია როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი პარტისებისათვის. მოსკოვის პარტისს წინად ჰყავდა 5 მომუშავე, მაგრმ მოსკოვის კომიტეტმა ფორმალურად მოგვაშორა ერთი მომუშავე და, რომ გაგვევითარებია ჩვენი მუშაობა სამეურნეო წესით აყვანილი გვყავდა კიდევ სამი თანამშრომელი. გამოწვეულ ხარჯების დასაფარავი საშუალებების გამოსანახავად დიდი დრო და შრომის დახარჯვა მოგვეხდა. რითაც სამუშაოს მოვსცდით. დიდი შეღავათი იყო ჩვენთვის ის გარამოება, რომ მოსკოვის კომიტეტმა ჩვენი მუშაობის დასაკმაყოფილებელი საშუალება მოგვცა.

ც. კ. დებულებით პარტისი საგუბერნიო კომიტეტის განყოფილებაა. მას შემდეგ, რაც ჩვენ მივიღეთ ცეკას დადგენილება, მე საკითხი დავაყენე იმის შესახებ, რათა ჩვენი პარტისი გადაგვექცია მოსკოვის კომიტეტის განყოფილებათ. საუბედუროთ ჩვენ ისეთ საგუბერნიო კომიტეტში ვართ, რომელიც შეადგენს ჩვენი პარტიის ერთ მერვედ ნაწილს, ამიტომ მოსკოვის კომიტეტი უმაღლესი პოლიტიკითაა გართული, ჩვენ კი პატარა ნაგლეჯს წარმოვადგენთ მოსკოვის ორგანიზაციაში, ამიტომ დიდი ძალღონის დახარჯვაა საჭირო, რომ ვაიძულოთ ის გვიცნოს სრულუფლებიან განყოფილებათ. ჩვენ უფრადღება გვექცევა მხოლოდ, როცა მოახლოვდება რომელიმე არჩევნების გადახდა და საჭიროა ამა თუ იმ სახით დახმარება, სხვა დროს საკუთარი თავის ანაბარათ ვართ მიტოვებულნი, ზოგიერთ შემთვევაში ეს რამდენიმეთ ხელსაყრელია, მაგრამ როცა გვიხდება მიმართვა სამაზრო კომიტეტებისადმი, საჭიროა მოსკ. კომ. გაეცნონა, მით უმეტეს, რომ მოსკოვის კომ. დებულების ძალით არც ერთ განყოფილე-

ბას უფლება არა აქვს მის ქვემდებარე განყოფილებებს მიმართოს მოსკ. კომ. გარეშე. ჩვენ ვსთხოვეთ მოს. კომ. რათა მას გაეწმინდა სუფლებია ჩვენი რწმუნებულები სხვა სამუშაოდან, რადგანაც ისინი დატვირთულნი არიან პარტმუშაობით, მაგრამ მოსკ. კომ. ასეთი ცრკულიარი არ დაგვიდასტურა მიიჩნია რა პარტიის მუშაობა სხვა განყოფილებების მუშაობასთან შედარებით უმნიშვნელოდ. ჩვენსა და მოსკ. კომ. შორის კონფლიქტიც კინაღამ ჩამოვარდა პარტიის მუშაობის შესახებ. ამბ. ზელენსკი ფიქრობს, რომ პარტიი მეტის-მეტად აკადემიურ მუშაობას ეწევა. მე ავმხედრდი ასეთი პოზიციის წინააღმდეგ და განვაცხადე, რომ პარტიის მუშაობა აგიტპროპის მუშაობა არ არის და მივუთითე დებულებაზე პარტიისთა შესახებ. უნდა აღიარებულ იქნას, რომ რამდენიმეთ მართალია მოსკ. კომ. და სხვა პარტიულ ორგანიზაციების პოზიცია; მართლაც არ მოიპოვება პარტიის ისტორიის შესახებ პოპულიარული მასალები და სრულიადაც გასაკვირვალი არ არის ისეთი წიგნიც კი, როგორიც არის ზინოვიევის წიგნი, ათასობით გასაღდა. მოსკ. კომიტ. მოითხოვდა ისეთი წიგნის გამოცემას, სადაც პოპულიარულად იქნებოდა გადმოცემული ჩვენი პარტიის ისტორია, ნაცვლად იმისა, რომ აგვეწერა მეოთხმოცდაათე წლები. ამ საკითხში მე გავიმარჯვე, მაგრამ მხოლოდ ერთ დათმობაზე წავედი, სახელდობრ, ჩვენს მუშაობასთან ერთად მოგვიხდება ჩვენი პარტიის ისტორიის ცალკე ეპიზოდების გასაშუქებლათ ნარკვევის გამოცემა.

ჩვენი ორგანიზაცია ასეთია: მოსკოვის პარტიის გარდა ჩვენ წინად პარტისები გვქონდა სამაზ. კომიტეტებთან და რაიკომიტეტებთან, ამათ ნაცვლად ჩვენ შეიქმენით რწმუნებულთა ინსტიტუტი. ყოველ სამაზრო რწმუნებელს ჰყავს რწმუნებული ფაბრიკა-ქარხნებთან. ახლა ჩვენ ვფიქრობთ შეიქმნათ „პარტიისის მეგობართა“ საზოგადოება მსგავსათ „მფრინავთა მეგობრების საზოგადოებისა“.

პარტისს სათავეში უდგას კოლეგია, რომელსაც ამტკიცებს მოსკ. კომ. კოლეგიის მთელი შემადგენლობის ნაცვლად იკრიბება ნახევარი და ამიტომ მუშაობა ვერ მიმდინარეობს წარმატებით. დრო და დრო იკრიბებიან რწმუნებულები, მაგრამ უკანასკნელ დროს ასეთი კონფერენციის შეკრება ჩვენ ვერ მოვახერხეთ.

ამბ. საველიევმა სწორად შენიშნა, რომ მოგონებათა ციებ-ცხელება ცხრება, ეხლა მუშაობა ღრმავდება კრიტიკის მხრით და მოგონებები გულდასმით იშინჯება და მუშავდება. ამ გვარით მივმართეთ მუშაობა ჩვენც. ასეთ სამუშაოთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ; სამუშაოს მომზადება, რომელიც გააშუქებდა მარქსიზმამდე არსებულ

პერიოდს და მე-90 წლების პირველ ნახევარს. ამ ჟამად მიცემულია დასაბეჭდად მარქსიზმამდე არსებული პერიოდის გამშუქებელი შრომის პირველი ტომი და მეორე ტომის პირველი ნაწილი „ნაროდნიკობიდან მარქსიზმამდე“, ჩვენ დამზადებული გვაქვს უკვე დასაბეჭდათ IV და V გამოცემის „путь к Октябрю“. ეს გამოცემანი წინანდელ გამოცემათაგან იმით განსხვავდებიან, რომ უფრო აწენებულია მასალებზე, ვიდრე მოგონებებზე. ახლო ხანში დასაბეჭდათ მივცემთ „Братская могила“-ს მესამე გამოცემას, ამას გარდა ვამთავრებთ მუშაობას 1917 წლამდე არსებული სოც.-დემ. ლიტერატურის მაჩვენებელის შესახებ. ჩვენი საგამომცემლო საქმე მოისუსტებდა; ეს იმით აიხსენება, რომ ის გამომცემლობა, რომელიც ჩვენს შრომებს ბეჭდავდა, დაიხურა. ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვეცა აქტიურ მოღვაწეთა ალბომი, 1902 წელში მოსკოვში მომუშაენი, გამოგვეცა კრებული, მაგრამ არა მოგონებათა, არამედ ნარკვევის სახით; ვფიქრობთ ეს გამოვსცეთ 1925 წლის დასაწყისში.

აქ ბევრი ილაპარაკეს რევოლიუციის მუზეუმის შესახებ. ამ ჟამად ჩვენი ურთიერთობა მუზეუმთან იმაში მდგომარეობს, რომ სამუზეუმო ხასიათის მასალებს ჩვენ ვაძლევთ მუზეუმს.

ამხ. შტეინმანი. რადგანაც ლენინგრადის პარტისის წარმომადგენელი აქ არ იმყოფება, ნება მიბოძეთ მის მაგივრად მოგაწოდოთ ინფორმაცია. შტატით ლენინგრადის პარტისს ჰყავს ე კაცი, მაგრამ ფაქტიურად იქ ცუშაობს მხოლოდ ორი. წელს ლენინგრადის პარტისი ჩივოდა, რომ მას არ შეუძლია 1905 წლის რევოლიუციისათვის მზადებას შეუდგეს, ვიდრე მას არ მიაშველებენ მუშაკებს, მაგრამ რადგანაც ცეკას არ შეეძლო ამხანაგების გაგზავნა, ამიტომ ისიც საკუთარი ძალებით შეუდგა მუშაობას. აქ აღმოჩნდა კიდევ ერთი დაკვირვება სამუშაო—ლენინის კუთხეების მოწყობა. ლენინგრადის პარტისმა ამ მუშაობაში მიიღო აქტიური მონაწილეობა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ყველა ფაბრიკებსა და ქარხნებში მოეწყო ლენინის კუთხეები, პარტისი ამზადებს სპეციალურ ლენინის კრებულს, ლენინგრადის პარტისის კონსტრუქცია იგივეა, რაც მოსკოვის, მაგრამ იქ კიდევ არსებობენ სარაიონო პარტისები, რომლებიც მეტად აქტიურად მუშაობენ,—ასე მაგ. ამას წინად თითეულმა რაიონმა თავისთვის რამდენიმე თათბირი ჩაატარა ძველი არალეგალური მუშაკებისა. ზოგიერთ მაზრებში მოწყობილია გამოფენები; ამას გარდა მსხვილ ქარხნებში ყრის პარტისის კომისიები, რომლებიც ქარხნებთან არსებულ არქივებს არჩევენ.

ლენინგრადის პარტისმა დააინტერესა და მუშაობაში ჩაითრია ფართო პარტიული მასები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ლენინგრადის პარტისმა გამოსცა „Красная Летопись"-ს №№ 7-10, მე 11 № უკვე მიცემულია დასაბეჭდათ. ამ ჟურნალს თქვენ უკვე იცნობთ, რადგანაც ლენინგრადის პარტისს კავშირი აქვს ყველა პარტისებთან, რომელთაც უგზავნის თავის ჟურნალს.

ამხ. ხაარი (სარიტოვი). პარტისის განყოფილებაში მუშაობს მხოლოდ ერთი კაცი, რომელიც სხვა პარტიულ სამუშაოსაც ასრულებს. გუბკომის ხარჯთ-აღრიცხვით გამომცემლობისათვის არაფერი არ არის გადადებული.

პარტისის მუშაობისადმი ამ ჟამად ინტერესს იჩენენ მუშათა მასები. რაც შეეხება საორგანიზაციო ფორმას, უნდა ითქვას შემდეგი: ჩვენს პარტისთან არსებობს კოლეგია 3 ძველი ბოლშევიკისაგან შემდგარი, ამას გარდა პარტისთან მუშაობს განსაკუთრებული სარედაქციო კოლეგია; ეს კოლეგია ამ ჟამად იმ მასალათა სარედაქციო მუშაობას ასრულებს, რომელთაც ცალკე კრებულებად გამოვცემთ. კოლეგიებს გარდა პარტისთან არსებობენ მთელი რიგი კომისიებისა: 1) კომისია რამდენიმე ძველ ბოლშევიკ. სტუდენტთაგან შემდგარი, რომელიც სწავლობს სტუდენტთა მოძრაობის ისტორიას; რადგანაც სარატოვში, როგორც საუნივერსიტეტო ქალაქში, სტუდენტთა ფართო მოძრაობა იყო; ამას გარდა ცალკე სასწავლებლებთან არსებობენ განსაკუთრებული ქვე-კომისიები; 2) არსებობენ ცალკე კომისიები, რომელნიც იკვლევენ და სწავლობენ ამა თუ იმ პროფესიონალურ მოძრაობის ისტორიას. ჩვენ შევეცადეთ შეგვექმნა პროფპარტისი, მაგრამ თავისულად მუშაკთა არ ყოლის გამო ვერ შევსძელით მისი დაარსება. ცალკე ფაბრიკა-ქარხნებთან დაარსდა პარტისის დამხმარე უჯრედები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ პარტისის დამხმარე ხელოვნურად უჯრედების დაარსებას ჩვენ არ ეცდილვართ. ეს უჯრედები დაარსებულ იქნა უფრო მსხვილ წარმოებებთან, მათი კონკრეტული ამოცანა იყო 1905 წლის შესახები მასალებისა და მოგონებების შეგროვება (ასეთი უჯრედები არსებობენ რკინის გზის სახელოსნოებთან, ამხ. ლენინის სახელობის ქარხანასთან და სხ.). არსებობს სარატოვის კომუნ. უნივერსიტეტის სტუდენტთა საისტორიო-სარევოლიუციო ჯგუფი, ის დაარსებულ იქნა ზამთარში და ცოტაოდენი მეთოდოლოგიური მეცადინეობის შემდეგ სტუდენტები შეუდგენ მუშაობას რევოლიუციონური მუშაობის შესასწავლად, სარგებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობდენ რა საარჩევო და სამემუარო მასალებით. მუშაობის შედეგებზე ლაპარაკი ნაადრევია.

ყველა მაზრებში პარტიის სამაზრო კომიტეტებთან დანიშნულ იქნენ პარტისის განსაკუთრებულ რწმუნებულნი. ამას გარდა თვით სარატოვში პარტისის უშუალო ხელმძღვანელობით საგუბერნიო მუზეუმთან მუშაობს საისტორიო-სარევოლიუციო განყოფილება, სადაც ვაგზავნით ჩვენს თანამშრომელს. რამდენიმე თვის წინად საგუბერნიო საარქივო ბიურო შესდგებოდა უპარტიოთაგან, ზოგიერთი მათგანი არა საიმედონი აღმოჩნდენ, ჩვენ იქ დავნიშნეთ გამგეთ პარტიის წევრი. ამ ჟამად ის მუშაობს პარტისის განყოფილების უშუალო ხელმძღვანელობით რ. კ. ახალგაზრდ. კავშ. მუშაობს ახალგაზრდათა საისტორიო განყოფილება.

რაც შეეხება პირველი თათბირიდან მეორემდე არსებული პერიოდის მუშაობას, აქ ყურადღების ცენტრი იყო 1905 წლისა და 1917 წ. რევოლიუციების ისტორია. ამ რევოლიუციების ისტორიის შესწავლას ჩვენ ვაწარმოვებთ სხვა და სხვა საარქივო მასალების მიხედვით. 1917 წლის შესახებ ჩვენ მეტად მდიდარი საარქივო მასალა მოგვეპოვება არა მარტო სარატოვის, არამედ სამარის, ტამბოვის ცარიცინის და სხვა გუბერნიებისა. რაც შეეხება მასალების შედგენას, ამ ხნის განმავლობაში მივიღეთ 100-მდე მოგონება. ამ მოგონებათა მეტი ნაწილი ეხება 1905 და 1917 წწ. რევოლიუციებს. ცალკე კრებულთა გამოსაცემი საშვალება ჩვენ არ მოგვეპოვებოდა, მაგრამ ცალკე ბროშურის გამოცემა ჩვენ შევძელით. ამ ჟამად თითქმის მზადაა დასაბეჭდათ ორი კრებული: კრებული 1905 წლის რევოლიუციის შესახებ სარატოვის გუბერნიაში და კრებული 1917 წლის რევოლიუციის შესახებ სარატოვში. მოვახერხეთ აგრეთვე მარცინოვსკის მოგონებათა გამოცემა.

დიდი ყურადღება მიაქცია განყოფილებამ სამუზეუმო მასალების შეგროვებას, პლაკატების, ფოტოგრაფიული სურათების და სხ., რის შედეგი იყო საისტორიო-სარევოლიუციო მუზეუმის შექმნა, სადაც მოიპოვება 5 ათასამდე ექსპონატი. ექსპონატების დიდი ნაწილი შეეხება 1905 წელს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ჟამად საისტორიო-სარევოლიუციო მუზეუმის მუშაობა შეჩერდა იმიტომ, რომ მუზეუმის გამგე—ჩინებული მუშაკი—გუბკომმა მობილიზაციით გაიწვია პარტიულ სამუშაოზე.

ამხ. პრეობრაჟენსკი. (ნ. ნოვგოროდი). ჩემი დანიშნის შემდეგ დაარსდა ბიურო, რომელიც შეუდგა საორგანიზაციო გეგმის შემუშავებას. სარევოლიუციო მასალები გაფანტული იყო მთელს ქალაქში,

არეული, რადგანაც გადატანილ-გადმოტანილ იქნა თითქმის რვაჯერ. შენახული იყო უბეირიოდ, ერთხელ კრემლის ერთ-ერთ კოშკში ცეცხლიც გაჩნდა, არქივის ნაწილი დაიწვა, ნაწილიც დაიტაცეს. ასეთ ნაწილებში მუშაობა შეუძლებელი იყო; საჭირო იყო იმის გამორკვევა, თუ რა ინახებოდა არქივში; ამიტომ დაისვა საკითხი მომზადებიყო მთელი საარქივო მასალების კონცერტაცია ერთ შენობაში. გვსურდა მასალათა კონცერტრაციის გეგმა დასამტკიცებლად წარგვედგინა გუბკომისათვის, სამი თვის განმავლობაში არ მოხერხდა დამტკიცება. ეს იმის დამამტკიცებელია, რომ გუბკომი პარტიის მუშაობას ინდიფერენტულათ ეპყრობა.

1905 წლის შესახებ მასალების შეკრებამ საშუალება მოგვცა გამოგვეცა კრებული, მიძღვნილი დაღუპულ ამხანაგების ხსოვნისადმი.

მაზრებში დანიშნულია რწმუნებულები, 10 კაცი, ზოგიერთი მაზრები არ გვეხმარებიან, მაგრამ ზოგიერთები კი—აქტიურად მუშაობენ. მაზრებში არქივები ხშირად მილიციისა და რაიკომების განკარგულებაშია, ისინი სრულიად არ არის მოწესრიგებული და აღწერილი. ასე მაგ. ბაქლახნაში არის არქივი. იქ სამუშაოდ გამოყოფილი იქნა ამხანაგი პარტელი. ჩვენ გამოვეცით ილარიონოვის მასალები 4 ტომი. მე 5-თე ტომი გასასწორად აქვს ამხ. ს. ი. მიცკევიჩს და უეჭველია 1905 წლის სადღესასწაულოთ გამოვცემთ.

ამხ. როზანოვა. (იაროსლავლი) მუშაობის პირობები საკმაოდ ცნობილია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პარტიის ერთად ერთი მუშაკი აგიტ-პროპის აღრიცხვაზე იმყოფება. ამ გარემოებამ განსაკუთრებული ხასიათი მისცა თვით პარტიას, რაც დაკავშირებულია აგიტპროპის მუშაობასთან ნამდვილ პარტიის მუშაობის საზარალოდ. ასე მაგ., დისკუსიის დროს პარტიის წარმომადგენელს უხდებოდა მრავალრიცხოვან კრებებზე გამოსვლა და ცნობის მიწოდება, რადგანაც კამათის დროს ამხანაგები ხშირად ეწებოდენ პარტიის ისტორიას. ამხ. ლენინის საკვდილის გამო ჩატარებულ იქნა მოგონებათა საღამოები, წაკითხულ იქნა მოხსენებები ამხ. ლენინის როლზე ჩვენს პარტიაში.

პარტისმა ყურადღება მიიქცია იმით, რომ პარტიის 25 წლის თავზე მოვაწყეთ გამოფენა და ლენინის დაკრძალვის დღეს—მოვაწყო კედლის გაზეთების გამოფენა და გაიხსნა ორი ოთახისაგან შემდგარი ლენინის კაბინეტი. ჩვენ ვცდილობდით შეძლებისდაგვარათ მუშაობაში მონაწილეობა მიეღო რაც შეიძლება ბლომათ ჩვეულებრივ მუშაკებს—პარტშკოლების უურსანტებს და კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტებს. მასალების შეკრების და ნაწილობრივათ მისი

დამუშავების საქმეში უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლიათ პარტ-სკოლების სტუდენტებს და სერდლოველებს.

1905 წლის შესახები მასალების შესაგროვებლათ შედგენილ იქნა იმ საქმეთა სია, რომლებიც ინახება რევოლიუციონურ არქივებში, მაგრამ მასალების შეგროვება ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ მასალების შესწავლას იმ გაფიცვის შესახებ, რომელიც 1895 წელს მოხდა კორზინკინის ქარხანაში, უკვე შეკრებილია საკმაოდ დიდი მასალა. არის 1895 წლის საქმე, კომანდირის მოხსენება ქარხანაში მუშების დახვრეტის შესახებ. ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია აგრეთვე პროლეტკინმა, ჩვენ ჩავატარეთ მთელი რიგი მოგონებათა სალამოებისა, თვით გაფიცვის დღე მოვაწყვეთ ინსცენიროვკის სახით, მოვიდნენ არტისტები; ამ სახით ჩვენ მოგვეპოვება გაფიცვის წლისთავისთვის ფოტოგრაფიული სურათები და ამიტომ შეგვიძლია გამოვსცეთ გაფიცვაზე ბროშიურა.

ჩვენ გვაქვს რამდენიმე დაუმთავრებელი გამოცემა, მაგ., იაროსლავის აჯანყების კრებული. ამ კრებულს ჩვენის აზრით ძნიშნელობა აქვს ადგილობრივი ორგანიზაციისათვის. ჩვენ უკვე გვაქვს კლიშე ამ კრებულისათვის, დაწერილია მთელი რიგი მოგონებათა, დავგრჩენია საბოლოო რედაქციის გაკეთება და შემოწმება. უკვე მოვახდინეთ კოლექტიურად გაშინჯვა. ჩვენ შევიცდებით ამ კრებულის აჯანყების წლისთავზე, ამა წლის 21 ივნისისათვის გამოცემას.

ჩვენს წინაშე საკითხი დგას საისტორიო-სარევოლიუციო მუზეუმის მოწყობის შესახებ, დაწყებულია ლენინის კუთხის მოწყობა; ამას გარდა ჩვენ ვფიქრობთ მოძრავი ლენინის გამოფენის მოწყობას და მთელ გუბერნიაში ჩამოტარებას. ყველა ეს მუშაობა სრულდება პარტისის უშუალო ხელმძღვანელობით. ჩვენი სურვილია აჯანყების წლისთავზე გავხსნათ საისტორიო-სარევოლიუციო მუზეუმი, მასალა საკმაოდ მოგვეპოვება, ეიმედოვნებთ, რომ ამ საქმეში დაგვეხმარება ცენტრალური პარტისი.

ამხ. **ივანოვი** (ნოვგოროდი) საანგარიშო პერიოდში პარტისმა შეასრულა შემდეგი სამუშაო: შემუშავებულ იქნა კრებული რევოლიუციონური მოძრაობისა მესამოცე წლებიდან ოქტომბრის რევოლიუციამდე გუბერნიაში; ეს შრომა გადაეცა ლენინგრადის პარტისის განყოფილებას ჟურნალ „კრასნაია ლეტოპისის“ ფურცლებზე გამოსაქვეყნებლად. კელეკა-ძიების შემდეგ პარტისმა გამოარკვია, რომ მუშათა რაიონში—ბოროვიჩში—მე-80 წლებში არსებობდა მარქსისტუ-

ლი ჯგუფი, აქ იკრიბებოდენ სოციალისტური მოძრაობის მოღვაწენი და სწავლობდენ „კაპიტალს“.

ნოვგოროდის პარტისის ბიურომ შექმნა რწმუნებულთა ქსელი და მისცა მათ ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა შეაგროვონ საარჩევო მასალები. ნოვგოროდის მაზრის რწმუნებულებმა გამოარკვიეს, რომ მთელ რიგ ქარხნებში არსებობდა წინად სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, (მაგ. გრუზინოს და ჩუდოვის ქარხნებში). ამ ცნობათა შესამოწმებლათ იმ ამხანაგებს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ ორგანიზაციაში, დაეგზავნა შეკითხვა და ეთხოვა დაეწერათ თავიანთი მოგონებები; მოგონებათა ერთი ნაწილი უკვე მიღებულია. ეს მოგონებები ადასტურებენ, რომ ფაბრიკა-ქარხნებში მართლა არსებულა ს.-დ. ორგანიზაციები. ამხ. ლიპსკისაგან მიღებული მასალა ადასტურებს, რომ სტარო-რუსსის ორგანიზაციაში მართლა ყოფილა რამდენიმე ს.-დ. ჯგუფები, რომელთა მუშაობას პატერიდან ხელმძღვანელობდა ე. დ. სტასოვი.

უფულობის გამო ნოვგოროდის პარტისის ბიუროს საგამომცემლო მუშაობა მეტად მოისუსტებს; რევოლიუციის მუზეუმი გამოყოფილია ცალკე ორგანიზაციად და ფინანსიურად ექვემდებარება გუბაღმასკომს. პარტისის ბიურო შესდგება სამი პირისაგან: გამგე, მდივანი და რევოლიუციის მუზეუმის გამგე. ყველა ამათ შესანახად თვიურად გადადებულია 98 მანეთი.

გადაწყდა მოგიწყო გამოფენა 1905 წ. შესახებ, რისთვისაც გუბაღმასკომმა გადასდო 500 მანეთი. ამას გარდა გუბაღმასკომმა სთხოვა პარტისის ბიუროს შეედგინა წიგნაკი იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყო საბჭოთა ხელისუფლება ნოვგოროდში, რისთვისაც დამატებით გადასდო 500 მანეთი. ამ გადადებული თანხების საშვალებით პარტისს საშუალება მიეცა გაეფართოვებია თავისი მუშაობა.

მე უკვე ვთქვი, რომ ნოვგოროდის გუბერნია არის გლეხური. დოკუმენტებში არ მოიპოვება ცნობები მუშათა წინდა რევოლიუციონური მოძრაობის შესახებ, მეტ წილად ეხვდებით ესერულ ფურცლებს.

ამ ჟამად დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს მუზეუმი და მასთან მოწყობილი ლენინის კუთხე.

ამხ. **ალექსეევი** (ულიანოვსკი) მე მხოლოდ წარსული წლიდან დავიწყე პარტისში მუშაობა. პარტისის მთელი აპარატი შესდგებოდა და შესდგება ერთი კაცისაგან. პარტისის ამოცანაა იმ საარქივო მასალების გადამუშავება, რომელიც მოიპოვება ქალაქში და გუბერნიაში. უკვე გარჩეულია ყოფილ საოლქო სასამართლოს და გიმნაზიის

არქივები. ამ გიმნაზიაში სწავლობდა ვლადიმერ ილიჩი. ამ ჟამად ვოკელეთ ჟანდარმთა სამმართველოს და გუბერნიის არქივებს, თითეული საქმე გარჩეულია და ყველა ისინი იმყოფება საისტორიო-სარევოლიუციო მუზეუმში.

საარქივო მასალების გადამუშავების გარდა გასულ წელს პარტისი შეუდგა საისტორიო-სარევოლიუციო მუზეუმის გახსნას. სახლის რემონტის გამო ამისათვის ვემზადებოდით მთელი წელიწადი. როცა შეკრებილ იქნა საკმაო მასალა ექსპონატებისათვის, მუზეუმი გაიხსნა 1923 წლის ნოემბერში. მუზეუმში თავმოყრილია თითქმის ყველა ის მასალები, რომლებიც შეკრებილ იქნა გუბერნიაში, უმთავრესად ისეთი მასალები, რომლებიც ააშკარავებენ ლენინის ცხოვრებას. მუზეუმი მოთავსებულია იმ სახლში, სადაც ცხოვრობდა ვლადიმერ ილიჩი, მაგრამ ყველა მასალები იქ ვერ ეტევა, ამიტომ გადაეწყვიტეთ გაეხსნათ მუზეუმი ცალკე, იმ სახლში კი, სადაც ამხ. ლენინი ცხოვრობდა, დავტოვოთ ისეთი მასალები, რომლებიც ლენინს შეეხებიან. იმ სახლის შეკეთებას, სადაც ლენინი ცხოვრობდა, დიდძალი ფული სჭირდება, რადგანაც სახლი ინგრევა; ამ საქმეს ხელი მოჰკიდა სახალხო განათლების კომისარიატმა.

მუზეუმის მოწყობის გარდა წლის განმავლობაში ჩვენ გავმართეთ ორი გამოფენა,—ერთი პრესის დღისათვის, მეორე—1923 წლის პარტისის, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ჩვენს მუზეუმს. ამ ჟამად გრძელდება ლენინის შესახები მასალების გამოფენა, როგორი გამოძახილი ჰპოვა ლენინის გარდაცვალებამ მუშათა და გლეხთა რაიონებში, გამოფენაზე ადგილი ეთმობა აგრეთვე ბავშვთა შემოქმედებას. მუზეუმის და გამოფენის მშახველთა რიცხვი დიდია, ერთი თვის განმავლობაში აღწევს 4 ათას კაცს.

საარქივო მასალების ნაწილი მაზრებიდან უკვე გადატანილია ულიანოვსკში, ნაწილი კი ისევ ადგილებზე დარჩა.

1905 წლის რევოლიუციის წლისთავისთვის მზადებას პარტისი შეუდგა აგრარული მოძრაობის შესწავლით; ამ ჟამად სწარმოებს ამ მასალათა სისტემაში მოყვანა, ის შეიცავს 1000-მდე საქმეს.

პარტისის საგამომცემლო მუშაობა პირველ ხანებში მეტად ნაყოფიერი იყო: გამოვეცით „კრასნაია ლეტოპის“-ის ორი ნომერი. პირველი კრებული მიძღვნილი იყო პარტიის იუბილეისათვის. ვინაიდან საკუთარი გამომცემლობა უსახსრობის გამო შეუძლებელი შეიქნა, იძულებული ვართ მასალები მოვათავსოთ გუბკომის ადგილობრივ გაზეთში და ჟურნალში. მაგრამ ეს ვერ გვაკმაყოფილებს, რადგანაც პარტისის მასალები მეტად დიდია.

პარტისი ხელმძღვანელობს ლენინის კუთხეების მოწყობის საქმეს გუბერნიის ყველა ქარხნებში, აწვდის მათ შესაფერ მასალებს და ფოტოგრაფიულ სურათებს. ამ ქამად უკვე არსებობს 20-მდე კუთხე.

ამას გარდა პარტისმა მოამზადა 1918 წლის მურავიოვის ავანტიურის მასალები; ამ ავანტიურის ისტორია სრულად არ არის გამოკვლეული: შემდეგ მზადაა მასალა კრებულისათვის—„ჩეხო-სლოვაკები სიმბირსკში" და „ულიანოვების ოჯახობა სიმბირსკში".

ამხ. ტოლმაჩევი (დონის როსტოვი). საანგარიშო ხნის განმავლობაში დონის პარტისს ჰყავდა ორი მუდმივი თანამშრომელი. პარტისის სათვეში იდგა კოლეგია, რომელიც სწყვეტდა პრონციპიალურ საკითხებს და იმუშავებდა სამუშაო გეგმას. უნდა აღინიშნოს, რომ დონის პარტისის ყველა ნაბიჯები დამტკიცებული იქნა დონის კომიტეტის ბიუროს მიერ. ურთიერთობის დასახასიათებლათ უნდა ითქვას, რომ ჩვენს მუშაობას ისეთსავე რევიზიას უკეთებს დ. კ., როგორც სხვა განყოფილებებს და პარტიულ ორგანოში ჩვენ ყოველთვის გვითმობენ ადგილს. კავშირი სხვა რაიონებთან, ოლქებთან და მაზრებთან, თუმცა ყველასთან არა, გაბმული გვქონდა რწმუნებულების საშუალებით. ეხლა გადავდივარ თვით პარატისის მუშაობაზე. ჩვენი მუშაობა იქითკენ იყო მიმართული, რომ გამოგვეცა კრებული კალედინის კონტრ-რევოლიუციაზე, რომელსაც საერთო სარუსეთო მნიშვნელობა აქვს. უკანასკნელ ხანებში შევუდექით მასალების გადამუშავებას იმ არაოფიციალური მუშაობის შესახებ, რომელიც სწარმოებდა დენიკინის დროს. არა მარტო გროვდებოდა ეს მასალები, არამედ სისტემაში მოგვყავდა; მუშაობას ვაწარმოებდით საარქივო ბიუროსთან შეთანხმებით; ეს ბიურო ჰკრეფდა იმ მასალებს, რომლებიც ნაწილობრივათ ნოვოჩერკასკში იმყოფებოდა. ამ ხნის განმავლობაში კალედინის შესახებ კრებულის მასალების შეგროვება დამთავრდა, მაგრამ გამოცემა შეფერხდა ტეხნიკური მიზების გამო. კალედინის შესახებ კრებული შეი კავს $17^1/_2$ ნაბეჭდ ფურცელს, შესდგება ერთი ნარკვევის, ორი სტატიის, რამოდენიმე ოფიციალური დოკუმენტისაგან; ამას გარდა შედგენილია გაზეთებში მოთავსებული მასალების მიხედვით ქრონიკა.

მასალების მოგროვების მიზნით ჩავატარეთ არა მარტო მოგონებათა საღამოები, არამედ—საუბრები, თათბირი, რამაც მოგვცა 1917 წლის არაოფიციალური მუშაობის გასაშუქებლათ დიდძალი მოგონებანი, სულ 203 მოგონება. საბჭოთა ხელისუფლების დროინდელი ამბების ქრონიკის დამუშავება 1918 წლისათვის უკვე დამთავრებულია.

ამ ჟამად დენიკინშჩინის წლისათვის გამო ამხანაგთა ერთი ჯგუფის დახმარებით ჩავატარეთ მასალების შეკრების კამპანია. განზრახულია მთელი საღამო-მოგონებების მოწყობა რაიონებში. ამ მოგონებათა შემკრები ცენტრი კი იყო არქივის ბიურო.

1905 წლის რევოლიუციის შესახები მასალების შეგროვებას ჩვენ შევუდექით პრტისისაგან ინსტრუქციის მიღებამდე. ამ ჟამად უნდა შეიკრიბოს დამატებითი მასალები, საბოლოოდ გადაისინჯოს ეს მასალები და რედაქცია გაუკეთდეს.

პარტიის იუბილეის გამო ჩვენ მოვაწყვეთ გამოფენა, მეტად ნაჩქარევად მოვაწყვეთ ის და ამიტომ ბევრი ნაკლი ჰქონდა მას. გამოფენა მოწყობილი იყო ქრონოლოგიურ სქემის, პერიოდების მიხედვით: ჯერ ჯგუფების პერიოდი, ამაღლების წლები, რეაქციის წლები, თებერვლის, ოქტომბრის რევოლიუცია. თითეული პერიოდი ცალ-ცალკე იქნა გაშუქებული. ყველა ექსპონატები იყო 838. გამოფენა დაათვალიერა, თუ წარსულ წელსაც ჩავთვალოთ, 4 ათასამდე კაცმა, ტარდება სარაიონო პოლიტ-წერაკითხვის შკოლათა, მუშების და მოწაფეთა ექსკურსიები.

ამხ. ლენინის დაბადების წლის თავზე მოვაწყეთ ლენინის სახელობის კუთხე. აქ მოგვეპოვება 136-დე მასალა და ფოტოგრაფიული სურათი, 27 გაზეთი. ამას გარდა პროფესიონალურ პარტიულმა ბიბლიოთეკამ ჩვენ გადმოგვცა საკმაოდ მდიდარი ლიტერატურული განყოფილება.

ჩვენ გავაჩაღეთ არა მარტო პარტისის ხასიათის, არამედ — რეოლიუციონურ აღმზრდელობითი მუშაობა. ეს მუშაობა მდგომარეობს მთელ რიგ ღია სადღესასწაულო სხდომების გამართვაში, შაგ. პარტისის სხდომა 1902 წლის გაფიცვის წლისთავი და 1905 წლის დეკემბრის აჯანყების წლისთავის გამო. ამ კრებებს დაესწრო 3 ათასამდე მუშა. უნდა აღინიშნოს რომ მასალები ჩვენი კრებულების გარდა გამოქვეყნებულ იქნა ადგილობრივ გაზეთებში.

ამხ. პოლუიან-ვერეცკაია (კრასნოდარი). ყუბან-შავიზღვის პარტისი პირველად ესწრება პარტისების თათბირს.

ჩვენი მუშაობა დავუკავშირეთ პოლიტსექციას. შტატით იყო სულ 2 კაცი. წარსული წლის აგვისტოში დატოვებულ იქნა ერთი კაცი. პირველ რიგში ვეგროვებთ მასალას სამოქალაქო ომის შესახებ. ამ მიზნით ჩვენ შევსძელით დავკავშირებოდით ცალკე რაიონებს. თავდაპირველად მათ არა ჰყავდათ მუშაკები, ამჟამად რაიონებმა გამოჰყვეს თავიანთი რწმუნებულნი. 1922 წელს მოწყობილ იქნა საპირველმაისო გამოფენა. მაშინვე მოეწყო მუზეუმი. ამ ხნიდან იწყებენ

პარტიული წრეები მორალური ღახმარების გაწევას. ნივთიერად გეხმარება აღმასკომი, რომელმაც გადმოგვცა 900 მანეთი. დახმარებას კიდევ მოველით, მასალები ჩვენში ბლომათ მოიპოვება განსაკუთრებით 1917 წლის მოძრაობის შესახებ. ყველაფერი, რაც ჩვენ შევაგროვეთ, ძვირფასია. მუშაკების სიმცირეა, გამოფენა კარგათაა დაყენებული, შტატი შესდგება 3 კაცისაგან, დარაჯიც კი არ გვყავს, იყო ექსპონატების გატაცების შემთხვევა, უსახსრობის გამო ბევრი ძვირფასი მასალა ვერ გამოგვიცია.

ამხ. შევჩენკო (ეკატერინოსლავი) ეკატერინოსლავის პარტისის მუშაობას ხელმძღვანელობს 5 კაცისაგან შემდგარი კოლეგია, არის აგრეთვე სამი კაცისაგან სარედაქციო კოლეგია.

დამოკიდებულება პარტისსა, გუბკომსა და გუბაღმასკომს შორის ამ ჟამად კარგია. ფულს გვაძლევენ. ვინაიდან მუზეუმს ბევრი მნახველი მოაწყდა და მუზეუმში კი მხოლოდ ერთი ამხანაგი მსახურობს, დათვალიერების დღეები შევამოკლეთ კვირაში 4-მდე, გამოფენა გაწმენდილ იქნა, რადგანაც იქ ბევრი ისეთი ექსპონატები მოიპოვებოდა, რომელთაც არაიეთარი ყავშირი არ ჰქონია ჩვენთან.

გამოფენის მზადებას ჩვენ შევუდექით 1905 წლის იუბილეისათვის, შეავაგროვეთ მასალები და სხ. შემდეგ ჩვენ გვაქვს არქივი. არქივში საკმაოდ ბევრი მასალა გვაქვს—6 ათას ტომამდე. ამას გარდა ჩვენ გადმოგვცეს 20 ფუთამდე მასალა გუბკომიდან და გუბფინგანყოფილებიდან. ახლა, როცა ჩვენ დაგვავალეს 1905 წლის შესახებ მასალების მოგროვება, მოგვდის მასალა კერძო პირთაგანაც. ამ ჟამად დიდი მუშაობა სწარმოებს არქივის დამუშავების შესახებ. ასე რომ, გამოფენა ვერ გამოვიყენეთ. სავსებით შეიძლებოდა იქ საააგიტაციო მუშაობის გაჩაღება, მაგრამ ხალხი არა გვყავს.

სოციალ-დემოკრატიის ისტორიის შესახებ 1903 წლამდე ჩვენ გამოვეცით კრებული, გამოვეცით ივლისში, გამოსვლისთანავე გასაღდა. ამ კრებულის შესახებ ბევრი რეცენზია დაიწერა და პარტისიც ამ კრებულის შემდეგ პოპულიარული შეიქმნა, პარტისს ყურადღება მიაქციეს პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

შემდეგ ჩვენ შევუდექით ცენტრალური პარტისის დავალებით 1905 წლის იუბილეისათვის მზადებას. როგორც კი მიეღეთ დავალება, მაშინვე შევუდექით საქმეს, შევაგროვეთ დიდძალი ისტორიული მასალა, მოგონებები და პარტ-ყრილობას რომ ხელი არ შეეშალა ბევრი ამხანაგებისათვის, ჩვენ შევუდგებოდით ზოგიერთი მასალების ბეჭდვას. ნახევარი სამუშაო უკვე შესრულებულია, ჩვენ ბევრი ფოტოგრაფიული სურათები მოგვეპოვება იმ შენობათა, სადაც მუ-

შათა დეპუტატების სხდომები ხდებოდა. ეს სურათები უკვე გადაღებულია კლიშეზე, ვსთხოვეთ ნივთიერი დახმარება ამ საქმისთვის გუბალმასკომს, მივიღეთ 3000 მანეთი. შევიძინეთ 130 ფუთამდე ქაღალდი. 1905 წლის შესახებ კრებულის გამოცემას ჩვენ ვფიქრობთ 1905 წლის იუბილემდე.

ამხ. ხმელნიცკი. (ადესა). ადესის პარტისის არსებობის მეორე წელიწადი იწყება. 1922 წლის ოქტომბრამდე ის არ არსებობდა, რადგანაც მას არავითარი საშუალება არ ჰქონია. პარტისის მუშაობა ამ ჟამად საესებით მოწესრიგებულია. ნივთიერი პირობები, გუბკომის მხრით დიდი ხნით ინდიფერენტული დამოკიდებულების შემდეგ, გაუმჯობესდა. ამ ჟამად ჩვენ გვყავს ერთი კონსულტანტი, ორი სამეცნიერო თანამშრომელი და ამას გარდა ჩვენს მუშაობაში მონაწილეობა მიუაღებინე გუბარქივის სამს თანამშრომელს. ეს ჩვენ მოვახერხეთ გუბარქივის პარტისთან შეერთებით. გუბარქივი პარტისის სრულს განკარგულებაშია და პარტისს მიაქვს არქივიდან ყველაფერი, რაც კი მას მუშაობის დროს სჭირდება. ვფიქრობ, რომ ასეთი მიდგომა საქმისადმი მართებულია. ჩვენს არქივში თავმოყრილია დიდძალი მასალა, მაგ. ამხ. ეროვნკის, 1905 წლის შესახებ და სხ. ყველა ამ მასალებს ჩვენ ვაწვდით ცენტრალურ და ხარკოვის პარტისებს. ჩვენ ვღებულობთ ახალ-ახალ არქივებს. მაგ., მივიღეთ მეტად ძვირფასი მასალა „მორიაკ"-ის ორგანიზაციის შესახებ. ყველა ეს ახალი არქივები რჩება პარტისში.

მოგონებათა და ადგილობრივი მასალების გადამუშავების გარდა სწარმოებს 1905 წლის შესახებ მასალების დამუშავება. ჩვენ შევუდექით ჩვენი პარტიის ისტორიის დამზადებას. გამოვეცით საინტერესო კრებული რკინის გზელთა რევოლიუციონერი მოძრაობის შესახებ. ამ ჟამად ჩვენ ვმუშაობთ უფრო ვრცელი კრებულის გამოსაცემად, რომელიც შეეხება მუშათა მთელს მოძრაობას. პარტისი ხშირად მართავს საღამოებს. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მეტად დაინტერესებული არიან ჩვენში ხალტურინის სახსოვარი საღამოებით.

უკანასკნელად ჩვენ ვმუშაობთ 1918—1919 წ. არალეგალური რევოლიუციონური მუშაობია მონაწილე მუშაკების ჯგუფის შესადგენათ. ეს ეხება იმ პერიოდს, როცა დენიკინი ბატონობდა. არალეგალურ მუშაკთა ეს ჯგუფი დამტკიცებულია გუბკომის მიერ და ჩვენს მუშაობაში ასრულებს დიდს როლს. ამ ჯგუფის საშუალებით ჩვენ აღვადგინეთ არალეგალური მუშაობის ყველა მომენტები, აღმოჩენილ იქნა „კომუნისტი"-ს შეუერთებელი ფურცლები, რომლებიც უნდა დაბეჭდილიყო. ამ ჯგუფმა მოაწყო მოგონებათა მეტად საინ-

ტერესო საღამო, მოაგროვეს 180 ჩერვონეცი, რაც გადადებულ იქნება საგამომცემლო ფონდში; აზრათ აქვთ გამოსცენ 1918—1919 მუშაობის შესახებ კრებული. ჯგუფს თვისი კოლეგია ჰყავს, მაგრამ მისი მუშაობა სწარმოებს პარტიისს ხელმძღვანელობით.

ჩვენს ადგილობრივ ორგანოში ზოგჯერ ვბეჭდავთ მეტად ძვირფას ნაკვეთებს და ასე აღვბეჭდავთ ხოლმე რევოლიუციონერი მოძრაობის მთელ რიგ ფაქტებს. ახალ ნომერში ჩვენ მოვათავსებთ ბევრ მასალას წითელი არმიის შესახებ დაღუპული ამხანაგების ჩამოთვლით.

გადავდივარ სამუზეუმო მუშაობაზე. მუზეუმის სამუალებით, პარტისი დაუახლოვდა მუშათა მასსებს. მუზეუმის გახსნის შემდეგ მიაქციეს ყურადღება ჩვენს მუშაობას როგორც პარტიულმა ორგანიზაციებმა, ისე მუშებმა. ამ ჟამად ჩვენ ორი მუზეუმი გვაქვს – ოქტომბრის რევოლიუციის მუზეუმი და ადგილობრივი მუზეუმი, ადგისის მუზეუმი.

სამუზეუმო მუშაობა კარგად მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში სიტყვაზე უფრო საგულისხმოა ციფრები. დაათვალიერა მუზეუმი 10 ათასი კაცმა. ექსკურსიის დროს ვაწყობთ ლექციებს. ეს ერთი დაკვრითი სამუშაოთაგანია.

ორიოდე სიტყვა კავშირის შესახებ. კავშირს ვამყარებთ დამხმარე უჯრედის საშვალებით. ჩვენ გვაქვს ერთი საოლქო პარტისი—ნიკოლაევის. უნდა გვახსოვდეს, რომ ნიკოლაევი წინად საგუბერნიო ქალაქი იყო. აქ ბევრი ძვირფასი მასალა მოიპოვება და მეტად სამწუხაროა, რომ ნიკოლაევის პარტისში მხოლოდ ერთი გამგე და ერთი თანამშრომელი მუშაობს, ადგისას კი არაფერი არ შეუძლია იმისათვის, რომ ნიკოლაევის პარტისის მუშაობა აამაღლოს.

ამხ. თალაკვაძე. (საქართველო). საქართველოს პარტისის მუშაობა იწყება 1922 წლის გასულიდან. საქ. კომპ. ცეკას მიერ პარტისში სამუშაოდ გამოყოფილ იქნენ ძველი, გამოცდილი პასუხის მგებელი ამხანაგები როგორც მაგ. ამხ. ფილიპე მახარაძე მ. ტოროშელიძე, რ. კილაძე და სხ.

პარტისის მთავარი ამოცანა იყო: 1) პარტისის ორგანიზაციულად მოწყობა, 2) პერიოდული ისტორიული ჟურნალის გამოცემა რუსულ და ქართულ ენებზე, 3) ძველი, 1917 წლამდე დაღუპული რევოლიუციონერთა სიის შედგენა და გაზეთებში გამოქვეყნება, 4) მოწოდებით მიმართვა ამხანაგებისა და საერთოდ ფართო რევოლიუციონური მუშათა მასისადმი ისტორიული მასალებისა და დოკუმენტების პარტისში გამოგზავნისათვის.

ეს გეგმა სავსებით იქნა შესრულებული. ცეკასთან მოეწყო პარტისა, გამოდის ისტორიული ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე" ქართულად, გამოყოფილია ამხანაგები როგორც პარტისში, ისე რედაქციაში სამუშაოდ; გამომუშავებულია დებულება როგორც პარტისის ცენტრალური, ისე პარტისის სამაზრო და საოლქო ბიუროებისათვის, იმ მაზრებისა და ოლქების ბიუროებს, სადაც ძლიერი იყო რევოლიუციონური მოძრაობა, პარტისმა დაუგზავნა შესაფერისი ინსტრუქციები პარტისის ბიუროს მოწყობის შესახებ.

პარტისმა უკვე გამოსცა „რევოლიუციის მატიანეს" ექვსი ნომერი. ჟურნალი თანდათან უჯაბესდება როგორც ტეხნიკურად, ისე, შინაარსით. 1923 წლის ნოემბერში პარტისმა გამოსცა დიდი ფორმატის ალბომი, მიძღვნილი 1917 წლამდე დახოცილ რევოლიუციორების ხსოვნისადმი. ალბომში მოთავსებულია ყველა იმ ამხანაგების სურათები, რომლებიც დაიღუპნენ ბრძოლის ველზე დაწყებული ნიწიწოველ-კეცხოველ-წულუკიძე-ჩოდრიშვილიდან, მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით. უკვე იბეჭდება და მაისის გასულს მზად აქნება „რევოლიუციის მიტიანეს" მე 7-დე ნომერი, რომელშიაც უმთავრესად დაიბეჭდება, 1904-5 წ. რევოლიუციონური მოძრაობის დამახასიათებელი მასალები საქართველოში.

პარტისის ახალი ამოცანა შემდეგია: 1) 1917 წლის შემდეგ დაღუპულ ამხანაგების სახსოვარი ალბომის გამოცემა, 2) სპეციალური ალბომის გამოცემა 1905 წლის რევოლიუციის ოცი წლის თავზე, 1905 წლის რევოლიუციის ისტორიის შესახებ მასალების გამოცემა ქრონიკოგორი წესით წიგნაკის სახით, 4) ცალკე ბროშიურებათ გამოცემა „რევოლიუციის მატიანე„-ში დაბეჭდილ მოგონებათა და ისტორიულ წერილებისა.

უჭველია ამ ამოცანათა შესრულება პარტისისთვის მეტად ძნელი იქნება, ვინაიდან ცეკას მიერ სამუშაოდ გამოყოფილი ამხანაგები სავსებით არ არიან პარტისის განკარგულებაში. ეს ამხანაგები დატვირთული არიან ჯერო საქირო პასუხსაგები მუშაობით და პარტისში მუშაობისათვის მათ დრო არ რჩებათ. პარტისის განყოფილების მთელს სამუშაოს და აგრეთვე რედაქციისას ასრულებდა ერთი ამხანაგი გამგე, რომლის განკარგულებაში იყო მხოლოდ ერთი ტეხნიკური მდივანი და მემანქანე ქალი. საორგანიზაციო მუშაობის სფეროში პარტისი ჯერ კიდევ მოისუსტებს.

პარტისის გამგეს უკანასკნელად დაეკისრა ახალი სამუშაო—ეს არის საქ. სარევოლიუციო მუზეუმი. მუზეუმის ამოცანას შეადგენს, 1. საქართველოს რევოლიუციონური და საზოგადოებრივი მოძრაობის

შესახებ მასალების შეკრება-შენახვა, 2. მთელი შეკრებილი მასალა მუზეუმს წესრიგში მოჰყავს-აღწერს, ადგენს კატალოგს, ბარათს და სხ. მუზეუმი აწარმოებს ამ მასალების დამოუკიდებლათ დამუშავებას, ა) ადგენს ცალკე ეპოქების მიხედვით ნირკვევთ, ბ) აწარმოებს მომხდარი ამბების მატიანეს, გ) ადგენს მაჩვენებელს სხვა და სხვა საკითხებზე და სხ. აწყობს მუდმივ, მასალათა საჩვენებელ გამოფენას პარტიის პოპულიარიზაციის და პარტიის ისტორიისადმი ინტერესის გასაღვიძებლათ, ე) პერიოდული გამოფენების მოწყობა სპეციალური საკითხების შესახებ. მუზეუმმა თავის ხანმოკლე არსებობაში შესძლო დიდძალი ძვირფასი მასალების შეგროვება. მუზეუმში თავმოყრილია და მოწესრიგებული მასალები ყველა იმ რევოლიუციონურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა, რომლებიც აღმოცენდენ თებერვლის რევოლიუციის შემდეგ. მოგვეპოვება საქმეები და მასალები: 1) საქართველოს ეროვნულ საბჭოსი, 2) ამიერ-კავკასიის სეიმის, 3) ამიერ-კავკ. კომისარიატის, 4) საქართველოს პარლამენტის, 5) საქართველოს დამფუძნებელი კრების, 6) საქართველოს დემოკრატიული მთავრობის. 7) რუსთა ეროვნული საბჭოსი, 8) სომეხთა ეროვნული საბჭოსი, 9) რევოლიუციის პირველი პერიოდის საბჭოთა ორგანიზაციებისა, 10) ძვირფასი მასალები ზოგიერთ პოლიტიკური პარტიებისა და სხ. მუზეუმს შედგენილი აქვს შემდეგი სამეცნიერო შრომანი: პერიოდული პრესის აღწერა ქართულის და სომხურის, მე 70—80 წ. რევოლიუციონური მოძრაობის ნარკვევი საქართველოში, რუსული კავკასიური პრესის აღწერა, საყურადღებო პოლიტიკური ამბების ლიტერატურული წყაროები, 1917—1923 წ. პოლიტიკური ამბების ქრონოლოგია, რევოლიუციონური ორგანოების დეკრეტების, დადგენილებათა და რეზოლიუციების სია.

უსახსროობის გამო ჯერ ვერ მოგვახერხებია რუსულად „რევოლიუციის მატიანეს“ გამოცემა, ეს კი საჭირო იყო, რადგანაც რუსულის მცოდნე ყველა ამხანაგებს საშუალება მიეცემოდათ გასცნობოდენ საქართველოს მდიდარ რევოლიუციონურ მოძრაობას.

ამხ. ბოგროვი (აზერბეიჯანი) ბაქოში არსებული აზერბეიჯანის პარტისი თუმცა მოქმედობს 1921 წლიდან, მაგრამ ბაქოს კომიტეტის მხრით მას ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული.

საწარმოო-ეკონომიური განყოფილებასთან დაარსებულია შრომის მუზეუმი. მუზეუმის სათავეში მოექცა ცნობილი მეწეველი და მხოლოდ 1923 წლის შემოდგომიდან პარტიის ძალდატანებით მოხდა იქ ცვლილება. მოსკოვის გავლენით პარტისის მუშაობა გაცხო-

ველდა. 1905 წლის რევოლიუციის იუბილეის გამო პარტისს მოემატა ერთი მუშაკი. შრომის მუზეუმი გადაკეთდა სარევოლიუციო მუზეუმად.

არქივები მოუწესრიგებელია. ბევრი არქივები ერთად არეულ-დარეულია. გამოირკვა, რომ მუსავატელების დროს ბევრი მასალები გაუტაცნიათ. ბევრ ამხანაგს ბაქოდან წასვლისას მასალები თან წაუღია:

პარტისის შესახებ არაეითარი დებულება არ ყოფილა, ვიდრე ჩვენ არ მოვიპოვეთ ნდობა და არ მივაქციეთ საჭირო ყურადღება. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ყურადღებას გვაქცევენ, როცა შესასრულებელია დაკვრითი სამუშაო. სხვა დროს ყურადღებას არ გვაქცევენ. ჩვენთვის მეტად საჭიროა ნივთიერი დახმარება ცენტრალური პარტისისაგან.

მუზეუმი ამ ჟამად გამოფენას წარმოადგენს. საჭმე იქ კარგათაა დაყენებული. მუზეუმის სააგიტაციო მუშაობა დიდია. ბაქოს კომიტეტმა გადასწყვიტა მთელი ჩვენი პარტიული ორგანიზაციებისათვის ისარგებლოს მუზეუმით. ჩვენ მიერ იქ გამართულ ლექციებს დიდის ინტერესით ისმენენ.

ჩვენი გამომცემლობა შემთხვევითი ხასიათისა იყო, რადგანაც პარტისს ფულები არ გააჩნდა. ახლა კი, როცა ნდობა დავიმსახურეთ, ჩვენ გადმოგვცეს დიდი და მეტად ძვირფასი არქივი ყოფილი ნობელის ქარხნებისა; არის აგრეთვე დაღესტანის ჟანდარმთა სამმართველოს არქივი. რაც შეეხება მაზრებსა და რაიონებს, უნდა ითქვას, რომ აქ მეტად ცოტა გაკეთდა, რადგანაც არ გვქონდა სახელმძღვანელო ხაზი. ამ ჟამად სწორედ სახელმძღვანელო მასალებს ვიშუშაებთ. რაც შეეხება ამიერ-კავკასიის ცენტრთან დამოკიდებულობას, აქ ყველაფერი რიგზეა, შინაური ურთიერთობა ჩინებულია.

ამხ. ბანკოვიჩი (კრასნოიარსკი) ენისეის პარტისის შესახებ უნდა ითქვას, რომ 1923 წლის ოქტომბრამდე მას საყურადღებო არაფერი გაუკეთებია. მოეწყო დროებითი გამოფენა, რომელიც არავის არ დაუთვალიერებია, რადგანაც ის თითქმის ჭალაჭის განაპირად იმყოფებოდა, მუდმივი მუშაკებიც არ გვყოლია. 1923 წლის დასაწყისიდან გუბკომმა დანიშნა გუბბიუროს პარტისის ახალი შემადგენლობა. ამ ახალმა ბიურომ გამოფენა მოაწყო ქალაქის შუაგულში. გამოფენამ ბევრი ხალხი მიიზიდა. ამის შემდეგ ჩვენმა პარტისმა გუბკომის მუშაკთა თვალში ნდობა დაიმსახურა, რის შედეგათ უნდა ჩაითვალოს ის, როცა დგება ბიუჯეტი, ხარჯთ-აღრიცხვა დგება აგრეთვე პარტისის ბიუროსათვის..

ახალი ბიურო შეუდგა საარქივო მასალების დამუშავებას, დაიწყო გუბარქივიდან ყოველგვარი რევოლიუციონური მასალების გად-

მოტანა. ბევრი პირადი საქმეები გადმოსახლებულთა, აღმოჩნდა მეტად ცუდს მდგომარეობაში. მოიპოვება 2000 პირადი საქმე, რომელშიაც დაცულია ფოტოგრაფიული სურათები.

პარტიას ხელმძღვანელობს პარტიის გუბბიორო, მაგრამ ყველა ასე თუ ისე პრინციპიალური ხასიათის საკითხები ტარდება გუბკომში. მაზრებში უკანასკნელ ხანებში მუშაობა გაცხოველდა. ყველა სამაზრო კომიტეტებთან არსებობენ პარტიის კომისიები, ეს კომისიები აგროვებენ იმ მასალებს, რომლებიც პარტიულ ამხანაგებს ამა თუ იმ ადგილებიდან წამოუღიათ. 1905 წლის რევოლიუციის შესახები მასალების შესაკრებათ ხნამენის ქარხანასთან შემდგარია კომისია ყოფილ გადმოსახლებულთაგან, ასევეა საქმე მინუსინის მაზრის მაღაროებში.

საგუბერნიო კონფერენციის დროს მოწვეულ იქნა პარტიის თათბირი, გამომუშავდა მუშაობის გეგმა ზაფხულისათვის. წელს ვფიქრობთ საბოლოოთ გადავამუშაოთ ყველა ჩვენი საყურადღებო მასალები და გამოვცეთ შესაფერი კრებულები, რათა ასე ამ მასალებმა მიიღონ დამთავრებული ფორმა. ამას გარდა განზრახულია ორი კრებულის გამოცემა პარტიზანული მოძრაობის შესახებ. ერთი თვის შემდეგ მასალები მზად იქნება. მესამე კრებული გამოვა წლის ბოლოს. ეს კრებული იქნება გადმოსახლებულთა შესახებ ჩვენს გუბერნიაში; ამ მუშაობასთან დაკავშირებით მუშაობას განვავითარებთ 1917 წლამდე არსებულ არალეგალურ ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. საქმეში უკვე ჩაბმულია მუშაკები მასალების დასამუშავებლათ და სისტემატიზაციისათვის. ცენტრალურ პარტიასთან კავშირი კარგათ არის დაყენებული, ციმბირის ცენტრთან კი არავითარი კავშირი არა გვაქვს.

ციმბირის ცენტრთან მუშაობის გაცხოველებით შეიძლება მუშაობის გაჩაღება მთელის ციმბირში.

ამხ. ოლმინსკი ამხანაგებო! სურათი, რომელიც ადგილებიდან გაკეთებულმა მოხსენებებმა მოგვცა, იგივეა, რაც შარშან იყო. მართალია, ზოგიერთ ალაგას საქმე გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც წარმოუდგენელი სიჭრელეა მუშაობაში. უნდა ითქვას, რომ აქაც, მოსკოვშიაც, სიჭრელეა მუშაობაში. ხშირად ცენტრის მუშაკები თანაგრძნობით ეკიდებიან პარტიის მუშაობას, ხშირად არაფრად მიაჩნიათ. ჩვენ გაგვიჩნდა მეტად ძლიერი კონკურენტი—ეს არის ლენინის ინსტიტუტი. მისთვის, შეიძლება ითქვას, მთელი სახელმწიფო ბიუჯეტი მზადაა, პარტისისთვის კი—მხოლოდ ხარჯების შემოკლება.

პირადათ მე და, ვგონებ, სხვა ამხანაგებმაც აღძრეს საკითხი იმის შესახებ, თუ რისთვისაა საჭირო პარტისი—დეე იყოს ლენინის სახე-

ლობის ინსტიტუტი, დეე მან ხელმძღვანელოს მუშაობას, ანდა პარტიისმა შეიგრთოს ლენინის სახელობის ინსტიტუტი. ცენტრის მუშაკები იმ აზრს იცავენ, რომ გაერთიანება არ უნდა მოხდეს, მოტივები მეტად პატივსაცემი: ისინი ამბობენ—ინსტიტუტს დაკვოითი ამოცანა აქვს შესასრულებელი—ლენინის თხზულებათა გამოცემა.

თქვენი მოხსენებიდან ერთი სიტყვა კი არ გამიგონია იმის შესახებ, თუ რანაირი დამოკიდებულებაა ადგილობრივათ ლენინის სახელობის ინსტიტუტსა და პარტიას შორის; ლენინის ინსტიტუტის კორესპონდენტებმა პროვინციაში ფართოდ დააყენეს საქმე, არსებობენ წრეები, რომლებიც მასალებს აგროვებენ ინსტიტუტისთვის, ამის შესახებ ჩვენ ცნობები მოგვეპოვება, მაგრამ ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებებიდან ამის შესახებ არაფერი უთქვამთ.

ეხლა ორიოდე სიტყვა საღსარის შესახებ—ეს მეტად არსებითი კითხვაა. როცა დაარსდება 1905 წლის იუბილეის მომწყობი კომისია, ჩვენ ყოველის მხრით გამოვიყენებთ ამ კომისიას. მე კიდევ მივუთითებ ერთს მეთოდზე, როშლის მოხმარაც შეიძლებოდა ზოგიერთ ალაგას. აქ საყვედური გაისმოდა, რომ საგამომცემლო თანხა არ გვაქვსო. რატომ არ გვიგზავნით ამხანაგებო, თქვენს მასალებს მოსკოვში? ჩვენ შეგვეძლო მათი გამოცემა წიგნებისა თუ ბროშიურების სახით და მთელი ჰონორარი მოხმარდებოდა ადგილობრივ პარტიასებს. ჩვენ ისეთი ურთიერთობა გვაქვს სახელგამთან და სხვა ფირმებთან, რომ შეგვეძლია გამოვსცეთ განუსაზღვრელი რაოდენობის წიგნები, მაგრამ, რა თქმა უნდა, საჭიროა მასალების რიგიანათ დამუშავება და ისე გადმოცემა გამოსაცემად.

(დასასრული იქნება).

შეცდომის გასწორება.

ჟურნალ „რევოლიუციის მატიანე“-ს 1925 წლის № 1(11)-ში წერილში—„9 იანვარი 1905 წ. პეტერბურგში“ დაბეჭდილია 304 გვ-ზე-7 სტრიქონზე ქვევიდან:

„შიშისაგან ტანში ჟრუანტელი მიელიდა“... უნდა იყოს: „**საშინელებისაგან** ტანში და სხვა“.